

**მერაბ მიქელაშვილი**

# **მენარების გზამკვლევი**

**თბილისი  
2008**

კრებული განკუთვნილია დამწყები და მოქმედი მენარმეებისათვის და შეიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას მათთვის, ვისაც სურს საქართველოში ბიზნესის დაწყება ან მოქმედი ბიზნესის გაფართოება.

კრებულში განხილულია სამენარმეო საქმიანობის სუბიექტების ზოგადი დახასიათება, სამენარმეო სუბიექტების რეგისტრაციის წესი, საფირმო სახელწოდების შერჩევის თავისებურებები, საბანკო დანესებულებებში ანგარიშის გახსნისათვის აუცილებელი პროცედურების წესბა, კრებულში დეტალურადაა გაანალიზებული გადასახადები და საქართველოს საგადასახადო სისტემა, განხილულია სამენარმეო საქმიანობის ის სახეობები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექვემდებარება ლიცენზირებას ან ნებართვას. კრებული მოიცავს დამწყები და მოქმედი მენარმეების დაფინანსების წყაროების ანალიზს, ასევე დაკონკრეტებულია საქართველოში მოქმედი ბანკების, საკრედიტო კავშირებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

კრებულში განხილულია დაზღვევის ის სახეობები, რომლებსაც საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიები სთავაზობენ მენარმეებს.

კრებულში მიმოხილულია სამენარმეო გარემო და ის პროექტები, რომლებიც ხორციელდება ქვეყანაში მენარმეობის მხარდასაჭერად, ასევე გაანალიზებულია სამენარმეო კონტროლის საკანონმდებლო გარემო.

კრებულის ბოლოს განხილულია მენარმის ფსიქოლოგიური პორტრეტი, იმ პიროვნული თვისებების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია წარმატებული მენარმისათვის.

ყველა თავის ბოლოს მოტანილია საქართველოს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების წესბა, რომელთა ცოდნაც სასურველია კონკრეტულ თავში განხილული თემების სრულყოფილი გააზრებისათვის. კრებულში გამოყენებული ნორმატიული აქტები ეფუძნება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებულ მასალებს 2008 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.

© მერაბ მიქელაშვილი, საგადასახადო და ბიზნეს-კონსულტანტი, მენარმის გზამკვლევი, თბილისი, 2008



ბათუმის მხარე „საანაწ“

ISBN 978-99940-60-48-1



## ენიანიტყვაოკა

*აკოეთი ან, რისი გაცოტესუ კოცარა და ატყენს  
უხოტრეტასა არ ატყენს არუ ერათ სამუშაო დღე  
კონსტუტა*

*აუ შენ არადროთ არ რისკე, მამინ რჩედად რისკე  
ჩრდის ტონტა*

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით“.

„მენარმის“ ცნება პირველად გაჩნდა მე-18 საუკუნეში და ხშირად ასოცირდებოდა „მესაკუთრესთან“. პირველად ინგლისელმა ეკონომისტმა რ. კანტილონმა იხმარა ტერმინი „მენარმე“ ეკონომიკურ თეორიაში. სამენარმეო საქმიანობის საბაზო, კონცეპტუალური საკითხები განხილულია ცნობილი ეკონომისტების, ა. სმიტის, დ. რიკარდოს, ფ. ტუნენის, მ. ვებერის, ი. შუმპეტერის, ჯ. კეინსის, ჯ. გელბრაიტის ნაშრომებში.

„მენარმეობის“ თანამედროვე გაგების საფუძვლები ჩამოყალიბებულია ი. შუმპეტერის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“, სადაც მის მიერ დასაბუთებულია მენარმის გადამწყვეტი როლი საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში. მეცნიერის აზრით სამენარმეო საქმიანობაში მთავარი ინოვაციური აზროვნება და მენარმის ფსიქოლოგიური პორტრეტი. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში უდიდეს როლს თამაშობს მენარმე. მენარმე – ის ბიზნესმენია, რომელიც ორგანიზებას უწევს და ახორციელებს გაბედულ, რთულ, რისკიან და ზოგჯერ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პროექტებს. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც საბაზრო რეფორმები განხორციელების სხვადასხვა საფეხურზეა, მცირე ბიზნესისა და კერძო მენარმეობის განვითარება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ კერძო მენარმეობა, მცირე ბიზნესი განსაკუთრებულ ფუნქციებსა და მნიშვნელობას იძენს.

მენარმეობის პოლიტიკური ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს მესაკუთრეთა საშუალო კლასის ჩამოყალიბების პირველწყაროს, როგორც საბაზრო ეკონომიკის საფუძველს და საზოგადოების სტაბილურობის გარანტს;

მენარმეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკონომიკური ფუნქციები მოიცავს:

- კონკურენტული გარემოს შექმნას;
- მრავალფეროვანი საქონლითა და მომსახურებით ბაზრის გაჯერებას;
- დაბეგვრის ბაზის გაფართოებას;

სოციალური ფუნქცია გულისხმობს საზოგადოებაში ურთიერთობების დადაპყრის მოხსნას ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით, მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, სიღარიბის დონის შემცირებას სამენარმო სფეროში ჩართული მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხარჯზე.

მენარმოების სტაბილური განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა ეფექტურად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის, ჩანასახის სტადიაში მყოფი მესაკუთრეთა ფენის მხარდაჭერისა და ახალი დემოკრატიული ინსტიტუტებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების განვითარებისათვის. ამ ამოცანის სირთულე და მისი გადაწყვეტის მრავალფეროვნება განაპირობებს არასტანდარტული მიდგომების გამოყენებას, თითოეული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით მენარმოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის კომპლექსური მეთოდების ძიებას. უდაოა –მენარმოების დინამიური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს მისი მნიშვნელობა, მენარმე გრძნობს მიზანმიმართულ სახელმწიფო მხარდაჭერას და სახელმწიფოსა და ეკონომიკის კერძო სექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობებია ჩამოყალიბებული.

თქვენს წინაშეა „მენარმის გზამკვლევი“, რომელშიც თავმოყრილია ბიზნესის დასაწყებად და მის გასანვითარებლად აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, აგრეთვე პრაქტიკული რჩევები და წინადადებები, რომელიც ჩვენი აზრით ხელს შეგიწყობთ ეკონომიკური საქმიანობის მართვაში.


გულწრფელი მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას და მის პრეზიდენტს ბატონ ელგუჯა მელაძეს, რომლის ინიციატივითა და დაფინანსებით შესაძლებელი გახდა აღნიშნული კრებულის მომზადება და გამოცემა.

გზამკვლევი დაზღვეული არ იქნება შეცდომებისაგან, ამიტომ ნებისმიერი შენიშვნა, საქმიანი მოსაზრება თუ რჩევა, რომლის გამოგზავნაც შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით მისამართზე mmikela50@yahoo.com ჩვენს მიერ სიამოვნებით იქნება გათვალისწინებული.

**მერაბ მიქელაშვილი**  
საგადასახადო და ბიზნეს-კონსულტანტი

# თავი I

სამეწარმეო საქმიანობის  
სუბიექტების ზოგადი დახასიათება:  
საწარმოს რეგისტრაცია





## თავი 1

# სამენარჩუნო საქმიანობის სუბიექტების ზოგადი დასასრულება; სანარჩუნო რეგისტრაცია

*წარმაცემს ჰქვია "მაშა" ჰუკუს, წარუმატებლმა უცვლელადის იპოვებას.  
 3015 კენდი*

*აივანის უცვლელ საქმეს უცვლელად მენარჩუნებს - დაწყება.  
 3015-3015 წესები*

ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება საქველმოქმედო და რელიგიური საქმიანობა.

სანარჩუნო ითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები, აგრეთვე უცხოური სანარჩუნო მუდმივი დაწესებულება, გაერთიანებები, ამხანაგობები. სანარჩუნო არ განეკუთვნება ინდივიდუალური სანარჩუნო.

**1.1. სამენარჩუნო საქმიანობის ცნება.** სამენარჩუნო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

სამენარჩუნო საქმიანობად არ ჩაითვლება: ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალური სანარჩუნო, სამენარჩუნო ამხანაგობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით, თუ მოხდება მათი სამენარჩუნო რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არანეკრი ხუთი პირი მინც.

სამენარჩუნო საქმიანობის სუბიექტები: სამენარჩუნო საქმიანობის სუბიექტები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული და ახორციელებენ სამენარჩუნო საქმიანობას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს (საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, მთავრობის წევრს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს და სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელს), მოხელეებს (სახელმწიფო მოხელეებს და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს), სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ ენეოდნენ სამენარმეო საქმიანობას.

**1.2. ფიზიკური პირის ცნება.** ფიზიკურ პირში იგულისხმებიან საქართველოს მოქალაქეები, სხვა ქვეყნების მოქალაქეები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები.

**ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობა**

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა-უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობანი, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.

მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

**1.3. იურიდიული პირის ცნება.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ.

იურიდიული პირი შეიძლება იყოს: კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, ნევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი, და მისდევდეს მენარმეობას.

**იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა.** კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვლასაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ამ საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ნებართვის მიღების მომენტიდან. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან.

იურიდიული პირის დაფუძნება. სამენარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ან საზოგადოების – იურიდიული პირის, ან ინდივიდუალური მენარმეობის და სამენარმეო ამხანაგობის ფორმით. სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უმთავრესი პირობაა საქმიანობის ლეგიტიმაცია ანუ მენარმე სუბიექტის დაფუძნება-სახელმწიფო რეგისტრაცია.

**სანარმოს რეგისტრაცია.** სანარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. სანარმო, როგორც კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები. ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.

#### 1.4 მენარმე სუბიექტები

მენარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მენარმე, სამენარმეო ამხანაგობა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

სამენარმეო ამხანაგობა და ინდივიდუალური მენარმე, წარმოიშობა მხოლოდ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე მენარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და სანარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიული პირის სტატუსის მქონე სანარმეებს (კომპანიებს). სამენარმეო ამხანაგობა და ინდივიდუალური მენარმე არ არიან იურიდიული პირები. ინდივიდუალური მენარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს, როგორც ფიზიკური პირი.

#### 1.5. პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები

ინდივიდუალური მენარმე თავისი სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

სამენარმეო ამხანაგობის მონაწილეები სამენარმეო ამხანაგობის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება მონაწილეთა შეთანხმებით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე.

საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების განევა.

თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი.

კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშუდევოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

თუ სანარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუსხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადაამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე.

სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. წესდებით შესაძლებელია მათ მიერ შეტანილი შენატანებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვროს განსხვავებული უფლება-მოვალეობები.

ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგა-



რიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და სანარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება სანარმოს. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით.

### 1.6.6 ცირა და საშუალო მენარმომის სუბიექტავი

„საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ქვეყნის ტერიტორიაზე მცირე და საშუალო სანარმოებს განეკუთვნება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- ა) მცირე სანარმოებისათვის – 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;
- ბ) საშუალო სანარმოებისათვის – 100 დასაქმებულსა და 1500 ათას ლარს.

ზემოთაღნიშნული რაოდენობის გადამეტების დღიდან სანარმო აღარ ჩაითვლება მცირე ან საშუალო სანარმოდ. ამასთან, სანარმო არ ჩაითვლება მცირედ ან საშუალოდ, თუ:

— მისი სანესდებო კაპიტალის 25 პროცენტზე მეტი ეკუთვნის პირს (პირებს), რომელიც არ აკმაყოფილებს მცირე და საშუალო სანარმოთათვის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

— მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბანკო, სადაზღვევო და სხვა სახის ფინანსური მომსახურება.

მცირე ან საშუალო სანარმოში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, მათ შორის, შეთავსებით მომუშავეთა (სეზონურად დასაქმებულთა გამოკლებით) და იურიდიული პირის წარმომადგენლობების თანამშრომელთა ვათვალისწინებით, რაც აისახება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანებებულების – სტატისტიკის დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებში წარდგენილ მცირე სანარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის წლიურ აგრეგირებულ (წაერთ) ფორმებში.

წინა ფინანსური წლის არმქონე ახლად შექმნილ სანარმოში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა განისაზღვრება მათი რეგისტრაციიდან წლის ბოლომდე პერიოდისათვის.

### 1.7 სანარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ახორციელებს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო (მარეგისტრირებელი ორგანო) სანარმოს რეგისტრაცია ხორციელდება სანარმოს იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელ მისამართზე გაგზავნის შემდეგაც წერილობითი შეტყობინება (კონსაიპონდენცია) ითვლება სანარმოსათვის ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად.

სანარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება ერთდროულად, სამენარმეო რეგისტრში სათანადო ჩანაწერებით, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებით, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მონომის (ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის) გაცემის საფუძველზე.

სამენარმეო რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამენარმეო რეესტრის მონაცემებს და სანარმოს მარეგისტრირებელ საგადასახადო ორგანოში მიიღოს ამონაწერი რეესტრიდან. ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ, პირის მოთხოვნისთანავე.

ერთიანი სამენარმეო რეესტრის ელექტრონულ ვერსიას ანარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

სანარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება დოკუმენტების წარდგენისთანავე.

სანარმოს სარეგისტრაციო განცხადება შეიცავს:

ა) სანარმოს საფირმო სახელწოდებას;

ბ) სანარმოს სამართლებრივ ფორმას;

გ) სანარმოს იურიდიულ მისამართს;

დ) სანარმოს დამფუძნებელი პარტნიორის (პარტნიორების), ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს, პირად ნომერს და ხელმოწერას; თუ პარტნიორი იურიდიული პირია — მის საფირმო სახელწოდებას და რეგისტრაციის მონაცემებს, იურიდიულ მისამართს, იმ ორგანოს დასახელებას, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღს და საიდენტიფიკაციო კოდს, მონაცემებს მისი წარმომადგენლების შესახებ;

ე) სანარმოს საქმიანობის ხანგრძლივობას (ვადიანი სანარმოს შემთხვევაში ვადა უნდა მიეთითოს ნლებით);

ვ) თუ სანარმოს ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი, აღნიშვნას – ისინი ერთად წარმოადგენენ სანარმოს თუ ცალ-ცალკე;

ზ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში აღნიშვნას – რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული.

თ) განცხადების სარეგისტრაციოდ წარმოდგენის თარიღს.

სანარმოს რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუში (ნიმუშები). ხელმოწერის ნიმუში უნდა დამოწმდეს ნოტარიუსთან ან უნდა შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.

თუ სანარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ საქართველოს მოქალაქისათვის/ საქართველოში რეგისტრირებული სანარმოსათვის დადგენილის ეკვივალენტურ მონაცემებს. უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში მათი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

თუ პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) სარეგისტრაციო განცხადებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იგი

არ მოითხოვს ნოტარიალურ დამოწმებას. სხვა შემთხვევაში სარეგისტრაციო განცხადება ნოტარიალურად უნდა დამოწმდეს.

განმცხადებელი უფლებამოსილია სარეგისტრაციოდ წარდგინდეს განცხადებაზე გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სარეგისტრაციო განცხადების შესაცხადებლად პარტნიორს (პარტნიორებს) უფლება აქვს, გამოიყენოს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო განცხადების ფორმა ან მისი ასლი ნებისმიერ მატარებელზე.

საწარმოს აქვს წესდება (პარტნიორთა შეთანხმება), რომელშიც შეიძლება დადგინდეს საწარმოს კაპიტალის წილების პარტნიორთა შორის განაწილება, თითოეული პარტნიორის შენატანის ოდენობა და მათი სხვა უფლება-მოვალეობანი. რეგისტრაციის მიზნებისათვის საწარმოს წესდების წარდგენა არ არის სავალდებულო. საწარმოს მოქმედი წესდება უნდა ინახებოდეს თავად საწარმოში, ხოლო თუ პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის რეესტრის მწარმოებელი პირი დამოუკიდებელი რეგისტრატორია, - ასევე მასთან.

რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.

საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილ იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

### **1.8. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილების რეგისტრაცია**

საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილების შესახებ განცხადება შეიცავს:

- ა) საწარმოს საფირმო სახელწოდებას;
- ბ) საწარმოს სამართლებრივ ფორმას;
- გ) საწარმოს იურიდიულ მისამართს;
- დ) საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობას;
- ე) საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართსა და პირად ნომერს;
- ვ) საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს და პირად ნომერს;
- ზ) განცხადების სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღს.

საწარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ მოითხოვს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს). აღნიშნული ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილება ძალაშია სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

### **1.9.სანარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაცია**

სანარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაციას ახორციელებს:

ა)თუ სანარმოს პარტნიორთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია – თავად სანარმო ან დამოუკიდებელი რეგისტრატორი;

ბ)თუ სანარმოს პარტნიორთა რაოდენობა 50-ზე მეტია – დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

სანარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაციას ახორციელებს თავად სანარმო ნოტარიალურად დამონმებული გარიგების საფუძველზე. დამოუკიდებელი რეგისტრატორი არის „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფასიანი ქალაქების რეგისტრატორი.

დაუშვებელია სანარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაციის განხორციელება ერთდროულად სხვადასხვა დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ. ასევე დაუშვებელია სანარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაციის განხორციელება ერთდროულად სანარმოსა და დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ.

რეგისტრატორის დანიშვნა და შეცვლა დასაშვებია პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან თუ სანარმოში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილება ინვესტის მისი შეცვლის აუცილებლობას – მაშინ ამ ქვეთავის პირველი აბზაცის შესაბამისად.

ინფორმაცია სანარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ეს წესები არ ვრცელდება სააქციო საზოგადოების აქციონერთა რეესტრის წარმოებაზე.

### **1.10.სანარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი**

სანარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

ა)სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს;

ბ)სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;

გ)არ არის გადახდილი სარეგისტრაციო მოსაკრებელი.

სანარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია.

საგადასახადო ორგანოს უარი სანარმოს რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **1.11.სამენარმეო ამხანაგობის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის რეგისტრაციის/აღრიცხვის პროცედურები**

სამენარმეო ამხანაგობის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესახებ განცხადება წარედგინება ერთ-ერთი იმ პირის მისამართის მიხედვით, რომლის სახელიც (სახელწოდებაც) მითითებულია სამენარმეო ამხანაგობის სახელწოდებ-

ბაში მარეგისტრირებელ ორგანოს. განცხადება, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარედგინება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც უზრუნველყოფს შემოსული განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას.

სარეგისტრაციოდ წარსადგენ განცხადებაზე განმცხადებელი უფლებამოსილია გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) ყველა მონაწილის სახელს (სახელი, გვარი), საცხოვრებელი ადგილის მისამართს (ქვეყანა, მისამართი), პირად ნომერს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, როცა მათ არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქისათვის დადგენილი ექვივალენტური მონაცემები, მიეთითება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახელწოდება (ქვეყნის მითითებით), ნომერი და/ან პირადი ნომერი; თუ პარტნიორი იურიდიული პირია – საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) მისი საქმიანობის ხანგრძლივობას (ვადიანი სანარმოო შემთხვევაში ვადა მიეთითება წლებით);

გ) განცხადების შევსების თარიღს;

დ) განმცხადებლის ხელმოწერას. იურიდიული პირის შემთხვევაში – მის წარმომადგენლის ხელმოწერას.

სამენარმეო ამხანაგობის მონაწილე უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში სამენარმეო ამხანაგობის რეგისტრაციისათვის, სარეგისტრაციო განცხადებასთან ერთად წარედგინებულ უნდა იქნას აპოსტილით დამონჭებული ან ლეგალიზებული მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სამენარმეო ამხანაგობის რეგისტრაციაზე, მასში მონაწილე ფიზიკური პირები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებულები, ვალდებული არიან სამენარმეო ამხანაგობის სარეგისტრაციო განცხადებასთან ერთად იმავე საგადასახადო ორგანოში წარადგინონ განცხადება ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციის თაობაზე. ხოლო სამენარმეო ამხანაგობაში მონაწილე (ფიზიკური პირის) ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციის შემდგომ, სარეგისტრაციო დოკუმენტები ეგზავნება მარეგისტრირებელ ორგანოს.

სამენარმეო ამხანაგობის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება იგივე პროცედურებით, რაც გათვალისწინებულია სანარმოთა რეგისტრაციისათვის. რეგისტრაციის მონაცემები შეიტანება სამენარმეო ამხანაგობის სანარმოო რეესტრში და სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის/ალრიცხვის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში. ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი და გაიცემა რეგისტრაციის დამადასტურებელი მონშობა.

სამენარმეო ამხანაგობას სახელმწიფო რეგისტრაციაზე (ცვლილების რეგისტრაციაზე) უარი შეიძლება ეთქვას იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სახელმწიფო რეგისტრაციისათვის (ცვლილებისათვის) წარმოდგენილი განცხადება არ არის შევსებული „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;

ბ) სარეგისტრაციოდ (ცვლილების სარეგისტრაციოდ) წარმოდგენილია ცრუ, არაიდ-

ენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია.

საგადასახადო ორგანოს უარი რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს მარეგისტრირებული ორგანოს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამენარმეო ამხანაგობის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/ალრიცხვისათვის არ გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა გადასახდელი.

### **1.12.ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/ალრიცხვის პროცედურები**

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციას/ალრიცხვას ახორციელებს ინდივიდუალური მენარმის საქართველოში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მარეგისტრირებული ორგანო (გარდა სამენარმეო ამხანაგობაში მონაწილის რეგისტრაციის შემთხვევაში), თუ საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია, დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ნებისმიერი მარეგისტრირებული ორგანო, რომელიც ვალდებულია შექმნას სამენარმეო რეესტრი. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის/ალრიცხვის მონაცემები შეიტანება მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში.

ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია/ალრიცხვა ხორციელდება ფიზიკური პირის განცხადების და პირადობის დამადასტურებელი მონომობის (დოკუმენტის) წარდგენისთანავე. განცხადების დაზღვეული წერილით გაგზავნის ან წარმომადგენლის მშვეობით წარდგენის შემთხვევაში, განცხადებასთან ერთად წარდგინება კანონით დადგენილი წესით დამონებული პირადობის დამადასტურებელი მონომობის (დოკუმენტის) ასლი და წარმომადგენლობის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი (დამონებული სათანადო წესით).

სარეგისტრაციო განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) განმცხადებლის სახელს (სახელს, გვარს);
- ბ) განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- გ) განმცხადებლის პირად ნომერს;
- დ) განცხადების შევსების თარიღს;
- ე) განმცხადებლის ხელმოწერას.

უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოში ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციისას მან უნდა წარადგინოს სარეგისტრაციო მონომობა, რომელიც უნდა შეიცავდეს დადგენილი მოთხოვნების ექვივალენტურ მონაცემებს.

სარეგისტრაციოდ წარსადგენ განცხადებაზე განმცხადებელი უფლებამოსილია გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სარეგისტრაციო განცხადების შესავსებად, პირს უფლება აქვს გამოიყენოს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული განცხადების ფორმა ან მისი ასლი ნებისმიერ მართლებელზე.

იმ ინდივიდუალური მენარმეთათვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ წარმოადგენს მალალმთიანი რაიონების ტერიტორიას ან მისი საცხოვრებელი ადგილი ემთხვევა მარეგისტრირებული ორგანოს ადგილსამყოფელს, ტარდება შემდეგი პროცედურები:

ა) ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის თაობაზე განცხადებას ინდივიდუალური მენარმე ან წარმომადგენელი პირი წარუდგენს (ან დაზღვეული წერილით უგზავნის, დადგენილი წესით დამონმზებულ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად) შესაბამის მარეგისტრირებულ ორგანოს.

ბ) რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე. როდესაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის მონაცემები არ შეესაბამება განცხადებაში მითითებული ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მონაცემებს, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მონაცემებში შეიტანება წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული მონაცემები. თუ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს კანონით და ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იგი დასტურდება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით, რის შემდგომაც მონაცემები შედის ინდივიდუალურ მენარმეთა სამენარმეო და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში, ენიჭება საიდენტიფიკაციო (სარეგისტრაციო) ნომერი, ფიქსირდება რეგისტრაციის თარიღი. რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მენარმეზე გაიცემა ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა, რომელსაც ხელს აწერს რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი.

იმ ინდივიდუალურ მენარმეთათვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილს წარმოადგენს მალალმთიანი რაიონების ტერიტორია (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმიანობის ადგილი ემთხვევა მარეგისტრირებული ორგანოს ადგილსამყოფელს), ტარდება შემდეგი პროცედურები:

ა) ინდივიდუალური მენარმე ან მისი წარმომადგენელი წარუდგენს (ან წესით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესაბამისად) განცხადებას მარეგისტრირებულ ორგანოს;

ბ) რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე. თუ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს კანონით და ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ იცემა განცხადების დანარჩენი მონაცემები, ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს (შესაბამისი რაიონის საიდენტიფიკაციო ნომრის დიაპაზონიდან), ადასტურებს ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით. მონაცემები შეაქვს ინდივიდუალურ მენარმეთა სამენარმეო რეესტრში. რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მენარმეზე გაიცემა ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი;

გ) მონაცემების სამენარმეო რეესტრში ჩართვის შემდგომ წარმოდგენილი განცხადების ფორმა, ყოველი თვის 1, 11 და 21 რიცხვებში წარედგინება შესაბამის მარეგისტ-

ტერიტორიულ ორგანოს (ნარდგენის ადგილი განისაზღვრება მარეგისტრირებული ორგანოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით), მონაცემების ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში შეტანის მიზნით. მონაცემები კომპიუტერულ ბაზაში შეიტანება ფორმების წარმოდგენიდან 2 საშუალო დღის ვადაში. კომპიუტერულ ბაზაში მონაცემთა შეტანის შემდეგ, ინდივიდუალური მენარმის განცხადება უბრუნდება განყოფილებას ან შესაბამის რაიონში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს, ხოლო ასლები რჩება გადამხდელთა მომსახურების სამმართველოში ან მის ტერიტორიულ ერთეულში.

ზემოთაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ცალკეულ შემთხვევებში (ბუნებრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია განცხადების ფორმების წარდგენა დადგენილ ვადაში), დასაშვებია განცხადების მონაცემები ტელეფონოგრაფიის, ფაქსის ან სხვა საშუალებებით გადაეცეს შესაბამის მარეგისტრირებულ ორგანოს (დადგენილი პროცედურების ჩატარების მიზნით), რომელიც შემდგომში შესაძლებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა იქნას წარდგენილი.

ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის თაობაზე განცხადება, როცა მას საქართველოში არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ნებისმიერ მარეგისტრირებულ ორგანოში (გარდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციისა).

ინდივიდუალურ მენარმის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაცია/აღრიცხვა ხორციელდება შესაბამისი განცხადების წარდგენისთანავე. ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განმცხადებელს უარის შესახებ ეცნობება დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტების უკან დაბრუნებით.

ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო (საგადასახადო რეგისტრაციის) აღრიცხვის მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია ტარდება იგივე წესით და ვადებში, რაც დადგენილია მისი პირველადი რეგისტრაციისათვის (ამასთან, ცვლილების რეგისტრაციის განხორციელების დროს გაიცემა – ახალი სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მონაშობა). განცხადება ცვლილებების თაობაზე შეიტანება მისი საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით მარეგისტრირებულ ორგანოში.

ინდივიდუალურ მენარმეს სახელმწიფო რეგისტრაციაზე (ცვლილების რეგისტრაციაზე) უარი შეიძლება ეთქვას იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) სახელმწიფო რეგი სტრაციისათვის (ცვლილებისათვის) წარმოდგენილი განცხადება არ არის შეესებული „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;
- ბ) სარეგისტრაციოდ (ცვლილების სარეგისტრაციოდ) წარმოდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია.

საგადასახადო ორგანოს უარის რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს მარეგისტრირებული ორგანოს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/ალ-რიცხვისათვის არ გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა გადასახდელი.

### **1.13. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმის სანარმომის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაცია**

სანარმოს სამართლებრივი ფორმის შეცვლისას არ ხდება ახალი სანარმოს რეგისტრაცია, არამედ განხორციელდება რეგისტრირებული სანარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება (შესაბამისად ცვლილების რეგისტრაცია სამენარმო რეესტრ-ში), დადგენილი წესის შესაბამისად.

სანარმოთა/ორგანიზაციათა შერწყმისას (როცა სანარმო/ორგანიზაცია ერწყმის სხვა სანარმოს/ორგანიზაციას), იმ სანარმოს/ორგანიზაციის, რომელსაც ერწყმის სხვა სანარმო/ორგანიზაცია, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ/სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც ცვლილებები შედის ამ სანარმოს/ორგანიზაციის სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემებში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი ეგზავნება შერწყმული სანარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელსაც აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებები შეაქვს შერწყმული სანარმოს/ორგანიზაციის სარეგისტრაციო მონაცემებში (რეესტრის „შენიშვნის“ გრაფაში ეეთდება აღნიშვნა – „ლიკვიდირებულია“ განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე. ასევე მიეთითება რეორგანიზაციის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი).

რამდენიმე სანარმოს/ორგანიზაციის გაერთიანების შედეგად ახალი სანარმოს/ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემთხვევაში ახალი სანარმოს/ორგანიზაციის ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართის) მიხედვით რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციაში/აღრიცხვაში გატარდება ახალი სანარმო/ორგანიზაცია (ამ შემთხვევაში ნარმოდგენილი უნდა იქნას ყველა ის დოკუმენტი, რომელიც საჭიროა სანარმოს/ორგანიზაციის თავდაპირველი სახელმწიფო რეგისტრაციისათვის). სანარმოთა/ორგანიზაციათა შერწყმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი, სახელმწიფო და საგადასახადო რეესტრებში სათანადო ჩანაწერების შეტანის მიზნით, ეგზავნებათ იმ მარეგისტრირებელ ორგანოებს, სადაც სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციაზე/აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ გაერთიანებაში მონაწილე პირები.

### **1.14.სამენარმო და სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემთა საჯაროობა**

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამენარმო და სახელმწიფო რეესტრის მონაცემები საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს

სანარმოს და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან მათი ფილიალების (მუდმივი დანესებულებების, წარმომადგენლობების), სამენარმეო ამხანაგობის, ინდივიდუალური მენარმის შესახებ სამენარმეო და სახელმწიფო რეესტრების ამონაწერის მიღების მიზნით განცხადებით მიმართოს სანარმოს და იურიდიული პირის საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით რეგიონალურ ცენტრს.

სახელმწიფო (სამენარმეო) რეესტრის ამონაწერი წარმოადგენს კონკრეტული სანარმოს და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, მათი ფილიალების (მუდმივი დანესებულებების, წარმომადგენლობების), ინდივიდუალური მენარმეების, სამენარმეო ამხანაგობების შესახებ რეესტრებში შეტანილი ძირითადი სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტების შემცველ, დადგენილი ფორმის დოკუმენტს.

რეესტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ, უფლებამოსილების ფარგლებში, მოთხოვნისთანავე გასცეს რეესტრის ამონაწერი.

სამენარმეო და სახელმწიფო რეესტრების ამონაწერი უნდა მოიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რაც ფიქსირდება პირის სახელმწიფო (სამენარმეო) რეესტრაციისას სახელმწიფო (სამენარმეო) რეესტრის ფორმულარში. გარდა ამისა, რეესტრში არსებული მონაცემების შეცვლის შემთხვევაში, რეესტრის ამონაწერი უნდა მოიცავდეს მონაცემებს ცვლილებების გათვალისწინებით, მისი გაცემის დღისათვის არსებული მდგომარეობით.

რეესტრის ამონაწერზე ხელს აწერს უფლებამოსილი პირი, რომელიც მონმდება შესაბამისი ბუქვით.

**1.15. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ინსაქციიზობი  
საგადასახადო აღრიცხვის პროცედურაში**

უცხოური სანარმოები, უცხოური არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებენ ფილიალის (მუდმივი დანესებულების, წარმომადგენლობის) შექმნის გარეშე, მარეესტრირებულ ორგანოებში სავალდებულო საგადასახადო აღრიცხვას არ ექვემდებარებიან. საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, ისინი ვალდებული არიან საგადასახადო აღრიცხვაზე დადგენენ ნებისმიერ მარეესტრირებულ ორგანოში.

გადასახადის გადამხდელი (გარდა სახელმწიფო რეესტრაციის დაქვემდებარებული საგადასახადის გადამხდელისა და ფიზიკური პირისა) სრულად შევსებულ საგადასახადო აღრიცხვის განცხადებას წარუდგენს მარეესტრირებულ ორგანოს თავისი ადგილსამყოფელის (მისამართის) მიხედვით, რომელსაც თან უნდა ახლდეს (არსებობის შემთხვევაში) სადამფუძნებლო და სახელმწიფო რეესტრაციისათვის სავალდებულო სხვა დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამონმებული ასლების (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) თითო ეგზემპლარი (გარდა სამენარმეო ამხანაგობისა) სხვა შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტები დამონმებული უნდა იყოს ნოტარიული წესით, თუკი ეს გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით). საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადება დაუყოვნებლივ განიხილება რეესტრაციისაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. თუ განცხადების მონაცემები შემდგომ დაზუსტებას აღარ საჭიროებს, ივსება განცხადების დანარჩენი მონაცემები. განცხადება დასტურდება რეესტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და

დადგენილი ნიშნის ბეჭდით. გადამხდელის მიერ წარდგენილი განცხადების მონაცემები, შეიტანება საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში, გადამხდელს ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი. გადასახადის გადამხდელზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის მონაშობა, რომელსაც ხელს აწერს რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი.

ზემოთ მითითებული გადასახადის გადამხდელები საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანილებად ითვლებიან მათი საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში შეტანის, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და საგადასახადო აღრიცხვის შესაბამისი მონაშობის გაცემის შემდეგ.

ამ გადასახადის გადახდის საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების ცვლილებების რეგისტრაცია ხორციელდება იგივე წესითა და ვადებში, რაც დადგენილია მისი პირველადი საგადასახადო აღრიცხვისათვის. განცხადება ცვლილებების თაობაზე შეიტანება მისი საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით მარეგისტრირებულ ორგანოში.

მითითებულ გადასახადის გადამხდელს საგადასახადო აღრიცხვაზე უარი შეიძლება ეთქვას იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გადასახადის გადამხდელი უკვე დგას საგადასახადო აღრიცხვაზე და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) საგადასახადო აღრიცხვის განცხადებაში წარმოდგენილი მონაცემები არასრულია და/ან ვერ დგინდება განცხადებლის მოყვანილი მონაცემების სიზუსტე;

თუ გადასახადის გადამხდელს უარი ეთქვა საგადასახადო აღრიცხვაზე, მარეგისტრირებული ორგანო ან მისი სტრუქტურული/ტერიტორიული ერთეული ვალდებულია წერილობით აცნობოს მას უარის თქმის კონკრეტული მიზეზის მითითებით.

### 1.16. ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვის პროცედურები

გადასახადის გადამხდელი საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის – საგადასახადო აღრიცხვა (ფიქსირება) ხდება მისი საგადასახადო დეკლარაციის ან/და საბანკო დანებსებულებაში წარდგენილი გადასახადის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების მონაცემების საფუძველზე. საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული ფიზიკური პირისა, გადასახადის გადამხდელის მონაშობის მისაღებად (მისი ამ პუნქტით დადგენილი წესით საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირების შემთხვევაში) შეუძლია მიმართოს მარეგისტრირებულ ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით. ამასთან, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს – მარეგისტრირებულ ორგანოში, გარდა ამავე პუნქტით განსაზღვრული წესისა, ასევე შეუძლია საგადასახადო აღრიცხვაზე დადგეს განცხადების საფუძველზე, რომლის დროსაც მას საგადასახადო აღრიცხვისას საიდენტიფიკაციო ნომრად უფიქსირდება ამავე პირის მოქალაქის პირადობის მონაშობაში აღნიშნული პირადი ნომერი.

ფიზიკური პირი, გარდა პირველ პუნქტში მითითებული და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული ფიზიკური პირისა, ვალდებულია სარეგისტრაციოდ მიმართოს საქართველოში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (თუ არ გააჩნია – დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) მარეგისტრირებულ

ორგანოს, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების (მათ შორის, მიმდინარე გადასახდელუბის) ან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადამდე არანაკლებ 10 დღით ადრე, ხოლო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფიზიკური პირი – საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში.

იმ ფიზიკური პირისათვის, რომლის საცხოვრებელი ადგილი არ წარმოადგენს მალალმითანი რაიონების ტერიტორიას ან მისი საცხოვრებელი ადგილი ემთხვევა მარეგისტრირებელი ორგანოს ადგილსამყოფელს, ტარდება შემდეგი პროცედურები:

ა) ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვისათვის წარუდგენს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვის დადგენილი ფორმის განცხადებას.

ბ) რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე. თუ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იგი დასტურდება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით, რის შემდგომ მონაცემები შედის გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების დამუშავების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში. რეგისტრირებულ ფიზიკურ პირზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის შესაბამისი მოწმობა, რომელსაც ხელს აწერს რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი.

იმ ფიზიკური პირისათვის, რომელთა საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს მალალმითანი რაიონების ტერიტორია (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმიანობის ან საცხოვრებელი ადგილი ემთხვევა მარეგისტრირებელი ორგანოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის ადგილსამყოფელს), ტარდება შემდეგი პროცედურები:

ა) ფიზიკური პირი წარუდგენს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე შესაბამის განცხადებას;

ბ) რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე. თუ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ იცემა განცხადების დანარჩენი მონაცემები, ადასტურებს ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით. რეგისტრირებულ ფიზიკურ პირზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის შესაბამისი მოწმობა, რომელსაც ხელს აწერს რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი;

ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი განცხადების წარდგენისთანავე. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი იღებს გადაწყვეტილებას გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე. უარის შემთხვევაში განმცხადებელს დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება მოტივირებული გადაწყვეტილება უარის შესახებ.

გადასახადის გადამხდელები საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანილად ითვლებიან საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა, მონაცემების მონაცემთა ბაზაში შეტანისა და საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ.

### 1.17. საქართველოს მოქალაქეობის არამქონე პირის ან უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მუდმივი დანესაგებულების (გარდა ფილიალებისა და წარმომადგენლობებისა) საგადასახადო აღრიცხვისა და რეგისტრის წარმოება

არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დანესაგებულების საგადასახადო აღრიცხვისას ახორციელებს მუდმივი დანესაგებულების ადგილმდებარეობის მიხედვით მარეგისტრირებული ორგანო.

უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მუდმივი დანესაგებულების საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია 1.15 ქვეპუნქტში მითითებულ პირთა საგადასახადო აღრიცხვისათვის. ამასთან, განცხადებას საგადასახადო აღრიცხვის შესახებ თან უნდა დაერთოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (ლეგალიზებული) უცხოური ორგანიზაციის წესდება ან იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესდების შემცველი დოკუმენტი, ამონაწერი სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის დოკუმენტებიდან (რეესტრიდან) და რწმუნებულება.

საგადასახადო მიზნებისათვის არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დანესაგებულებად ითვლება განსაზღვრული ადგილმდებარეობა, რომლის გამოყენებით ეს პირი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე, რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით.

უცხოური ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დანესაგებულების საგადასახადო აღრიცხვისათვის არ გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა გადასახდელი.

### 1.18. საგადასახადო რეგისტრაციის იპულაბითი წესით უზრუნველყოფის ღონისძიებები

თუ საგადასახადო ორგანოში სახელმწიფო რეგისტრაციის ან/და საგადასახადო აღრიცხვის გარეშე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირი ნებაყოფლობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოჩენიდან 10 დღის ვადაში, დადგენილი წესით, განცხადებით არ მიმართავს შესაბამის საგადასახადო ორგანოს გადასახადის ვადამხდელად აღრიცხვის თაობაზე, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს მისი საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვა).

რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი შესაბამისი მითითებითა და არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მონაცემების საფუძველზე აესებს დადგენილი ფორმის შესაბამისი საგადასახადო აღრიცხვის განცხადების ფორმას, მონაცემები შეჰყავს მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში და ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს.

გადასახადის გადახდელი, ზემოთ გათვალისწინებული პროცედურების ჩატარების შემდეგ, დაზღვეული საფოსტო გზაწესილით ეგზავნება დადგენილი ფორმის და დადგენილი წესით შევსებული შესაბამისი გადასახადის გადახდელის მონაშობა და შეტყობინება გადასახადის გადახდელის საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე.

**1.19. გადასახადის გადამხდელის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის პროცედურები**

გადასახადის გადამხდელთა ერთი მარეგისტრირებელი ორგანოდან სხვა მარეგისტრირებელ ორგანოში აღრიცხვაზე გადასვლისას (გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გადამხდელთა ერთი მარეგისტრირებელი ორგანოდან სხვა მარეგისტრირებელ ორგანოში გადასვლისა), აღრიცხვის ცენტრალურ კომპიუტერულ ბაზაში შესაბამისი ცვლილება (მუნიციპალიტეტის კოდის შეცვლა) უნდა განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის მიერ შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოდან შეტყობინების მიღების შემდეგ. ცვლილების განხორციელების შემდეგ მარეგისტრირებელი ორგანო აღრიცხვასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას უგზავნის გადასახადის გადამხდელის ახალი ადგილმდებარეობის მიხედვით მარეგისტრირებელ ორგანოს, ხოლო გადაგზავნილი დოკუმენტაციის ასლი, ხელმოწერილი და დამოწმებული ბეჭდით, რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ინახება დოკუმენტაციის გამგზავნ მარეგისტრირებელ ორგანოში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სანარმოს, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ინდივიდუალური მენარმისა და სამენარმეო ამხანაგობის შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში ან მარეგისტრირებელ ორგანოში საგადასახადო აღრიცხვაზე გადაყვანის შემთხვევაში, აღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ეგზავნება მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას ან მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია შემდგომში განახორციელოს აღრიცხვის მონაცემებში ცვლილებები და სახელმწიფო (სამენარმეო) რეესტრის ამონაწერის გაცემა, ხოლო გადაგზავნილი დოკუმენტაციის ასლი, ინახება დოკუმენტაციის გამგზავნ ორგანოში.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მარეგისტრირებელ ორგანოში სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) ადმინისტრაციული საზღვრის (საზღვრების) შეცვლისას (ტერიტორიის ცვლილებისას), იმ გადასახადის გადამხდელთა, რომელთა ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შეეხო ცვლილება, საგადასახადო აღრიცხვაზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში აყვანა (გადაყვანა) ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

გადასახადის გადამხდელის ერთი მარეგისტრირებელი ორგანოდან სხვა მარეგისტრირებელ ორგანოში აღრიცხვაზე გადასვლისას, გადასახადის გადამხდელზე გაცემული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა ბარდება პირველად მარეგისტრირებელ ორგანოში. ხოლო ახალი მოწმობა გაიცემა აღრიცხვაზე ამყვანი მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ. აღრიცხვის ადგილის მონაცემების ცვლილებებთან დაკავშირებით განცხადების ფორმა გადასახადის გადამხდელის მიერ წარედგინება (შემოსავლების სამსახურის მონაცემთა დამუშავების ცენტრალურ კომპიუტერულ ბაზაში სათანადო ცვლილების განხორციელების შემდეგ) იმ მარეგისტრირებელ ორგანოს, სადაც გადასახადის გადამხდელი გადადის აღრიცხვაზე, რომელ-

იც ახორციელებს ცვლილების (ცვლილებების) ფაქტის რეგისტრაციას.

იმ შემთხვევაში, როცა დგინდება გადასახადის გადამხდელის შეცდომით (განმეორებით) სხვა მარეგისტრირებელ ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის (საიდენტიფიკაციო ნომრის განმეორებით მინიჭების) ფაქტი, ეს უკანასკნელი ექვემდებარება გაუქმებას, შემდეგი პირობების და პროცედურების დაცვით:

ა)თუ გადასახადის გადამხდელი ფაქტობრივად საქმიანობს შეცდომით (განმეორებით) განხორციელებული სახელმწიფო და/ან საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით მარეგისტრირებელ ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე (რაც დასტურდება გადამხდელის წერილობითი განცხადებით), მაშინ მისი პირველადი საგადასახადო აღრიცხვა ექვემდებარება გადატანას, მისი ფაქტობრივი საქმიანობის ადგილის მიხედვით შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში, რომელიც ახორციელებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანას, დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, ამავე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ხორციელდება შეცდომით (განმეორებით) განხორციელებული საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის გაუქმება.

ბ)თუ გადასახადის გადამხდელი წერილობით აფიქსირებს, რომ იგი საქმიანობას აგრძელებს პირველადი საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებში ფიქსირებული ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით, მისი შეცდომით (განმეორებით) საგადასახადო აღრიცხვა ექვემდებარება გადატანას მისი პირველადი რეგისტრაციის/აღრიცხვის ადგილის მიხედვით მარეგისტრირებელ ორგანოში, რომელიც ახორციელებს გადასახადის გადამხდელის პირველადი საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, ხოლო შეცდომით (განმეორებით) განხორციელებული საგადასახადო აღრიცხვა ექვემდებარება გაუქმებას.

თუ ფიზიკური პირი საგადასახადო ორგანოში იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე როგორც ფიზიკური პირი და იგი შემდგომში აპირებს გახდეს ინდივიდუალური მენარმე, იგი სახელმწიფო რეგისტრაციას განახორციელებს მისი საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით მარეგისტრირებელ ორგანოში.

## 1.20. საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების პირობები

რეგისტრაციაზე პასუხისმგებელმა პირმა გადასახადის გადამხდელის (გარდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანარმოებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა) საგადასახადო აღრიცხვა შეიძლება გააუქმოს გადასახადის გადამხდელის შეცდომით (განმეორებით) საგადასახადო აღრიცხვის (განმეორებით მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრის) შემთხვევაში.

გადასახადის გადამხდელი ვალდებული არიან გამოცხადდნენ მარეგისტრირებელ ორგანოში, წერილობით განმარტონ იმ შეცდომით, არასწორად, განმეორებით საიდენტიფიკაციო ნომრის მიღების, ან სხვა გარემოებების შესახებ, რომლებიც ქმნიან საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების საფუძველს.

### 1.21. გადასახადის გადამხდელის ლიკვიდაციის რეგისტრაცია და საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების პროცედურები

პარტნიორთა გადაწყვეტილება სანარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი შეტყობინებით 14 დღის განმავლობაში უნდა გაეგზავნოს საგადასახადო ორგანოს. შეტყობინების მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანო საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების, კრედიტორთა დაკმაყოფილების და ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სანარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციის და სამენარმეო რეესტრიდან მისი ამოშლის მიზნით უფლებამოსილი პირი მიმართავს მარეგისტრირებელ ორგანოს და წარუდგენს სანარმოს ლიკვიდაციის თაობაზე განცხადებას და სანარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ გადაწყვეტილებას.

ლიკვიდაციის თაობაზე განცხადება უნდა შეიტაცდეს:

- ა) სანარმოს სახელწოდებას;
- ბ) სანარმოს იურიდიულ მისამართს;
- გ) ყველა პარტნიორის პირად მონაცემებს;
- დ) სანარმოს ლიკვიდატორის პირად მონაცემებს და ხელმოწერას.

სანარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაცია და სამენარმეო რეესტრიდან ამოშლა ხორციელდება დაუყოვნებლივ, სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/ აღრიცხვის მონაცემებში აღნიშვნით – „ლიკვიდირებულია“.

სანარმოს რეორგანიზაციის შედეგად ლიკვიდაციის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოში რეორგანიზებული სანარმო დაუყოვნებლივ ამოიშლება სამენარმეო რეესტრიდან, სანარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ჩანაწერის – „ლიკვიდირებულია რეორგანიზაციის საფუძველზე“ განხორციელებით.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

სხვა გადასახადის გადამხდელთა ლიკვიდაციის (მათ შორის რეორგანიზაციის შედეგად ლიკვიდაციის) დამადასტურებელი დოკუმენტის (ფიზიკური პირის შემთხვევაში ასევე – სათანადო წესით დამონმტებული გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის) საფუძველზე მარეგისტრირებელ ორგანოში კეთდება სათანადო ჩანაწერი სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მონაცემებში, აღნიშვნით – „ლიკვიდირებულია“ ან „ლიკვიდირებულია რეორგანიზაციის საფუძველზე“ და მიეთითება ლიკვიდაციის (რეორგანიზაციის) დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და თარიღი).

გადასახადის გადამხდელთა ლიკვიდაციისას აღნიშვნები კეთდება ასევე მათ საგა-



დასახადო აღრიცხვის კომპიუტერულ ბაზაში და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის რეესტრში. ამასთან, ინდივიდუალური მენარმის სამენარმეო რეესტრიდან ამოშლის შემთხვევაში (ფიზიკური პირის გარდაცვალების გარეშე), მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური მენარმე ამოიშლება სამენარმეო რეესტრიდან (იგულისხმება შესაბამისი ჩანაწერის ვაკეთება სამენარმეო რეესტრში), ხოლო საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში სამართლებრივი სტატუსი – „ინდივიდუალური მენარმე“ შეიცვლება სტატუსით – ფიზიკური პირი.

სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მონაშობა (სანარმოს/არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, მისი ფილიალის, ასევე უცხოური სანარმოს/ორგანიზაციის ფილიალის, სამენარმეო ამხანაგობის და სხვა გადასახადის გადამხდელის ლიკვიდაციის (რეორგანიზაციის) შემთხვევაში – გადასახადის გადამხდელის მიერ, ხოლო პირის გარდაცვალებისას – შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ბარდება მარეგისტრირებელ ორგანოში და ლიკვიდაციის (რეორგანიზაციის) დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად მოთავსდება ლიკვიდირებული (რეორგანიზებული) გადასახადის გადამხდელის საქმეში.

პირის ლიკვიდაცია, ნიშნავს გადასახადის გადამხდელის ლიკვიდაციას (პირის გარდაცვალებას) ან გადასახადის გადამხდელის ამოღებას გადასახადის გადამხდელთა რეესტრიდან (კეთდება შესაბამისი ჩანაწერი – „ლიკვიდირებული“). მისი საიდენტიფიკაციო ნომრის შემდგომში სხვა პირზე მინიჭება არ ხდება.

## **1.22. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია**

გადამხდელი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ვალდებულია ან უფლება აქვს გატარდეს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციაში, ამის შესახებ აკეთებს წერილობით შეტყობინებას საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მიხედვით საგადასახადო ორგანოში, გადის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 18 იანვრის №25 ბრძანებით დამტკიცებული „დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

## **1.23. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება და რეესტრის წარმოება**

რეგონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) მიერ ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება და საქველმოქმედო ორგანიზაციის ერთიანი რეესტრის წარმოება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 17 მარტის №149 ბრძანებით დამტკიცებული „ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების წესის და რეესტრის წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

**1.23.1 თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის პროცედურები**

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმო შეიძლება იყოს ნებისმიერი სამეწარმეო სუბიექტი, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში სანარმოს, უცხოური სანარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება 1.28 ქვეპუნქტში დადგენილი წესის მიხედვით.

**1.24. პასუხისმგებლობა გადასახადის გადამხდელად საგადასახადო აღრიცხვაზე (რეგისტრაციაზე) დადგომის არსებული წესის დარღვევისათვის**

საგადასახადო ორგანოში სახელმწიფო რეგისტრაციის ან/და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე დადგომის წესის დარღვევა, კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობა საგადასახადო ორგანოში სახელმწიფო რეგისტრაციის ან/და საგადასახადო აღრიცხვის გარეშე ინვესტ პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**1.25. სახელმწიფო (მათ შორის, სამენარმეო) რეესტრი და გადამხდელის აღრიცხვის ფორმა**

სახელმწიფო (მათ შორის, სამენარმეო) რეესტრის წარმოება არის საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს სანარმოთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, მათი ფილიალების, უცხო ქვეყნის სანარმოთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა ფილიალების (მუდმივი დაწესებულებების, წარმომადგენლობების), ინდივიდუალურ მენარმეთა და სამენარმეო ამხანაგობათა სახელმწიფო რეგისტრაციისა და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის პროცედურები, რომელსაც ახორციელებს უფლებამოსილი მარეგისტრირებელი ორგანო, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და ინსტრუქციით დადგენილი წესების დაცვით.

სახელმწიფო (მათ შორის, სამენარმეო) რეესტრის მონაცემებს შემოსავლების სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და ასლს (ელექტრონულ ვერსიას) უგზავნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სტატისტიკის დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა.

მარეგისტრირებელ ორგანოში არსებული გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერული ვერსიის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურში იქმნება გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა.

## 1.26. სახელმწიფო (სამენარმეო) და საგადასახადო რეგისტრაციის (აღრიცხვის) შესახებ განცხადების (განაცხადის) წარდგენა და რეგისტრაციის თარიღი

მარეგისტრირებული ორგანო ვალდებულია, ყოველგვარი საზღაურის გარეშე, დაუყენებლივ უზრუნველყოს ნებისმიერი პირი სახელმწიფო და/ან საგადასახადო რეგისტრაციის განაცხადის ფორმებით (ან მათი ასლებით ნებისმიერ მატარებელზე) და/ან რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წარმონაქმნებისა/ორგანიზაცია (გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის პირველი კარის მეორე თავში განსაზღვრული წარმონაქმნებისა) ვალდებულია, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში, საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) შესახებ განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს თავისი საქმიანობის ადგილის მიხედვით.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფიზიკური პირი ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) შესახებ განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში.

ფიზიკურ პირს, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, ან უცხოურ სანარმოს/ორგანიზაციას, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დანებებულება, საგადასახადო აღრიცხვაზე შეუძლია დადგეს ნებისმიერი ადგილსამყოფელის მიხედვით შესაბამის მარეგისტრირებულ ორგანოში. ამასთან, განცხადების ფორმაში, სხვა რეკვიზიტებთან ერთად მიეთითება მისი უცხოეთში საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლით განსაზღვრული მენარმე ფიზიკური პირისა, გადასახადის გადასხდელის მონომობის მისაღებად (მისი დადგენილი წესით მარეგისტრირებულ ორგანოში მარეგისტრირების შემთხვევაში) შეუძლია მიმართოს მარეგისტრირებულ ორგანოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს საგადასახადო ორგანოში, ასევე შეუძლია საგადასახადო აღრიცხვაზე დადგეს განცხადების საფუძველზე, რომლის დროსაც მას მარეგისტრირებულ ორგანოში საგადასახადო აღრიცხვისას საიდენტიფიკაციო ნომრად უფიქსირდება ამავე პირის მოქალაქის პირადობის მონომობაში აღნიშნული პირადი ნომერი.

სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესახებ პირმა განცხადებით უნდა მიმართოს უფლებამოსილ მარეგისტრირებულ ორგანოს იურიდიული მისამართის მიხედვით, ინდივიდუალურმა მენარმემ – საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სამენარმეო ამხანაგობამ – სამენარმეო ამხანაგობის სახელწოდებაში მითითებული პირის საცხოვრებელი ან იურიდიული მისამართის მიხედვით.

გადასახადის გადასხდელი იურიდიული პირის და სამენარმეო ამხანაგობის უფლებამოსილება წარმოიშობა მხოლოდ მათი შესაბამის რეესტრში შეტანის და სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესახებ მონომობის (ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გამოცემის მომენტიდან.

გადასახადის გადამხდელის სახელმწიფო და/ან საგადასახადო რეგისტრაციაზე აყვანა არ ათავისუფლებს მას საგადასახადო რეგისტრაციამდე არსებული საგადასახადო ვალდებულებებისაგან.

**1.27. გადამხდელთა საქმიანობის აქტივობის მაჩვენებელი სტატუსი**

გადასახადის გადამხდელების საქმიანობის აქტივობის შეფასების მიზნით დგინდება შემდეგი სტატუსები:

- ა) მოქმედი გადასახადის გადამხდელი;
- ბ) უმოქმედო გადასახადის გადამხდელი;
- გ) ლიკვიდირებული (ან რეორგანიზებული) გადასახადის გადამხდელი.

გადასახადის ყველა გადამხდელს აუცილებლად ენიჭება ჩამოთვლილ სტატუსთაგან ერთ-ერთი. განსაზღვრული სტატუსი ენიჭება მის მიერ დეკლარაციების წარდგენისა და გადასახადების გადახდის ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე.

გადასახადის გადამხდელის სტატუსის განსაზღვრა (სტატუსის მინიჭება, გარდა ლიკვიდირებული (ან რეორგანიზებული) გადასახადის გადამხდელის სტატუსისა) ხორციელდება ავტომატიზებული სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, ყოველ 3 თვეში ერთხელ (კვარტალის მესამე თვის ბოლო რიცხვის მდგომარეობით), ბოლო 12 თვის მანძილზე საგადასახადო ორგანოში ერთხელ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციების ან გადასახადის დამადასტურებელი (აღმნიშვნელი) დოკუმენტების საფუძველზე.

ლიკვიდირებული (ან რეორგანიზებული) გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან:

- ა) გარდაცვლილი ფიზიკური პირები;
- ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიკვიდირებული (მათ შორის რეორგანიზაციის (შერწყმა, გაყოფა) შედეგად ლიკვიდირებული) იურიდიული პირები ან სხვა გადამხდელები რეგისტრაციის გაუქმების (ან რეორგანიზაციის) ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**1.28. სანარმოს, უცხოური სანარმოს ფილიალის (მუდმივი დანესახაულები) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის, სანარმოს ფილიალის სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურები**

მარეგისტრირებელ ორგანოს სანარმოს იურიდიული მისამართის მიხედვით, წარედგინება სანარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესახებ განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ა) სანარმოს საფირმო სახელწოდებას;
- ბ) სანარმოს სამართლებრივ ფორმას;
- გ) სანარმოს იურიდიულ მისამართს;
- დ) სანარმოს დამფუძნებელი პარტნიორის (პარტნიორების), ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) (მათ შორის პროკურისტის) სახელს (სახელი, გვარი), საცხოვრებელი ადგილის მისამართს (ქვეყანა, მისამართი), პირად ნომერს და ხელმოწერას, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, როცა მათ არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქისათვის დადგენილი ექვივალენტური მონაცემები, მიეთითება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახელწოდება

(ქვეყნის მითითებით), ნომერი და/ან პირადი ნომერი; თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მის საფირმო სახელწოდებას და რეგისტრაციის მონაცემებს, იურიდიულ მისამართს, იმ ორგანოს დასახელებას, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღს და საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) ნომერს, მონაცემებს მისი წარმომადგენლების შესახებ (უცხოური იურიდიული პირის შემთხვევაში, როცა მას არ გააჩნია საქართველოს იურიდიული პირისათვის დადგენილი ექვივალენტური მონაცემები, წარადგენენ საქართველოს საწარმოსათვის დადგენილ ექვივალენტურ მონაცემებს);

ე) საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობას (ვადიანი საწარმოს შემთხვევაში ვადა უნდა მიეთითოს ნლებით);

ვ) თუ საწარმოს ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი, განცხადებაში უნდა აღინიშნოს – ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალცალკე;

ზ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში, აღნიშნვას – რომელი პარტნიორია შეზღუდული (კომანდიტი) და რომელი სრული (კომპლემენტარი);

თ) განცხადების სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღს.

საწარმოს რეგისტრაციისათვის, სარეგისტრაციო განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნას:

ა) საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუშები. ხელმოწერის ნიმუში უნდა დამოწმდეს ნოტარიუსთან ან უნდა შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით;

ბ) თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ საქართველოს მოქალაქისათვის/საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილის ექვივალენტურ მონაცემებს. უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში მათი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით;

გ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამოწმებული საბანკო დაწესებულების მიერ).

სარეგისტრაციოდ წარდგენილ განცხადებაზე განმცხადებელი უფლებამოსილია გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხო ქვეყნის საწარმოს შეუძლია საქართველოში დააარსოს ფილიალები (მუდმივი დანესებულებები), რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისათვის ისინი განიხილებიან უცხოური საწარმოს მუდმივი დანესებულებად).

მარეგისტრირებელ ორგანოს, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დანესებულების) იურიდიული მისამართის მიხედვით წარედგინება სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესახებ განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) ფილიალის (მუდმივი დანესებულების) საფირმო სახელწოდება;

ბ) ფილიალის (მუდმივი დანესებულების) იურიდიული მისამართი;

გ) დამფუძნებლის საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრაციის და/ან საიდენტიფიკაციო ნომერი, მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ. იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამონმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული სათანადო წესით.

დ) ფილიალის (მუდმივი დანესებულების) საქმიანობის ხანგრძლივობა (ვალიანი ფილიალის შემთხვევაში მიეთითება ვადა წლების მიხედვით. სხვა შემთხვევაში – „უვადო“);

ე) თუ ფილიალს (მუდმივი დანესებულებას) ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი, განცხადებაში უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმომადგენენ ფილიალს (მუდმივი დანესებულებას) თუ ცალ-ცალკე;

ვ) განცხადების სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღი;

ზ) ფილიალის (მუდმივი დანესებულების) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ხელმოწერა. განცხადებაში ხელმოწერები შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. სხვა შემთხვევაში განცხადება და ფილიალის (მუდმივი დანესებულების) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუშები წარმოდგენილ უნდა იქნას ნოტარიალურად დამონმებული;

თ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამონმებული სანარმოს გადაწყვეტილება ფილიალის (მუდმივი დანესებულების) საქართველოში რეგისტრაციის (დაფუძნების) და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;

ი) დამფუძნებელი სანარმოს საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის, სარეგისტრაციო (საიდენტიფიკაციო) ნომრის და სანარმოს ხელმძღვანელი პირების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტები;

კ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამონმებული საბანკო დანესებულების მიერ).

მარეგისტრირებელი ორგანო სანარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესახებ განცხადების მიღებისთანავე (განცხადების სათანადო რეგისტრაციისთანავე) დაუყოვნებლივ ამონებს განცხადებაში შეტანილი მონაცემების სისრულეს, განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და თუ წარმოდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს სანარმოს სახელმწიფო (საგადასახადო რეგისტრაციისათვის) აღრიცხვისათვის დადგენილ პირობებს, განცხადება დასტურდება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი იღებს გადაწყვეტილებას სანარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის თაობაზე. რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სარეგისტრაციო მონაცემები შეიტანება სანარმოს შესაბამის სამართლებრივი ფორმის სამენარჩეო რეესტრში და სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში, სანარმოს ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი და გაიცემა სანარმოს, უცხოური სანარმოს ფილიალის (მუდმივი დანესებულების) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მონ-

მობა. მონობაზე ხელს ანერს რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი. რეგისტრაციაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განმცხადებელს აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება წერილობით. გარდა ამისა, განმცხადებელს უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტები.

სანარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. საქართველოში რეგისტრირებული სანარმოს ფილიალის რეგისტრაცია სავალდებულო არ არის. სანარმოს შეუძლია ფილიალის დაარსების შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს მარეგისტრირებელ ორგანოს ფილიალის ადგილობრივი მმართველის მიხედვით, რომელიც ვალდებულია, სამეწარმეო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია ფილიალის რეგისტრაციის თაობაზე.

ფილიალის რეგისტრაციის თაობაზე შეტყობინებაში (განცხადებაში) უნდა აღინიშნოს:

ა) ფილიალის საფირმო სახელწოდება;

ბ) ფილიალის იურიდიული მისამართი;

გ) დამფუძნებლის საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამონებული საბანკო დანესებულების მიერ);

ე) თუ ფილიალს ჰქვავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი, განცხადებაში უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმომადგენენ ფილიალს თუ ცალ-ცალკე;

ვ) ფილიალის საქმიანობის ხანგრძლივობა (ვადაიანი ფილიალის შემთხვევაში მიეთითება ვადა წლების მიხედვით, სხვა შემთხვევაში – „უვადო“).

ზ) განცხადების სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღი;

თ) დამფუძნებლის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერა;

სანარმოს ფილიალზე გაიცემა სანარმოს ფილიალის სახელმწიფო რეგისტრაციის მონობა. სარეგისტრაციო მონაცემები შეიტანება რეესტრში, ამასთან, ფილიალის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რეგისტრაციის ფაქტის თაობაზე ეცნობება სათაო სანარმოს, სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მარეგისტრირებელ ორგანოს.

სახელმწიფო რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების, ასევე საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების ყოველი ცვლილება საჭიროებს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვას, რა მიზნითაც სანარმოს, მისი ფილიალის, ასევე უცხო ქვეყნის სანარმოს ფილიალის (მუდმივი დანესაბულების) უფლებამოსილმა პირმა (პირებმა) კანონით დადგენილი წესით (პროცედურებით) განცხადებით და თანდართული დოკუმენტებით უნდა მიმართონ საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით მარეგისტრირებელ ორგანოს (ცვლილების სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მიზნით გამოიცემა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი). სანარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების თაობაზე განცხადება შეუძლია ასევე წარადგინოს პარტნიორ(ებ)მა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ცვლილების რეგისტრაციისას აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ მათი უფლე-

ბამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. მარეგისტრირებული ორგანო ახდენს ცვლილების რეგისტრაციას შესაბამის სამენარმეო და საგადასახადო რეესტრის (ელექტრონული ვერსია) ფორმულარებში შეტანის გზით. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ინსტრუქციით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან. სანარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ მოითხოვს რეგისტრაციას სახელმწიფო/სამენარმეო რეესტრში. წელიწადში ერთხელ მართვაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მარეგისტრირებულ ორგანოში წარადგენს ინფორმაციას (წინა წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით) სანარმოში პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

სანარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციისათვის საგადასახადო ორგანოს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარედგინება განცხადება, სადაც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

- ა) სანარმოს საფირმო სახელწოდება;
- ბ) სანარმოს სამართლებრივი ფორმა;
- გ) სანარმოს იურიდიული მისამართი;
- დ) სანარმოს საქმიანობის ხანგრძლივობა;
- ე) სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქისათვის დადგენილი ექვივალენტური მონაცემები;
- ვ) განცხადების სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღი.

სანარმოს, მის ფილიალს, უცხოური სანარმოს ფილიალს (მუდმივ დაწესებულებას) სახელმწიფო რეგისტრაციაზე (ცვლილების რეგისტრაციაზე) უარი შეიძლება ეთქვას იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სახელმწიფო რეგისტრაციისაივის (ცვლილებისათვის) წარმოდგენილი დოკუმენტები არულად არ აკმაყოფილებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ბ) სარეგისტრაციოდ (ცვლილების სარეგისტრაციოდ) წარმოდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;

გ) არის გადახდილი სარეგისტრაციო მოსაკრებელი (არ წარმოდგენილა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი).

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია.

საგადასახადო ორგანოს უარი რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს მარეგისტრირებული ორგანოს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



**1.29. არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის, არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის სახელმწიფო რეგისტრაციის/აღმოსაფხვრის პროცედურები**

არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის, მისი ფილიალის (წარმომადგენლობის), უცხო ქვეყნის არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო განაცხადი შეიტანება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში) ან მის სტრუქტურულ/ტერიტორიულ ერთეულში (რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირთან), რომელიც უზრუნველყოფს შემოსული განაცხადის სათანადო წესით რეგისტრაციას.

არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის განაცხადს თან უნდა დაერთოს:

ა) არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების სანოტარო წესით დამონმებული აქტი (ოქმი);

ბ) ეროვნული სპორტული ფედერაციების, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების ან პროფესიული კავშირების რეგისტრაციის შემთხვევაში – მათი სანოტარო წესით დამონმებული წესდებები;

გ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამონმებული საბანკო დაწესებულების მიერ);

დ) ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს საქმიან ურთიერთობებში;

ე) ცნობა არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ – ადგილსამყოფლის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლობის სარეგისტრაციო თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ განაცხადი შეიტანება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ადგილსამყოფელის მიხედვით. არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) განაცხადს თან უნდა დაერთოს:

ა) არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) შექმნის შესახებ;

ბ) არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთის სანოტარო წესით დამონმებული ასლი;

გ) გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელის დანიშნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;

დ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამონმებული საბანკო დაწესებულების მიერ);

ეხელმონერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს საქმინა ურთიერთობებში.

სარეგისტრაციო განაცხადს ხელს უნდა აწერდნენ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი (დამფუძნებლები) და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები). სარეგისტრაციო განაცხადი მოწმდება ნოტარიუსის ხელმოწერითა და ბეჭდით.

სარეგისტრაციო განაცხადის წარმოდგენისთანავე მარეგისტრირებელ ორგანოში მონაწილე განაცხადში შეტანილი მონაცემების სისრულე, განაცხადზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და თუ წარმოდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს (არაკომერციული) იურიდიული პირის, მისი ფილიალის (წარმომადგენლობის), უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის), სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვისათვის დადგენილ პირობებს, ხოლო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) შემთხვევაში სახელმწიფო რეგისტრაციის/აღრიცხვისათვის დადგენილ პირობებს, განაცხადი დასტურდება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. დადებით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სარეგისტრაციო მონაცემები დაუყოვნებლივ შეიტანება სახელმწიფო რეგისტრის ფორმულარში. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მონაცემები შეიტანება სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში, მათ ენიჭებათ საიდენტიფიკაციო ნომერი და გაცემა შესაბამისი სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მონაწილეობა. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, მისი ფილიალის (წარმომადგენლობის) მონაცემები შეიტანება მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში და მასზე გაცემა შესაბამისი სახელმწიფო რეგისტრაციის მონაწილეობა. ამასთან, ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციის ფაქტის თაობაზე ეცნობება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (დამფუძნებლის) მარეგისტრირებელ (სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის ადგილის მიხედვით) რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) ან მის სტრუქტურულ/ტერიტორიულ ერთეულს.

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილებების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 10 დღის ვადაში წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრის მწარმოებელ უფლებამოსილ ორგანოს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო და საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით. ცვლილებების რეგისტრაციისათვის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის, ასევე უცხოური არასამენარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის ხელმძღვანელმა (ხელმძღვანელებმა) კანონით დადგენილი წესით (პროცედურებით) სარეგისტრაციო განაცხადის ახალი სრული რედაქციით და თანდართული დოკუმენტებით უნდა მიმართონ შესაბამის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) ან მის სტრუქტურულ/ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც ახდენს ცვლილების რეგისტრაციას შესაბამის სახელმწიფო/საგადასახადო რეესტრის ფორმულარებში შეტანის გზით. ცვლილების სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მიზნით გამოიყენება მარეგისტრირებელი ორგანოს რეგისტრაციაზე უპასუხისმგებელი პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ცვლილებების რეგისტრაციისათვის წარდგენილ სარეგისტრაციო განაცხადს უნდა დაერთოს:

ა) ცვლილებების შეტანის თაობაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამონმებული აქტი (ოქმი);

ბ) ეროვნული სპორტული ფედერაციების, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების ან პროფესიული კავშირების ცვლილებებით რეგისტრაციის შემთხვევაში – მათი სანოტარო წესით დამონმებული წესდებების ახალი რედაქცია;

გ) შესაბამისი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ სანოტარო წესით დამონმებული დოკუმენტი;

დ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შეცვლის შემთხვევაში — ცნობა ახალი ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ.

ცვლილებების რეგისტრაციისათვის წარდგენილ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სარეგისტრაციო განაცხადს ხელს უნდა აწერდეს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები). სარეგისტრაციო განაცხადი მონმდება ნოტარიუსის ხელმოწერითა და ბეჭდით.

არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ფილიალს (წარმომადგენლობას) შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე (ცვლილებათა რეგისტრაციაზე) თუ:

ა) რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს;

ბ) არსებობს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები;

გ) არსებობს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირობები;

დ) რეგისტრაციისათვის წარდგენილი სარეგისტრაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მოთხოვნებს;

ე) სარეგისტრაციო განაცხადს არ ერთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით

და ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტები ან აღნიშნული დოკუმენტები არასრულადაა წარდგენილი;

ესარეგისტრაციო განაცხადისთვის დართული დოკუმენტები არ არის გაფორმებული (დადასტურებული) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ - ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მარეგისტრირებული ორგანო განმცხადებლებს, განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღეში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აძლევს ხარვეზის აღმოსაფხვრელ ვადას არაუმეტეს 2 დღისა. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება აღმოფხვრილი, მარეგისტრირებული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება (გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

### **1.30. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვა საქონლის იმპორტის შემთხვევაში**

პირებს, საქონლის იმპორტის შემთხვევაში, საგადასახადო კოდების შესაბამისად მოეთხოვება საგადასახადო აღრიცხვაზე დადგომა. საგადასახადო აღრიცხვაზე დადგომა არ მოეთხოვებათ:

- ა) დიპლომატიურ მისიებს;
- ბ) დიპლომატიური სტატუსის მქონე პირებსა და მათი ოჯახის წევრებს;
- გ) საერთაშორისო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და მათი ოჯახის წევრებს;
- დ) ფიზიკურ პირებს (გარდა საქართველოს მოქალაქეებისა), რომლებსაც უცხოეთიდან ყოველი შემოსვლისას შემოაქვთ საქონელი საქართველოს საგადასახადო კოდების 270/ნ-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (გარდა ავტომობილების იმპორტისა).

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი მუდმივია და მისი შეცვლა (გარდა შეცდომით მინიჭებულისა) ან გამეორება აკრძალულია.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი მიუთითოს საგადასახადო დეკლარაციაში, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებთან მიმონერისას და საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ სხვა დოკუმენტებში.

გადასახადის გადამხდელის აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია ითვლება საგადასახადო საიდუმლოებად.

### **1.31. სარეგისტრაციო მოსაკრებელი**

სამენარმეო რეგისტრში შეყვანისათვის სამენარმეო სუბიექტობის მსურველი იხდის სარეგისტრაციო მოსაკრებელს. სარეგისტრაციო მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან კანონით „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ დადგენილი წესითა და ოდენობით, მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და პროდუქციით და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მიერ მათთვის გაწეული მომსახურებისათვის.

სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდევინება ხორციელდება რეგისტრაციამდე, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

რეგისტრაციის მაძიებელი ვალდებულია სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი კანონმდებლობით დადგენილ სხვა საბუთებთან ერთად წარუდგინოს სარეგისტრაციო ორგანოს.

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ შემდეგი სახის რეგისტრაციას:

**ა)საწარმოს რეგისტრაცია:**

ა.ა)სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა – 60 ლარი;

ა.ბ.)კომანდიტური საზოგადოებისა – 80 ლარი;

ა.გ)შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა – 160 ლარი;

ა.დ)სააქციო საზოგადოებისა – 360 ლარი;

ა.ე)კოოპერატივისა – 120 ლარი.

**ბ)საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია** — შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს რეგისტრაციისათვის დანესებული მოსაკრებლის 50%).

**გ)საწარმოს წესდებაში ან მისი ფილიალის დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა** – შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს რეგისტრაციისათვის დანესებული მოსაკრებლის 25%;

**დ)საწარმოს საქმიანობის შეწყვეტისა და ლიკვიდაციის რეგისტრაცია** – მისი რეგისტრაციისათვის დანესებული მოსაკრებლის 25%;

**ე)საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია** – მისი პირველადი რეგისტრაციისათვის დანესებული მოსაკრებლის 20%;

**ვ)საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის რეგისტრაცია** – შერჩეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დანესებული მოსაკრებელი.

**1.32. საბანკო ანგარიშის გახსნა**

ბანკი ან საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაცია ვალდებულია მენარმი ფიზიკურ პირს ან/და საწარმოს/ორგანიზაციას გაუხსნას საბანკო ან/და სხვა ანგარიში მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, ვ სამუშაო დღის ვადაში აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს გადასახადის გადამხდელისათვის აღნიშნული ანგარიშის გახსნის ან დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ამ ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები;

გადასახადის გადამხდელის ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები დოკუმენტებში გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებუ-

ლი ხელშეკრულების საფუძველზე, ვადისა და პირობების დაცვით, აცნობოს პირების პირველად გახსნილი ანგარიშის ან ყველა ანგარიშის დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ასეთ პირველად გახსნილ ანგარიშზე გამოწერილი საინკასო დავალება ავტომატურად გააერცვლოს ბანკში არსებულ აღნიშნული პირების ყველა ანგარიშზე.

თუ ინფორმაციის ცნობება ხდება წერილობითი შეტყობინების საგადასახადო ორგანოში ჩაბარებით, მაშინ მისი დამონშება ხორციელდება საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ შეტყობინების მეორე ეგზემპლარზე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი შეტყობინება ავტომატურად ითვლება დამონშებულად, შესაბამისად, ბანკს უფლება აქვს განახორციელოს ამ ანგარიშიდან გასავლის ოპერაციები. ამასთანავე, შეტყობინების ჩაბარება ითვლება საგადასახადო ორგანოში კორესპონდენციის მიღება და/ან გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი ბეჭდით დამონშება.

### 1.33. საქველმოქმედო საქმიანობა

საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება:

ა) დახმარების უშუალოდ ან მესამე პირთა მეშვეობით, ნებაცყოფლობით და უანგაროდ განცევა იმ პირებისათვის, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, მათ შორის:

ა.ა) იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას ან ადაპტაციას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის: ინვალიდებისათვის, მოხუცებულებისათვის, ობოლი ბავშვებისათვის, მარჩენალდაკარგულებისათვის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – დევნილებისათვის, ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრებისათვის, ომის, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულებისათვის;

ა.ბ) ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი ან მომსახურე ორგანიზაციებისათვის, მათ შორის ბავშვთა სახლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, ინტერნატებისათვის, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის, მოხუცებულთა სახლებისათვის, უფასო სასაადილოებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის;

ა.გ) საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის;

ა.დ) რელიგიური ორგანიზაციებისათვის;

ა.ე) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირებისათვის – მათი ტალანტის განვითარების მიზნით;

ა.ვ) სასჯელალსრულების დაწესებულებებისათვის – მათში მოთავსებულ პირთა მოვლის ან სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით;

ა.ზ) იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საგადასახადო კოდექსის 14-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას;

ბ) ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება

ბა, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ხელოვნება.

ქველმოქმედებას არ განეკუთვნება საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საქმიანობა:

ა) განხორციელებული სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ;

ბ) განხორციელებული სახარამოს, პოლიტიკური პარტიის ან არჩევნებში მონაწილე სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად;

გ) განხორციელებული ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ნათესავებისათვის ან ოურიდიული პირის მიერ მისი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებისათვის და მათი ნათესავებისათვის;

დ) თუ ის „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით ითვლება სპონსორობად.

აღნიშნული კანონის მიხედვით კი, სპონსორობა არის ფიზიკური და ოურიდიული პირის მიერ სხვა ფიზიკური და ოურიდიული პირის საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების განწევის და განუყოფელი მომსახურების სამუშაოს შესრულების სახით) სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის რეკლამის გავრცელების პირობით. სპონსორული შენატანი განიხილება რეკლამის ღირებულებად, ხოლო სპონსორი და დასპონსორებული, შესაბამისად, რეკლამის დამკვეთად და რეკლამის გამავრცელებლად. სპონსორს უფლება არა აქვს ჩაერიოს რეკლამის მწარმოებლისა და გამავრცელებლის საქმიანობაში. სპონსორობის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომელთა ნაწარმის ან საქმიანობის გავრცელება აკრძალულია ამ კანონით.

საქველმოქმედო ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი ენიჭება ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის ძირითად მიზნებს, არ ცვლის მის საქველმოქმედო ხასიათს. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო ორგანიზაციის ადგილმდებარეობის მიხედვით, ხოლო სტატუსის ჩამორთმევას შესაბამისი საგადასახადო ორგანოს წარდგინებით ახორციელებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

სტატუსის მიღებასთან ერთად ორგანიზაციას ეკისრება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. ეკრძოდ, საქველმოქმედო ორგანიზაციამ შესაბამის საგადასახადო ორგანოს ყოველი წლის 1 აპრილამდე უნდა წარუდგინოს:

ა) ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (მათ შორის, ეკონომიკურის) აღწერას;

ბ) ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ, წყაროებისა და განუყოფელი ხარჯების მიზნობრიობის მიითვებით;

გ)დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში).

ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

დაუშვებელია საქველმოქმედო ორგანიზაციის მოგებისა და აქტივების განაწილება ორგანიზაციის წევრებს, დამფუძნებლებს, გამგეობისა და კურატორიუმის წევრებს შორის. საქველმოქმედო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემდეგ მისი ქონება უფლებამოსილი ორგანოს ან პირის გადანყვეტილებით გადაეცემა მსგავსი მიზნების მქონე საქველმოქმედო ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

**საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი უქმდება:**

- ა) ორგანიზაციის ინიციატივით;
- ბ) ჩამორთმევის შემთხვევაში.

**საქველმოქმედო ორგანიზაციას სტატუსი ჩამოერთმევა, თუ:**

- ა) დაარღვია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- ბ) შეუწყდა სამოქალაქო რეგისტრაცია.

საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო სტატუსის ჩამორთმევის შემთხვევაში საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია დააბრუნოს სტატუსიდან გამომდინარე საგადასახადო შეღავათებით მიღებული სარგებლის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევასთან.

საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელსაც ჩამოერთვა სტატუსი, უფლება აქვს მისი აღდგენის თაობაზე განცხადება შეიტანოს სტატუსის ჩამორთმევის მიზეზის აღმოფხვრიდან არა უადრეს ერთი წლისა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აწარმოებს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან ერთიან რეესტრს. რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

- ა) ორგანიზაციის სახელწოდება;
- ბ) ხელმძღვანელი ორგანოს, ფილიალებისა და წარმომადგენლობების მისამართები;
- გ) ძირითადი მიზნები;
- დ) სტატუსის მინიჭების თარიღი;
- ე) მმართველობის უმაღლესი ორგანოს ყველა წევრის ვინაობა და მისამართები.

საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია ცვლილებიდან 1 თვის ვადაში წერილობით აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ამ ცვლილების შესახებ.



**იმ ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებსაც საქართველოს საგადასახადო  
კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვთ  
„საქველმოქმედო ორგანიზაციის“ სტატუსი**

აირთმადიზიზნავი	საიღა- ტოშიკა- თირი კოდი	ორგანიზაციის დასახელება	მისამართი	სტატუსის მიწოდების თარიღი	მარაგისტირირა- ვალ სპადა- სახალო ინსპექციის დასახელება	შენიშვნა
განახორციელოს სხვადასხვა სახის პროექტების სრულყოფა ტექნოლოგიების, მედიაციის, სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილების, საინვესტიციო საფუძვლებისა და საზოგადოების დასაქმების მიზნით.	204967225	„განათლება XXI საუკუნეში“	ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ი. აბაშიძის 14	07.02.2006	ქ. თბილისი	
ვეტერანი ფეხბურთელების დახმარება, ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, ვეტერან ფეხბურთელთა სხორან ტურნირების ჩატარება, სოცი-ალურად დაუცველი ვეტერანი ფეხბურთელების დახმარება.	205024061	კახი ასათიანის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი	ქ. თბილისის სახელობის ვაკის რაიონში, ქაქუაძის გამზირი 49ა	19.04.2006	ქ. თბილისი	
საქართველოს ახალგაზრდობის ეკონომიკური ცოდნის დონის ამაღლება, ეკონომიკური პროგრამების დანერგვა და განვითარება, ეკონომიკისა და ბიზნესის თეორიული საფუძვლების სწავლების სისტემის დანერგვა	204997922	„ჯუნიაორ ერიუმენტი-საქართველო“	ქ. თბილისის ვაკის რაიონში, არაყიშვილის 13	01.01.2006	ქ. თბილისი	
ქვეყნად მშენიშობის დამყარება და სამოქალაქო დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში წვლილის შეტანა, ფართე საქველმოქმედო საქმიანობა, საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები, საგამომცემლო საქმიანობა, მშენებდობი, დიალოგები პრობლემურ საკითხებზე	203845009	საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშენიშობისა და სოციცლ-სათვის“	ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონში, თავისუფლების 7	22.05.2006	ქ. თბილისი	
მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის დარგების განვითარებისთვის საქველმოქმედო საქმიანობის განვება	202174958	გოგი თოფაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი	ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, მტკერის მარცხ. სანაბროს 7	08.06.2006	ქ. თბილისი	
მზრუნველობის მოკლებულ მოზარდებისთვის კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების სწავლება	206038500	ეს-ო-ეს ლენდ	ქ. თბილისის ვაკის რაიონში, გამსახურდიას გამზირი 5	14.06.2006	ქ. თბილისი	
უსინათლო მოქალაქეთა სოციალური პროგრამების განხორციელება. დახმარების განვება წერა-კითხვისა და განათლების ამაღლების კუთხით. ზრუნვა მათ მკურნალობასა და დასვენებაზე	206070222	საქართველოს უსინათლოთა კავშირი	ქ. თბილისის იბნის რაიონში, ბოქორძის ქ. 23	02.12.2005	ქ. თბილისი	
ინსულინდამოკიდებული დიაბეტი ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და მედიკამენტებითა და საანალოზო ტენი-	204882045	დიაბეტიან ასოციაცია	ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ქაეთარძის 27	15.04.2005	ქ. თბილისი	



საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების დაცვა	204437341	საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი	ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონში, თაბუკაშვილის 5	04.05.2005	ქ. თბილისი	
ვეტერანებისთვის მორალური და მატერიალური დახმარების განკვეთა, საიუმბილეო თარღლების აღნიშვნა, ავადმყოფობის შემთხვევაში დახმარების აღწერა	204415873	საქართველოს ენერგეტიკის ევტერანთა კავშირი	ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ბარათაშვილის 2	09.06.2005	ქ. თბილისი	
საჩხერის რაიონის ჯანდაცვის, განათლების, კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია, წვალხადუნების და გზების კეთილმოწყობა, რ-ნის გაზიფიცირება, სოც. დაუცველი ოჯახების დახმარება	239402491	ასოციაცია ატუ	საჩხერისრაიონში, ტაბიძის 22	08.08.2005	ქ. ქუთაისი	
ინვალიდთა სამეცნიერო-ინტელექტუალური მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება და განვითარება, მისი პროპაგანდა და პოპულაცია	208185033	ინვალიდთა ინტელექტუალური კავშირი ბალეარო	ქ. თბილისის სამგორის რაიონში, ქინძმარაულის 25, ქ.3	27.09.2005	ქ. თბილისი	სტატუს-გაუქმებული
იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმება და სოც. ეკონ. პირობების გაუმჯობესება. საზ. განვითარების პროცესის ხელშეწყობა და დევნილთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. საქართველოში არს. იმ. თაერობო სექტორის განვითარება. დევნილთა სოც. ეკონომიკური უფლებების დაცვა	249262097	საქველმოქმედო აუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"	ქ. ქუთაისში, გ. ტაბიძის 29	11.04.2005	ქ. ქუთაისი	
ქველმოქმედება, სამეცნიერო კვლევების წარმოება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	204874421	საქველმოქმედო ფონდი "ქართუ"	ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ქაეჭავაძის გამზ. 39ა	04.05.2006	ქ. თბილისი	
დაეხმაროს გაჭირვებაში ჩაყარნილ ხალხს	204421456	დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო OXFAM-ის საქართველოს წარმომ.	ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ფელიაშვილის 47ა, ბ. 1	12.04.2005	ქ. თბილისი	
საზოგადოებისა და ფონდის წევრთა სულიერი ღვლოვის ხელშეწყობა, სხვა სახის საქველმოქმედო საქმიანობა	203839695	ობოლ ზავშეთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი	ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონში, ლერმონტოვის 8	31.05.2005	ქ. თბილისი	
დაეხმაროს ნაკლებად უზრუნველყოფილ ფიზიკურ პირებს, რომლებიც საქორებენ სოციალურ ადატაციას ან სოციალურ დაცვას, ობოლ ბავშვებს, სკოლაშდელ ან საბავშვო დაეხმარებულეებს, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ასეთი ობოლი ბავშვების მოვლა-პატრონობას ახორციელებენ	237079344	ოზურგეთის საქველმოქმედო კავშირი "ქველმოქმედება-საქმე"	ოზურგეთის რაიონში, შ. რუსთაველის 28	16.12.2005	ქ. ფოთი	სტატუს-გაუქმებული
მარტოხელა მოსუცების, ბავშობიდან ინვალიდების და შრომის უნარმოკლებული მოქალაქეების მოვლა-პატრონობა და ადგენილ სამედ	216400002	იმედის ექოსთან არსებული მარტოხელა ხანდაზმულთა-პანსიონატი	ქ. რუსთაველი, 8 მ-რნი, 34 ბავაბალი	04.11.2005	ქ. რუსთავი	

**მარაბ მიქალაშვილი**

ივინო-დიავნოსტიკური და სტომატოლოგიური მომსახურება					
საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდობაზე და მათ ოჯახებზე მატერიალური, სამედიცინო, კვების პროდუქტებით, სკოლის ლიტერატურით და სხვა დახმარების განევა	248386571	საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაცია	ხელფაშაურის რაიონში, დავით აღმაშენებლის 2	01.06.2005	ქ. ბათუმი
სოციალურად დაუცველი პირების მატერიალური და სულიერი დახმარება	223101863	საქართველოს კათოლიკეთა ეკუმენიკალური კავშირი	ახპინძის რაიონში, სოფ. სიზაბავრა	25.01.2006	ქ. ახალციხე
ფსიქო-ნევროლოგიური პანსიონატიდან გადმოსყვანილი ბავშვების საცხოვრებელ კონტეინერებში მოვლა-პატრონობა, მზრუნველობა, სასწავლო პროგრამების წარმართვა. გონებრივად შეზღუდული ბავშვების სამედიცინო მონიტორინგი	202061838	პირველი ნაბიჯი	ქ. თბილისის რაიონში, დ. აღმაშენებლის გ. №150	22.12.2005	ქ. თბილისი
ობოლ და მშობელთა მზრუნველობის პროექტებზე ბავშვებისათვის ოჯახური ზრუნვისა და მოვლის განხორციელება	203839427	საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი	ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ყაზბეგის გამზირი 11	15.04.2005	ქ. თბილისი
საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება იმ დონორული ორგანიზაციების, რომლებიც საქართვებზე აღნიშნულ დახმარებას	200146555	საქველმოქმედო ფონდი „ენისელი“	ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ. №4	08.09.2006	ქ. თბილისი
მრავალმხრივი დახმარება და უფლებების დაცვა განსაკუთრებულ სდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება	203832461	ბავშვი და გარემო	ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, 4 გამსახურადის გამზ. 14351	06.11.2006	ქ. თბილისი
სამედიცინო დახმარება ხელნაკლებ პირებზე, მარტოხელა მოზარდებზე და ობოლ ბავშვებზე	245436513	ბათუმის ებრაელთა საქ. ფონდი სესედეკი	ბათუმი, ვიფაფშაველას 33	26.06.2006	ქ. ბათუმი
ახალგაზრდა თაობის სპორტულ აღზრდა	238142988	ახალგაზრდული კლუბი საგარეო	საგარეოს რაიონი, აღმაშენებლის 12	30.04.2006	ქ. თელავი
საცხოვრებელი, სარეაბილიტაციო სასწავლო დასაცემებელი პირობების კომპლექსური გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების შექმნა	204417069	თემი საქველმოქმედო კავშირი	თბილისი, ძველი თბილისი, ზემო ვაკის 5/3	30.07.2007	ქ. თბილისი
პენსიონერთა და ვეტერანთა სოციალური-ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა	205021947	თბილისის პენსიონერთა პროფესიული კავშირი	თბილისი, ვიფაფშაველას გამზ. 43	20.06.2007	ქ. თბილისი
მატერიალური და სხვა სახის დახმარება ინვალიდებისათვის	212851902	ინვალიდთა დახმარების და დახელოვნების ლიგა	ქუთაისი, ატომშენებლის 1 შენახ.	16.04.2007	ქ. ქუთაისი
კულტურულ-შემეცნებითი საგანმანათლებლო ღონისძიებები	212701628	საზოგადოება ქუთაისელი	ქუთაისი, თამარ მეფის 15	16.01.2007	ქ. ქუთაისი

ბის ჩატარება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა						
საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების უფლებების და თავისუფლების დაცვა	205164052	სიღარიბის დაძლევის და გადამდებელ დახმარებათა ფონდი „მომავლის გზა“	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 16	27.08.2007	ქ. თბილისი	
მონახლეობის სოციალური პრობლემების შესწავლა და სახელმწიფო ორგანოებისათვის მინოდეხა, მონახლეობის სოციალური და კომუნალური პრობლემების გადაწყვეტის ხელშეწყობა	202304407	ლრეული	თბილისი, დილის მასივი 4 კვ, 1 კორპ.	18.04.2007	ქ. თბილისი	
დახმარება აღმოუჩინოს სოციალურად დაუცველ და შექირავებულ ოჯახებს	240560824	ლევან ქოქლაძის სახ. ფონდი	ბათუმი, ქ. გამსახურდიას №47	39332	ბათუმი	
მაქსიმალურად იზარუნოს მომავალი თაობების ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე, საქართველოში განათლების დონის ამაღლება, ჩვენი ერის მემკვიდრეობის გათვალისწინებით	204491601	ბავშვები ჩვენი მომავალია	ქველი თბილისი, ბარათაშვილის №9	18.09.2007	თბილისი	
ხელი შეუწყოს უდემოკრატიული მშობლების მზრუნველობაში-ოკლუბული ბავშვების სოციალური პრობლემების მოგვარებას	205019727	პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდი იაენანა	თბილისი, ვაკის რაიონი, გამსახურდიას გამზ. №28	39335	თბილისი	
საბალეტო ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოში	202263457	ნინო ანანიასვილის ფონდი	თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №49	25.12.2007	თბილისი	
აფხაზეთისა და სამაჩაბლოში დაღუპული მებრძოლების ოჯახებისთვის სოციალური დახმარება	206139178	არ დავიწყებ	თბილისი, ვარკეთილის ზ/პლატო, 5 კორპ. ბინა 65	25.12.2007	თბილისი	

დანიშნულება

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების თაობაზე

(განცხადების წარმომდგენი ორგანიზაციის სახელწოდება)

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

(ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა)

(ძირითადი მიზნები)

(უკანასკნელი წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები)

(ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი)

ფილიალების ან/და წარმომადგენლობის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ორგანიზაციის ხელმძღვანელი  
(ან შესაბამისი უფლებამოსილი პირი)  
„...“ ..... 200 წელი

(ხელმოწერა)

**დანართი 2**

**საქველმოქმედო ორგანიზაციის  
მონაწილეობა**

(ორგანიზაციის სახელწოდება)

(ორგანიზაციის (გადამხდელის) საიდენტიფიკაციო ნომერი)

(ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა)

(სტატუსი)

(ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი)

(სტატუსის მინიჭების თარიღი)

მოცემული მონაწილის მფლობელი არის ორგანიზაცია, რომელსაც საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს სტატუსი „საქველმოქმედო ორგანიზაცია“.

საგადასახადო ინსპექციის  
უფროსი

(ხელმოწერა)

ბ.ა.

### 1.34. სანარმოს რედომიცილება

შესაძლებელია უცხო ქვეყნის სანარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა (რედომიცილება) სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად.

საქართველოში რედომიცილებული სანარმო შეიძლება დაარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით.

საქართველოში რეგისტრირებულ სანარმოს უფლება აქვს, გადაიტანოს რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად, შემდეგი პირობების არსებობისას:

ა) ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული სანარმოს რედომიცილება;

ბ) სანარმოს წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუნარობის საქმის წარმოება ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება;

გ) სანარმოს რედომიცილების დროისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება;

საქართველოში რეგისტრირებული სანარმოს რედომიცილება არის სანარმოს რეორგანიზაციის ტოლფასი და მასზე ვრცელდება კანონით გათვალისწინებული, სანარმოს რეორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმები.

### 1.35. მოგების განაწილება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.

### 1.36. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სამენარმეო ამხანაგობაში – ყველა მონაწილეა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს, თუ წესდებით (სამენარმეო ამხანაგობის შემთხვევაში – მონაწილეთა ხელშეკრულებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მენარმე სუბიექტის მიზანს.

პირები მენარმე სუბიექტს წარმოადგენენ მესამე პირთან სამართლებრივ ურთიერთობაში, თუ წესდებით (სამენარმეო ამხანაგობის შემთხვევაში – მონაწილეთა ხელშეკრულებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

წარმომადგენლობის სახე და წესი (ინფორმაცია უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ) აღინიშნება სამენარმეო რეესტრში. სამენარმეო რეესტრში მითითებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმომადგენელი

მენარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მენარმე სუბიექტს, რომელიც წარმომადგენლობითი წარმომადგენლით.

პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი). სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კომანდიტურ საზოგადოებებში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს (ირჩევს) დირექტორებს. ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვია.

თუ პირების მიერ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და ანაზღაუროს ზიანი. ამ პირების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.

პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

პირებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ასეთის არსებობისას, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

ამ პირებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დადებული ხელშეკრულებით შეიძლება აღნიშნული ვალდებულება ძალაში დარჩეს ამ პირთა თანამდებობიდან წას-



ვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით. შესაძლებელია ამ ვალდებულებების გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით.

დირექტორებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება კანონით, წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებით.

იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში შესაძლებელია იწოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას კონკრეტულ სანარმოსთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რომლებიც იმავდროულად არიან საჯარო მოსამსახურეები, მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ სათანადო ანაზღაურების გარეშე და მათი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო მოსამსახურე ინტერესთა შეუთავსებლობად.

თუ სანარმო გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ამ პირებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ სანარმოს გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არა უგვიანეს 3 კვირისა, უნდა განაცხადონ ამის თაობაზე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ წესით. გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადება ბრალეულ გაჭიანურებად არ მიიჩნევა, თუ ზემოხსენებული პირები ამ განცხადებას კეთილსინდისიერებით ეპყრობიან.

### 1.37. პარტნიორთა საერთო კრება

თუ კანონით ან სანარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ქვემოთ მოტანილი წესების მიხედვით.

პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. სანარმოს ყოველ პარტნიორს, შპს-ის შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს ოქმს.

თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

პარტნიორობა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა)წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ)საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ)ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

დ)ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ე)ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ვ)ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ზ)პროკურის გაცემა და გაუქმება;

თ)წლიური შედეგების დამტკიცება;

ი)აუდიტორის არჩევა;

კ)საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, ზემოთ განსაზღვრული საკითხების გარდა, კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა)ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

ბ)იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

გ)შენატანების მოთხოვნა;

დ)დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

ე)დირექტორების დანიშვნა და გამონევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება;

ვ)სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ზ)სახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არა-თანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

პარტნიორთა საერთო კრებაზე სპს-ის თითოეულ პარტნიორსა და კს-ის თითოეულ სრულ პარტნიორს (კომპლემენტარს) აქვს თითო ხმა. კს-ის შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) ხმის უფლება არ აქვს. შპს-ის პარტნიორთა ხმები განისაზღვრება მათი წილების პროპორციულად.

**1.38. სამენარმეო ამხანაგობა**

თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი ამხანაგობა გადაწყვეტს რეგისტრაციას, ის რეგისტრირდება სამენარმეო ამხანაგობის სახით.

სამენარმეო ამხანაგობის მონაწილეთა ხელშეკრულება იდება წერილობით. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

ა) მონაწილეთა სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს, პირად ნომერს და ხელმოწერას; თუ მონაწილე იურიდიული პირია – მის საფირმო სახელწოდებას და რეგისტრაციის მონაცემებს, იურიდიულ მისამართს, იმ ორგანოს დასახელებას, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღს და საიდენტიფიკაციო კოდს, მონაცემებს მისი წარმომადგენლების შესახებ;

ბ) საქმიანობის ხანგრძლივობას;

გ) ყველა იმ საკითხს, რაზედაც შეთანხმდებიან მონაწილენი.

სამენარმეო ამხანაგობაში წილი არ შეიძლება გადაეცეს შესამე პირს სამენარმეო ამხანაგობის სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

სამენარმეო ამხანაგობის დაშლის შემთხვევაში ამხანაგობის მონაწილენი ვალდებული არიან, ამის შესახებ შეატყობინონ მარეგისტრირებელ ორგანოს. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია, შეტყობინებისთანავე ამოშალოს სამენარმეო ამხანაგობა სამენარმეო რეესტრიდან.

**1.39. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, სანამ საზოგადოება უფლებამოსილია იდავოს გარიგებაზე, რომელიც საფუძველად უდევს საზოგადოების ვალდებულებას. იგივე უფლება აქვს პარტნიორს მანამ, სანამ კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს საზოგადოების ვადამოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით (შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთჩათვლით).

პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევის მიზნით კრედიტორი ვალდებულია, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ სააღსრულებო ფურცელთან ერთად მოიპოვოს ასევე სააღსრულებო ფურცელი პარტნიორების მიმართ.

ნებისმიერ პარტნიორს (მათ შორის, იმ პარტნიორს, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება

აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ერთ-ერთი პარტნიორის წილის მოგება მიემატება მისსავე შენატანს, თუ ის არ იყო სრულად შეტანილი; პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში შენატანიდან გახარჯული ფული ჩამოინერება მოგებიდან.

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით, კანონით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

თუ სპს-ის პარტნიორი გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, ან საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები.

საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება სხვა დანარჩენ პარტნიორებზე.

დანარჩენი პარტნიორები ვალდებული არიან, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა.

პარტნიორის გარდაცვალებისას ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით, ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.

#### 1.40. კომანდიტური საზოგადოება

კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგდება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, - მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები.

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე

იურიდიული პირი.

კომანდიტური საზოგადოების წესდების მიღების, მასში და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს).

თუ სრული პარტნიორი (კომპლემენტარი) გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, ან საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ან საწარმოდან გადის ყველა შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი), ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები.

შეზღუდულ პარტნიორებს (კომანდიტებს) უფლება აქვთ, მოითხოვონ წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობით შეამოწმონ წლიური ანგარიშის სისწორე.

მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) განცხადების საფუძველზე ნებისმიერ დროს მოითხოვოს საბალანსო და წლიური ანგარიშის მონაცემების, სხვა მსგავსი ინფორმაციის, საზოგადოების ფინანსური დოკუმენტების წარდგენა.

შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში; მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში სრული პარტნიორების (კომპლემენტარების) მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. შეზღუდული პარტნიორები ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

თუ ერთ-ერთ შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) საწარმოს წესდებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებანი, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, იგი პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესების მიხედვით.

ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

მოგებისა და ზარალის გაანგარიშების, პერიოდულობის და განაწილების წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ზარალის ანაზღაურებაში მონაწილეობს მხოლოდ თავისი შენატანით, ხოლო თუ პასუხისმგებლობა დადგება შესატანის სრულად შეტანამდე, - ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანითაც.

თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება. მას არ შეუძლია ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია.

შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ვალდებული არ არის, დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) საგარანტიო თანხა საზოგადოების კრედიტორებს მიმართ განისაზღვრება წესდებაში მითითებული თანხის ოდენობით, თუ ეს თანხა უკვე შეტანილია.

შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ წესდება სხვა რამეს არ

ითვალისწინებს.

წლის დათმობისას საჭიროა ნოტარიალურად დამონშებული წერილობითი ხელშეკრულება.

#### 1.41. შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

საწარმოს პარტნიორთა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებაზე ბათილია მესამე პირებისათვის.

შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით).

წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ არის მათი წილების პროპორციული.

შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვიონ ან დატვირთონ (დააგირავონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული.

დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიანოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით.

წელიწადში ერთხელ მართვაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მარეგისტრირებულ ორგანოში წარადგენს ინფორმაციას (წინა წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით) საწარმოში პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

#### 1.42. სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალურებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლე-

ბებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.

სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია, აქციათა რეესტრი ანარმოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ აქციონერთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია, საზოგადოებას შეუძლია ანარმოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

იმ სანარმოს აქციების გადაცემა, რომლის აქციათა რეესტრსაც დამოუკიდებელი რეგისტრატორი ანარმოებს, ხდება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით. სხვა შემთხვევებში აქციების გადაცემა ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით, რომელიც დამონმებული უნდა იყოს რეესტრის ნარმოებაზე აპასუხისმგებელი პირის მიერ.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება სანარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია.

გარდა გათვალისწინებული აქციათა კლასებისა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოებამ შესაძლოა გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობაც. ნებისმიერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში – ემისიის პროსპექტშიც), ამ კლასის აქციების განთავსებამდე. აქციების განთავსების შემდეგ განთავსებულ აქციებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შეცვლა, ასევე წესდებით გათვალისწინებული ან კლასის აქციების ცვლილებების წესის შეცვლა დაუშვებელია.

რომელიმე კლასის აქციის (გარდა „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო ფასიანი ქალაქისა) გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. აქციათა გადაცემაზე საზოგადოე-

ბის თანხმობის გაცემის წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით, აქციების განთავსებამდე.

სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.

აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა, შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება.

აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციითა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნება წარდგენილი საერთო კრებამდე 10 დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნეს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ სანარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, სანარმოს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) მოსთხოვონ სანარმოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის სახითთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები ვალდებული არიან, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა ჩატარონ საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები, ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილი არიან შეიტანონ დამატებები აქციონერთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგში. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ ბოლო კრების ჩატარებიდან არა უადრეს 1 თვისა.

თუ ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი (კრების ინიციატორები) მიმართავენ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით და ამ კრების ერთადერთი საკითხი არის დირექტორები (დირექტორების), მათ შორის, იმ დირექტორის, რომელიც არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, გადაყენების მოთხოვნა, მაშინ კრება ტარდება ამ პუნქტით გათვალისწინებული წესების მიხედვით.



თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში არ იქნა მოწვეული რიგგარეშე კრება, მაშინ ამ კრების ჩატარების უფლება აქვთ კრების ინიციატორებს, რომლებმაც ამ მოთხოვნით მიმართეს საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს).

ამ შემთხვევაში კრების ინიციატორები საზოგადოების ყველა აქციონერს დაზღვეული წერილით უგზავნიან რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ მოსანდევს ამ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, დღის წესრიგის ერთადერთი საკითხის მითითებით. დაუშვებელია დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა. ამ შემთხვევაში რიგგარეშე კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს შეუძლიათ ხელახლა მოიწვიონ კრება არა უადრეს პირველი კრების მოწვევიდან 20 დღისა. კრების ინიციატორები ხელახალ რიგგარეშე კრებას მოიწვევენ დადგენილი წესით. ეს კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელიც საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) ავალებს რიგგარეშე კრების გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვეში ჩატარებას.

ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადაწყვეტი ზეგაეყენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე.

თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში განეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნ-

და საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაქმნაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში განეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს აქციონერს სასამართლო ხარჯების გადახდა.

აქციონერს უფლება აქვს, საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება სანარმოო რეორგანიზაციას. საზოგადოების წესდება შეიძლება დეტალურად ანესრიგებდეს აქციების შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საზოგადოებამ, რომელიც აპირებს ამ გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასანყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.

გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს, წერილობით მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა. ასეთი მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ:

- ა) აქციონერის მიერ სრულად არ არის შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი;
- ბ) აქციონერმა ეს აქციები შეიძინა შეტყობინების დაგზავნის შემდეგ.

აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო განხორციელებული შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ მიღებული უნდა იქნეს მითითებული ვადის 30 დღის განმავლობაში, ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხა გადახდილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.

აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ:

ა) აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს;

ბ) გამოსყიდვის მომენტში სანარმო აკმაყოფილებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს, ან ასეთი პირობები შეიძლება წარმოიშვას აქციათა გამოსყიდვის შედეგად.

თუ გამოსასყიდად შეთავაზებულია იმაზე მეტი აქცია, ვიდრე ეს დაშვებულია, ისინი გამოსყიდული უნდა იქნეს სხვადასხვა გამყიდველისაგან პროპორციულ საფუძველზე.

საზოგადოებას უფლება აქვს, შეიძინოს საკუთარი განთავსებული აქციები (სახაზინო აქციები) და შემდგომში გაასხვისოს თავისი შეხედულებისამებრ. სახაზინო აქციების რაოდენობა არც ერთ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%-ს, თუ წესდებით უფრო მცირე ზღვარი არ არის გათვალისწინებული. ხმის დათვლის, დივიდენდის განაწილების, ლიკვიდაციის დროს და აქციების ფლობიდან გამომდინარე სხვა უფლებების რეალიზაციის მიზნებისთვის (შემთხვევებში) საზოგადოების მფლობელობაში არსებული სახაზინო და შეიღობილი საწარმოს კუთვნილი აქციები მხედველობაში არ მიიღება.

თუ აქციების შექენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით.

მყიდველი სასამართლოსადმი მიმართვამდე არა უგვიანეს 1 თვისა ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და პროცედურების შესახებ.

რეესტრის მწარმოებელი პირი („რეგისტრატორი“) სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღამდე არა უგვიანეს 5 დღისა ყველა ნომინალურ მფლობელს აცხადებებს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. რეგისტრატორი ადგენს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ყველა რეგისტრირებული მფლობელის სიას, მათი ვინაობის, მისამართის და მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა რაოდენობის მითითებით („გამოსყიდვის რეესტრს“) და მყიდველის მიერ განხორციელებულ ქმედებათა დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე ყველა აქციას გადააფორმებს მყიდველის სახელზე. რეგისტრატორის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს.

თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, ნლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება ნლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხ-

ოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

საერთო კრების მონევეა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგ ზაენებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორები) მიერ, კრების მონევეის შესახებ შეტყობინების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, ან აქციონერებისათვის მოსანევეის გაგ ზაენიდან 20 დღის შემდეგ. კრების მონევეის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. კრების მონევეის შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრებაში ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამომოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.

საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსანევეი ეგ ზაენებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული სანარმოს შემთხვევაში საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგ ზაენოს მონაწევი ფოსტი.

საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევენ საერთო კრება.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- ა) მიიღოს ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში;
- ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- გ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უკ-

ირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქალაქების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);

დ) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას — მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია კანონით);

ვ) აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამომწვევის ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;

ზ) დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;

თ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

ი) აირჩიოს აუდიტორი;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამენარმო საქმიანობას.

წესდებით შეიძლება ჩამოთვლილი უფლებამოსილებები გადანაწილდეს სამეთვალყურეო საბჭოზე ან/და დირექტორზე (დირექტორებზე).

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ა) ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატება მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული სანარმო, რომლის ფასიანი ქალაქების ანგარიშ არის დაშვებული ფასიანი ქალაქების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო.

სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით გადანაწილდება საწარმოს მართვის სხვა ორგანოებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს ! წლის ვადით, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ან წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები). კომერციულ ბანკებში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის წესები განისაზღვრება „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონით.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები წმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უზუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ.

თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, საგარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოინვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.

**სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:**

ა) სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას;  
ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორები-საგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების საღარი და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავა-

ლოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

დსამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;

ესამეთვალყურეო საბჭო ამონმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამონმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამონმა და გამოიწვია თუ არა ამ შემონმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;

ესწინავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წვეტს ხელშეკრულებებს;

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი ამ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ იგი თავად არის დირექტორი. ასეთი სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი.

დირექტორების ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

ა)სანარმოს 50%-ზე მეტი წილის შექენა და გასხვისება;

ბ)ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;

გ)წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;

დ)ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;

ე)დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;

ვ)ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დანყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

ზ)სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

თ)სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშენა და გამოწვევა;

ი)საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქალღდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

კ)ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი სააქენსო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ლ)საზოგადოების ქონების შექენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

მ)იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

### 1.43. დირექტორები

საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს. დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება მათთან წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. წესდებაში ასეთი განსაზღვრების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება კანონით დადგენილი ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილება.

სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმომადგენენ დირექტორები. დირექტორები არ შეიძლება იყვნენ სასამართლოში წარმომადგენლები იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ სარჩელი შეტანილია ამ საზოგადოების მიერ.

დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ეს დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. წმინდა მოგების განაწილების მონონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ მათი წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს სანარმოში და გაათავისინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

არ შეიძლება აქციონერებს მიეცეთ სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმომოხილი ქონებრივი ზარალი. დირექტორები თუ სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია.

აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან (მათ შორის, იყოს დირექტორი ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი) და მიიღოს მისგან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

### 1.44. კოოპერატივი

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივებს მიეკუთვნება:

ანელექულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;



ბ.სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;

გ.სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და სანარმოო კოოპერატივები);

დ.მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები;

ე.სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;

ვ.სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;

თ.არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები.

ზ.სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

კოოპერაციის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. კოოპერაციის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

სამწარმოო რეესტრში კოოპერაციის რეგისტრაციის შემდეგ კოოპერატივიში წევრად მისაღებად აუცილებელია შესვლის მსურველის მიერ ხელმოწერილი განცხადება კოოპერატივში შესვლის თაობაზე.

განცხადება არაორაზროვნად უნდა ასახავდეს კოოპერაციის წევრის ვალდებულებას, რომ იგი წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შესატანს (პაის). თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ კოოპერაციის წევრებმა შეუზღუდავად ან შეზღუდულად საგარანტიო თანხის ოდენობით დამატებითი შესატანები უნდა შეიტანონ, მაშინ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად წევრად შემსვლელით გადაიხდიან დამატებით შესატანს შეუზღუდავად ან წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხამდე ოდენობით.

ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება განცხადების საფუძველზე. კოოპერატივიდან გასვლის წესი და პროცედურა განისაზღვრება წესდებით.

გამსვლელთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება გასვლის დღისათვის ბალანსის საფუძველზე. თუ კოოპერატივიდან გასვლა ხდება სამეურნეო წლის განმავლობაში, მაშინ საფუძველად აიღება ბოლო ბალანსი. კოოპერაციის წევრის აქტივები უნდა ანაზღაურდეს გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში;

თუ ვალების დასაფარავად საკმარისი არ არის მთელი ქონება, რეზერვებისა და აქტივების ჩათვლით, მაშინ კოოპერატივიდან გასულმა წევრმა კოოპერაციის უნდა გადაუხადოს თავისი წილი ფულადი თანხიდან. ეს წილი დაიანგარიშება კოოპერაციის წევრთა რაოდენობის მიხედვით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერაციის წევრებს, რომლებმაც პაი სრულად გადაიხადეს, გასვლის შემთხვევაში მიეცეთ პაის უკუმოთხოვნის უფლება ამ მიზნით წლიური ნაშთის საფუძველზე შექმნილი რეზერვიდან. ეს მოთხოვნა შეიძლება

დამოკიდებული იყოს კოოპერატივის წევრად ყოფნის სტატუსზე ან შესაძლოა წესდება სხვა პირობებსა და მოთხოვნის შეზღუდვებს ითვალისწინებდეს.

კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს სამეურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი წერტილებით შეთანხმებით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, თუ პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წევრი. წესდება შეიძლება კრძალავდეს ან დამატებით პირობებს უყენებდეს ამგვარ გადაცემას. გამგეობამ ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს სამენარშეო რეესტრს.

პაის გადაცემა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სიაში შეტანილი გამსხვისებულ წევრთან. გასვლის თარიღად ითვლება რეგისტრაციის დღე.

კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე. წევრობა მთავრდება იმ სამეურნეო წლის დასრულებით, როცა მოხდა სამკვიდროს გახსნა. რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელოს ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოოპერატივის წევრი გახდება მისი მემკვიდრე. წესდებით წევრობის გაგრძელება შეიძლება დამოკიდებული გახდეს უფლებამონაცვლის პიროვნულ ფაქტორებზე. რამდენიმე მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს, რომ წევრობა შეწყდება, თუ იგი არ გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს წესდებით დადგენილ ვადებში.

კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო ახორციელებენ საერთო კრებაზე.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო მეტი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები. არჩევნებისათვის წესდებამ შეიძლება გაითვალისწინოს გამონაკლისი წესი.

ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება.

წევრს უფლება აქვს, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს თავისი ხმის უფლება. ქმედუნარიან ან შეზღუდულქმედუნარიანი ფიზიკური პირების ხმის უფლებას, აგრეთვე იურიდიულ პირთა ხმის უფლებას ახორციელებს მათი კანონით გათვალისწინებული წარმომადგენელი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტურ საზოგადოებათა ხმის უფლებას – წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ფიზიკურ პირთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამონმდეს ნოტარიალურად.

არავის არა აქვს უფლება, თავისთვის ან სხვა პირისთვის განახორციელოს ხმის უფლება, თუ არსებობს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოსმენილ იქნეს მისი ან მისი წარმომადგენლის ანგარიში, ან რომ უნდა განთავისუფლდეს ვალდებულებებისაგან, ან რომ კოოპერატივიმა პრეტენზიები უნდა წამოაყენოს მისი ან ამ შეცვლილი წევრის მიმართ.

საერთო კრებას იწვევს გამგეობა, თუ წესდებით ან კანონით სხვა პირებიც არ არიან საამისოდ უფლებამოსილი. საერთო კრება, გარდა წესდებითა და ამ კანონით სპეციალ-

ურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, მონვეული უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც.

საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მონვეული, თუ წევრთა 1/10 ან წესდებაში საამისოდ აღნიშნული უფრო მცირე ნაწილი მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებაში მოითხოვს კრების მოწვევას კონკრეტული მიზნის მითითებით. თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზედაც აქვს კოოპერატივის იურიდიული მისამართი, შეუძლია საერთო კრების მოწვევის ან დღის ნესრიგის გამოცხადების უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა. კრების მოწვევაზე ან გამოცხადებაზე სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოქვეყნდეს.

საერთო კრება მოინვევა სულ ცოტა 3 კვირის ვადაში საქართველოს ერთ-ერთ ოფიციალურ ან/და წესდებით განსაზღვრულ გაზეთში გამოქვეყნებით.

საერთო კრების დღის ნესრიგი გამოცხადდება კრების მოწვევისას. იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც არ გამოცხადდება კრებამდე 3 დღით ადრე, გადაწყვეტილებები არ მიიღება. გამონაკლისია გადაწყვეტილებები კრების წარმართვის, აგრეთვე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ.

საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. იგი უნდა შეიცავდეს კრების ჩატარების ადგილსა და დღეს, კრების თავმჯდომარის სახელსა და გვარს, აგრეთვე მითითებას კენჭისყრის სახეობისა და შედეგების შესახებ და თავმჯდომარის დადგენილებას გადაწყვეტილების მიღებისა და ოქმის მიმართ სხვა განცხადებების შესახებ.

ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და გამგეობის დამსწრე წევრები და მას ერთვის კრების მოწვევის მასალები. ყოველ წევრს უნდა მიეცეს უფლება, გაეცნოს საოქმო ჩანანერს. ოქმი ინახება კოოპერატივში.

საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს. იგი იღებს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების ან წლიური დანაკლისის დაფარვის თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილებას გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ. საერთო კრება უნდა ჩატარდეს სამეურნეო წლის დამთავრებიდან 3 თვის განმავლობაში.

წლიური ბალანსი, მდგომარეობის შესახებ მოხსენება და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება კრების ჩატარებამდე სულ ცოტა 1 კვირით ადრე უნდა გამოიკრას კოოპერატივის ოფისში ან გამგეობის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილას, რათა წევრები გაეცნონ მათ. ყოველ წევრს აქვს უფლება, საკუთარი ხარჯით მოითხოვოს წლიური ბალანსის, მდგომარეობის შესახებ მოხსენებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების ასლები.

მხოლოდ საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ამასთანავე, გადაწყვეტილება ნოტარიალურად უნდა იქნეს დამოწმებული. ქვემოთ მოცემული ცვლილებების შესატანად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეობა ხმების უბრალო უმრავლესობა (თუ წესდებაში სხვა რამ არ არის მითითებული):

ა) პაის გაზრდა;

ბ) რამდენიმე სავალდებულო პაით მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;

- გ) დამატებითი შესატანის შეტანის მოვალეობის შემოღება ან გაფართოება;
- დ) რეზერვებში გამსვლელ ნევრთა მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;
- ე) რამდენიმე ხმის უფლების დანესება ან გაფართოება;
- ვ) პაის დაყოფა;

ნესდების იმ ცვლილებებისათვის, რომლითაც შემოღებული ან გაფართოებულია ნევრის მოვალეობა კოოპერატივის მონაწილეობების ან სხვა საქმიანობის გამოყენების ანდა სამსახურის შემოღების შესახებ, საჭიროა ხმების 9/10-ის უმრავლესობა. ნესდება შეიძლება სხვა მოთხოვნებსაც ითვალისწინებდეს. კოოპერატივის ადგილსამყოფლის მიხედვით სამენარმო რეესტრში რეესტრაციამდე გადაწყვეტილებას ძალა არა აქვს.

თუ კოოპერატივის ნევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. თუ ნევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება ნესდებით განისაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება.

წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც კოოპერატივის ნევრია, მაგრამ არ არის არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში.

წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა 50 წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ კოოპერატივის ნევრები. წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება, თავიანთი უფლებამოსილება სხვა პირებს გადასცენ.

წარმომადგენლები აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით; პირი წარმომადგენლად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ოთხ წელზე მეტი ვადით.

ნესდებით უნდა განისაზღვროს:

- ა) რამდენ ნევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი;
- ბ) წარმომადგენლობის დრო.

სხვა, უფრო დანერჩილებითი დებულებები არჩევნების ნესის შესახებ, შედეგების განსაზღვრის ჩათვლით, შეიძლება ჩამოყალიბდეს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებულ საარჩევნო დებულებაში. ამისათვის საჭიროა საერთო კრების თანხმობა. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ერთხმად.

ყოველი წარმომადგენლისათვის არჩეული უნდა იქნეს თითო სათადარიგო პირი. თუ წარმომადგენელი განათავისუფლდება ვადის დამთავრებამდე, მაშინ მას შეცვლის სათადარიგო პირი. ეს პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ წარმომადგენელთან ერთად წარმომადგენელთა არჩევნებისათვის დადგენილი წესებით, უფლებამოსილების იმავე ვადით.

არჩეულ წარმომადგენელთა და არჩეულ სათადარიგო პირთა სია 2 კვირის განმავლობაში უნდა იყოს გამოკრული კოოპერატივის ოფისში, რათა ნევრები გაეცნონ მას. ამის შესახებ უნდა გამოცხადდეს საქართველოს ერთ-ერთ ოფიციალურ ან ნესდებით განსაზღვრულ გაზეთში. სიის გამოკერის ვადის ათვლა იწყება გამოქვეყნების დღიდან. ყოველ ნევრს მისი მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს სიის ასლი.

კოოპერატივს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არა უმეტეს

15 წევრისაგან. წევრთა რაოდენობა განისაზღვრება წესდებით.

საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრებს უფლება აქვთ, საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე მიიღონ განსაზღვრული გასამრჯელო.

კრებამ შეიძლება გააუქმოს საბჭოს წევრობა საარჩევნო ვადის გასვლამდე. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 3/4.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება, იმავდროულად იყვნენ გამგეობის წევრები ან მათი მოადგილეები, ან სხვაგვარად წარმართონ კოოპერატივის საქმეები.

გამგეობიდან გასული წევრები მათი ანგარიშის დამტკიცებამდე არ შეიძლება არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად.

სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას თავისი საქმიანობის წარმოებაში მართვის ყველა დარგში და ამ მიზნით იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამგეობისაგან ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეამოწმოს წლიური ბალანსი, მდგომარეობის შესახებ მოხსენება და წლიური მოგების განაწილების წინადადებები. შემომწების შედეგები მან უნდა მოახსენოს საერთო კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე.

სამეთვალყურეო საბჭომ კანონით დადგენილი წესით უნდა მოინვიოს საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება, თავიანთი ფუნქციების შესრულება გადააბარონ სხვა პირებს.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია წარმოადგინოს კოოპერატივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულების დადებისას და წარმართოს პროცესები კოოპერატივის წევრების წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ყოველ კრებას, რომელიც მიეცემა გამგეობის რომელიმე წევრს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტის გაცემის შემთხვევაში გამგეობის წევრის თავდებად დადგომისას.

კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ 2 დირექტორისაგან (გამგეობის წევრებისაგან). დირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები. წესდება შეიძლება სხვა პირობებსაც ითვალისწინებდეს.

დირექტორებს ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი – მოგების მიმატებით და ზარალის ჩამონერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

#### **1.45.საფირმო სახელწოდება**

საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო. ინდივიდუალური მენარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს) „სპს“-ის დამატებით ან ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს).

კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს არანაკლებ ერთი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის (კომპლემენტარის) გვარსა და სახელს (ან გვარს) „კს“-ის დამატებით.

პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით, ან ეს სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი. მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს აღნიშვნას „სააქციო საზოგადოება“, ან „შპს“, ანდა „რეგისტრირებული კოოპერატივი“, ან „რკ“.

საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ანდა გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ანდა პარტნიორთა ურთიერთობის გამო.

საფირმო სახელწოდებას დაერთება დამატებები, თუ ეს საჭიროა სხვა ფორმებისაგან განსასხვავებლად.

საწარმოს შემქმნენ შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატებით დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმა არიან.

#### **როგორ შევარჩიოთ კომპანიის სახელწოდება**

##### **დამახსოვრეთ 5 მთავარი წესი:**

შერჩევა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს ბევრს წარმოუდგენია. ბიზნესის სახელწოდება პირველ რიგში, სერიოზული მარკეტინგული ინსტრუმენტია. არსებობს ხუთი წესი, რომლის გაუთვალისწინებლობა არ ღირს.

ყველა შექმნილ საქონელს, დაწყებული ტანსაცმლიდან დამთავრებული კვების პროდუქტებით, მინიჭებული აქვს ბრენდი ანუ სახელი, რომელიც გააგონდებათ ყოველთვის ამა თუ იმ პროდუქციაზე საუბრისას.

თუ ის ძნელად გამოსათქმელი, ზედმეტად გრძელი ან ადვილად დასავინწყებელია,

მყიდველი უმეტეს შემთხვევაში სხვა ორგანიზაციის საქონლით ან მომსახურებით ისარგებლებს.

არსებობს ხუთი წესი, რომელიც ახალი კომპანიის სახელწოდების შერჩევას უნდა გვახსოვდეს:

- სახელი რაიმე რეალურს უნდა აღნიშნავდეს და ადვილად დასამახსოვრებელი იყოს.
- სახელი საგრძობლად უნდა განსხვავდებოდეს უკვე არსებული ცნობილი ბრენდების სახელწოდებებისგან;
- სახელი შეიძლება მოიცავდეს იურიდიულ ტერმინებს;
- სახელი არ უნდა შეიცავდეს აკრძალულ გამოთქმებს ან ტერმინებს;
- რაც უფრო ინტერნაციონალურია დასახელება, მით უკეთესია.

თუ თქვენი ორგანიზაციის სახელწოდება ჰგავს ან გვაგონებს უკვე არსებული ორგანიზაციის სახელწოდებას, მის მფლობელს შეუძლია წარმოგიდგინოთ საავტორო უფლებები სახელწოდებაზე და მოგთხოვოთ არ გამოიყენოთ თქვენ მიერ მოფიქრებული დასახელება ახალი კომპანიისათვის. ასეთი სიტუაციებისთვის თავის არიდება თქვენ ინტერესებშია. იმ მომენტამდე, როდესაც სხვა უკვე არსებული ორგანიზაციის მფლობელი წამოგიყენებთ ზემოთ ჩამოთვლილ პრეტენზიებს, შეიძლება არც თუ ისე ცოტა დრომ გაწვდეს. ამ დროში კი თქვენ მოასწრებთ საკმაო თანხების დახარჯვას რეკლამაზე, თქვენი ფირმა თავის ადგილს დაიკავებს ბაზარზე და შესაძრწევ წარმატებას მიაღწევს.

არ შეიძლება ისეთი დასახელების გამოყენება, რომელიც ორგანიზაციის ნამდვილ მდგომარეობას და საქმიანობას დაამახინჯებს. და ბოლოს არ შეიძლება გამოიყენოთ დასახელებები, რომლებიც შეიცავს უცენზურო გამონათქვამებს ან ისეთ სიტყვებს, რომელთა გამოყენება მომხმარებელში შექმნის მცდარ აზრს, თითქოსდა თქვენი ორგანიზაცია უწესო, სკანდალურ და უზნეო საქონელს ან მომსახურებას სთავაზობდეს მათ.

სახელწოდების „ინტერნაციონალიზმი“-ს მხარე აქტუალურია, როდესაც თქვენს გეგმებში, კომპანიის საერთაშორისო ბაზარზე გატანა და მისი გლობალური განვითარება შედის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ყოველივე ნაკლებ რეალურად და სამომავლო საქმედ გეჩვენებათ, სახელის შერჩევამდე კარგად გამოიკვლიეთ ყველაფერი, რადგან სიტყვები სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა მნიშვნელობისაა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ იურიდიულად განამტკიცოთ თქვენი უფლებები ახალ დასახელებაზე.

გამოიყენეთ ეს შანსი თავიდანვე, რადგანაც სახელის შეცვლისას შეიძლება პრობლემებს წააწყდეთ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენს მიერ შერჩეული დასახელება უცხო ენაზე არ ნიშნავდეს ანტირეკლამას. ამან შეიძლება სერიოზული ზარალი მიაყენოს თქვენ ბიზნესს და დააფრთხოს მყიდველი.

მაგალითად, GM Nova ავტომობილის რეკლამა ესპანურენოვან ქვეყნებში No-va ესპანურად ნიშნავს „არ იარო“. მგონი სრულიად გასაგებია, რატომ დავიდა გაყიდვების შედეგები რეკორდულად დაბალ მაჩვენებელამდე ამ ქვეყნებში. ბევრმა ორგანიზაციამ დაიმახსოვრა ეს სამწუხარო მაგალითი. ზუსტი ინფორმაციის მიღებისას თავიდან აიცილებთ სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებს.

რამოდენიმე ცნობილი ხერხია, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ახალი სახელწოდების მოფიქრების პროცესში.

სახელის ან გვარის გამოყენება — წარსულში დასახელებაში ხშირად იყენებდნენ ორგანიზაციის უშუალო დამფუძნებლის სახელს. ეს მეთოდი დღემდე პოპულარულია მენარჩევებში. მაგრამ ამ მეთოდსაც აქვს თავისი ნეგატიური მხარეები. პირადად რეპუტაციამ შეიძლება იმოქმედოს თქვენ ბიზნესზე. პირად ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები და მოვლენები უშუალოდ აისახება თქვენ ბიზნესზე და შეიძლება იგი გაკოტრებამდე მიიყვანოს. ან პირიქით, ფირმაში მომხდარი მოვლენები შეიძლება თქვენ პირად რეპუტაციაზე აისახოს.

სხვა მხრიდან თუ შეხედავთ, საზოგადოების დამოკიდებულება თქვენ მიმართ, ანუ დამფუძნებლისადმი, შეიძლება დადებითად აისახოს ბიზნესის საქმიანობაზე. ამავე დროს, თუ ორგანიზაციის დამფუძნებელი, რომლის სახელიც ჰქვია ფირმას, კედება ან მიდის ორგანიზაციიდან, ამ ფაქტმაც შეიძლება გამოიწვიოს გაურკვეველობა საზოგადოებაში პიროვნებისა და ორგანიზაციის აღქმისას.

გეოგრაფიული დასახელებები. ქალაქების, რაიონების ან სხვა ტერიტორიების სახელების გამოყენებამ სახელწოდებაში შეიძლება საგრძნობლად შეაფერხოს ორგანიზაციის მოღვაწეობის გაფართოების და გაყიდვების გაზრდის მცდელობა. მაგალითად, საკანცელარიო საქონლით მოვაჭრე ფირმა „ქუთაისი“ თბილისის ბაზარზე იგივე საქონლით მოვაჭრე ფირმა „მხატვართან“ შედარებით არამომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ორგანიზაციის საქმიანობის აღმწერი დასახელებები როგორც წესი, სახელები, რომლებიც ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის ამსახველია, საკმაოდ გრძელი გამოდის. ამასთან მას ვერ გამოარჩევეთ მრავალი მსგავსი დასახელებებისგან. მაგალითად, დასახელება „საერთაშორისო ურთიერთობის კორპორაცია“, დეტალურად აღწერს ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს, მაგრამ დასამახსოვრებლად და წარმოსათქმელად რთულია.

თანამედროვე საზოგადოების თავისებურებების გათვალისწინებით, როცა განსაკუთრებით იოლად დასამახსოვრებელი სახელწოდებებია პოპულარული და უნივერსალური, ბევრი დამფუძნებელი ამჯობინებს ლაკონურ დასახელებას, ხოლო ისინი, ვინც ბიზნესის აწყობისას აღწერილობით დასახელებას იყენებდნენ, თანდათან მის აბრევიატურაზე გადავიდნენ.

ძალიან ხშირად იყენებენ სიტყვებს, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ ორგანიზაციის საქმიანობასთან. მაგალითად, Apple Computers „ვამლის კომპიუტერები“ თუ „კომპიუტერული ვაშლები“? რა კავშირი აქვთ კომპიუტერებს და ვაშლებს? და მაინც დღესდღეობით სახელწოდება „Apple Computers“ არავის აკვირებს და მიღებულ დასახელებად იქცა.

**„შედგენილი“ სახელწოდებები**

ეს ის სახელწოდებებია, რომლებიც სხვადასხვა სიტყვების, სიტყვის ნაწილების ან სიტყვების პირველი ასოების ნაკრებს წარმოადგენს. ფირმებისთვის ასეთი დასახელებების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ აქვთ ლექსიკური განმარტება და ამიტომ ბიზნესის ნებისმიერი სფეროსთვის გამოდგება. არ აქვთ შეზღუდვები კონტექსტში და ნებისმიერ ენაზე ერთნაირად წარმოითქმებიან.

მაგალითად, Kodak – მთავარი ყურადღება დასახელების შექმნისას მიაქცევს იმას, რომ ყველა ენაზე ადვილად გამოთქმულიყო.



ეცვლება თუ არა სახე კონკურენტებს შენი სავაჭრო მარკის სახელწოდების გაგონებაზე?

რეგისტრირებული სავაჭრო მარკის სახელწოდება – ეს ის არის, რასაც თქვენი კონკურენტები ვერანაირად ვერ წაგართმევენ. ამიტომ მის დანახვაზე მათ ყოველთვის ტანში ყრუანტილმა უნდა დაუაროს. თუ თქვენ თვლით, რომ ისინი თქვენს სახელწოდებას პირდაპირ ვერ დაინახავენ ან მოიფიქრებენ რაიმე უკეთესს, მაშინ ამოგადეთ ის თქვენი სიიდან.

გვირდება თუ არა სახელწოდება სასწაულს?

თუ არა, ამ სახელწოდებას ნუ დაამტკიცებთ. კარგი სახელწოდება შეედრება პატარა პომას. მისი თითოეული ასო, თითოეული სიტყვა ან ბგერა მუშაობს იმაზე, რომ მთელ მსოფლიოს მომხმარებელს გაუგზავნოს შენი ფირმისაკან გზავნილი.

კარგად თუ გვაანალოზებთ, სავაჭრო მარკის სახელწოდების სწორად შერჩევა საკმაოდ რთული მარკეტინგული ამოცანაა. მეორე მხრივ კი, რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი? სწორი დასახელება – ეს არის ქვაკუთხედი მომხმარებელსა და პროდუქტს შორის მჭიდრო ურთიერთობისა. ეს ერთადერთი და ყველაზე ძლიერი მარკეტინგული იარაღია, კონკურენტები კი უნდა ინვოდნენ მისი მოპარვის სურვილით.

მიგვანიშნებს თუ არა სახელწოდება სარგებლიან თავისებურებებზე?

თუ ასეა, მაშინ გააკეთე ისე, რომ ეს სარგებელი შემდეგ 10 წლის მანძილზე იყოს ყველაზე მიმზიდველი მომხმარებლისათვის. ამაზეა დამოკიდებული წარმატებაც და წარუმატებლობაც ამ სავაჭრო ნიშნისა.

გვიქმნის თუ არა სახელწოდება დაძაბულობას?

თუ სახელწოდება არ გვძაბავს, ის შეიძლება გახდეს წარმატებული, მაგრამ შეიძლება არც არაფერს წარმოადგენდეს. ოსკარ უაილდმა თქვა, რომ იდეას, რომელიც საშიში არაა, ძალიან რთულია დაარქვა მას იდეა. ეს მართებულია სახელწოდების შემთხვევაშიც. კარგი სახელწოდება ყოველთვის პროვოცირებას გვიწყობს რალაციისაკენ. თითქოს თვალს გვიკრავს – აბა, ჰე, გასინჯე! აი, რა იზიდავს სავაჭრო მარკისკენ კლიენტს და ვასალების ბაზარს.

#### 1.46. პატარა ფირმის ცხრა ღირსება

დამწყებმა მენარმემ ზუსტად უნდა წარმოიდგინოს პატარა ფირმის ძირითადი ღირსებები, რათა გაითვალისწინოს ისინი თავისი კომპანიის შექმნისა და შემდგომი განვითარების დროს.

##### 1. მოქმედების დამოუკიდებლობა

პატარა ფირმების უმეტესობაში მმართველობითი იერარქია არ არსებობს, რაც ენერგიული და ინიციატივითი მენარმის ქმედებებს თავისუფლებას ანიჭებს.

##### 2. უფრო მოხერხებული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა

დიდ კორპორაციებთან შედარებით, პატარა ბიზნესში უფრო გამარტივებულია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სტრუქტურა, ეს შესაძლებელს ხდის უფრო სწრაფად მოახდინოთ ზეგავლენა ნებისმიერ ცვლილებაზე.

##### 3. ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია

პატარა ბიზნესს იდეალური შესაძლებლობა აქვს შეინახოს ადგილობრივი ბაზრისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები.

4. უფრო დაბალი ხარჯები

ხელფასების შედარებით უფრო პატარა ფონდი, პატარა ინვესტიციები და დაბალი მმართველობითი ხარჯები.

5. სწრაფი მატერიალური აღმშენებლის შანსი

ერთდროულად ხელფასისა და ყველანაირი დივიდენდის მიღება ბიზნესისაგან.

6. გრძელვადიანი მოგება

თუ საქმე წარმატებით მიდის, მენარმეს ნებისმიერ დროს შეუძლია ძალიან ადვილად და მომგებიანად გაყიდოს საკუთარი ბიზნესი.

7. რამდენიმე პროფესიის შეთავსება

ბევრ მენარმეს ურჩევნია იყოს რამდენიმე საქმის ერთდროული შემსრულებელი (მენეჯერი, ფინანსისტი, მარკეტოლოგი...)

8. უპირატესობა სპეციფიკურ ან პერსონალურ ბაზარზე

ბაზარზე არსებული უფრო დიდი კონკურენტები, ხშირად შეზღუდული არიან თავიანთ მოქმედებებში. პატარა ბიზნესი ამ საკითხში უფრო მოხერხებულია, მით უმეტეს, როცა ბაზარს ახასიათებს სეზონურობა ან სპეციფიკური თვისებები.

9. მწარმოებლური სულისკვეთების შენარჩუნება

პატარა ფირმებში უფრო მკაფიოდ იჩენენ თავს ინოვაციები და მწარმოებლური სულისკვეთება, რასაც ადასტურებს პატარა ფირმების დომინირება თანამედროვე ბაზარზე (ელექტროტექნიკა, კომპიუტერები და ა.შ.).

**1.47. რეზიუმე-შედეგებითი ანალიზი**

მთლიანობაში მცირე და საშუალო ბიზნესის სანარმო ჩვენს მიერ განხილული ალტერნატივებიდან ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით შეიძლება იყოს ორგანიზებულ-ლი, მაგრამ პრაქტიკაში ყველაზე მეტი მენარმე ირჩევს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და ინდივიდუალურ მენარმეობას. არჩევანის გასაადვილებლად გთავაზობთ თითოეული მათგანის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ჩამონათვალს.

**ინდივიდუალური მენარმის უპირატესობები:**

— საქმის დანაშაულის სიმარტივე — არ არის საჭირო წესდებისა და სხვა დოკუმენტების შექმნა. ბიზნესის დაფუძნება არ არის დაკავშირებული ფინანსურ დანახარჯებთან.

— სრული დამოუკიდებლობა გადანაწილებების მიღების დროს;

— მოქმედების კონფიდენციალობა;

— მოქნილობის მაღალი ხარისხი;

— საგადასახადო ანგარიშგების სიმარტივე;

— დაქირავებული მუშახელის არყოლის შემთხვევაში საქმიანობის გარკვეული კატეგორია განთავისუფლებულია გადასახადებისაგან;

— ოჯახის წევრთა დასაქმების მაღალი პროცენტი.

**ინდივიდუალური მენარმის ნაკლოვანებები:**

— კრედიტუნარიანობის დაბალი რეიტინგი, რაც აძნელებს სერიოზული კაპიტალის მოზიდვას;

— ბიზნესის წარუმატებლობის შემთხვევაში ინდემნარმე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს;

— ის მთლიანად და ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი მთელ საქმიანობაზე – ფირმის მართვაზე, მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან კავშირზე, მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობაზე, რაც სწორ შემთხვევაში არასაკმარისი ეფექტურობით ხორციელდება;

— მისი ბიზნესის წარმატება დიდადაა დამოკიდებული მის პიროვნულ თვისებებზე;

— ინდივიდუალური საწარმოს მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში ბიზნესი იურიდიულად წყვეტს არსებობას.

— ინდივიდუალური საწარმოს დასახელებაში აუცილებლად უნდა იყოს მისი სახელი და გვარი, რაც არასოლიდურ იმიჯს უქმნის მის ბიზნესს.

— ბიზნეს-სტრუქტურის არარსებობა.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს უპირატესობები**

— კრედიტის აღების ფართო შესაძლებლობები – მაღალი კრედიტუნარიანობა;

— მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დაქირავების შესაძლებლობა;

— დამფუძნებლების პასუხისმგებლობის შეზღუდვა მათი შენატანებით;

— მომხმარებლებისა და მომწოდებლებისათვის ბიზნესის ეს სამართლებრივი ფორმა უფრო სანდოა ინდივიდუალურ საწარმოსთან შედარებით.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს ნაკლებანებები:**

— საქმის დასაწყებად საზოგადოების დაფუძნების მაღალი ხარჯი;

— გადაწყვეტილების მისაღებად საზოგადოების პარტნიორებისათვის მეტი დრო და პროცედურებია საჭირო;

— საგადასახადო ანგარიშგება უფრო დიდ დროსა და ცოდნას მოითხოვს;

— მოქნილობის დაბალი ხარისხი.

#### **1.48 მარეგისტრირებადი საგადასახადო ორგანოების მისამართები:**

გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციისათვის/აღრიცხვისათვის, უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოებად განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრები:

ა) თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

ბ) ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

გ) რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

დ) ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

ე) ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

ვ) გორის საგადასახადო ინსპექცია;

ზ) თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

თ) ახალიციხის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

ი) ცხინვალის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

კ) აფხაზეთის საგადასახადო ინსპექცია;

ლ) გურჯინის საგადასახადო ინსპექცია;

მ) მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია (ახორციელებს მხოლოდ ცვლილებათა რეგისტრაციას და ამონაწერის გაცემას).

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური**

მისამართი: თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, 0105

საკონტაქტო ცენტრი ტელ. 077

e-mail: callcenter@mof.ge

**შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრები (საგადასახადო ინსპექციები):**

**თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)**

მისამართი: ქ. თბილისი, ბაღდათის №8, 0113

ტელ. 11 08 58

e-mail: tbilisitax@mof.ge

**აფხაზეთის საგადასახადო ინსპექცია**

მისამართი: ქ. თბილისი, გულუას №4

ტელ. (+995 32) 999326

e-mail: abkhaziatax@mof.ge

**ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)**

მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №ნა, 6000

ტელ. 8(222) 72090

e-mail: batumitax@mof.ge

**ახალციხის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)**

მისამართი: ქ. ახალციხე, პ. მიქუტიშვილის ქ. №1, 0800

ტელ. 8 (265) 2 15 44, 8 265 502 11

e-mail: akhaltsikhetax@mof.ge

**გორის საგადასახადო ინსპექცია**

მისამართი: ქ. გორი, სამეფოს №50, 1400

ტელ. 8 (270) 7 35 90, 433487.

e-mail: goritax@mof.ge

**თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)**

მისამართი: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №1, 2200.

ტელ. 8 (250) 7 15 37.

e-mail: telavitax@mof.ge

**რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)**

მისამართი: ქ. რუსთავი, მე-7ა მ/რ, 2, 3700

ტელ. 8 (24) 12 10 99

e-mail: rustavitax@mof.ge

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)**

მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, 4600

ტელ. 8 (231) 4 45 79

e-mail: kutaisitax@mof.ge

**ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)**

მისამართი: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №1, 4400.

ტელ. 8 (293) 2 07 01; 8 393 2 30 15

e-mail: potitax@mof.ge

**მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია**

მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის №30, 0180

ტელ. (+995 32) 69 83 03; (+995 32) 69 5562

e-mail: largetax@mof.ge

**ცხინვალის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)**

მისამართი: სოფელი ქურთა.

**გურიის საგადასახადო ინსპექცია**

მისამართი: ოზურგეთი, კოსტავას I



## **საქართველოს ნორმატიული აქტები**

### **საქართველოს კანონები:**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“;

საქართველოს კანონი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“;

საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

საქართველოს კანონი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“.

### **საქართველოს კანონმდებლური ნორმატიული აქტები:**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №419

2008 წლის 8 მაისი ქ. თბილისი

„გადასახადების გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/ალრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/ალრიცხვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №228

2005 წლის 7 აპრილი. ქ. თბილისი

„გადამხდელთა პირადი ალრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №149

2005 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

„ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების წესის და რეესტრის წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №477

2005 წლის 27 ივნისი ქ. თბილისი

„გადასახადის გადამხდელის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებული სტრუქტურული ცვლილებების თაობაზე საგადასახადო ორგანოში ცნობის წარმოდგენის წესის“ დამტკიცების შესახებ



# თავი II

## გაღასახალები







## თავი **II**

### ბადასახადები

*ამ უხორვაში უკლადეო განუსხდრელის სიკლილისა და ვადასახადების ვარდა.*  
**გვრანკლინი**

*ვაფრმახლოდის წერად-წერილ ხარკებს უკლანე სავარა ხერელსუ კი შექრდის*  
**შაქრის დადი კემა.**

**გვრანკლინი**

#### 2.1 ბადასახადების მოკლი ისტორია

გადასახადები არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ყველაზე ადრეულ საზოგადოებრივ მოთხოვნებთან. გადასახადები წარმოადგენენ საზოგადოებაში არსებულ ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებელ რგოლს და ძალზე ხშირად სახელმწიფოს შემოსავლებს ძირითად წყაროს.

საგადასახადო სისტემა სახელმწიფოს მხრიდან გამოიყენება საზოგადოებრივ წარმოებაზე ეკონომიკური ზემოქმედების მოსახდენად.

საზოგადოებრივი და სახელმწიფო მონყობის ფორმის ცვლილებას ყოველთვის თან სდევდა საგადასახადო სისტემის ცვლილება. ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა მალალი გადასახადები იწვევდა ხაზინაში შემოსავლების შემცირებას და პირიქით – როცა გადასახადების შემცირება იწვევდა ხაზინაში შემოსავლების ზრდას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეფექტი გამოწვეული იყო არსებულ პირობებში სახელმწიფოს კონკრეტული საგადასახადო პოლიტიკით. რუსი მოაზროვნე ნიკოლაი ტურგენევი, თავის ნაშრომში „გადასახადების თეორიის გამოცდილება“, 1818 წელს წერდა – „სულელური საგადასახადო სისტემები, როგორც ჩანს ისტორიიდან, იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პოლანდიელები გახდნენ დამოუკიდებლები ესპანეთისგან, შვეიცარიელები – ავსტრიისგან და ბოლოს კაზაკები – პოლონეთისგან. ინგლისის წინააღმდეგ მისი ჩრდილოამერიკული კოლონიების დაპირისპირებაში გადამწყვეტი გავლენა იქონია ქვეყნის გარეთ ვაჭრობის ფინანსური მართვის სულელურმა სისტემამ“. ის აღნიშნავდა, რომ სწორედ საგადასახადო და ფინანსური შეცდომები ხდებოდა საფუძველი რევოლუციების, აჯანყებებისა და სხვა საზოგადოებრივი უწყესრიგობისა.

საგადასახადო სისტემა წარმოიშვა და განვითარდა სახელმწიფოსთან ერთად. სახელმწიფოს ორგანიზაციის ყველაზე ადრეულ სტადიაში, საგადასახადო დაბეგერის ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ მსხვერპლშენიშვა, რომელიც ყოველთვის არ იყო ნებაყ-

ოფლობითი, არამედ წარმოდგენდა ერთგვარ დაუნერგელ კანონს. ძველი ალექსის მეორე რჯულის მეთოთხმეტე თავში ვკითხულობთ: „აიღე მეთაფი მთელი შენი მოსავლიდან, რომელიც ყოველწლიურად მოდის ყანაში... ხორბლის, ღვინის და ზეთის მეთაფი, შენი საქონლისა და ცხვრის პირველმოგებული, რათა ისწავლო უფლის, შენი ღმერთის შიში სამუდამოდ... ყოველი მეთაფი დედამინაზე ეკუთვნის ღმერთს“.

სახელმწიფოს განვითარების კვალდაკვალ ყალიბდებოდა ბიბლიური „ერთი მეთაფის“ მალალი საზოგადოების – ბატონების, თავადებისა და საეკლესიო წრის სასარგებლოდ ამოღების პრაქტიკა, რომელიც არსებობდა მრავალი ასწლეულის განმავლობაში, ძველი ეგვიპტიდან შუასაუკუნის ევროპამდე.

ძველ ეგვიპტეში და აღმოსავლეთის სხვა დესპოტიკებში გადასახადების ამოღება ხდებოდა მინით სარგებლობის საარენდო გადასახადის სახით. ადრეულ ფეოდალურ სახელმწიფოებში გადასახადი განიხილებოდა როგორც ხელმწიფოს ძღვენი, საჩუქარი. არ არის შემთხვევითი, რომ ინგლისში „გადასახადებისა“ და „საჩუქრის, ძღვენის“ განსაზღვრებები სინონიმები იყვნენ და გამოითქმებოდნენ ერთი სიტყვით „gift“, გერმანიაში კი გადასახადების განმარტება დაკავშირებული იყო სახელმწიფოს თხოვნასთან, გადაეხადათ გადასახადი. შემდგომში გადასახადს განიხილავდნენ, როგორც მოსახლეობის დახმარებას სახელმწიფოსადმი.

**ძველი საბერძნეთი. VII-VI საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე**

ქვეყნის „მამების“ მიერ შემოღებული იქნა გადასახადები შემოსავლების 1/10 ან 1/20 ოდენობით. ეს გადასახადები მიმართული იყო არმიის შესანახად, ეკლესიებისა და ხიდების ასაშენებლად. ათენში ითვლებოდა, რომ თავისუფალ მოქალაქეს არ უნდა გადაეხადა გადასახადი, სხვა საქმე იყო – ნებაყოფლობითი შესანიერი. მაგრამ როცა ქვეყნისთვის დიდი ხარჯები იყო საჭირო, საბჭო ან ქალაქის სახალხო კრება ადგენდა შემოსავლებიდან პროცენტულ გადასახადებს.

**ძველი რომი. IV-I საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე**

თანამედროვე სახელმწიფოს ბევრი ნიშან-თვისებები ჩაისახა სწორედ ძველ რომში. მშვიდობიან დროს მოქალაქეები არ იხდიდნენ გადასახადებს. სახელმწიფოს და ქალაქის მართვის ხარჯები იყო მინიმალური. არჩეული მაგისტრები თავიანთ ფუნქციას ასრულებდნენ ანაზღაურების გარეშე, ხშირად საკუთარი სახსრების გამოყენებითაც, რადგან ეს საქმე საკმაოდ დიდ პატივად მიიჩნეოდა იმდროინდელ საზოგადოებაში.

ხარჯების მთავარ სტატიად „ბიუჯეტში“ მიიჩნეოდა საზოგადოებრივი შენობების მშენებლობა, რომლის თანხებიც იფარებოდა მიწების იჯარით, გაცემიდან მიღებული შემოსავლებით. მაგრამ ომიანობის დროს რომის მოქალაქეები იბეგრებოდნენ გადასახადებით შემოსავლების ოდენობის მიხედვით. გადასახადების ჯამი განისაზღვრებოდა ყოველ 5 წელიწადში არჩეული ჩინოვნიკების – ცენზორების მიერ. რომის მოქალაქეები ცენზორებს წარუდგენდნენ განცხადებებს თავიანთი ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ამგვარად ეყრებოდა საფუძველი შემოსავლების შესახებ დეკლარაციებს.

IV-III საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომის სახელმწიფო იზრდებოდა სხვადასხვა ქალაქ-კოლონიების შემოერთების ხარჯზე. შესაბამისად ხდებოდა ცვლილე-

ბები საგადასახადო სამართალში. კოლონიებში ხდებოდა კომუნალური გადასახადების შემოღება. ამ შემთხვევაშიც გადასახადების ოდენობა დგინდებოდა შემოსავლიდან გამომდინარე ხუთ წელსადაც ერთხელ. რომის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობდნენ რომის ფარგლებს გარეთ, იხდიდნენ როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ გადასახადებს. ომში გამარჯვების შემთხვევაში ხდებოდა გადასახადების შემცირება ან საერთოდ გაუქმება. აუცილებელი თანხების მობილიზაცია კი ხდებოდა დაპყრობილი მიწების კონტრიბუციის გზით. რომის ფარგლებს გარეთ მცხოვრებლებს კი კომუნალური გადასახადების გადახდა უხდებოდათ მუდმივად.

რომი დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა იმპერიად, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროვინციები, რომელთა მცხოვრებლები არ სარგებლობდნენ მოქალაქის უფლებებით. ისინი ვალდებული იყვნენ გადაეხადათ გადასახადები, რაც ფაქტიურად ამტკიცებდა მათ დამოკიდებულებას რომზე. ამასთან ერთიანი საგადასახადო სისტემა არ არსებობდა. ის ქალაქები და მიწები, რომლებიც ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ რომის ლეგიონერებს, უფრო მაღალ გადასახადებს იხდიდნენ. ამასთან, რომის ადმინისტრაცია ხშირად უცვლელად ტოვებდა ადგილობრივ საგადასახადო სისტემას. ასე იყო, მაგალითად, სიცილიაში, როცა ის ჩვ. წ. 227 წელს გახდა რომის პროვინცია. რომის ისეთ პროვინციებში, როგორც იყო ესპანეთი და მაკედონია, მნიშვნელოვანი იყო მოპოვებული ბუნებრივი სიმდიდრეების მებათედი ნაწილი. ძველ რომში ძირითადი გადასახადი იყო მიწის გადასახადი. არსებობდა არაპირდაპირი გადასახადებიც – ბრუნვიდან, მემკვიდრეობიდან და ა.შ.

ბრუნვიდან გადასახადი შეადგენდა 1%-ს. განსაკუთრებული გადასახადი ბრუნვიდან მონებით ვაჭრობის შემთხვევაში შეადგენდა 4%-ს, ხოლო გადასახადი ბრუნვიდან მონების გათავისუფლების შემთხვევაში 5% მონების ღირებულებიდან. მემკვიდრეობის გადასახადით იბეგრებოდნენ მხოლოდ რომის მოქალაქეები. ეს გადასახადი მიზნობრივად ემსახურებოდა პროფესიული ჯარისკაცების საპენსიო უზრუნველყოფას. გადასახადების რაოდენობა ძველ რომში რაოდენობრივად 2000-ზე მეტს შეადგენდა. ზემოთაღნიშნულის გარდა არსებობდა გადასახადი: ლეიონზე, ხორბალზე, საპონზე, საქონლის შეტანისა და გატანის მოსაკრებელი, ძველების დადგმის მოსაკრებელი ბინის გადასახადი, აბანოების შესანახი გადასახადი, მოსაკრებელი გადასახადების ამკრეფთათვის, ციხის შენახვის მოსაკრებელი და სხვა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცნობილი აფორიზმი „ფულს სუნი არ ასდის“, გადასახადებთანაა დაკავშირებული. ეს ფრაზა წარმოსთქვა რომის იმპერატორმა, ტიტუს ფლავიუს ვესპასიანემ (9-79 წწ.), რომელმაც შემოიღო გადასახადი ტრულეტებით სარგებლობისათვის და სწორედ ასეთი პასუხი გასცა შეკითხვაზე – რატომ იღებ გადასახადს ამისათვის?

### ბიზანტია

ძველი რომის მრავალი სამეურნეო ტრადიციები ესტაფეტის სახით მიიღო ბიზანტიამ. ადრებიზანტიურ ეპოქაში არსებობდა პირდაპირი გადასახადების 21 სახე (მინის, არმიის აღჭურვის გადასახადი, საქონლის გაყიდვის ბაჟი (10-12,5%), ჯარის აღჭურვის გადასახადი, ცხენების ყიდვის გადასახადი).

ფართოდ გამოიყენებოდა ბიზანტიაში საგანგებო გადასახადები: ფლოტის მშენებლობისთვის, არმიის შენახვის და ა.შ. თუ მშენებარე შენობა გადააჭარბებდა დად-

გენილ ზომებს, ხდებოდა ჯარიმის გადახდა, რომელსაც ეწოდებოდა „ჰაერის გადასახადი“. განსაკუთრებულ გადასახადებს იხდიდნენ სენატორები, ასევე ჩინოვნიკები და სამხედროები, რომლებსაც აწინაურებდნენ. გადასახადების სიმრავლეს არ გამოუწვევია ბიზანტიის ფინანსური აყვავება. პირიქით, ზედმეტმა საგადასახადო ტვირთმა გამოიწვია საგადასახადო ბაზის შემცირება, რომელიც საფუძვლად დაედო ფინანსურ კრიზისს და სახელმწიფოს ძლიერების შემცირებას.

**ევროპა. XVI-XVII საუკუნეები**

თანამედროვე სახელმწიფოს მოდელი ახალი ისტორიის ადრეულ პერიოდში XVI-XVII საუკუნეებში გამოჩნდა ევროპაში. ეს სახელმწიფო ჯერ კიდევ არ ფლობდა გადასახადების თეორიას. პრაქტიკულად არ არსებობდა მუდმივი გადასახადები, ამიტომ პარლამენტები პერიოდულად აძლევდნენ უფლებას მმართველებს შემოეღოთ განსაკუთრებული გადასახადები საგანგებო სიტუაციების დროს. გადასახადის გადამხდელებად გვევლინებოდნენ ადამიანები, რომლებიც წარმოადგენდნენ სოფლის მცხოვრებლებსა და არა თავადაზნაურობის წრეს. შემოსული თანხების აკუმულირება ხდებოდა სამეფო ან სათავადო ხაზინაში. საგადასახადო დაბეგვრისას სამართლიანობის პრობლემა იმ დროს სერიოზული განსჯის საგანი გახლდათ. ინგლისელი ფილოსოფოსი ვ. ბეკონი (1561-1625) წელს გამოცემულ ნიგში «ცდები ანუ ზნეობრივი და პოლიტიკური დამოძღვრა» წერდა: «გადასახადები, რომლის ამოღება ხდება ხალხის ნებართვით, არც თუ ისე ასუსტებს მის ვაჟკაცობას. ამის მაგალითად შეიძლება გამოვსვათ მოსაკრებლები ნიდერლანდებში და ცნობილი სუბსიდიები ინგლისში. შევნიშნავ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია არა საფულეზე, არამედ გულზე. გადასახადების ამოღება ხალხის ნების ან მის გარეშე, შეიძლება იყოს სულერთი საფულესათვის, მაგრამ არ არის სულერთი მათი მოქმედება ხალხის სულზე».

მხოლოდ მე-17 საუკუნის ბოლოს, მე-18 საუკუნის დასაწყისში ევროპის ქვეყნებში დაიწყო ადმინისტრაციული სახელმწიფოების ფორმირება, რომელმაც ჩამოაყალიბა ჩინოვნიკური აპარატი და საკმარისად მწყობრი და რაციონალური საგადასახადო სისტემა, რომელიც შედგებოდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისაგან.

ინგლისში 1215 წელს «თავისუფლების დიდ ქარტიამ» პირველად დაფიქსირებული აზრი, რომ გადასახადები შემოღებული უნდა იქნეს მხოლოდ ხალხის ნებართვით, გამეორებულ იქნა და 1689 წელს უფლებების ბილმა საბოლოოდ დააფიქსირა ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების უფლება, დაემტკიცებინა ყველა ხარჯი და შემოსავალი. საფრანგეთში პარლამენტმა დაიწყო ბიუჯეტისა და გადასახადების დამტკიცება მხოლოდ 1791 წელს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ. მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ გადასახადი შეიცავს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სამართლებრივ შინაარსსაც. სწორედ ამ პერიოდში გადასახადი იქცა მოქალაქეების იურიდიულ პასუხისმგებლობად სახელმწიფოს წინაშე. ინგლისურ ენაში დღემდე ზოგიერთ გადასახადს უწოდებენ duty ე.წ. ვალს, მოვალეობას. ფრანგულ ენაში impot, გერმანულ ენაში steuer – მხარდაჭერას.

**XVIII-XIX საუკუნეები**

მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული იქმნებოდა საგადასახადო დაბეგვრის

თეორია. მის ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ შოტლანდიელი ეკონომისტი, ადამ სმიტი. 1776 წელს მის მიერ გამოცემულ ნიგნში „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ შეიძლება გამოვყოთ ძირითადი პრინციპები:

1. სამართლიანობის პრინციპი – ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს ხარჯების დაფინანსებაში, თავისი შემოსავლისა და შესაძლებლობის შესაბამისად.

2. განსაზღვრულობის პრინციპი – შენატანის თანხა, საშუალება, დრო ნინასწარ უნდა იყოს ცნობილი გადასახადის გადამხდელისათვის.

3. მოხერხებულობის პრინციპი – გადასახადი უნდა აიკრიფოს ისეთ დროს და ისეთი საშუალებით, რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელია გადამხდელისათვის.

4. ეკონომიის პრინციპი – გადასახადის აკრეფასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე თვით საგადასახადო შენატანები.

ადამ სმიტის აღნიშნულ ნაშრომს „გადამხდელის უფლებების დეკლარაცია“ ეწოდა. აღნიშნული პერიოდი აღსავსე იყო ბურჟუაზიული რევოლუციებით, რომელიც დაიწყო ნიდერლანდებში და გაგრძელდა ინგლისში. ევროპაში ხდებოდა მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, ყალიბდებოდა იურიდიული თანასწორობა მოქალაქეთა შორის. სახელმწიფო წყობის ლიბერალური გარდაქმნები ევროპის უმრავლეს სახელმწიფოებში იწვევდა საგადასახადო დაბეგვრის სამართლებრივი საკითხების ფორმირებას. ევროპის სახელმწიფოები ხელს უწყობდნენ „საგადასახადო იდეოლოგიას“ განვითარებას, რომელიც მიმართული იყო საგადასახადო დაბეგვრის საყოველთაობის თეორიული საფუძვლების დამუშავებასთან.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გადასახადების რიცხვი მცირდებოდა და პარალელურად დიდი ყურადღება ექცეოდა მათი შემოღებისა და ამოღების იურიდიულ ფორმებს. თანდათან ხდებოდა საგადასახადო დაბეგვრისა და მეთოდის სამეცნიერო თეორიული შეხედულებების ფორმირება. არც ერთმა ეკონომიკურმა სკოლამ და ფინანსურმა თეორიამ არ დატოვა უყურადღებოდ სახელმწიფო ფინანსებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხები. ისტორიის ამ ეტაპზე მრავალმა სახელმწიფომ შეძლო სამეცნიერო ნაშრომებში არსებული საგადასახადო თეორიების პრაქტიკული ხორცმცხმვა.

## XX-XXI საუკუნეები

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ბევრი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საგადასახადო რეფორმები ეფუძნებოდა საგადასახადო დაბეგვრის სამეცნიერო პრინციპებს. სწორედ ამ დროს, უმრავლეს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე საგადასახადო სისტემების კონსტრუქციას, მაგრამ მთლიანობაში მისაღები საგადასახადო სისტემის ფორმირება არ მოხერხდა. ამიტომ მეორე მსოფლიოს შემდგომი პერიოდი, ეს არის დაუშვარებელი საგადასახადო რეფორმების ისტორიის პერიოდი, რომელიც მიმართულია პირდაპირ და ირიბი საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმალური თანაფარდობის ძიებისკენ, საგადასახადო ტვირთის, საგადასახადო შეღავათებისა და მთლიანად ეკონომიკაზე საგადასახადო გავლენის ხარისხის განსაზღვრისკენ.

მე-20 და 21-ე საუკუნეების გზაგასაყარზე ევროპაში დაიწყო ევროკავშირის საგადასახადო სისტემის ფორმირება.

### გადასახადების ისტორია საქართველოში

საქართველოში მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების მსგავსად გადასახადებს საფუძველი სახელმწიფოს წარმოშობისთანავე ჩაეყარა. თუმცა ზოგიერთი მოსაზრებით (თამარ თარაშვილი „გადასახადები ძველ საქართველოში“, ჟურნალი „გადასახადები“ №18-19, 2000 წ.), საქართველოში გადასახადების ისტორია სულ ცოტა 4000 წელს ითვლის.

საქართველოს შესახებ ძველ აღმოსავლურ წყაროებში არსებული მონაცემები საშუალებას ვაძლევინ ვამტკიცოთ, რომ ამ დროისათვის საქართველოში (ძვ.წ. XIII-VIII საუკუნეებში) გადასახადები ნამდვილად არსებობდა. ასურეთისა და ურარტუს მეფეები პირველ ქართულ სახელმწიფოებს – დიაოხსა და კოლხას ხარჯის სახით ართმევდნენ პირუტყვსა და ლითონებს. მაგალითად, ურარტუელებმა აიძულეს დიაოხის მეფე გადაეხადა 41 მინა ოქრო, 37 მინა ვერცხლი, ათეულ ათასობით მინა სპილენძი (მინა 0,51 კგ), 1000 ცხენი, 300 ძროხა. ცხადია, ეს ყველაფერი სამეფო მეურნეობაში არ ინარმოებოდა, არამედ გადასახადების სახით იკრიბებოდა მთელს ქვეყანაში. არცთუ იშვიათად დამპყრობელთა ხარჯის გასასტუმრებლად შემოღებული გადასახადები ქვეყნის გათავისუფლების შემდეგაც ძალაში რჩებოდა. ასე მოხდა საქართველოში მონღოლთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ. მაგალითად „ულაყის“ გადასახადი იქცა სამეფო გადასახადად. აღსანიშნავია ისიც, რომ გადასახადების აღმნიშვნელ ცნებად საქართველოში უცხოური ენებიდან ნასესხები სიტყვები გამოიყენებოდა. ძირითადი გადასახადების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ირანულიდან ნასესხები „ბეგარა“ (ნიშნავს მუშას), „ხარკი“ (მინის გადასახადი).

VII საუკუნეში არაბებმა შემოიღეს საკომლო გადასახადი „ჯიხია“ – კომლზე ერთი დინარი, შემდგომში მას დავმატა არაბი მოხელეების სარგოდ განკუთვნილი გადასახადებიც. მაგალითად „სამამრო“, შემდგომში როცა „ამირის“ ნაცვლად შემოიღეს ტერმინი „მოურავი“, გადასახადსაც „სამოურავო“ ეწოდა. არაბულს საგადასახადო სისტემის მიხედვით მინის ნაყოფიერების მიხედვით გადასახადიც სამ განაკვეთად იყოფოდა.

მონღოლთა მიერ შემოღებულმა უამრავმა გადასახადებმა ბევრი ქართველი აიძულა უცხოეთში გაქცეულიყო. ამ გარემოების გამო, მონღოლებმა შეამცირეს გადასახადები – ყაზან-ყაენმა მოსახლეობას დაურთვა სპილენძის დაფები, რომლებზეც ამოჭრილი იყო, თუ რა გადასახადები რჩებოდა ქვეყანაში.

არაბულ და მონღოლურ გადასახადებს შემდგომში შეემატა ოსმალურ-ყიზილბაშური გადასახადები. უძველესი ძირითადი გადასახადი იყო „თავი-ბეგარა“ ან „მართალი ბეგარა“. მასში შედიოდა საკლავი, მარცვლეული და ღვინო, ძალაში რჩებოდა შრომითი ბეგარაც – გლეხს ბატონის მამულში წელიწადში 10-50 დღე უნდა ემუშავა. საბატონო გადასახადს წარმოადგენდა ასევე „ლალა“ და „კულუხი“ – პირველი მარცვლეულის, მეორე ღვინის გადასახადი იყო. ძირითადი სახელმწიფო გადასახადი სურსათი, კომლზე ორი კოდი ხორბალი და ერთი კოდი ქერი იყო. ამ გადასახადის ამკრეფი მოხელისათვის კი უნდა მიეცათ კომლზე ერთი ლიტრა მარცვლეული. „სამასპინძლო“ რეგულარული გადასახადი არ იყო. მოსახლეობას მისი გადახდა უნევდა მხოლოდ მაშინ, თუ იქ ჯარი, ამ მეფე გაივლიდა.

„სალეკო“, ლეკებისათვის მისაცემი ფულის გადასახადი იყო, რომელსაც ზოგჯერ ნატურითაც – მარცვლეულით იღებდნენ. ასეთივე გადასახადი იყო „სარუსო“, რომელ-

იც რუსთა ჯარის შესანახად იყო განკუთვნილი. 1780 წელს ერეკლე მეორეს მიერ შემოღებულ სახელმწიფო სესხს იხდიდნენ მხოლოდ შეძლებული პირები – კომლზე სამ თუმანს. ფულადი გადასახადი იყო აგრეთვე „მახტა“, რომელსაც იხდიდნენ ხორბლითაც. აულაყის“ გადასახადი ტვირთის გადატანას ნიშნავდა. ასეთივე იყო „ტიკისა“ და „ტომარის“ გადასახადი. პროდუქტების გადასატანად „ტიკი“ და „ტომარა“ თავად გადაამხდებდნენ უნდა ყოფილიყო.

სამეფო მიწის დასაბუშავებლად ალების შემთხვევაში იხდიდნენ „ლალას“ მოსავლის 1/10-ის ოდენობით.

„მალი“ იყო სულადობრივი გადასახადი ასაკის მიხედვით – 15-66 წლამდე. „საბალახე“ მონღოლური „ყაფჩური“ იხდიდნენ 100 სულ პირუტყვზე 1 სულს. მონღოლური წარმოშობისა იყო აგრეთვე ულუფა – „ძღვენი“ სხვადასხვა რანგის მოხელეებისათვის.

მოსახლეობას ევალებოდა აგრეთვე „ქეშეკის“ გამოყვანა, ანუ სამეფო ქონების ყარაულობა რიგრიგობით. არსებობდა კიდევ ერთი გადასახადი – „სატარულო“ (ირანული) – სამოურაო, კომლზე 6 შაური. იყო სხვა უამრავი წერილი, რეგულარული თუ დროებითი გადასახადი. ყოველწლიურად სპარსეთის მეფისათვის „ფეშქაში“ იგზავნებოდა. თბილისის მოსახლეობა ერთობლივად იხდიდა 100 თუმანს.

ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“, აღნიშნავს, რომ „...“ საჭურჭლე“ სახელმწიფო ხაზინას ერქვა. ისტორიკოსი ამბობს, როდესაც დაეით აღმაშენებელმა 1122 წელს ტფილისი ამირას წაართვა და დაიპყრო მან „ქალაქი ტფილისი“ დაუმკვიდრა შვილთა თავისთა საჭურჭლე და სახლად საუკუნოდო“. მეჭურჭლეთუხუცესს, ვითარცა ფინანსთა მინისტრს, რასაკვირველია განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. „ქარის გარიგებაც“ ადასტურებს „დიდი (ვაზირი) არის მეჭურჭლეთუხუცესი“. ლირსებით მეჭურჭლეთუხუცესი ვაზირთა უპირველესსა და მნივნივარეთუხუცესს გარდა, დანარჩენ ყველა ვაზირს უდრიდა... „საჭურჭლე“ სახელმწიფო ხაზინას ერქვა... ფული საქართველოში სახელმწიფო საჭურჭლეში ინახებოდა... სამეფო საჭურჭლეში... ინახებოდა ძვირფასი განძეულობა, თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი... საქართველოს სახელმწიფო საჭურჭლეში... მოხელეები მსახურობდნენ... განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „მუშრიბი“ – ეს სიტყვა არაბულია და ნიშნავს ზედამხედველს, მეთვალყურეს... სპარსეთში მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა, რაც კი სასახლეში და გარეთ ხდებოდა და როცა საჭირო იყო, მთავრობისთვის უნდა ეცნობებინა. „ქარის გარიგებით“ ჩანს, რომ საქართველოშიც მუშრიბი საფინანსო სამინისტროს, მეჭურჭლეთუხუცესის ქვეშეთი მოხელე ყოფილა და შემოსავლის განსაკუთრებული დარგი, ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ჰპარებია. სხვა იმდროინდელ ქვეყნებსავით საქართველოშიც განსაზღვრულ საქონელსა და საგნებზე, რაც კი ქალაქებში გასაყიდად და სახმარად შემოჰქონდათ, განსაკუთრებული გადასახადი, ბაჟი და სავაჭრო გადასახადი იყო დანესებული. ზოგი მათგანი ფულად იყო გადაკვეთილი, ზოგს საქონელზე სულადად იღებდნენ ხოლმე. აი ეს ქალაქთა ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ჰპარებია ქართულ მუშრიბს. რაკი ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ქალაქებში მუშრიბს ეკითხებოდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ „საკომრე“, ანუ სასასწორე გადასახადი მის ზედამხედველობას ექვემდებარებოდა. თუ სახელმწიფო გადასახადი „ხარაჯა“ პირდაპირ საჭურჭლეში შემოდიოდა, მაშინ „მოხარაჯენიც“ მეჭურჭლეთუხუცესის ქვეშეთი მოხელენი იქნებოდნენ“.

შუა საუკუნეების საქართველოში გადასახადის გადამხდელი იყვნენ გლეხები. ისინი სავალდებულო ბეგარას იხდიდნენ. მე-11 საუკუნის საქართველოში მეტად გავრცელებული იყო პატრონის თანხლება და ლაშქრობა.

ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით (ნ. ტალახაძე, ლ. გიგაური, მ. ნაცვალაძე, ეკონომიკის სახელმძღვანელო XI-XII კლასების მოსწავლეებისათვის, თბილისი, 2007). დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა იხდიდა გადასახადს – ხარკს, რომელსაც ნალაფევი ერქვა. გადასახადის ამკრეფნი მიმაგრებულნი იყვნენ სოფლებზე, საციხისთავოებზე და საერისთავოებზე, რათა მოსახლეობისაგან ხარკი აევგროვებინათ.

გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული იყო გადასახადის ისეთი სახე, როგორიცაა შრომამიგებითი რენტა („მინის“, როგორც ნარმოების ფაქტორის სარგებლობისათვის დაწესებული საზღაური), რომელიც მებატონის სასარგებლოდ გლეხის შრომას გულისხმობდა იმ ოდენობით, რასაც მებატონე მოითხოვდა. მასში შედიოდა: მცენარეთა დათესვა, დამუშავება, მორწყვა, მოსავლის აღება, სამშენებლო საქმიანობა, შეშის დამზადება და ა.შ. ასევე გავრცელებული იყო გადასახადის გადახდა „რენტა“ – პროდუქტებით. იგი გულისხმობდა მებატონისათვის პირუტყვის ნივთით გადასახადს. გლეხი ფულად გადასახადსაც იხდიდა, მას მებატონისათვის ფული უნდა გადაეხადა ქორნილის შემთხვევაში, ქვრივთან დაქორწინების შემთხვევაში კი – საქერივო. გლეხს ქალიშვილის გათხოვებისას საჩქემე გადასახადი უნდა გადაეხადა, ხოლო მებატონის სიკვდილის შემთხვევაში შესანიირი გაეღო.

მე-18 საუკუნის დასასრულისათვის გავრცელდა ისეთი გადასახადები, როგორიცაა:

**სურსათის გადასახადი** – იკრიბებოდა ომების დროს ჯარის გამოსაკვებად. გადასახადს იხდიდა, როგორც სახელმწიფო, ისე საბატონო და საეკლესიო გლეხები. სურსათის გადასახადიდან ძირითადი ხორბალი და ქერი იყო. გადასახადის აკრეფა წელიწადში ერთხელ მელიქევეს ევალებოდათ. საქართველოს მთის მოსახლეობა ამ გადასახადებისაგან გათავისუფლებული იყო.

**კოდის პური** – ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი გადასახადი იყო. წელიწადში კომლზე დადგენილი იყო 4 კოდი (შეესაბამება 10 ლიტრს) პურის გადახდა.

**საბალახე გადასახადი** – იკრიბებოდა აგრეთვე ხაზინის შესავსებად. მისი გადამხდელი იყო ის, ვინც საძოვარს იყენებდა. იბეგრებოდა საქონლის ემპატრონეც. საქონლის რაოდენობა აღირიცხებოდა სპეციალურ დავთარში და გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო ყოველ 100 ცხვარზე 2 ცხვარი და ერთი ბატკანი გადაეხადა.

**შევარდენი** – ძალზე ორიგინალური გადასახადი იყო. იგი უფრო მომსახურებითი ფორმის გადასახადს წარმოადგენდა. კერძოდ, სოფელს მიზარებული ჰქონდა მეფის შევარდენების ბუდეები და გლეხს მათი მოვლა, ხოლო ზოგიერთ სოფელს – მეფისათვის შევარდენების მირთმევა ევალებოდა.

მე-19 საუკუნის შუა პერიოდისათვის შემოღებულ იქნა ახალი სახის გადასახადები, ე.წ. საპოლიციო გადასახადი, რომელიც დღევანდელი ქონების გადასახადს უფრო ჰგავს. ამ გადასახადით იბეგრებოდა ქ. თბილისში არსებული შენობები, სავაჭრო და სახელოსნო ფარები. ამავე პერიოდში დაწესდა უძრავი ქონების გადასახადი, რომლისათვის იბეგრებოდა უძრავი ქონება – მათ შორის შენობა. გადასახადის სიდიდე დამოკიდებული იყო უძრავი ქონების გამოყენებით მიღებულ შემოსავალზე.

ამ პერიოდში ასევე არსებობდა ვაჭრობის გადასახადი, გადასახადი დაქირავე-



ბულებისათვის, რომელსაც ახდენენ დაქირავებულ შინამოსამსახურებსა და მუშებს, ფულადი ფორმით. ასევე არსებობდა მოსაკრებელი მესაკლავეობაზე, ანუ გადასახადი პირუტყვზე, რაც ქალაქში დასაკლავად ჩამორეკილ თითოეულ სულ პირუტყვზე ფულადი გადასახადის გადახდას გულისხმობდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში (1918-1921) სახელმწიფომ საკუთარი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება ვერ მოასწრო და გადასახადების აკრეფა უკვე დამკვიდრებული საგადასახადო სისტემისა და წესების მიხედვით ხდებოდა. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქვეყანას საგადასახადო კანონმდებლობა არ ჰქონია და მოქმედებდა სსრკ (საბჭოთა კავშირი) დადგენილი გადასახადები. მაგრამ მთლიანობაში საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად აკრძალული კერძო საკუთრების პირობებში გადასახადები შეცვლილი იყო ანარიცხებითა და ტრანსფერტებით, რომელთა ამოღება ხდებოდა ისევ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებიდან.

1991 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო საგადასახადო სისტემის ფორმირება. 1997 წლამდე საგადასახადო სამართლებრივი სივრცე განისაზღვრებოდა სხვადასხვა კანონებით, რომელიც 1997 წლის 13 ივნისს მიღებულმა საქართველოს პირველმა საგადასახადო კოდექსმა შეცვალა. ამ კოდექსით შემოიღეს 13 საერთო სახელმწიფოებრივი და 6 ადგილობრივი გადასახადი. არსებობის თითქმის 8-წლიან პერიოდში საგადასახადო კოდექსში უამრავი დამატება და ცვლილება იქნა შეტანილი.

2004 წლის 24 დეკემბერს მიიღეს საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. საგულისხმოა, რომ ახალი საგადასახადო კოდექსით შემცირდა, როგორც გადასახადების რაოდენობა, ასევე ცალკეული გადასახადის განაკვეთები. მიუხედავად საგადასახადო კოდექსის მიღებიდან გასული მცირე პერიოდისა, მასში საკმაოდ ბევრი ცვლილებებია შეტანილი, რაც რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნისათვის სრულიად ბუნებრივია.

## 2.2 გადასახადების თეორიული პრინციპები

საგადასახადო თეორია – ეს არის მეცნიერული ცოდნის სისტემა გადასახადების არსსა და ბუნებაზე, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საქმეში მათ როლსა და მნიშვნელობაზე. საგადასახადო თეორიები წარმოადგენს სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის მშენებლობის მოდელს, რომელთა კლასიფიკაცია ხდება ზოგად და კერძო საგადასახადო თეორიებად.

ზოგად საგადასახადო თეორიას მიეკუთვნება სწავლებები, რომლებიც ასახავენ საგადასახადო დაბეგვრას მთლიანობაში, და განმარტავენ გადასახადის საფუძველს და ახდენენ მისი ეკონომიკური არსის არგუმენტაციას. ზოგად საგადასახადო თეორიებს მიეკუთვნება:

□ **გაცვლის თეორია** – თეორია, რომელიც ეფუძნება სახელშეკრულებო ურთიერთობებს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის და გულისხმობს ამ უკანასკნელთა მხრიდან სახელმწიფოსაგან სამხედრო და იურიდიული დაცვის „ყიდვას“.

□ **ატომისტიკური თეორია** – გაცვლის თეორიის მსგავსია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადის გადახდის სანაცვლოდ მოქალაქე სახელმწიფოსგან იღებს მომსახურებას მისი პირადი უსაფრთხოებისა და ქონების დაცვის საქმეში, როგორც შიგა, ასევე გარეშე მტრებისაგან.

□ **გადასახადის, როგორც სადაზღვევო პრემიის თეორია**. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადი გათანაბრებულია სადაზღვევო გადასახადთან. გადასახადის გადამხდელი „აზღვევს“ თავის ქონებას სხვადასხვა საგანგებო სიტუაციებისაგან თავისი შემოსავლისა და ქონების პროპორციულად. ამ შემთხვევაში საზოგადოება ქმნის სპეციფიკურ „სადაზღვევო კომპანიას“, რომელიც იმით კი არ არის დაკავებული, რომ დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი, არამედ ზარალის დადგომის პრევენციას აკეთებს.

□ **გადასახადების კლასიკური თეორია**. აღნიშნული თეორიის მიხედვით, რომელსაც აგრეთვე „საგადასახადო ნეიტრალიტეტის თეორიასაც“ ეძახიან, გადასახადები განხილულია სახელმწიფო შემოსავლების ერთ-ერთ სახედ, რომლებმაც უნდა დაფარონ სახელმწიფოს შესანახად საჭირო ხარჯები, მაგრამ აქ გულისხმობენ მხოლოდ საზოგადოებრივი თავდაცვისა და ხელისუფალთა შენახვის ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯები უნდა ფინანსდებოდეს სპეციალური მოსაკრებლებით, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ ეკვივალენტური შინაარსი და მათი გადახდა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ამ მომსახურებით დაინტერესებული პირების მიერ.

□ **მსხვერპლის თეორია**. ამ თეორიის მიხედვით, მოქალაქეები გადასახადის გადახდის დროს დაკავებული არიან „მსხვერპლშენივით“. სახელმწიფო წარმოადგენს რა, იძულებით ორგანოს, განსაზღვრავს გადასახადის არსს, როგორც აუცილებელ შესაწირს. გადასახადი – ეს არის შემოსავლის წყარო სახელმწიფოსთვის, რომელიც წარ-

მოადგენს მოქალაქეთა შესანიშნავ საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

□ **საზოგადოებრივი მოთხოვნების თეორია.** ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფო უნდა ასრულებდეს ეკონომიკურ ფუნქციებს. ასეთი სახის ხარჯების წყარო უნდა იყოს გადასახადები. გადასახადები არ არის საზოგადოებისთვის დანაკლისი, არამედ ისინი ატარებენ საზოგადოებისთვის საჭირო მომსახურების საფასურს.

□ **კეინსური თეორია.** ამ თეორიის მიხედვით გადასახადები არის ეკონომიკის რეგულირების მთავარი ბერკეტი, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტი. კეინსის მიხედვით არსებობს ორი მთავარი მაკროეკონომიკური საგადასახადო რეგულატორი.

- საგადასახადო დაბეგვრის პროგრესული განაკვეთი;
- გადასახადი, როგორც საბანკო კრედიტის განაკვეთის ანალოგი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ეკონომიკა „გადახურებულა“ და საჭიროა მისი განვითარების „დამუხრუჭება“, არაპროპორციულად იზრდება საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთები, უფრო „ძვირი“ ხდება საბანკო კრედიტები, ეს კი საშუალებას იძლევა საქონლისა და მომსახურების ნარმოების სფეროდან ამოღებულ იქნეს საინვესტიციო რესურსები. მთლიანობაში „ეფექტური მოთხოვნის“ იდეამ შესაძლებელი გახადა გადასახადების დაკავშირება ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან, როგორიცაა ეკონომიკური შემოსავალი, დაგროვებისა და მოხმარების ფონდები და ა.შ.

□ **მონეტარიზმის თეორია.** ამ თეორიის არსი ის არის, რომ გადასახადები ზემოქმედებენ მიმოქცევაზე, გადასახადების წყალობით შესაძლებელია ფულის ზედმეტი მასის მიმოქცევიდან ამოღება, რაც ამცირებს ეკონომიკის განვითარების არასახარბიელო ფაქტორებს.

□ **მოთხოვნის ეკონომიკის თეორია** გადასახადებს განიხილავს როგორც ეკონომიკის განვითარებისა და რეგულირების მთავარ ფაქტორს. ის გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ მაღალი საგადასახადო დაბეგვრა უარყოფითად მოქმედებს სამეწარმეო და საინვესტიციო საქმიანობაზე, რაც თავისთავად იწვევს გადახდილი გადასახადების შემცირებას. საგადასახადო ტვირთის შემცირება იწვევს ეკონომიკურ ზრდას.

ახლა განვიხილოთ კერძო საგადასახადო თეორიები. ამ თეორიებს მიეკუთვნება ის სწავლებები, რომლებშიც გამოკვლეულია საგადასახადო დაბეგვრის ცალკეული პრობლემები. ასეთ თეორიებს განეკუთვნება:

□ **პირდაპირი და ირიბი დაბეგვრის ფარდობითობის თეორია**, რომლის არსი ის არის, რომ გამოიკვლიოს პირდაპირი და ირიბი დაბეგვრის გავლენა საგადასახადო სისტემის დაბალანსებაზე. ირიბი გადასახადების საფუძველზე ყალიბდება უფრო სამართლიანი საგადასახადო დაბეგვრის სისტემა, რადგან გადასახადები ეფუძნება არა შემოსავალს, არამედ ხარჯს, შესაბამისად ვინც მეტს მოიხმარს, უფრო მეტს გადაიხდის.

□ **ერთიანი გადასახადის თეორია.** უნდა აღინიშნოს, რომ ეს იდეა სხვადასხვა დროს ძალზე პოპულარული იყო. ზოგიერთი მისი აპოლოგეტი ერთიან გადასახადში ხედავდა ყველა პრობლემის გადაჭრის პანაცეას – სიღარიბის აღმოფხვრის, ხელფასის გაზრდის, ნარმოების გაზრდის ჩათვლითაც კი. უნდა აღინიშნოს, რომ თეორიულად ერთიანი გადასახადის ამოღება უფრო მარტივი და რაციონალურია, ვიდრე ბევრი სხვადასხვა გადასახადებისა. მაგრამ სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკამ

ბევრჯერ დაამტკიცა ასეთი მიდგომის იდეალისტური ხასიათი. ცხადია, რომ ერთიანი გადასახადის პირობებში ირღვევა საგადასახადო სისტემის ელასტიკურობის პრინციპი, აღარ არსებობს საშუალება საგადასახადო ტვირთის გადანაწილებისა გადასახადის გადამხდელეებზე. სუფთა სახით ეს თეორია საკმაოდ უტოპიურია და პრაქტიკულად გამოუსადეგარია, მაგრამ სხვა სისტემებთან ერთად მას შეუძლია დადებითი როლის შესრულება.


□ პროპორციული და პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის თეორია. პროპორციული საგადასახადო დაბეგვრის იდეის თანახმად საგადასახადო განაკვეთები უნდა დგინდებოდეს, როგორც გადასახადის გადამხდელის შემოსავლებიდან (განურჩევლად მათი სიდიდისა) გადასახდელი ერთიანი პროცენტი. პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის თეორიის მიხედვით, საგადასახადო განაკვეთები იზრდება გადასახადის გადამხდელის შემოსავლების ზრდის პროპორციულად. თუ პირველ შემთხვევაში იდეის მხარდამჭერები საზოგადოების ყველაზე შეძლებული ფენების წარმომადგენლები იყვნენ, მეორე შემთხვევაში იდეის მომხრეები იხრებოდნენ იქით, რომ პროგრესული საგადასახადო დაბეგვრა უფრო სამართლიანია სოციალური ასპექტით, რადგან ამსუბუქებს უთანასწორობას და საშუალებას იძლევა გადასახადების საშუალებით შემოსავლების გადანაწილებისა.

△ გადასახადების გადამისამართების თეორია. ამ თეორიის მიხედვით, საგადასახადო ტვირთის გადანაწილება სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის შესაძლებელია მხოლოდ გაცვლის პროცესში. გაცვლის შედეგია სწორედ საქონელზე ფასის ფორმირება, რომელშიც უკვე დევს გადასახადების ოდენობა. ე.ი. პირს, რომელიც იურიდიულად წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს, შეუძლია „გადაამისამართოს გადასახადის ტვირთი“ სხვა პირზე – გადასახადის მატარებელზე, რომელიც საბოლოოდ გახდება გადასახადით დაბეგვრის ტვირთის მატარებელი. არსებობს გადასახადების „გადამისამართების“ ორი სახე – ეს არის გამყიდველიდან მყიდველზე და მყიდველიდან გამყიდველზე. აღსანიშნავია, რომ არა მარტო ირიბი, არამედ ზოგიერთი პირდაპირი გადასახადების გადამისამართების პრობლემა დღემდე გადანყვეტილი არ არის.

თანამედროვე მსოფლიოში გადასახადების როლი განუზომლად იზრდება და საზოგადოების დამოკიდებულება გადასახადებთან არ არის ისეთი ნეგატიური, როგორიც იყო ადრეულ ისტორიულ პერიოდებში. გადასახადები დღეს აღქმულია როგორც სახელმწიფოს „სისხლძარღვთა სისტემა“. სწორედ გადასახადების საშუალებით წყვეტს ნებისმიერი სახელმწიფო ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა საზოგადოებრივ პრობლემებს. ეჭვგარეშეა, რომ გადასახადები და საგადასახადო სისტემა უზრუნველყოფს არა მარტო ბალანსს საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და იმ რესურსებს შორის, რომლებიც საჭიროა ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არამედ უზრუნველყოფს ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა საზოგადოებრივი პრობლემების გადანყვეტას.

### 2.2.1. გადასახადის ცნება

გადასახადის, როგორც ეკონომიკურ-სამართლებრივი კატეგორიის აღქმა ევოლუციის განიცილება მრავალი საუკუნის განმავლობაში. მაგრამ, გადასახადის არსისა და კატეგორიის განსაზღვრებაზე კამათი დღესაც მიმდინარეობს. საკითხის არსის კონკრეტიზაციისათვის აუცილებელია გამოვეყოთ გადასახადების დამახასიათებელი ნიშნები:



ნახ. 1 გადასახადის ძირითადი ნიშნები

□ **იმპერატიულობის ნიშანი** გამოარჩევს გადასახადის გადახდას, როგორც გადასახადის გადამხდელის უპირობო მოვალეობას საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე. ე.ი. გადასახადი – ეს არის აუცილებელი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი და გადასახადის გადამხდელზე დაკისრებული მოვალეობა.

□ **ინდივიდუალური უსასყიდლობის (უნაცვალგებო) ნიშანი** ხაზს უსვამს იმას, რომ გადასახადის გადამხდელი ვერ მიიღებს სახელმწიფოსგან იმ მოცულობის ეკვივალენტურ მომსახურებას, რა ოდენობის გადასახადსაც გადაიხდის. სწორედ ეს ნიშანი გამოარჩევს გადასახადს მოსაკრებლისაგან და სხვა არასაგადასახადო გადასახადები-საგან (ჯარიმები, სხვადასხვა სანქციები და ა.შ.).

□ **აბსტრაქტულობის ნიშანი** ხაზს უსვამს გადასახადების აბსტრაქტულ მიმართულებას სახელმწიფო ბიუჯეტისკენ, საიდანაც ხდება თანხების ხარჯვა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით.

□ **სახელმწიფოს ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის ნიშანი** ახასიათებს გადასახადებს და საგადასახადო დაბეგვრას, როგორც ბიუჯეტის ფორმირების მთავარ საშუალებას. სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ სახელმწიფოს ფუნქციონირების მთავარი და შეუცვლელი წყარო.

□ **კანონიერება, როგორც ნიშანი**, გამოარჩევს გადასახადებს იმით, რომ მათი შემოღება, გამოთვლისა და გადახდის წესი, შეცვლა ან გაუქმება ხორციელდება მხოლოდ კანონის საფუძველზე. გადასახადის გადამხდელი ვალდებული არიან გადაიხადონ მხოლოდ კანონით დადგენილი გადასახადები.


□ **გადახდის პერიოდულობის (რეგულარობა) ნიშანი** გამოარჩევს გადასახადს იმით, რომ კანონით დადგენილია მისი გადახდის პერიოდულობა, ე.ი. გადასახადი არა ერთჯერადი, არამედ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის არსებობის პირობებში რეგულარულად ამოღებადი ფინანსური სახსრებია.

გადასახადისა და მოსაკრებლის საკანონმდებლო განმარტებიდან, შეიძლება გამოვყოთ მოსაკრებლისთვის დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ:

┃ მოსაკრებლის ნიშნებიდან გადასახადისგან განსხვავებით არ არსებობს ორი ნიშანი – უსასყიდლობა და სახელმწიფოს ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფა. მათ ნაცვლად შემოტანილია მოსაკრებლის ექვივალენტურობის ნიშანი. მოსაკრებლები წარმოადგენს ფულად შენატანებს, რომლებიც იკრიბება ინდივიდუალური წესით საჯარო-სამართლებრივი ხასიათის მომსახურებისათვის. „მოსაკრებლების სისტემების საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახადელი ბიუჯეტში, რომელთაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების განწესათვის“.

**2.2.2 გადასახადების ფუნქციები**

გადასახადის ფუნქცია – ეს არის მისი არსის გამოვლენა მოქმედებაში, მისი თვისებების გამოვლენის უნარი. ფუნქცია აჩვენებს, თუ როგორ რეალიზდება გადასახადის – ამ ეკონომიკური კატეგორიის, როგორც სახელმწიფო შემოსავლების განაწილებისა და გადაწინაღობის ინსტრუმენტის საზოგადოებრივი დანიშნულება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადებისათვის დამახასიათებელია სამი ფუნქცია: ფისკალური, საკონტროლო და გამანაწილებელი. სქემატური სახით ეს ასე გამოიყურება:



ნახ. 2 გადასახადის ფუნქციები და ქვეფუნქციები

11 ფისკალური ფუნქცია (ლათინური fiscus – სახელმწიფო ხაზინა) გადასახადების უმთავრესი ფუნქციაა. ეს ფუნქცია ასახავს საგადასახადო დაბეგვრის ფუნდამენტალურ დანიშნულებას – გადასახადების საშუალებით მოქალაქეებისა და ორგანიზაციების შემოსავლების ნაწილის ამოღებას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის მატერიალური საფუძვლების შექმნის მიზნით.

ტრადიციულად ითვლებოდა და დღესაც ითვლება, რომ გადასახადების სხვა ფუნქციები მნიშვნელოვანია და წარმოებულია ფისკალური ფუნქციიდან და ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ გამანაწილებელი და საკონტროლო ფუნქციების ეფექტურობა ცხადყოფს, რომ ფისკალური ფუნქცია არსებითი, მაგრამ არა განსაკუთრებულია.

□ გამანაწილებელი (სოციალური) ფუნქცია გამოხატავს გადასახადის სოციალურ-ეკონომიკურ არსს, როგორც გამანაწილებელი ურთიერთობების გამორჩეულ ინსტრუმენტს. ეს ფუნქცია უზრუნველყოფს რიგი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას, ხელს უწყობს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის საზოგადოებრივი პროდუქციის გადანაწილებას სოციალური არათანაბრობის შემცირებისა და სოციალური სტაბილურობის მხარდაჭერის გზით. მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს შესაძლებლობა ექმნებათ გადაიხადონ ყველაზე მცირე ოდენობის გადასახადები ან საერთოდ არ გადაიხადონ ისინი კანონით მინიჭებული შეღავათების საფუძველზე, მაგრამ ამასთან ერთად ისარგებლონ მნიშვნელოვანი მოცულობის მომსახურებით (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა), რომელიც ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან, ბიუჯეტში შეძლებული მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ გადახდილი გადასახადების საფუძველზე.

□ საკონტროლო ფუნქცია მდგომარეობს სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო კონტროლში, რომელიც ასევე მოიცავს კონტროლს მათი შემოსავლების წყაროებზე, შემოსავლების ლეგიტიმურობასა და ხარჯების მიმართულებებზე. ერთი მხრივ, კონტროლის არსი მდგომარეობს საგადასახადო ვალდებულებებისა და საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობის შეფასებაში. სახელმწიფო კონტროლი წარმოადგენს არსებით ფაქტორს, რომელიც ხელს უშლის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას და ჩრდილოვანი ეკონომიკის უზრუნველყოფას. ამ ფუნქციის საშუალებით უზრუნველყოფილია ფინანსური ნაკადების კონტროლი და შესაძლებელი ხდება საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემის რეფორმის აუცილებლობის განსაზღვრა. საინტერესოა, გამანაწილებელი ფუნქციის სამი ქვეფუნქციის – მასტიმულირებელი, შემაკავებელი და კვლავწარმოებითი ქვეფუნქციების დახასიათება.

□ მასტიმულირებელი ქვეფუნქცია მდგომარეობს საგადასახადო დაბეგვრის საშუალებით გადასახადის გადამხდელის მიზნობრივ კატეგორიების ან/და საქმიანობის სახეების განვითარებისთვის გარკვეული სტიმულების ფორმირებაში. სტიმულებში იგულისხმება საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო განაკვეთების შემცირება, საგადასახადო სესხები და სხვა. მიზნობრივ კატეგორიას განეკუთვნებიან მცირე მენარმები, საქველმოქმედო ფონდები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები და ა.შ. მიზნობრივ სამენარმეო საქმიანობას, რომელსაც ყველაზე ხშირად ხელს უწყობს სტიმულირების სხვადასხვა ფორმებით სახელმწიფო, მიეკუთვნება განათლება, ჯანდაცვა, რელიგიური და საგანმანათლებლო


საქმიანობა, სოფლის მეურნეობა და სხვა.

□ შემაკავებელი (დესტიმულირებელი) ქვეფუნქცია მდგომარეობს საგადასახადო დაბეგვრის საშუალებით არასასურველი ეკონომიკური პროცესების განვითარებისთვის ბარიერების შექმნაში. საგადასახადო განაკვეთის გაზრდა საქმიანობის ცალკეული სახეობებისათვის, აუცილებლად გახდება ამ საქმიანობის მიზანმიმართული შეზღუდვის საფუძველი (მაგალითად, სათამაშო ბიზნესი). თამბაქოსა და ალკოჰოლზე აქციზების გაზრდა, გარკვეულწილად შეამცირებს მოთხოვნას ამ პროდუქტებზე. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგადასახადო განაკვეთებით ვარიაცია არ არის უსაზღვრო – მოთხოვნის შენარჩუნების შემთხვევაში მწარმოებლები გაზრდიან ფასს ან წარმოების ნაწილი აუცილებლად გადაეა ჩრდილოვან სექტორში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ქვეფუნქცია წინა ქვეფუნქციის სარკისებური ანარეკლია. ირიბი საგადასახადო დაბეგვრის საშუალებით შეიძლება მოხმარების პროცესის დესტიმულიზაცია და დაგროვება და შესაბამისად ინვესტიციების სტიმულირება. მალალი საბაჟო მოსაკრებლებისა და გადასახადების საშუალებით, შეიძლება იმპორტული საქონლის მოხმარების დესტიმულირება, ეროვნული წარმოების სტიმულირება და ა.შ.

□ კვლავწარმოებითი ქვეფუნქცია თავს იჩენს მაშინ, როცა გადასახადების ცალკეული სახეები ორიენტირებულია მოთხოვნადი რესურსების აღდგენისთვის სახსრების აკუმულირებაზე. დამახასიათებელ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის მექანიზმი, როცა ამორტიზაციის დარცხული თანხები აღიარებულია ხარჯებად, რომელიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის დასაბეგრი მოგების ბაზის განსაზღვრის დროს.

**2.2.3. გადასახადების ელემენტები**

საგადასახადო სისტემა ფუძნება ნორმატიულ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ადგენენ გადასახადის აგებულებისა და ამოღების კონკრეტულ მეთოდებს, ე.ი. განსაზღვრავენ გადასახადების კონკრეტულ ელემენტებს.



ნახ. 3 გადასახადების ელემენტები



ზემოთმოყვანილ სქემაზე მოტიანილია გადასახადების ელემენტები, რომელიც ხსნის გადასახადის „ანატომიას“, მის შინაგან აგებულებას.

საგადასახადო დაბეგვრის ელემენტები პირობითად შეიძლება დავეყოთ სავალდებულო და ფაკულტატიურ ელემენტებად.

სავალდებულო ელემენტთა ჯგუფისათვის დამახასიათებელია უნივერსალობა და იმპერატიულობა. ამ ჯგუფში შედის საგადასახადო დაბეგვრის სუბიექტი – გადასახადის გადამხდელი, საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი, საგადასახადო ბაზა, საგადასახადო პერიოდი, საგადასახადო განაკვეთი, გადასახადის გამოთვლის წესი, გადასახადის გადახდის ვადა და წესი;

ფაკულტატიურ ელემენტთა ჯგუფში შედიან საგადასახადო აღრიცხვა, საგადასახადო შეღავათი, საგადასახადო დეკლარაცია, გადასახადის მიმღები, საანგარიშო პერიოდი;

აღსანიშნავია, რომ ზემოთმოტიანილი ორი ჯგუფი სრულად ვერ ასახავს გადასახადების ელემენტების მრავალფეროვნებას. ამიტომ გამოყოფენ მესამე ე.წ. დამხმარე ელემენტთა ჯგუფს, რომელშიც შემავალი ელემენტები არ წარმოადგენენ არც სავალდებულო და არც ფაკულტატიურ ჯგუფს, მაგრამ გადასახადის დაწესების დროს მათი გათვალისწინება ხდება გადასახადის კონსტრუქციის განსაზღვრის დროს. გადასახადების ელემენტების ამ ჯგუფს მიეკუთვნება: გადასახადის მატარებელი, გადასახადის საგანი, გადასახადის ერთეული, გადასახადის მასშტაბი, გადასახადის წყარო;

□ **საგადასახადო დაბეგვრის სუბიექტი** – გადასახადის გადამხდელი; გადასახადის გადამხდელს წარმოადგენენ ოურიდიული და ფიზიკური პირები, ასევე სხვა კატეგორიის გადამხდელები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით ვალდებული არიან გადაიხადონ გადასახადები.

□ **გადასახადის მატარებელი** – პირი, რომელიც საბოლოო ჯამში არის საგადასახადო ტვირთის მატარებელი. პირდაპირი გადასახადების შემთხვევაში სუბიექტი და მატარებელი ერთი და იგივე პირია, ირიბი საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევაში, როგორც წესი სხვადასხვა. ამ შემთხვევაში გადასახადის გადახდა მატარებლის ხარჯზე ხდება სუბიექტის მიერ.

□ **საგადასახადო დაბეგვრის საგანი** არის მატერიალური სამყაროს ობიექტი, რომლის არსებობასაც კანონი უკავშირებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობას. ეს ელემენტი ახასიათებს: ქონებას, შემოსავალს, მოგებას, რელიზებული საქონლის ღირებულებას, ოურიდიული მნიშვნელობის მოქმედებას, რომლებიც განსაზღვრავენ საგადასახადო დაბეგვრის ობიექტს. საგადასახადო ვალდებულებები წარმოიშობა საგადასახადო დაბეგვრის საგანთან სუბიექტის ოურიდიული მდგომარეობიდან გამომდინარე.

□ **საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი** წარმოადგენს ოურიდიულ ფაქტს, რომლის საფუძველზეც გადასახადის გადამხდელს წარმოეშობა გადასახადის გადახდის ვალდებულება. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელს გააჩნია გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.

□ **გადასახადის მასშტაბი** – ეს არის საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის კანონით განსაზღვრული ფიზიკური მახასიათებელი ან განზომილების პარამეტრი (ღირებულებითი, რაოდენობრივი ან ფიზიკური მახასიათებელი) გაზომვის ერთეულად ღირე-

ბულებით მახასიათებლად იყენებენ ფულის ერთეულებს; რაოდენობრივ მახასიათებლად – ძრავის სიძქლავრე, ცხენის ძალა, მიწის ნაკვეთის ფართობი; ფიზიკურ მახასიათებლად – სასმელების გრადუსი, სიმაგრე, ბენზინის შემადგენლობა და ა.შ.).

□ **გადასახადის ერთეული** – მიღებული მასშტაბის პირობითი ერთეული, რომელიც გამოიყენება საგადასახადო ბაზის რაოდენობრივ გამოხატულებად. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებების დასაბეგრად – ცხენის ძალა, მიწის დასაბეგრად – 1 ჰექტარი, სასმელების დასაბეგრად – 1 ლიტრი და ა.შ.

□ **საგადასახადო ბაზა** – წარმოადგენს გადასახადით დაბეგვრის ობიექტის რაოდენობრივ გამოხატულებას. გადასახადებით დასაბეგრი ბაზა შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

□ **საგადასახადო აღრიცხვა** – პირველადი დოკუმენტების საფუძველზე საგადასახადო ბაზის განსაზღვრისათვის ინფორმაციის განზოგადების სისტემა, რომლის დაჯგუფება ხდება კონკრეტული გადასახადისთვის კანონით განსაზღვრული წესით. ამგვარად, საგადასახადო და საბუღალტრო აღრიცხვა – ეს აღრიცხვის ორი პარალელური სისტემაა, სადაც ერთი და იგივე ოპერაცია, ერთი და იგივე ობიექტი აუცილებლად უნდა აისახოს ორნაირად: ერთი წესით – ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის და სხვა წესით – საგადასახადო აღრიცხვის მიზნებისათვის.

□ **საგადასახადო პერიოდი** – ეს არის პერიოდი, რომლის დამთავრების შემდეგ საბოლოოდ ხდება საგადასახადო ბაზის ფორმირება და განისაზღვრება საგადასახადო ვალდებულების ოდენობა.

□ **საანგარიშო პერიოდი** – ეს არის ვადა, რომლის დამთავრების შემდეგ გადასახადის გადამხდელის მიერ ხდება გადასახადების გადახდა და შესაბამისი ანგარიშის წარდგენა.

□ **საგადასახადო განაკვეთი** – ელემენტი, რომელიც ახასიათებს გადასახადის ზომას ან ოდენობას საგადასახადო დაბეგვრის ერთეულზე.

□ **გადასახადის გამოთვლის წესი** – კანონმდებლობით დადგენილი მეთოდის საფუძველზე გადასახადის თანხის გამოანგარიშება.

□ **საგადასახადო შეღავათი** – ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო კანონმდებლობით გადასახადის გადამხდელთა ცალკეული კატეგორიისთვის მინიჭებულ უპირატესობებს, რომელიც გულისხმობს გადასახადების საერთოდ არ გადახდებს ან სხვა შემამსუბუქებელ გარემოებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შეღავათებმა შეიძლება შეამცირონ საგადასახადო ბაზა, საგადასახადო განაკვეთი ან მოახდინონ გადასახადის გადახდის ვადის გადატანა.

□ **საგადასახადო დეკლარაცია** – გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ობიექტის, საგადასახადო ბაზის, გამოყენებული საგადასახადო შეღავათებისა და სხვა მონაცემების დაფიქსირება საეციალურ საგადასახადო-საანგარიშსწორებო დოკუმენტში, რომელიც საბოლოო ჯამში დაკავშირებულია საგადასახადო განაკვეთის გამოთვლასა და გადახდასთან.

□ **გადასახადების გადახდის ვადები და წესი** – კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის გადახდის მეთოდები და ვადები. გადასახადების გადახდის შესაძლო მეთოდებად განსაზღვრულია ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების წესი. გადასახადის გადახდის ვადები შეიძლება განისაზღვროს: კონკრეტული კალენდარული დღით;

დროის გარკვეული პერიოდით – წლით, კვარტლით, თვით, კვირით, დღით;


□ გადასახადის წყარო – გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური მაჩვენებელი, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს გადასახადის გადახდა (გამომუშავება, შემოსავალი, მოგება).

□ გადასახადის მიმღები – სუბიექტი, რომელსაც ეკუთვნის გადასადილი გადასახადის თანხა. გადასახადის მიმღებს წარმოადგენენ სხვადასხვა დონის ბიუჯეტები.

### 2.2.4. გადასახადების კლასიფიკაცია

გადასახადების კლასიფიკაცია – ეს არის გადასახადების განაწილება განსაზღვრულ ჯგუფებად, რომელიც განპირობებულია სისტემატიზაციის მიზნებითა და ამოცანებით. თითოეულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სავსებით განსაზღვრული ნიშანი: აკრეფის საშუალებები, მმართველობის დონე, ბიუჯეტის დონე და ა.შ. გადასახადების კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საგადასახადო სისტემის ანალიზი და უფრო ღრმად ჩაენვდეთ მოცემული გადასახადის არსს.

განვიხილოთ გადასახადების კლასიფიკაციის ნიშნები და მათი შესაბამისი გადასახადების კლასიფიკაცია ქვემოთ მოტანილი სქემის მიხედვით:



ნახ. 4 გადასახადების კლასიფიკაცია

11 კლასიფიკაცია გადახდევინების მეთოდის მიხედვით გამოარჩევს პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს.

**პირდაპირი გადასახადი** – ეს არის გადასახადი, რომლის ამოღებაც ხდება უშუალოდ გადასახადის გადამხდელის შემოსავლიდან ან ქონებიდან. ამ შემთხვევაში საგადასახადო დაბეგრის საფუძველია შემოსავლის მიღებისა და ქონების ფლობის ფაქტი, ხოლო საგადასახადო ურთიერთობა წარმოიშობა უშუალოდ გადასახადის გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის. საქართველოს საგადასახადო სისტემაში პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება მოგების, საშემოსავლო, ქონების (მინის) გადასახადები. ამ გადასახადებს პირდაპირი იმიტომ ეწოდება, რომ საგადასახადო ტვირთი უშუალოდ აწევა გადასახადის გადამხდელს.

**არაპირდაპირი გადასახადი** – ეს არის გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და განუვლი მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიწოდებულს ან/და მომსახურების გამწევს – გადასახადის გადამხდელს. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება დღგ, აქციზი. ამ გადასახადებს არაპირდაპირი იმიტომ ეწოდება, რომ საგადასახადო ტვირთი, პირდა, ვინც იგი უნდა გადაიხადოს, ფასების გაზრდის გზით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ სხვებს გადააკისროს.

□ კლასიფიკაცია დაბეგრის ობიექტის მიხედვით შეიძლება განვაცალკევოთ გადასახადები ქონებიდან, შემოსავლებიდან, მოხმარებიდან და გამოყენებული რესურსებიდან.

**გადასახადი ქონებიდან** – ეს არის ფიზიკური პირებიდან და ორგანიზაციებიდან ამოღებული გადასახადი, რომლის საფუძველია ამ ქონების ფლობის ან გასხვისების ფაქტი. საზო უნდა გაესვას ერთ გარემოებას – ამ გადასახადის ოდენობა და ამოღება დამოკიდებულია არა გადასახადის გადამხდელის გადახდისუნარიანობაზე, არამედ ქონების მახასიათებლებზე – ძრავის მოცულობაზე, ქონების საბაზრო ან საბალანსო ღირებულებაზე, მინის მახასიათებლებსა და ადგილმდებარეობაზე და ა.შ.

**გადასახადი შემოსავლებიდან** – ეს არის ფიზიკური პირებიდან და ორგანიზაციებიდან ამოსაღები გადასახადი, რომლის საფუძველია მათ მიერ შემოსავლის მიღება. ეს გადასახადი მთლიანად დამოკიდებულია გადასახადის გადამხდელის გადახდისუნარიანობაზე.

**გადასახადი მოხმარებიდან** – ეს არის გადასახადები, რომელთა ამოღება ხდება საქონლის და/ან მომსახურების ბრუნვის პროცესში. განასხვავებენ სამი ტიპის გადასახადს – ინდივიდუალურს, უნივერსალურს და მონოპოლიურს. ინდივიდუალური გადასახადებით იბეგრება საქონლის მკაცრად განსაზღვრული ჯგუფი, მაგალითად აქციზი საქონლის გარკვეული ჯგუფისთვის (თამბაქო, ალკოჰოლი).

უნივერსალური გადასახადებით იბეგრება ყველა საქონელი/მომსახურება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა – მაგალითად დღგ; მონოპოლიური გადასახადებით იბეგრება წარმოება ან საქონლის ცალკეული ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს პეროგატივას.

**გადასახადი გამოყენებული რესურსებიდან** – ეს არის გადასახადი, რომელსაც იხ-

დიან გადასახადის გადამხდლები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის. საქართველოში აღნიშნული გადასახადი არ არსებობს და ეს ნორმა მოქმედებს მოსკოვის სახით.

□ კლასიფიკაცია დაბეგვრის სუბიექტის მიხედვით მოიცავს გადასახადებს, რომელთა ამოღება ხდება ფიზიკური პირებიდან, იურიდიული პირებიდან და შერეული. პრაქტიკულად დღეს მოქმედი ყველა გადასახადი შეიძლება მივაკუთვნოთ შერეულ ტიპს, ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის განკვეთს.

□ კლასიფიკაცია დაბეგვრის მეთოდის მიხედვით განპირობებულია საგადასახადო ადმინისტრირების პრაქტიკით. აქ განასხვავებენ გადასახადს «გადახდის წყაროსთან» და «დეკლარაციის მიხედვით» ყველაზე გავრცელებულია საგადასახადო სარგოს განსაზღვრა დეკლარაციის მიხედვით. «გადასახადის წყაროსთან» დაბეგვრის წესი ჩადებულია ისეთ გადასახადებში, რომლებიც ითვალისწინებს საგადასახადო აგენტის ინსტიტუტის არსებობას.

□ კლასიფიკაცია გამოყენებული განაკვეთების მიხედვით გულისხმობს პროგრესულ, რეგრესიულ, პროპორციულ და მყარ გადასახადებს.

გადასახადები მყარი განაკვეთებით – ეს არის გადასახადები, რომელთა განაკვეთის ოდენობა დადგენილია აბსოლუტურ თანხაში და არ არის დამოკიდებული გადასახადის გადამხდლის შემოსავალზე. ასეთ გადასახადს მიეკუთვნება აქციზი.

გადასახადები პროცენტული განაკვეთებით – ეს არის გადასახადები, რომელთა განაკვეთის ოდენობა დგინდება საგადასახადო ბაზის შეფასებითი ღირებულების საპროცენტო გამოთვლებით. ეს გადასახადები პირდაპირ კავშირშია გადასახადის გადამხდლის შემოსავალსა და ქონებასთან. ამ ჯგუფში შედიან გადასახადები პროპორციული, პროგრესიული და რეგრესიული განაკვეთებით.

პროგრესიულია გადასახადი – თუ საშუალო განაკვეთი იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად. ამ შემთხვევაში მაღალი შემოსავლის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები უფრო მაღალ პროცენტს იხდიან გადასახადების სახით.

რეგრესიულია გადასახადი – როცა საშუალო განაკვეთი მცირდება შემოსავლის ზრდასთან ერთად – შემოსავალი იზრდება, გადასახადის წილი კი მცირდება. ამ დროს გადახდილი გადასახადის თანხა უფრო მძიმე ტვირთად აწევს დაბალი შემოსავლების მქონე გადასახადის გადამხდელთა ჯგუფს.

პროპორციული გადასახადი გულისხმობს საშუალო განაკვეთის უცვლელობას შემოსავლის სიდიდის მიუხედავად. ამის მაგალითი საქართველოს საგადასახადო სივრცეში არის მოგების გადასახადი.

□ კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით გამოარჩევს აბსტრაქტულ და მიზნობრივ გადასახადებს.

აბსტრაქტული გადასახადები, შედის რა ბიუჯეტში, იხარჯება ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების მიხედვით.

მიზნობრივი გადასახადები თავიდანვე შეიცავენ საკუთარ თავში მიზნობრივ დანიშნულებას და პირდაპირ არიან მკაცრად მიზნული ბიუჯეტით გათვალისწინებული მუხლების ხარჯვით ნაწილებზე.

□ კლასიფიკაცია გადახდის ვადების მიხედვით არსებობს სასწრაფო (ერთჯერადი) და პერიოდული გადასახადები. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია გადა-

სახადის გადახდა კანონით დადგენილი ვადით, გარკვეული პერიოდულობით – წელი, კვარტალი, თვე.


□ კლასიფიკაცია გადახდის წყაროს მიხედვით. გამოარჩევენ გადასახადებს მოგებიდან, ამონაგებიდან და შემოსავლებიდან.

□ კლასიფიკაცია მმართველობის დონის მიხედვით გულისხმობს საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ განხილული კლასიფიკაცია პირობითია და სხვადასხვა ლიტერატურაში სხვადასხვა თეორიულ მსჯელობას შეეხვედებით ამ საკითხთან დაკავშირებით. მთავარი დანიშნულება ამ კლასიფიკაციას კი ის გახლავთ, რომ შესაძლებელი და ხილული ხდება სხვადასხვა გადასახადების არსის გაგება.

**2.2.5. საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები**

საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები – ეს არის საბაზო იდეები, წესები და დებულებები, რომლებიც გამოიყენება საგადასახადო დაბეგვრის სფეროში. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები – ეს არის საგადასახადო სისტემის აგებისა და მშენებლობის პრინციპები. სხვადასხვა ქვეყნებისთვის არსებობს უნივერსალური პრინციპების ერთგვარი ერთობლიობა. მათ საფუძვლად წარმოადგენს პრინციპები, რომლებიც დამუშავდა ჯერ კიდევ ა. სმიტისა და ა. ვანდერის მიერ. მაგრამ ეს პრინციპები არ არიან „გაყინული“ მდგომარეობაში, რადგან საზოგადოებრივი პროგრესი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება იწვევს მათ დაზუსტებასა და ევოლუციას. სქემატურად ეს პრინციპები ასე გამოიყურება:



ნახ. 5 საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები

თავდაპირველად განვიხილოთ საგადასახადო დაბეგვრის ეკონომიკური პრინციპები:

□ **სამართლიანობის პრინციპი** – გულისხმობს ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის მოვალეობის დაკისრებას, თავიანთი შემოსავლებით თანაზომიერად მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს ხარჯების დაფინანსებაში. ზოგ შემთხვევაში ამ პრინციპს უწოდებენ სამართლიანობისა და თანასწორობის (საგადასახადო ტვირთის განაწილება უნდა იყოს თანაბარი), ზოგ შემთხვევაში კი — სამართლიანობისა და საყოველთაოების (გადასახადებით დაბეგვრა უნდა იყოს საყოველთაო და თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს გადასახადის გადამხდელებზე). ტრადიციულად ანსხვავებენ ამ პრინციპის ორ ასპექტს — პორიზონტალურს და ვერტიკალურს.

**პორიზონტალური სამართლიანობის პრინციპი** (გადახდისუნარიანობის პრინციპი) გულისხმობს რომ ერთნაირ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი გადასახადის გადამხდელები უნდა იმყოფებოდნენ თანაბარ საგადასახადო პოზიციაში ე.ი. ერთნაირ შემოსავლები უნდა იბეგვებოდეს გადასახადების ერთნაირ საგადასახადო განაკვეთით.

**ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპი** (სარგებლიანობის პრინციპი) გულისხმობს რომ არათანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი გადასახადის გადამხდელები, უნდა იმყოფებოდნენ არათანაბარ საგადასახადო პოზიციაში, ე.ი. ის, ვინც სახელმწიფოსგან მეტ კეთილდღეობას იღებს, მეტ გადასახადსაც უნდა იხდიდეს.


საგადასახადო სისტემა არის პროგრესული, თუ გადასახადების გადახდის შემდეგ გადასახადების გადამხდელების ეკონომიკური არათანაბრობა, რომელიც ფასდება მათი შემოსავლების მიხედვით, მცირდება.

საგადასახადო სისტემა არის რეგრესიული, თუ გადასახადების გადახდის შემდეგ გადასახადის გადამხდელების ეკონომიკური არათანაბრობა, რომელიც ფასდება მათი შემოსავლების მიხედვით, იზრდება.

საგადასახადო სისტემა არის ნეიტრალური, თუ გადასახადების გადახდის შემდეგ გადასახადის გადამხდელების ეკონომიკური არათანაბრობა, რომელიც ფასდება მათი შემოსავლების მიხედვით, უცვლელი რჩება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროგრესული საგადასახადო სისტემის დროს მდიდარი გადასახადების სახით იხდის თავისი შემოსავლების დიდ ნაწილს, ვიდრე ღარიბი; რეგრესული საგადასახადო სისტემის დროს პირიქით, ზოლო ნეიტრალური სისტემის დროს მდიდრის და ღარიბის გადასახადის სახით გადახდილი შემოსავლების ნაწილი თანაბარია.

ამერიკელმა ეკონომისტმა, არტურ ლაფერმა აჩვენა, რომ საგადასახადო განაკვეთის გაზრდა ყოველთვის არ იწვევს სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლების ზრდას. ამ დამოკიდებულების გრაფიკულმა გამოსახულებამ ეკონომიკურ თეორიაში მიიღო „ლაფერის მრუდის“ სახელწოდება.



ნახ. 6. ლაფერის მრუდი

ამ მრუდიდან ნათლად ჩანს, რომ თუ საგადასახადო განაკვეთი არის ნული, მაშინ საბიუჯეტო შემოსავლებიც ნულის ტოლია, ასევე თვალნათელია, რომ თუ საგადასახადო განაკვეთი 100%, გადასახადის გადამხდელის მთელი შემოსავალი მიდის ბიუჯეტში, ამიტომ ისინი წყვეტენ ეკონომიკურ საქმიანობას, ან კოტრდებიან, ან მიდიან ჩრდილოვანი ეკონომიკის სექტორში – ყველა შემოთაღნიშნულ შემთხვევაში ბიუჯეტისთვის წამდებიან გადაწყვეტილებას იღებენ.

ლაფერის მრუდი ადასტურებს, რომ დაბალი საგადასახადო განაკვეთის დროს ეკონომიკური საქმიანობა ხდება მიმზიდველი; ამ დროს იზრდება გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა და შესაბამისად შემოსავლებიც მატულობს ბიუჯეტში. გარკვეულ წერტილამდე —  $X_0$  საგადასახადო განაკვეთის ზრდა იწვევს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, ამ წერტილის გადალახვის შემდეგ საპირისპირო პროცესები იწყება.

შემდგომი ანალიზი ცხადყოფს, რომ დგება საგადასახადო განაკვეთის ის ნიშნული —  $X_0$  რომლის დროსაც საბიუჯეტო შემოსავლები მაქსიმუმს —  $Y_{max}$  აღწევს. ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მათემატიკურად დადგენა შეუძლებელია, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ გადასახადის გადამხდელისგან „ჯამური საგადასახადო განაკვეთი“ შემოსავლების 30-35% ფარგლებში ოპტიმალურია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მოტანილია სამი ნიშანი, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება კრიტიკული საგადასახადო განაკვეთის გადალახვაზე საუბარი:

- როცა საგადასახადო განაკვეთის მორიგი ზრდის შემდეგ ბიუჯეტში შემოსავლები მცირედით იზრდება ან იწყებს კლებას;
- როცა მცირდება ეკონომიკური ზრდის ტემპი, უარესდება მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა;
- როცა იზრდება „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ – ღია და ფარული თავის არიდება ბიუჯეტში გადასახადების გადახდისაგან.

კრიტიკული საგადასახადო დაბეგრის საკითხი დიდი ხანია ალექსებთ პოლიტიკოსებს, მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს. ჯერ კიდევ ფრანგი ფილოსოფოსი, შარლ ლუი მონტესკიე წერდა: „არაფერი არ მოითხოვს ისეთ სიბრძნეს და ნიჭს, როგორც იმ ნაწილის განსაზღვრა, რომელსაც ართმევენ ქვეშეყრდომებს და იმ ნაწილისა, რომელთაც მათ უტოვებენ“.

□ **ეფექტიანობის პრინციპი** – გულისხმობს ისეთი გადასახადების დანესების აუცილებლობას, რომელთა საფუძველზე ბიუჯეტში გადახდილი თანხები მნიშვნელოვნად აჭარბებს მათ ადმინისტრირებაზე სახელმწიფოს მხრიდან განეულ ხარჯებს;

□ **თანაზომიერების პრინციპი** – გულისხმობს გადასახადის გადამხდელებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესების დაბალანსებას. თეორიულად ეს პრინციპი კარგადაა ილუსტრირებული ლაფერის მრუდის საშუალებით;

□ **ინტერესთა გათვალისწინების პრინციპი** – გულისხმობს, გადასახადების გაანგარიშების მეთოდის კისა და გადახდის პროცედურების სიმარტივეს, ამასთან ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გადასახადი უნდა აიკრიბოს იმ დროს და ისეთი საშუალებებით, რომელიც ხელსაყრელი იქნება გადასახადის გადამხდელებისთვის. ამ პრინციპის აუცილებელი ატრიბუტია გადასახადის გადამხდელების წინასწარი ინფორმირებულობა არა მარტო მოქმედ გადასახადებთან დაკავშირებით, არამედ საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებაზე.



11 სიმრავლის პრინციპი გულისხმობს საგადასახადო სისტემის აშენების მიზანშეწონილობას დიფერენცირებული გადასახადებისა და დაბეგვრის განსხვავებული ობიექტების ერთობლიობით. გადასახადების სიმრავლე ქმნის წინაპირობებს საგადასახადო დაბეგვრის კონკრეტული ადრესატობის ზრდის, მნიშვნელოვანწილად ნათელს ხდის გადასახადის გადამხდელების გადახდისუნარიანობასა და სხვადასხვა დასაბეგრი ობიექტების არსებობას, საშუალებას იძლევა საგადასახადო ტვირთის ეფექტური გადანაწილებისა სხვადასხვა კატეგორიის გადამხდელებზე.

ახლა განვიხილოთ საგადასახადო დაბეგვრის იურიდიული პრინციპები:

□ ნეიტრალური პრინციპი – გულისხმობს იმას, რომ ყველა გადამხდელი თანაბარი უნდა იყოს საგადასახადო კანონმდებლობის წინაშე. ამ პრინციპის თანახმად დაუშვებელია სხვადასხვა გადასახადების დიფერენცირებული შემოღება სოციალური, ეროვნული, საკუთრების ფორმის, გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის ან სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

□ გადასახადების კანონებით დაწესების პრინციპი ნიშნავს, რომ ნებისმიერი კანონი მიღებული უნდა იქნეს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ. დაუშვებელია კანონით გაუთვალისწინებელი გადასახადის ეინმესთვის დაკისრება.

□ საგადასახადო კანონის უკუძალის უარყოფის პრინციპი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ახლად მიღებული კანონი, რომელიც ამძიმებს გადასახადის გადამხდელის მდგომარეობას, არ შეიძლება გავრცელდეს მის მიღებამდე არსებულ ურთიერთობებზე.

□ საგადასახადო კანონმდებლობის პრიორიტეტის პრინციპი გულისხმობს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის აქტებს დაბეგვრის სფეროში უპირატესი ძალა აქვთ სხვა სფეროს საკანონმდებლო აქტებთან მიმართებაში.

□ კანონში გადასახადის ყველა ელემენტის არსებობის პრინციპი ნიშნავს, რომ გადასახადი ითვლება დადგენილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი კანონით განსაზღვრულია გადასახადის გადამხდელი და გადასახადის ყველა ელემენტი.

საგადასახადო დაბეგვრის ორგანიზაციული პრინციპებია:

□ საგადასახადო სისტემის მთლიანობის პრინციპი უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანოების ერთიან სისტემას, რომელიც იმართება ვერტიკალური და არა პორიზონტალური სამენეჯმენტო სისტემით. ამ პრინციპით არ უნდა დაწესდეს ისეთი გადასახადი, რომელიც არღვევს ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს.

11 ელასტიურობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტურად შეცვლილი სახელმწიფოებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადასახადის ზოგიერთი აუცილებელი ელემენტი და თვით გადასახადი შეიძლება ოპერატიულად იქნეს შეცვლილი მისი ფისკალური ან სხვა ფუნქციის გაზრდის ან შემცირების მიმართულებით. ეს პრინციპი მიმართულია საგადასახადო სისტემის ევოლუციურ განვითარებაზე და საგადასახადო დაბეგვრის თანმიმდევრული სრულყოფის პირობებში, არ ეწინააღმდეგება სტაბილურობის პრინციპს.

□ სტაბილურობის პრინციპი ეფუძნება იმას, რომ საგადასახადო სისტემა უნდა იყოს სტაბილური და მისი კარდინალური რეფორმა უნდა ხდებოდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თანაც მკაცრად განსაზღვრული წესით.

!! საჯაროობის პრინციპი გულისხმობს საგადასახადო კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების აუცილებელ გამოქვეყნებას.

⌋ საგადასახადო დაბეგვრის ერთდროულობის პრინციპი ემყარება ერთი და იგივე საგადასახადო ობიექტის საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ პერიოდში მხოლოდ ერთი და მხოლოდ ერთხელ დაბეგვრის შესაძლებლობას.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საგადასახადო თეორია ზემოთ ჩამოთვლილი საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებს არ აღიარებს დოგმად და სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული შეხედულებები არსებობს ამ საკითხებთან მიმართებაში.

## 2.3 საქართველოს საგადასახადო სისტემის მოკლე დასახინათება

საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების, საგადასახადო კოდექსისა და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

გადასახადებით დაბეგრისას საგადასახადო კოდექსის დებულებებსა და საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობისას გამოიყენება საგადასახადო კოდექსის დებულებები.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით აკრძალულია არასაგადასახადო კანონმდებლობით ისეთი საკითხების რეგულირება, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგრასთან, გარდა:

ა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ დებულებებისა, რომლებიც შეეძლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში;

ბ) გადასახადებთან დაკავშირებულ დანაშაულთა შესახებ დებულებებისა, რომლებიც შეეძლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში;

გ) საგადასახადო დავალიანებათა პრიორიტეტის შესახებ დებულებისა, რომელიც შეეძლება „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში.

დ) საგადასახადო დავალიანებათა შესახებ დებულებისა, რომელიც შეეძლება „გადახდის-უნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში;

ე) საბაჟო კანონმდებლობისა;

ვ) კანონმდებლობისა მოსაკრებლების დაწესების თაობაზე;

ზ) „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურული ზაციონის შესახებ“ საქართველოს კანონისა.

თ) „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს:

ა) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას;

ბ) გადასახადებს, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს;

გ) გადასახადების გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს;

დ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით:

პირი ვალდებულია გადაიხადოს კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფო-

ბრივი და ადგილობრივი გადასახადები, რომელთა მიმართაც ეს პირი გადასახადის გადამხდელია.

დაუშვებელია საგადასახადო კოდექსის დარღვევით დაწესებული ან კოდექსით გაუთვალისწინებელი გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება, აგრეთვე გადასახადის გადახდევინება კოდექსით დადგენილ ვადაზე ადრე.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე, რომელიც ბიუჯეტში უნდა იქნეს გადახდილი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს უფლება აქვთ შემოიღონ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები.

გადასახადი – საგადასახადო კოდექსის მიხედვით არის საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. გარდა გადასახადებისა, არსებობს აგრეთვე მოსაკრებლები და სახელმწიფო ბაჟი. საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდა სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადებია საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადები (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომელთა გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- ა) საშემოსავლო გადასახადი;
- ბ) მოგების გადასახადი;
- გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- დ) აქციზი;
- ე) საბაჟო გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- ა) ქონების გადასახადი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილი არიან შემოიღონ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

ადგილობრივი გადასახადების დაწესება ან დაწესებული ადგილობრივი გადასახადების გაუქმება ხდება კოდექსში სათანადო ცვლილებების ან/და დამატებების შეტანით, ხოლო გადახდის პირობების შეცვლა ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი გადასახადის შემოღების, გადახდის პირობების შეცვლის ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმების შესახებ ინფორმაცია და სა-

თანადო ნორმატიული აქტის ასლი მისი გამოქვეყნებისთანავე გაუგზავნონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის საგადასახადო ორგანოებს.

### 2.3.1. საგადასახადო ორგანოები, მათი საქმიანოგის სამართლებრივი ზაზა და ქირითადი უშეცვიები

საქართველოს საგადასახადო ორგანოების ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა შედგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისაგან, ტერიტორიული ორგანოებისა და განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან (ასეთი ქვედანაყოფის შექმნის შემთხვევაში).

საქართველოში საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილი არიან, უზრუნველყონ სახელმწიფო კონტროლი გადასახადების სრულად და დროულად გადახდაზე.

საგადასახადო ორგანოები შედიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

საქართველოს საგადასახადო ორგანოების ძირითადი ფუნქციებია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

ბ) გადასახადით დაბეგვრის საკითხებზე კანონპროექტებისა და სახელმწიფოთა-შორისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

გ) გადასახადის გადამხდელისათვის მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

დ) გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადასახადების ადმინისტრირება.

საგადასახადო ორგანოების უფლებები და ვალდებულებები:

საგადასახადო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტები, საბუღალტრო ნიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფინანსური სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის სხვა დოკუმენტები;

ბ) გადასახადის გადამხდელისაგან (საგადასახადო აგენტისაგან ან/და მისი წარმომადგენლისაგან) მიიღონ გადასახადების გამოანგარიშებასთან და გადახდასთან დაკავშირებული დოკუმენტები, აგრეთვე წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები საგადასახადო შემოსწების დროს ნამოჭრილ საკითხებზე.

გ) გამოიკვლიონ სანარმოთა, ორგანიზაციების და მენარმე ფიზიკურ პირთა სანარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, შექმნან საგადასახადო საგუშაგოები, ინვენტარიზაციით მოახდინონ საქონლის მარაგების აღრიცხვა, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების ოდენობა, ჩაატარონ კამერალური, გეგმური და საგადასახადო შემოსწება,

უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები. ინვენტარიზაციის ჩატარების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

დ)საგადასახადო ორგანოში გამოიძახონ გადასახადის გადამხდელი /საგადასახადო აგენტი (მის ნაცვლად შეიძლება მივიდეს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც აქვს სააღრიცხვო დოკუმენტაცია ან/და გადასახადის გადამხდელის-საგადასახადო აგენტის დაბეგრასთან დაკავშირებული ინფორმაცია);

ე)დამოუკიდებლად განსაზღვრონ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით (მათ შორის, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის დანახარჯების შესახებ) ან შედარების მეთოდით – სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი არ წარმოადგენს საგადასახადო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო სააღრიცხვო დოკუმენტაციას ან დადგენილი წესის დარღვევით ანარმოებს ბუღალტერიას, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ვ)გადასახადის იმ გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიმართ, რომელმაც დაარღვია საგადასახადო კანონმდებლობა, გამოიყენონ სანქციები;

ზ)გადასახადის გადამხდელისაგან/საგადასახადო აგენტისაგან საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებით დადგენილ ვადაში ამოიღონ გადაუხდელი გადასახადი ან/და სანქციების სახით დაკისრებული თანხა;

თ)საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე სამართალდარღვევათა მიმართ შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მიიღონ დადგენილებები ადმინისტრაციული სახელელების დაკისრების შესახებ.

ი)დასაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მოსმასხურების საკონტროლო შესყიდვა;

კ)გადასახადების ადმინისტრირების მიზნით მოინვიონ სპეციალისტები ან ექსპერტები;

ლ)სამსახურებრივი მიზნებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისაგან უსასყიდლოდ მიიღონ მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით;

მ)მოითხოვონ და მიიღონ სააღრიცხვო დოკუმენტაციის ასლი (საჭიროების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ დამონმებული ასლი);

ნ)დააყენონ მრიცხველები ან/და აიღონ მათი მაჩვენებლები, აგრეთვე ამ კოდექსით დადგენილი წესით დალუქონ დოკუმენტები ან სხვა მასალები.

საგადასახადო ორგანოების ვალდებულებები

საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან:

ა)დაიცვან საგადასახადო კანონმდებლობა, იმოქმედონ საგადასახადო კოდექსისა

და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტების მოთხოვნათა შესაბამისად და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში;

ბ) დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები;

გ) გააკონტროლონ გადასახადების გამოანგარიშების სისწორე, სისრულე და დროულად გადახდა, ჩაატარონ საგადასახადო შემონმებები საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით და ამ შემონმებათა ჩატარებისას გააცნონ გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს მისი უფლებები და ვალდებულებები;

დ) უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროულად აღრიცხვა;

ე) განახორციელონ დარიცხული და ბიუჯეტებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა და შეადგინონ ანგარიშგება გადახდილი გადასახადების შესახებ;

ვ) გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს დაუბრუნონ დარიცხულ თანხასთან შედარებით ზედმეტად გადახდილი თანხები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

ზ) დაიცვან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება და ინფორმაციის შენახვის წესები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

თ) შეიმუშაონ დეკლარაციებისა და გადასახადის გამოანგარიშებასთან და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ფორმები და უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელისათვის/საგადასახადო აგენტისათვის ინფორმაციის მიწოდება;

ი) განახორციელონ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება და დასახონ შესაბამისი ღონისძიებები საგადასახადო სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

კ) გამოავლინონ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადის გადახდას, და აღკვეთონ საგადასახადო სამართალდარღვევები, აწარმოონ საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეები და გამოიყენონ პასუხისმგებლობის ზომები საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით;

ლ) აწარმოონ მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის დასაშვები საკონტროლო-სალარო აპარატების მოდელის სახელმწიფო რეესტრი, განახორციელონ საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაცია და დალუქვა, აკონტროლონ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

მ) მიიღონ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე განცხადებები, შეტყობინებები და სხვა ინფორმაცია და კანონით დადგენილი წესით შეამოწმონ ისინი;

ნ) დადგენილი წესით განიხილონ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის წერილები, საჩივრები და შეკითხვები, საჭიროების შემთხვევაში უსასყიდლოდ მიანოდონ მას ინფორმაცია მოქმედი გადასახადების, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე;

ო) ჩაატარონ განმარტებითი მუშაობა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, გამოსცენ მეთოდური და ინსტრუქციული მითითებები, სახელმძღვანელოები და ბროშურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნონ კონსულტაციები და განმარტებები;

ჰ)საგადასახადო სამართალდარღვევის გამო განახორციელონ ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

ჟ)საგადასახადო კოდექსითა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით გათვალისწინებული წესითა და დადგენილ ვადებში გადასცენ (გაუგზავნონ) გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან მის წარმომადგენელს საგადასახადო შემონაშების აქტები, აგრეთვე საგადასახადო ორგანოების სხვა გადანყვებილებები და შეტყობინებები;

რ)გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს და სხვა ვალდებულ პირს წარუდგინონ „საგადასახადო მოთხოვნა“, ხოლო მისი შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით მიიღონ ზომები მისი შესრულების უზრუნველსაყოფად;

ს)დაუყოვნებლივ დაადასტურონ გადასახადის გადამხდელის მიერ უშუალოდ გადაცემული წერილებისა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების მიღება.

ტ)უზრუნველყონ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანარმოების (მათი ფილიალების), საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, მათი ფილიალებისა და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია, სამენარმო და სახელმწიფო რეესტრების წარმოება, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაცია (რეესტრის წარმოება) და მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება.

უ)საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა, გადასცეს მას ამონაწერი მოთხოვნაში მითითებულ პერიოდში მისი საგადასახადო ვალდებულებების ცვლილებებისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

### 2.3.2. გადასახადის გადამხდელია

გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება.

საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელმაც საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება.

საგადასახადო აგენტი უფლებათა და მოვალეობათა თვალსაზრისით გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან.

#### გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს:

ა)საგადასახადო ორგანოებისაგან მიიღოს ინფორმაცია საგადასახადო კანონმდებლობის, გადასახადის გადამხდელთა უფლებების, საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა უფლებამოსილებების შესახებ, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე;

ბ)პირადად, ან თავისი კანონიერი, ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით



წარმოადგინოს საკუთარი ინტერესები საგადასახადო ორგანოებში; საგადასახადო ურთიერთობისას ნებისმიერ დროს შეცვალოს თავისი წარმომადგენელი;

გ) ისარგებლოს საგადასახადო შეღავათებით ან განთავისუფლდეს გადასახადები-საგან საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით;

დ) დროულად დაიბრუნოს ან/და ჩაითვალოს სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ზედმეტად გადახდილი ან/და ზედმეტად ამოღებული გადასახადის ან/და სანქციის თანხა;

ე) კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მის შესახებ საგადასახადო ორგანოებში არსებულ ინფორმაციას;

ვ) დაეცნოს მის მიმართ ჩატარებულ გასვლით საგადასახადო შემოწმებას;

ზ) მიიღოს საგადასახადო შემოწმების აქტისა და საგადასახადო ორგანოს გადან-ყვეტილების დედანი ან დამონებული ასლი, აგრეთვე „საგადასახადო მოთხოვნა“;

თ) საგადასახადო ორგანოთა თანამდებობის პირებს მოსთხოვოს კანონმდებლობის დაცვა გადასახადის გადამხდელებთან დაკავშირებულ მოქმედებათა განხორციელებ-ისას;

ი) საგადასახადო ორგანოებსა და მათი თანამდებობის პირებს წარუდგინოს ახსნა-განმარტებები ჩატარებულ საგადასახადო შემოწმებათა აქტების შესახებ, აგრეთვე გა-დასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის თაობაზე;

კ) საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას დადგენი-ლი წესით მოითხოვოს მის მიერ ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევის შესა-ბამისი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება, პასუხისმგებლობის შემსუბუქება ან პა-სუხისმგებლობისაგან გათავისუფლება;

ლ) კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს მისთვის წარდგენილი „საგადასახადო მოთხოვნა“, აგრეთვე საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა სხვა გადაწყვეტილებები და ქმედებები;

მ) არ შეასრულოს საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა საგა-დასახადო კოდექსთან და საქართველოს სხვა კანონებთან შეუსაბამო აქტები და მოთხოვნები;

ნ) საგადასახადო ორგანოებსა და მათი თანამდებობის პირებს მოსთხოვოს საგადა-სახადო საიდუმლოების დაცვა;

ო) კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა უკანონო გადაწყვეტილებების ან ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

პ) სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს, გარდა საგადასახადო ორგანოებისა, არ წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახ-ადებით დაბეგვრის ობიექტების განსაზღვრასთან, გადასახადების გამოანგარიშე-ბასთან და გადახდასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგადასახადო კოდე-ქსით ასეთი უფლებამოსილება გადაცემული აქვს სხვა ორგანოებს.

**გადასახადის გადამხდელი ვალდებულია:**

ა) შეასრულოს საგადასახადო ვალდებულებები საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;

ბ) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით აღრიცხვაზე დადგეს შესაბამის სა-

გადასახადო ორგანოში, ხოლო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანარმო და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირები ვალდებული არიან, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით გაიარონ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ადგილმდებარეობის მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში;

გ)გადასახადების გამონაგარიშებისა და გადახდის მიზნით საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხოს შემოსავლები, ხარჯები და გადასახადებით დაბეგერის ობიექტები;

დ)კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საგადასახადო დეკლარაციები, გაანგარიშები, ცნობები და ბულალტრული ანგარიშგება იმ გადასახადებზე, რომელთა მიმართაც იგი ითვლება გადასახადის გადამხდელად;

ე)საგადასახადო შემონმების ჩატარებისას ან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში საგადასახადო ორგანოებსა და მათი თანამდებობის პირებს წარუდგინოს გადასახადების გამოსაანგარიშებლად და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები (ცნობები);

ვ)შეასრულოს საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა კანონიერი მოთხოვნები საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, აგრეთვე ხელი არ შეუშალოს ამ თანამდებობის პირებს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას;

ზ)განაცხადოს საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის ან გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ და საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს ან საგადასახადო აგენტს წარუდგინოს საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები;

თ)უზრუნველყოს იმ დოკუმენტების შენახვა, რომელთა საფუძველზედაც ხდება გადასახადებით დაბეგერის ობიექტების აღრიცხვა და საგადასახადო დეკლარაციების შედგენა, აგრეთვე შემოსავლისა და მოგების მიღების, განუული ხარჯებისა და გადახდის ან/და დაკავებული გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტების შენახვა 6 წლის ვადით;

ი)შეასრულოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

**გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ცნობები:**

ა)ბანკებში და საბანკო ოპერაციების განმახორციელებელ სხვა ორგანიზაციებში საბანკო ანგარიშების (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა) გახსნის შესახებ, ასეთი ანგარიშების გახსნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ამასთანავე, საქართველოს სანარმოები, საქართველოს ორგანიზაციები და მენარმე ფიზიკური პირები წარადგენენ ინფორმაციას როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ გახსნილი ანგარიშების შესახებ, ხოლო უცხოური სანარმოები და ორგანიზაციები – მხოლოდ საქართველოში გახსნილი ანგარიშებისა და იმ ანგარიშების შესახებ, რომლებითაც ისინ-

ნი ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში;

ბ)სანარმოს („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანარმოს გარდა) ქვედანაყოფების რეგისტრაციის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ მათი რეგისტრაციიდან, რეორგანიზაციიდან ან ლიკვიდაციიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად;

გ)სანარმოს („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანარმოს გარდა) გაკოტრებულად გამოცხადების, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად;

დ)თავისი („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანარმოსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გარდა) საქმიანობის ადგილის, მართვის ადგილის ან ეკონომიკური საქმიანობის ადგილის შეცვლის შესახებ, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**საგადასახადო აგენტი ვალდებულია:**

ა)სწორად და დროულად გამოიანგარიშოს, გადასახადის გადამხდელს დაუკავოს და შესაბამის ბიუჯეტებში გადარიცხოს სათანადო გადასახადები;

ბ)ალრიცხოს ყოველი გადასახადის გადამხდელისათვის დარიცხული და მის მიერ გადახდილი შემოსავლები, აგრეთვე დარიცხული, დაკავებული და ბიუჯეტში გადარიცხული გადასახადები;

გ)საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გადასახადების გამოანგარიშების, დაკაუებისა და გადახდის სისწორის კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტები;

დ)შეასრულოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

## 2.4 საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები. საშემოსავლო და მოგების გადასახადი

### 2.4.1. საშემოსავლო გადასახადი

#### გადასახადის გადამხდელი

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი;

ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროებიდან;

#### დაბეგვრის ობიექტი

რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოკეტივების თანხებს შორის.

საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოკეტივების თანხებს შორის.

არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დაწესებულებასთან, იბეგრება საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან გამოკეტივების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არარეზიდენტი პირი შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოკეტივების თანხებით.

#### გადასახადის განაკვეთი

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 25 პროცენტით.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდის მიხედვით შეადგენს 25%-ს; 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე – 24%-ს, 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე – 22%-ს, 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე – 20%-ს, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე – 18%-ს, ხოლო 2013 წლის 1 იანვრიდან – 15%-ს.

საქართველოს სანარჩოს მიერ ფიზიკური პირისთვის ან უცხოური სანარჩოსთვის გადახდილი დივიდენდები 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 10-პროცენტის განაკვეთით, 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე – 7,5-პროცენტის განაკვეთით, 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე – 5-პროცენტის განაკვეთით, ხოლო 2011 წლის 1 იანვრიდან – 0 პროცენტით.

არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით გადახდილი პროცენტები თუ შემოსავლის წყარო საქართველოშია, იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 10-პროცენტის განაკვეთით 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე, 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე – 7,5-პროცენტის განაკვეთით, 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე – 5-პროცენტის განაკვეთით, ხოლო 2011 წლის 1 იანვრიდან – 0 პროცენტით.

2008 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდების მიხედვით ფიზიკური პირის ქვემოთ ჩამოთვლილ დასაბეგრ შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 12%-ს.

ა) გრანტი მიღებული სახსრებიდან გრანტის მიმღები ორგანიზაციის მიერ გაცემული ანაზღაურება;

ბ) საქართველოში არსებული, დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული ანაზღაურება;

გ) საერთაშორისო ხელშეკრულებებით სოციალური გადასახადისაგან გათავისუფლებული ანაზღაურება;

დ) სასამართლო გადაწყვეტილებით სასჯელალსრულების დაწესებულებებში მოთავსებული პირებისათვის გადახდილი თანხები;

ე) შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ანაზღაურება;

ვ) სხვა ანაზღაურება, რომელიც 2007 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოს კანონმდებლობით არ იბეგრებოდა სოციალური გადასახადით.

საშემოსავლო გადასახადის 25%-იანი და მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთები მოქმედებს 2008 წლის 1 იანვრიდან შემდგომ საგადასახადო პერიოდებზე, ამასთანავე, 2008 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ და გაუცემელ ხელფასებზე მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის 12%-იანი განაკვეთი.

2008 წლის განმავლობაში:

ა) საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე გადასახდელები გადაიხდება 2007 წლის დასაბეგრი შემოსავლიდან სოციალური გადასახადის (გარდა ხელფასის სახით განაცემებზე კუთვნილი სოციალური გადასახადისა) გამოქვითვის გარეშე საშემოსავლო გადასახადის 25%-იანი განაკვეთის მიხედვით გადაანგარიშებული თანხებიდან;

ბ) მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები გადაიხდება 2007 წლის დასაბეგრი მოგებიდან 15%-იანი განაკვეთის მიხედვით გადაანგარიშებული თანხებიდან.

გადასახადისაგან გათავისუფლება

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისაგან თავისუფლება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მას-

თან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;

ბ) ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, სახელმწიფო ბიუჯეტში ან ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული ასიგნებებით გამოყოფილი დახმარება ან ერთჯერადი განაცემი (მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები);

გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;

დ) ალიმენტი;

ე) ანქორნიების საფუძველზე ფიზიკური პირის მიერ მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

3) ფიზიკური პირის მიერ 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და 2 ნელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით ან/და სანარმოს ლიკვიდაციის ან სანესდებო კაპიტალის შემცირების გზით ამ სანარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ (იმ შემთხვევაში, თუ სანარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების ნარმოშობიდან გასულია 2 ნელზე მეტი) უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, გარდა მის მიერ სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული 2-წლიანი ვადა უძრავი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში იანგარიშება საქართველოს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი (წარსადგენი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უძრავი ქონება მიღებულია ფიზიკური პირის მიერ სანარმოდან წილის სანაცვლოდ ამ სანარმოს ლიკვიდაციისას ან სანესდებო კაპიტალის შემცირებისას). ამ შემთხვევაში უძრავ ქონებაზე საკუთრების 2-წლიანი ვადა იანგარიშება ფიზიკური პირის მიერ ამ სანარმოში შესაბამისი წილის შექენის დღიდან. წილის სხვადასხვა დროს შექენის შემთხვევაში უძრავ ქონებაზე საკუთრების 2-წლიანი ვადა იანგარიშება შესაბამისი წილის შექენის თარიღიდან), ხოლო „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც სხვაობა ქონების რეალიზაციის ფასსა და მასზე საკუთრების უფლების ნარმოშობისას მისი შექენის ფასს შორის, გარდა საკუთრების უფლების უსასყიდლოდ (სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას, ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას ან სხვა შემთხვევებში) ნარმოშობისას, როდესაც ნამეტი იანგარიშება, როგორც სხვაობა უსასყიდლოდ მიღებული ქონების რეალიზაციის ფასსა და მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის“;

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირისაგან 1000 ლარამდე ღირე-

ბუღების ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება.

ისაგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;

ლი) მენარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ „ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს:

№	საქმიანობის სახე	ფართობის მაქსიმალური ოდენობა მ <sup>2</sup>
1	2	3
სექცია A		
1.	01.41.1. ქვეკლასით გათვალისწინებული მომსახურება: — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით	
სექცია D		
2.	17.51.1. ქვეკლასით გათვალისწინებული: — ხალიჩებისა და ორბოვისებრი ნანარმის წარმოება	20
3.	17.72.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — პულოვერებისა და ანალოგიური ნანარმის წარმოება	15
4.	18.22.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა.	10
5.	18.23.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — საცვლების წარმოება.	10
6.	18.24.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — თავსაბურავების წარმოება.	10
7.	18.24.9 ქვეკლასით გათვალისწინებული: — დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება.	10
8.	20.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:	20

	<ul style="list-style-type: none"> <li>— ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება</li> <li>— ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება;</li> <li>— ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება.</li> </ul>	
9.	<p>26.21.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>— ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება</li> </ul>	20
10.	<p>28.75.2 ქვეკლასით გათვალისწინებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>— სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლის და ინვენტარის წარმოება.</li> </ul>	20
11.	<p>36.30 კლასით გათვალისწინებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>— მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება</li> <li>— აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის ტუჩის გარმონიკების წარმოება;</li> <li>— სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება</li> <li>ინსტრუმენტების წარმოება</li> </ul>	15
12.	<p>36.62 კლასით გათვალისწინებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>— ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება.</li> </ul>	10
სექცია G		
13.	<p>50.20 კლასით გათვალისწინებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>— ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.</li> </ul>	40
14.	<p>52.7 კლასით გათვალისწინებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>— საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი</li> <li>— საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს.</li> </ul>	20
15.	<p>52.71 კლასით გათვალისწინებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>— ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი.</li> </ul>	20
16.	<p>52.72 კლასით გათვალისწინებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>— საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი.</li> </ul>	20
17.	<p>52.73 კლასით გათვალისწინებული:</p>	2



	— საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი.	
18.	52.74.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი.	10
19.	52.74.9 კლასით გათვალისწინებული: — საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	20
სექცია H		
20.	55.23.0 ქვეკლასით – სხვა საცხოვრებელი ადგილები – გათვალისწინებული: — საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გადაცემა სოფლის სახლებში (შალებში), კოტეჯებში და ბინებში.	60
სექცია K		
21.	74.85.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: — სამდივნო და თარგმნითი მომსახურების განევა.	5
22.	93.01.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება.	20
23.	93.02.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: — თმის დაბანა, შესწორება და კრეჭა, დაწყობა, შეღებვა, შეფერადება, დახვევა, გასწორება და ანალოგიური სამუშაოები მამაკაცებისთვის და ქალებისათვის, აგრეთვე გაპარსვა და წვერის შესწორება.	20
24.	95.0 კლასით გათვალისწინებული: — შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება.	

მ) 2010 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი და დაქირავებული ფიზიკური პირისათვის გაცემული ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;

ნ) პრივატიზების წესით (უსასყიდლოდ), ასევე მინისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულების მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება.

ო) დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები.

პ) ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ უკანონოდ მის და მამკვიდრებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა მის ან მამკვიდრებლის მიერ სამენარმო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა. 2-წლიანი ვადა და „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ უძრავი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში იანგარიშება ამ ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

ჟ) საქართველოს ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

რ) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იმ საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომელიც სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე და, საფონდო ბირჟის ინფორმაციით, თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25%-ს;

ს) სარარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი სანარმოს, ორგანიზაციის ან/და მენარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე, აგრეთვე არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში;

ტ) სახელმწიფო (მათ შორის, ეროვნული ბანკის) სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;

უ) სახელმწიფო (მათ შორის, ეროვნული ბანკის) სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

ფ) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლებს.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე;

ა) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მხედველობის გამო I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის;

ბ) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე საქართველოს მოქალაქის;

გ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართველის დედის“ საპატიო ნიშანი;

დ) მარტოხელა დედის;

ე) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ვ) პირის, რომელმაც აღსაზრდელად (შვილობილად) აიყვანა ბავშვი.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

ა) და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 1500 ლარამდე;

ბ) მალაღობიანი რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (პირის კმაყოფაზე მყოფი 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) პირის მიერ აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი

3000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ, ერთ— ან ორშვილიან (პირის კმაყოფაზე მყოფი 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) პირს აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

#### 2.4.2. მოგების გადასახადი

**მოგების გადასახადის გადამხდელია:**

ა) საქართველოს სანარმო;

ბ) უცხოური სანარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

ამხანაგობა და სხვა ანალოგიური წარმონაქმნი მოგების გადასახადს გადაიხდის საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთ ზე მტეტი პირის საკუთრების ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა წარმონაქმნების ერთობლივი ფლობის (თანამფლობელობის) შემთხვევაში დასაბეგრი მოგება (შემოსავალი) მიეკუთვნება მათ მფლობელებს წილის შესაბამისად და ჩართება მათ ერთობლივ შემოსავალში.

**დაბეგრის ობიექტი**

საქართველოს სანარმოს მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

უცხოური სანარმო (გარდა საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლისა), რომელიც საქართველოში ახორციელებს საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებული საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რომელიც მცირდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებით.

სავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებელი უცხოური სანარმოს, რომელიც საქართველოში ახორციელებს საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, დასაბეგრი მოგება განისაზღვრება საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით, რომელიც იყოფა მის მიერ საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ (მთლიან) შემოსავალზე და მრავლდება მის მიერ მიღებულ დასაბეგრ მოგებაზე.

უცხოური სანარმოს ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დაწესებულებასთან, გადასახადით იბეგრება საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, კერძოდ

1. არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავა-

ლი, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დანესებულებას საქართველოში, იბეგრება გადახდის წყაროსთან შემდეგი განაკვეთებით:

ა) დივიდენდები – 10 პროცენტი;

ბ) პროცენტები – 10 პროცენტი;

გ) სანარმოს, ორგანიზაციის ან/და მენარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 4%-ით. აღნიშნული განაკვეთით იბეგრება აგრეთვე „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი;

დ) გადახდილი სხვა თანხები, რომლებიც საგასახადო კოდექსით ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად – 10 პროცენტით;

ე) ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი – საგადასახადო კოდექსის 167-ე მუხლით განსაზღვრული განაკვეთით.

გადასახდელები, რომლებიც გადაიხდება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დანესებულების მიერ ან მისი სახელით, ითვლება საქართველოს სანარმოს მიერ გადახდილად.

უცხოური სანარმო, რომელიც ქონების რეალიზაციით იღებს საგადასახადო კოდექსის 170-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დანესებულებასთან, წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით.

ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:

ა) რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორების წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ბ) როიალტის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

გ) საქართველოში გამოყენებული მოძრავი ქონების იჯარით ან/და სხვა სახელშეკრულებო სარგებლობის უფლების გაცემით და საქართველოში არსებული ეკონომიკური საქმიანობისათვის რეაოყენებული უძრავი ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

დ) სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

**გადასახადის განაკვეთი**

სანარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით, გარდა შემდეგი შემთხვევისა: „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10-პროცენტის განაკვეთით, თუ ეს ხელშეკრულება დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

**გადასახადისაგან გათავისუფლება**

მოგების გადასახადით დაბეგვისაგან თავისუფლება:

— საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

- ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, სანეკრო შენატანები და შემოწირულობები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;
- საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;
- სამედიცინო დანესებულებების (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც მოხმარდება რეინვესტირებას (დანესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) და თანამშრომელთა მატერიალურ ნახალსებებს;
- 2010 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;
- 2010 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში;
- საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ ფინანსური მომსახურებიდან მიღებული მოგება;
- საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება;
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იმ საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული მოგება, რომელიც საეკონომიკურად არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე და, საფონდო ბირჟის ინფორმაციით, თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25%-ს;
- არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი სანარმოს, ორგანიზაციის ან/და მენარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე, აგრეთვე არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დანესებულებას საქართველოში;
- სახელმწიფო (მათ შორის, ეროვნული ბანკის) სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული მოგება;
- სახელმწიფო (მათ შორის, ეროვნული ბანკის) სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება;
- თავისუფალი სანყოფის სანარმოს მიერ თავისუფალი სანყოფიდან საქონლის რეექსპორტით მიღებული მოგება.
- საერთაშორისო სანარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობით მიღებული მოგება.

#### 2.4.3. ერთობლივი შემოსავალი

რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება მის მიერ საქართველოში და საქართველოს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან.

ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, კერძოდ:

- ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;
- ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;
- გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის, ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.

სარგებლის ღირებულებად ითვლება თანხა, დაქირავებულის მიერ ამ ნაწილით განსაზღვრული ოდენობით მიღებული სარგებლისათვის, გადახდილი თანხის გამოკლებით, მათ შორის:

ა) ნებისმიერი სახეობის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოსაყენებლად მიღებისას – შესაბამისი საგადასახადო წლის დასაწყისისათვის ამ ავტომობილის საბალანსო ღირებულების 0,1 პროცენტი დაქირავებულის მიერ ავტომობილის კერძო სარგებლობის მიზნით გამოყენების ყოველი დღისათვის;

ბ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საშუალო საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას – საბაზრო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა;

გ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდებისას ან კომპენსაციის გარეშე გადაცემისას – ასეთი საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი;

დ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას – საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება (შესაბამისი პერიოდის პროპორციულად);

ე) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის ან მის კმაყოფაზე მყოფთათვის განათლების მისაღებად დახმარების განევისას (დაქირავებულის ვალდებულებათა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომზადების პროგრამის ჩათვთვლად) – დამქირავებლის მიერ განათლების მისაღებად განეული დახმარების ღირებულება;

ვ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა;

ზ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ვალის ან ვალდებულების პატიები-სას – ვალის ან ვალდებულების თანხა;

თ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა;

ი) სხვა შემთხვევაში – სარგებლის საბაზრო ფასი, რომელიც საგადასახადო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად შემდეგნაირად არის განმარტებული:

საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც ყალიბდება

საქონლის/მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მსგავსი) საქონლის/მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად და შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, რომლებიც არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგება მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ პირობით, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ მოახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე.

საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი განისაზღვრება ბაზარზე ამ საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტისთვის (ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – რეალიზაციის მომენტის უახლოესი კალენდარული დღისთვის, რომელიც არა უშეტეს 30 კალენდარული დღით უსწრებს ან მოჰყვება ასეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტს იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგების, მათ შორის, საერთაშორისო და სხვა ბირჟებზე დაფიქსირებული ფასების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

საქონლის/მომსახურების ბაზრად ითვლება ამ საქონლის/მომსახურების მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი/მომსახურება გამყიდველისათვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ.

თუ საქონლის/მომსახურების ბაზარზე იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგება ან ამ ბაზარზე ასეთი საქონლის/მომსახურების მიწოდება არ არსებობს, საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი განისაზღვრება იმ ფასებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგების საფუძველზე, საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტის უახლოესი კალენდარული დღისთვის, რომელიც არა უშეტეს 30 კალენდარული დღით უსწრებს ან მოჰყვება ასეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტს.

თუ საგადასახადო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი-მეხუთე ნაწილების დებულებათა გამოყენება შეუძლებელია, საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი (ტარიფი) დგინდება დანახარჯების, შესაძლო რეალიზაციის ფასის ან მისაღები სარგებლის განსაზღვრის მეთოდებით.

საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასის განსაზღვრისას გამოიყენება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახადის გადამხდელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა სარწმუნო ინფორმაცია.

საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი შეიძლება იყოს საბითუმო და საცალო.

საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია საქონლის/მომსახურების მიწოდებელი თითოეული მხარისათვის ითვლება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით რეალიზაციად, ხოლო საქონლის/მომსახურების თითოეული მიმღებისათვის – საქონლის/მომსახურების იმავე საბაზრო ფასით შექენად.

საგადასახადო ორგანოს უფროსის/მის მოადგილეს უფლება აქვს გამოიტანოს მოტივირებული წერილობითი გადაწყვეტილება გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის საბაზრო ფასის გამოყენების შესახებ, თუ:

ა) გარიგება განხორციელდა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე;

ბ)საგადასახადო ორგანო ასაბუთებს, რომ გარიგების მონაწილეებს შორის გაცხადებული ფასი განსხვავდება ფაქტობრივი ფასისაგან.

საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად:

ურთიერთდამოკიდებულ პირებზე ითვლება ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

განსაკუთრებულ ურთიერთობებს განეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა)პირები არიან ერთი სანარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

ბ)ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ სანარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ)სანარმოს აკონტროლებს მეორე პირი;

დ)ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის:

ა)დაქირავებულიისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმის ფარგლებში;

ბ)წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება.

ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან, განეკუთვნება სამენარმეო და არასამენარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

სამენარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება:

ა)საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები;

ბ)სამენარმეო საქმიანობისთვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

გ)სამენარმეო საქმიანობის შეზღუდვის ან სანარმოს დახურვის შედეგად მიღებული შემოსავლები;

დ)ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული თანხები;

ე)კომპენსირებული გამოქვითვები საგადასახადო კოდექსის 209-ე მუხლის მიხედვით, კერძოდ:

ა)დრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და უიმედო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხა იმ წლის შემოსავლად ითვლება, რომელშიც მოხდა მისი ანაზღაურება;

თუ ხდება წინასწარ გამოქვითული რეზერვების შემცირება, შემცირებული თანხა შეიტანება ერთობლივ შემოსავალში.

ვ)სხვა სამენარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები, გარდა სამენარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისა და ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა.

#### 2.4.4. გამოქვითვაები და ზარალი

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა:



— ძირითად საშუალებათა შექმნის, დადგმის, მშენებლობის, მონტაჟის, წარმოების და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯებისა თუ გადასახადის გადამხდელი არ იყენებს ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შესვლის წელს მათი ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლებას.

— იმ ხარჯებისა, რომლებიც გამოქვითვას არ ექვემდებარება;

— ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;

— გართობაზე განულები ხარჯები თუ გადასახადის გადამხდელი არ ეწევა გართობითი სახიათის სამეწარმეო საქმიანობას.

— ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის განულები ხარჯები, ლატარებიდან, კაზინოებიდან (სამორინებიდან), აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

— მოგების გადასახადის ან საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. საწარმოს მიერ კრედიტისთვის (სესხისთვის) გადახდილი ან/და გადასახდელი (ალრიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით) პროცენტები ექვემდებარება გამოქვითვას არა უმეტეს კრედიტის (სესხის) წლიური 24 პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად, ხოლო იმ საწარმოში, რომლის წარის (აქციების) 20 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ ოურიდიულ პირებს, გამოსაქვითი პროცენტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადამხდელის მიერ პროცენტის სახით მიღებული ნებისმიერი შემოსავლისა და ნებადართული გამოქვითვებით (პროცენტების გამოქვითვების გარდა) შემცირებული ერთობლივი შემოსავლების თანხების ჯამის 50 პროცენტს.

— ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითება საწარმოს მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობის თანხა, მაგრამ არა უმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან გათვალისწინებული გამოქვითვების შემდეგ დარჩენილი თანხის 8 პროცენტისა.

— გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გამოქვითოს რეალიზებულ საკონსტრუქციო და მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, რომელთა მიხედვით მისაღები შემოსავლები წინა საანგარიშო პერიოდებში შეტანილი იყო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში.

უიმედო ვალების გამოქვითვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ჩამონერილია და ასახულია გადასახადის გადამხდელის საბუღალტრო ანგარიშებში. გამოქვითვას ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქციო მომსახურების ხარჯები. აგრეთვე იმ ოურიდიულ პირს, რომელიც სადაზღვევო საქმიანობას ეწევა, უფლება აქვს სარეზერვო ფონდებში გადახდილი თანხა გამოქვითოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, ხოლო ბანკები და საკრედიტო კავშირები სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას ახორციელებენ საეჭვო ვალების შესახებ შექმნის შესახებ საქართველოს რეზერვული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს უფლება აქვთ გამოქვითონ წარმომადგენლობითი ხარჯები არა უმეტეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტისა.

**ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება:**

— მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, რომლებიც გადახდილია ან გადასახდელია საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში;

— ბიუჯეტში შეტანილი ან შესატანი სანქციების თანხები.

ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხები გამოიქვითება საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას, ხელოვნების ნიმუშებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებს (გარდა შენობა-ნაგებობებისა), მუშა და პროდუქტიულ პირუტყევს და სხვა არაამორტიზებად აქტივებს. ამასთან, ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებებს და იგი მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც მათი შექენა ან შექმნა მოხდა.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც ამორტიზაციას ექვემდებარება, ჯგუფდება ამორტიზაციის შემდეგი ნორმების მიხედვით:

ჯგუფის ნომერი	ძირითადი საშუალებები	ამორტიზაციის ნორმა
1	მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრავტორო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; ავეჯი ოფისისათვის; საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა; სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები; მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის; სამჭედლო-სანნეხი მოწყობილობა; სამშენებლო მოწყობილობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა.	20
2	სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა; ელექტრონული მოწყობილობა.	20
3	სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძაღოვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები.	8
4	შენობები, ნაგებობები.	5
5	ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში.	15

### ზარალი ქონების რელიზაციისას

მენარმე ფიზიკური პირის მიერ ქონების რელიზაციით მიღებული ზარალის კომპენსაცია ხდება ასეთი ქონების რელიზაციით მიღებული ღირებულების ნამატი. თუ ზარალის კომპენსაცია შეუძლებელია იმავე წელს, მაშინ იგი გადაიტანება 5 წლამდე ვადით და მისი კომპენსაცია მოხდება ასეთი ქონების რელიზაციით მიღებული ღირებულების ნამეტი.

### ზარალის გადატანა

მენარმე ფიზიკური პირის მიმართ კოდექსით გათვალისწინებული დაქვითვების გადამეტება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან, არ გამოიქვითება ამ პირის მიერ მიღებული ხელფასის ხარჯზე. იგი გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების საქმიანობით მიღებული ერთობლივი შემოსავლის ხარჯზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან.

იურიდიული პირის მიმართ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლების ხარჯზე.

### ზარალის გადატანის ვადის გაგრძელება

პირს უფლება აქვს კოდექსის 191-ე და 192-ე მუხლებით განსაზღვრული ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადა შეცვალოს ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადით. აღნიშნულის თაობაზე პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ამ კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადაა 11 წელი და იგი აითვლება საგადასახადო ორგანოსათვის პირის მიერ განცხადებით მიმართვის კალენდარული წლის დასრულებიდან. ხანდაზმულობის 11-წლიანი ვადის მოქმედება არ ვრცელდება საგადასახადო ორგანოსათვის პირის მიერ განცხადებით მიმართვის კალენდარული წლის წინა პერიოდებზე.

წინა ნაწილის დებულების გამოყენებისას პირს ზარალის დაფარვის შემთხვევაში უფლება აქვს არჩეული ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადა კვლავ შეცვალოს ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადით, რისთვისაც მან ზარალის დაფარვიდან ნებისმიერ შემდგომ საგადასახადო წელს საგადასახადო ორგანოს უნდა აცნობოს ისევე 5-წლიან ვადაზე გადასვლის შესახებ.

წინა ორი დებულებების გამოყენებისას საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება ზარალის გადატანის ვადის გაგრძელების თაობაზე განცხადების წარდგენის კალენდარული წლის დასრულებიდან ზარალის გადატანის ვადის გაგრძელების შეცვლის შესახებ განცხადების წარდგენის კალენდარული წლის დასრულებამდე პერიოდის ვადით, მაგრამ აღნიშნული ვადა არ შეიძლება იყოს 6 წელზე ნაკლები და 11 წელზე მეტი.

ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადის მოქმედება ვრცელდება 2010 წელს და მის შემდგომ წლებში წარმოქმნილ ზარალზე.

კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადატანას არ ექვემდებარება, თუ იგი წარმოშობილია:

ა) ფინანსური ინსტიტუტის მიერ საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსით

სარგებლობის პერიოდში;

ბ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმოს მიერ საქართველოს სანარმოს სტატუსით სარგებლობის პერიოდში;

გ) საქართველოს სანარმოს მიერ თავისუფალი სანყოფის სტატუსით სარგებლობის პერიოდში.

#### უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩაათვალი

შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან, საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი მოგების გადასახადის თანხები ჩაითვლება საქართველოში გადასახადის გადახდისას.

ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ჩათვლილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების იმ თანხებს, რომლებიც დარიცხული იქნებოდა საქართველოში ამ შემოსავალზე ან მოგებაზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთებით.

### 2.4.5. გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ნუსხი

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, კერძოდ:

ა) პირი (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმოსი), რომელიც ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასს უხდის დაქირავებულს;

ბ) პირი, რომელიც პირს უხდის პენსიას, გარდა იმ პენსიებისა, რომლებიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში;

გ) პირი, რომელიც იხდის საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრულ გადასახდელებს;

დ) სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, რომელიც განეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ გააჩნია გადასახადის გადამხდელის მონაბა;

ე) პირი, რომელიც დაკავებულია სათამაშო ბიზნესით და ფიზიკურ პირს უხდის მოგებებს;

ვ) პირი, რომელიც პირს უხდის სტიპენდიას, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა;

ზ) საქართველოს სანარმო, რომელიც პირს უხდის დივიდენდს;

თ) პირი, რომელიც პირს უხდის პროცენტს.

ი) «ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული საბროკერო კომპანია, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის ფასიანი ქალაქების რეალიზაციის შემთხვევაში, ასეთი რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის გაცემისას.

საგადასახადო აგენტი, რომელიც არის იურიდიული პირი, სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, ვალდებულია:

ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში — შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ხელფასის გადახდისას შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნისამებრ მისცეს ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, შემოსავლის თანხისა და სახეობის, აგრეთვე

დაკავებული გადასახადის (თუ გადასახადი დაკავებული იყო) თანხის მითითებით;

საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს, აგრეთვე შემოსავლის მიმღებ პირს, მისი მოთხოვნისამებრ, გაუფზავნოს ცნობა ამ პირის სარეგისტრაციო ნომრის, მისი დასახელების ან ვეაროსა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო წლისათვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით.

საგადასახადო აგენტის ვალდებულია ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის, ამავე ნაწილის მიხედვით განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით დეკლარაცია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით.

საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული სამშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მუშაობის შემთხვევაში – საგადასახადო აგენტის საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით.

#### 2.4.6. საშემოსავლო და მოგავის გადასახადის მიმდინარე გადასახდელაზი

სანარმოები/ორგანიზაციები ან მენარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან მიმდინარე გადასახდელაზის თანხები ბიუჯეტში შიიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ა) არა უგვიანეს 15 მაისისა – 25%;
- ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25%;
- გ) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25%;
- დ) არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25%.

გადასახადის გადამხდელი, რომელსაც გასული საგადასახადო წლის განმავლობაში არ გააჩნდა დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), მიმდინარე გადასახადებს არ იხდის.

თუ გადასახადის გადამხდელის მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი (მოგება) არანაკლებ 50%-ით მცირდება გასული საგადასახადო წლის შემოსავალთან (მოგებასთან) შედარებით და აღნშნულის შესახებ იგი მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვადამდე, 15 კალენდარული დღით ადრე აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელაზის თანხები. ამასთანავე, თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით არ დასტურდება მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) არანაკლებ 50%-ით შემცირება და გადასახადის გადამხდელს საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით არ გადაუხდია მიმდინარე გადასახდელაზი, მან უნდა გადაიხადოს საურავი ამ კოდექსის შესაბამისად, მიმდინარე გადასახდელაზის გადახდის ვადების დადგენილი თარიღებიდან საგადასახადო დეკლარაციის წარდგინის თარიღამდე არსებული დროის მონაკვეთით.

მიმდინარე გადასახდელთა ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები გადასახადის გადამხდელს ჩაეთვლება საგადასახადო წლის მიხედვით დარიცხულ გადასახადში.



## საქართველოს ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 9, თავი 22-29

**საქართველოს კანონმდებლობა**

საქართველოს მთავრობის დადგენილება

**№44 2005 წლის 11 მარტი ქ. თბილისი**

„საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის გადახდილი ანაზღაურების დაბეგვრის წესის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №52

2007 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

სოციალური და საშემოსავლო გადასახადების დეკლარაციის ფორმის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1284

2007 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

მოგების გადასახადის დეკლარაციის ფორმის და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №248

2005 წლის 12 აპრილი ქ. თბილისი

„საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ყოველკვარტალური დეკლარაციის და მისი შევსების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №22

2008 წლის 10 იანვარი ქ. თბილისი

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №534

2008 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი

III და IV რიგის მემკვიდრე ფიზიკური პირის მიერ მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №144

2008 წლის 27 ივნისი ქ. თბილისი

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ.

## 2.5 დამატებული ღირებულების გადასახადი

### 2.5.1. გადასახადის გადახდელი

— დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გადახდელად ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადახდელად.

— პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადახდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, დღგ-ის გადახდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე.

— არარეზიდენტი, რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადახდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დანესებულების გარეშე, დღგ-ის გადახდელად ითვლება ამ მომსახურებაზე.

დღგ მიზნებისათვის საქონელს არ განეკუთვნება ფული და მინა.

### 2.5.2. სავალდებულო რეგისტრაცია

პირი ვალდებულია გატარდეს დღგ-ის გადახდელად რეგისტრაციაში, თუ:

ა) ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს; მან ამ მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადახდელად რეგისტრაციისათვის;

ბ) ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილების იმპორტისა ან/და მიწოდებისა), იგი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში აქციზური საქონლის მიწოდებამდე;

გ) ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ან/და ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს. პირი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მიწოდების განხორციელებამდე.

პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადახდელად ითვლება რეგისტრაციისათვის საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენის ვალდებულების მომდევნო დღიდან.

დღგ-ის გადახდელად სავალდებულო წესით არარეგისტრირებული პირის გამოვლენისას საგადასახადო ორგანო საკუთარი ინიციატივით ახდენს ამ პირის რეგისტრაციას დღგ-ის გადახდელად.

რეორგანიზაციისას, თუ პირი ან რეორგანიზაციის ერთი მხარე მანც არის დღგ-ის გადახდელი, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადახდელად რეგისტრაციის თაობაზე დღგ-ით დასაბეგრი ოპ-

ერაციების განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

საწარმოს სანესდებო (საემისიო) კაპიტალში დღგ-ის გადამხდელის მიერ შენატანის საქონლის ფორმით განხორციელებისას აღნიშნული საწარმო ვალდებულია რეგისტრაციაში გატარდეს დღგ-ის გადამხდელად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

**2.5.3. ნებაყოფლობითი რეგისტრაცია**

პირს, რომელიც არ არის ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად, შეუძლია ნებაყოფლობით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით.

პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტარდება რეგისტრაციაში, გადასახადის გადამხდელად ითვლება მის მიერ რეგისტრაციის თაობაზე განცხადებაში დაფიქსირებული თარიღიდან, მაგრამ არა უგვიანეს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლით განსაზღვრული ვადებისა.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირი გაატაროს დღგ-ის გადამხდელთა რეესტრი და მისცეს მას საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის სარეგისტრაციო სერტიფიკატი განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი და სერტიფიკატის ნომერი ყველა ანგარიშ-ფაქტურაში და საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილ ყველა დეკლარაციასა და ოფიციალურ შეტყობინებაში.

**2.5.4. რეგისტრაციის გაუქმება**

დღგ-ის გადამხდელის, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დანესებულების, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება:

- ა) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას;
- ბ) ფიზიკური პირის გარდაცვალებისას;
- გ) საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიწოდების, კერძოდ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ან/და თუ ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს განუხორციელებსას.

გადასახადის გადამხდელს, თუ მის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს, შეუძლია მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან 2 წლის გასვლის შემდეგ.

რეგისტრაციის გაუქმება ძალაში შედის გაუქმების მოთხოვნით მიმართვის ან/და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების ვალდებულების წარმოშობის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.



### 2.5.5. ღაბაბერის ობიექტი

დღ-ით დაბეგერის ობიექტია:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) დასაბეგრი იმპორტი.

გ) დასაბეგრი დროებით შემოტანა საგადასახადო კოდექსის 241-1 მუხლის მიხედვით, რომლის თანახმად

საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან, საქართველოს საბაჟო კოდექსის 129-ე მუხლის მიხედვით იმპორტის გადასახდელეების გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე გადაიხდებიან დაღ-ის იმ თანხის 3%, რომელიც გადაიხდებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს.

საბაჟო ორგანო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ვასცემს საბაჟო ორგანოში დარიცხული დაღ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც ითვლება საგადასახადო ანგარიშფაქტურად.

### 2.5.6. დასაბეგრი ოპერაციები

დღ-ით დასაბეგრი ოპერაციებია:

ა) საგადასახადო კოდექსის 239-ე ან 240-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდება, მათ შორის, უსასყიდლოდ (გარდა, საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებული მიწოდებისა);

საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლი განსაზღვრავს საქონლის მიწოდების ადგილს, კერძოდ:

თუ საქონლის მიწოდება მოითხოვს ტრანსპორტირებას, მაშინ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის ადგილსამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას. სხვა შემთხვევაში საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის გადაცემის ადგილი.

ელექტრო— ან თბოენერჯის, გაზის ან წყლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის მიღების ადგილი. საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში ამ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო.

საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლი განსაზღვრავს მომსახურების განევის ადგილს, კერძოდ:

მომსახურების განევის ადგილად ითვლება:

უძრავი ქონების ადგილმდებარეობა, თუ მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ ამ ქონებასთან;

მომსახურების ფაქტობრივად განხორციელების ადგილი, თუ იგი დაკავშირებულია მოძრავ ქონებასთან;

მომსახურების ფაქტობრივად განევის ადგილი, თუ იგი ხორციელდება კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის

სფეროში;

ტივრთების გადატანის ან მგზავრთა გადაყვანის ადგილსამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას, თუ მომსახურება დაკავშირებულია ამ გადაზიდვებთან. საერთაშორისო გადაზიდვების მიზნებისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გადასახადის გადამხდელის მიერ მგზავრთა გადაყვანასა და ტვირთების გადატანასთან დაკავშირებული მომსახურება ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად;

მომსახურების მიმღები პირის მიერ ამ მომსახურების ეკონომიკური სარგებლის მიღების ადგილი, თუ ამ მომსახურების მიმღებ და გამწვე პირთა ადგილსამყოფელი სხვადასხვა სახელმწიფოშია. ეს დებულებები გამოიყენება შემდეგი მომსახურების მიმართ:

პატენტების, ლიცენზიების, სავაჭრო მარკების, საავტორო უფლებების ან სხვა ანალოგიური არამატერიალური აქტივის საკუთრებაში გადაცემა ან დათმობა;

საკონსულტაციო, იურიდიული, საბუღალტრო, საინჟინერინგო, აგრეთვე ინფორმაციის დამუშავებისა და სხვა ანალოგიური მომსახურება;

პერსონალით უზრუნველყოფა;

მოდრავი ქონების იჯარით გადაცემა (გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა); ხელშეკრულების ძირითადი მონაწილე პირის (სანარმოს ან ფიზიკური პირის) სახელით მოქმედი აგენტის მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებული მომსახურება;

იმ პირის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი, რომელიც ეწევა მომსახურებას.

თუ მომსახურების განევის ადგილი აღწერილია ერთზე მეტ შემთხვევაში, მომსახურების განევის ადგილი განისაზღვრება მომსახურების აღმწერი რიგით პირველი პუნქტის მიხედვით.

**2.5.7. დღგ-ის განაკვეთები**

დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 პროცენტს.

**დასაბეგრი ოპერაციის თანხა**

დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებულ ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე:

ა)თუ დღგ-ის გადამხდელი დასაბეგრი ოპერაციის სანაცვლოდ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს საქონელი/მომსახურება;

ბ)თუ საქონელი/მომსახურება გამოიყენება არაეკონომიკური საქმიანობისთვის, რომელზედაც პირს მიღებული აქვს ჩათვლა ან გადასახადის გადამხდელი საქონლის/მომსახურებას მიანდის თავის თანამშრომლებს;

გ)საგადასახადო კოდექსის 22-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში; კერძოდ, ეს მუხლი განსაზღვრავს გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის

საქონლის/მომსახურების ფასის განსაზღვრის პრინციპებს. ამის მიხედვით:

საგადასახადო ორგანოს უფროსს, მის მოადგილეს უფლება აქვს გამოიტანოს მოტივირებული წერილობითი გადაწყვეტილება გადასახადებით დაბეგრის მიზნებისათვის საბაზრო ფასის გამოყენების შესახებ, თუ:

— გარიგება განხორციელდა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ურთიერთდამოკიდებულება გაგლენას არ ახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე;

— საგადასახადო ორგანო ასაბუთებს, რომ გარიგების მონაწილეებს შორის გაცხადებული ფასი განსხვავდება ფაქტობრივი ფასისაგან;

დ) საქონლის/მომსახურების კომპენსაციის გარეშე მიწოდების შემთხვევაში.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება რეგისტრაციის გაუქმების მომენტში არსებული იმ საქონლის საბალანსო ნაშთით, რომელზედაც გადამხდელს დღგ აქვს ჩათვლილი ან ჩასათვლილი.

## 2.5.8. დასაბეგრი იმპორტის თანხა

დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საბაზო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაზო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხების ჯამისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩათვლელად.

## 2.5.9. გადასახადისგან გათავისუფლება

დღგ-ისაგან გათავისუფლებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების ან/და იმპორტის შემდეგი სახეები:

ა) ფინანსური მომსახურების განწვევა;

ბ) ეროვნული და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულია), ფასიანი ქაღალდებისა და სანესდებო კაპიტალის წილის მიწოდება ან/და იმპორტი;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების მიწოდება ან/და იმპორტი;

ე) განძეულობის, ჩამორთმეული ან/და უპატრონო საქონლის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

ვ) სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;

ზ) სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემული საქონლის ან/და გრანტების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ; მომსახურების განწვევა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელთაც ზემოაღნიშნული მიზნებისათვის აფინანსებს უცხოური ორგანიზაცია და რომელთა ერთ-ერთ მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შე-

საბამისი ორგანო. ამ ქვეპუნქტის მიზნისათვის ხელშეკრულებით მომსახურების განევის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

თ) საქონლის იმპორტი კოდექსის 270.5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან ან თავისუფალი სანაყობიდან საქონლის იმპორტისა;

ი) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების სანარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი, აგრეთვე ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული ხელშეკრულებების ან/და ნავთობისა და გაზის ოპერაციების სანარმოებლად გაცემული ლიცენზიების შესაბამისად ინვესტირებისა და საოპერაციო კომპანიებისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად საქონლის/მომსახურების მიწოდება;

კ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე პირის მიერ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ან/და საკულტო რელიგიური დანიშნულების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულება;

ო) საქართველოს არარეზიდენტების მიერ დაფუძნებული იმ სანაოსნო (გემთმფლობელი) სანარმოების მიერ სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განევა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არ ენევიან სამენარმეო საქმიანობას და რომელთა გემიც (გემებიც) დაცურავს საქართველოს სახელმწიფო ალმით;

პ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 0102 10, 0103 10 000 00, 0104 10 100 00, 0104 20 100 00, 0105 11, 0511 10 000 00, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00 000, 3103-3105, 3808 10, 3808 20 (გარდა 3808 20 100 00-ისა), 3808 30 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი, აგრეთვე ამ კოდებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება;

რ) სახელმწიფო რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგარაიონულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურება;

ს) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ განეული განათლების მომსახურება, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყო-დანადგარებისა და ქიმიური რეაქტივების იმპორტი;

ტ) დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალური (მათ შორის, ავტოტრანსპორტით) მომსახურება;

უ) სამედიცინო მომსახურების განევა, უპატრონო ბავშვთა სახლებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის, ავადმყოფთა, ინვალიდთა ან/და ღრმად მოხუცებულთა მოვლა-პატრონობის მომსახურების განევა ან/და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ შესაბამისი წლის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქონლის/მომსახურების მიწოდება;

ფ)საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ნოტების) მიწოდება, იმპორტი, რეალიზაციის მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების ან/და ჟურნალ-გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4820 20 000 00 კოდში მითითებული საქონლის (რეგულების) მიწოდება. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4801, 4802 55 000 00 და 48 10 22 კოდებში აღნიშნული საქონლის იმპორტი;

ქ) 16 წლამდე ასაკის ფიზიკური პირის სახელოვნებო და სასპორტო სწავლების მომსახურება, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

ღ)საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 1211 10 000 00, 1211 20 000 00, 1301 10 000 00, 1301 20 000 00, 1504 20, 1515 30, 1520 00 000 00 და 1702 11 000 00 კოდებში მითითებული საქონლის, 28-ე და 29-ე უჯრუდებში წარმოდგენილი სამკურნალო (ფარმაცევტული) ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე უჯრუთით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის (გარდა საღებავი რეზინისა), მათ შორის, ვაქცინების, 3912 12 000 00, 3912 31 000 00, 7010 10 000 00, 7010 90 790 00 და 9602 00 000 00 (ყელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

ყ)საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000 00, 9001 30 000 00, 9001 40, 9001 50, 9018-9022, 9025 11 910 00 და 9402 90 000 00 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713 და 8714 20 000 00 კოდებში მითითებული გადაადგილება უნარის არმქონე ადამიანებისათვის ეტლებს, იოდიზებული მარილის, რენტგენის ფირების, ინსულინის შრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების გლუკოზ-მეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) მიწოდება ან/და იმპორტი;

შ)იმ საქონლის იმპორტი ან დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი ან დროებით შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; გემებისა და საჰაერო საფრენი საშუალებების დროებით შემოტანა; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანა; საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის დროებით შემოტანა;

ჩ)სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეო-

ბის პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადაამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე); გარდა სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00 190 00 და 04070030000 კოდებში აღნიშნული საქონელისა (კვერცხისა).

ც) ზვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ან/და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

ძ) დიაბეტური პურის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

წ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8701 90 110 00-807 90 500 00 კოდებში აღნიშნული ტრაქტორებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8706 00 190 00, 8706 00 990 00, 8707 90 100 00, 8707 90 900 00, 8708 10 900 00, 8708 29 100 00-8707 40 900 00, 8708 50 900 00-8708 70 100 00, 8708 80 100 000 8708 80 900 00, 8708 91 100 00, 8708 91 900 00, 8708 92 100 00, 8708 92 900 00, 8708 93 100 00, 8708 93 900 00, 8708 94 100 00, 8708 94 900 00, 8708 99 კოდებში აღნიშნული შასის, ძარის, ნაწილებისა და მოწყობილობების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8432 90 000 00 და 8433 90 000 00 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

ჭ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტი ან/და მიწოდება.

ხ) ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით უცხოეთის სახელმწიფოების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით დაფინანსებული საქონლის იმპორტი ან/და სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო, სარესტავრაციო, საცდელ-საკონსტრუქტორო ან/და გეოლოგიურ-საძიებო მომსახურების განევა;

ჯ) ელექტროენერჯის წარმოებისათვის (თბოელექტროსადგურებისათვის) ბუნებრივი აირის იმპორტი ან/და მიწოდება.

ჰ) კლატარებით, კაზინოებით (სამორინებით), აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობებით მომსახურების განევა.

ჰ/2) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურის 8802 11 100 00, 8802 12 100 00, 8802 20 100 00, 8802 30 100 00, 8802 40 100 00 შესაბამის კოდებში აღნიშნული საქონლის ან/და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით მათთვის (სამოქალაქო ავიაციისათვის) განკუთვნილი საქონლის იმპორტი.

ჰ/3) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს შორის საქონლის/მომსახურების მიწოდება, აგრეთვე თავისუფალ სანჯობში დღგ-ის გადახდელზე საქონლის მიწოდება.

დღგ-ისაგან გათავისუფლება ერთიანი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს.

## 2.5.10 ნულოვანი განაკვეთით დასაბჯარი ოპერაციები

დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით იბეგრება:

— საქონლის ექსპორტი;

საქონლის ექსპორტის მიმართ დღე-ის ნულოვანი განაკვეთის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, როდესაც გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვების შესახებ.

— საქონლის/მომსახურების მიწოდება, რომელიც განკუთვნილია დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისთვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიმართ გამოიყენება განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი, მაშინ ამ ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე გამოიყენება ანალოგიური დაბეგვრის რეჟიმი. ასეთი ქვეყნების ჩამონათვალი და დაბეგვრის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

— საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებულ საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების მიწოდება.

— საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება;

— ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურების მიწოდება;

— მგზავრების საერთაშორისო გადაყვანის მომსახურების მიწოდება;

— საერთაშორისო გადაზიდვებისას ტვირთის, მგზავრის ან/და სატრანსპორტო საშუალების ვაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირების აეროპორტების, ნავსადგურების, სარკინიგზო და საავტომობილო ვაგზლების მიერ განეული მომსახურება;

— საერთაშორისო გადაზიდვების აერო— ან საზღვაო სანავიგაციო, საღისეპტიკრო ან/და საინფორმაციო მომსახურება;

— ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების საქესპედიტორო მომსახურება;

— საერთაშორისო გადაზიდვების ტვირთისა და ბარგის დოკუმენტაციის მომზადების, ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისათვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;

— მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთების რეალიზაციის მომსახურება;

— აეროპორტებისა და ნავსადგურების საბაჟო კონტროლის ზონაში მგზავრთა მომსახურება, რომლის ღირებულება შედის საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთის ფასში;

— ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება.

— საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე საწვავისა და საპოხი საშუალებების მიწოდება დღე-ის ნულოვანი განაკვეთით.

— საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის (გადაამუშავების პროდუქტის ან გადაამუშავებელი საქონლის) საქართველოს ტერიტორიიდან გატანა;

— ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურისტული მომსახურების პაკეტის მი-

ნოდება;

- საქართველოს საქონლის მინოდება უბაჟო ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისთვის;
- უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის მინოდება, აგრეთვე კვების მომსახურების მინოდება;

— ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვის და მგზავრების საერთაშორისო გადაყვანის მომსახურების მინოდებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების მინოდება;

— 2009 წლის 1 იანვრამდე ელექტროენერჯის მინოდება, გარდა ელექტროენერჯის მომხმარებლისათვის მინოდებისა (მათ შორის, სხვა მომხმარებლებისათვის შემდგომი მინოდების მიზნით), აგრეთვე გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურება იბეგრება დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით. ამ მუხლის მიზნებისათვის სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შესყიდვა განიხილება, როგორც ელექტროენერჯის მინოდების შემადგენელი ნაწილი.

**2.5.11. უკუდაბეგრვა**

დღგ-ის გადამხდელად, არარეგისტრირებული არარეზიდენტის მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე განეული მომსახურება იბეგრება საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის — უკუდაბეგრვის წესის შესაბამისად.

საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი საგადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, რომელსაც აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი.

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას არარეზიდენტისათვის გასაცემ თანხაზე.

თუ საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, მან დარიცხვული დღგ უნდა გადაიხადოს დღგ-ის შესახებ იმ თვის დეკლარაციის წარდგენის დროს, რომელშიც მოხდა მომსახურების განევა. დარიცხვული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ითვლება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურად.

თუ საგადასახადო აგენტი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, მან დარიცხვული დღგ უნდა გადაიხადოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით, მომსახურების განევის თვის მომდევნო რიცხვის 15 რიცხვამდე.

**2.5.12. დეკლარაციის წარდგენა და დღგ-ის გადახდა**

დღგ-ის გადამხდელი ვალდებულია:

- ა) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანიზოში წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე (დღგ-ის საანგარიშო პერიოდად ითვლება კალენდარული თვე) არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;
- ბ) ყოველ საანგარიშო პერიოდზე დეკლარაციის წარსადგენად დადგენილ ვადაში გადაიხადოს დღგ.

დასაბეგრ იმპორტზე დღგ-ის დარიცხვასა და გადახდევინებას აწარმოებენ საბაჟო ორგანოები ამ კოდექსისა და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხვული დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელი დღგ-ის თანხებს შორის.



### 2.2.5.13 დღ-ის ჩასათვლილი თანხა

დღ-ის ჩათვლის უფლება აქვს დღ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს.

ჩასათვლელი დღ-ის თანხა არის გადასახადი თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ან/და საბაჟო დეკლარაციების მიხედვით დასაბეგრ ოპერაციებზე ან/და დასაბეგრ იმპორტზე, თუ საქონელი/მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება გადასახადის გადახდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის.

თუ დღ-ის გადახდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურების ან/და საბაჟო დეკლარაციების მიხედვით გადახდილი ან/და გადასახდელი დღ ნაწილობრივ გათვალისწინებულია გადახდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის, ნაწილობრივ კი – სხვა მიზნებისათვის, დღ-ის ჩასათვლელი თანხა განისაზღვრება მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ან გამოსაყენებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების შესაბამისად. თუ შეუძლებელია ასეთი გამოიჯნვა, დღ-ის ჩათვლა ინარმოებს პროპორციულად.

**დღ-ის ჩათვლა არ წარმოებს:**

ა) მსუბუქ ავტომობილებზე, გარდა იმ პირების მიერ შეძენილი მსუბუქი ავტომობილებისა, რომელთა ძირითადი მიზანობაა მსუბუქი ავტომობილების ყიდვა-გაყიდვა, ლიზინგით გაცემა, გაქირავება, ასევე გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ პირის შემოსავლები მხოლოდ ავტომობილით მომსახურებაზე დამოკიდებული;

ბ) საქველმოქმედო ან სოციალური მიზნით გასართობი ღონისძიებებისათვის ან წარმომადგენლობითი ხარჯებისას გადახდილ დღ-ის თანხებზე;

გ) საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით იმ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილ დღ-ზე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ დღ-ისგან გათავისუფლებული საქონლის/მომსახურების სანარმოებლად, მიუხედავად იმისა, გათვალისწინებულია თუ არა მისი შემდგომი მიწოდება;

დ) იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც არ იძლევა საქონლის/მომსახურების გამიყიდველის იდენტიფიცირების საშუალებას;

ე) იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც არ არის წარმოდგენილი მყიდველის (ჩათვლის მიმღების) მიერ დღ-ის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს 45 კალენდარული დღისა, ამასთანავე, თუ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების წარდგენის პერიოდი იწურება შესაბამის თვეში დღ-ის დეკლარაციის წარდგენის ვადამდე – მაშინ, არა უგვიანეს აღნიშნული ვადისა.

თუ დღ-ის გადახდელს აქვს დასაბეგრი და ამ კოდექსის თანახმად დღ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციები, მაშინ დღ-ის ჩასათვლელი თანხა განისაზღვრება მხოლოდ დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენებული საქონლის/მომსახურების ღირებულების შესაბამისად. თუ შეუძლებელია ასეთი გამოიჯნვა, დღ-ის ჩასათვლელი თანხა განისაზღვრება საერთო ბრუნვის თანხაში დასაბეგრი ბრუნვის ხვედრითი წილის მიხედვით, რომელიც გამოიანგარიშება საანგარიშო თვის საერთო ბრუნვაში დასაბეგრი ბრუნვის ხვედრითი წილის საფუძველზე. ეს ნაწილი გამოიყენება 247-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნის შესრულების შემდეგ. ამ მუხლის თანახმად თუ დღ-ის გადახდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ან/და საბაჟო დეკლარაციების მიხედვით გადახდილი ან/და გადასახდელი დღ ნაწილობრივ გათვალისწინებ-

ულია გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის, ნაწილობრივ კი – სხვა მიზნებისათვის, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა განისაზღვრება მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ან გამოსაყენებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების შესაბამისად. თუ შეუძლებელია ასეთი გამოიჯნევა, დღგ-ის ჩათვლა ინარმოებს პროპორციულად.

**5.14. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა**

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას, გარდა საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში, კერძოდ

238/2. თუ საქონლის (ელექტრო— ან თბოენერჯის, გაზის ან წყლის) მიწოდება ხდება რეგულარულად ან უწყვეტად, საქონლის მიწოდება შესრულებულად ითვლება ამ ოპერაციის ნებისმიერი ნაწილისათვის ყოველი საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამონერის ან გადახდის მომენტში, მაგრამ არა უგვიანეს საანგარიშო თვის ბოლო სამუშაო დღისა.

238/3. თუ მომსახურების განევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად, მომსახურების განევა შესრულებულად ითვლება ამ ოპერაციის ნებისმიერი ნაწილისათვის ყოველი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამონერის ან გადახდის მომენტში, მაგრამ არა უგვიანეს საანგარიშო თვის ბოლო სამუშაო დღისა.

აღნიშნული საქონლის მიწოდებისა, დასაბეგრო ოპერაციის განხორციელებიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა, გამონეროს საგადასახადო ანგარიშფაქტურა და წარუდგინოს იგი მიმღებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს უკანასკნელი გადასახადის გადამხდელი, ხოლო ამ კოდექსის 238-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში აღნიშნულ შემთხვევებში – საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამონერა და მიმღებისათვის წარდგენა უზრუნველყოს არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვისა.

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დღგ-ით დასაბეგრო ოპერაციის განხორციელების ფაქტი.

დაუსუბებელია საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ, არასწორად შევსებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა. ასეთი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი თვის დღგ-ის დეკლარაციასთან ერთად წარედგინება საგადასახადო ორგანოს მისი გაუქმების მიზნით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს ცალკეულ საქონელზე/მომსახურებაზე, აგრეთვე ცალკეული კატეგორიის მყიდველებისათვის, შემოიღოს განსხვავებული ფორმის სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და განსაზღვროს მისი გაცემის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი. დღგ-ის იმ გადამხდელებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრულ აღრიცხვას ახდენენ კომპიუტერული სისტემებისა და პროგრამების გამოყენებით და რომელთა მიერ მომსახურების განევა ან ელექტრო— და თბოენერჯის, გაზისა და წყლის მიწოდება ხდება რეგულარულად ან უწყვეტად, მომხმარებელთა ფართო წრისთვის, შესაძლებელია შემოღებულ იქნეს კომპიუტერული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც მყიდველს წარედგინება საანგარი-

შო პერიოდში განხორციელებული მიწოდებების მიხედვით და რომლის ნუმერაციისა და ჩათვლებში გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარდგენის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.



## საქართველოს ნორმატიული აქტები საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კარი 10, თავი 30-37

საქართველოს კანონმდებლობაზე აქტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1048

2007 წლის 11 სექტემბერი ქ. თბილისი

დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №25

2005 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

„დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდელად რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №558

2005 წლის 20 ივლისი ქ. თბილისი

დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებზე კომპიუტერული წესით ამობეჭდილი სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შემოღების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №84

2005 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) გამოწერისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №603

2006 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

საერთაშორისო გადაზიდვების დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის გამოყენებისათვის წარსადგენი დოკუმენტების წესის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №901

2004 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის და ანგარიშგების წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №447

2005 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეებს შორის 1999 წლის 18 ნოემბრის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმის გამოყენების თაობაზე“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

## 2.6 აქციზი

აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც

ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში – თავის მიერ წარმოებულ საქონელზე;

ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში – თავის მიერ განხორციელებულ იმპორტზე;

გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს – თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე;

დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის;

ე) ახორციელებს აქციზური საქონლის დროებით შემოტანას საქართველოში – თავის მიერ განხორციელებულ დროებით შემოტანაზე;

დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.

### 2.6.1. დაბეგვრის ობიექტი

აქციზით დაბეგვრის ობიექტია:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) საქართველოში აქციზური საქონლის იმპორტი;

გ) დასაბეგრი დროებით შემოტანა საგადასახადო კოდექსის 255/1 მუხლის მიხედვით.

### 2.6.2. დასაბეგრი ოპერაცია

აქციზით დასაბეგრი ოპერაციებია:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება ან/და სანარმოს სანყოფიდან სარეალიზაციოდ გატანა;

ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის გადაცემა დამკვეთისათვის;

გ) საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენება არააქციზური საქონლის წარმოებისათვის;

დ) აქციზური საქონლის ექსპორტი;

ე) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის.

### 2.6.3. დასაბუჯარი ოპერაციის თანხის განსაზღვრა

დასაბუჯარი ოპერაციის თანხა განისაზღვრება:

ა) საქართველოში წარმოებული საქონლისათვის (გარდა შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისათვის),

ალკოჰოლური სასმელებისათვის,

თამბაქოს ნაწარმისათვის,

ნავთობპროდუქტებისათვის,

მსუბუქი ავტომობილისათვის,

ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისათვის ან/და ბუნებრივი აირისათვის

— იმ თანხის მიხედვით, რომელიც უნდა მიეღოს ან მიიღოს გადასახადის გადამხდელმა დამკვეთისაგან ან სხვა პირისაგან, აქციზისა და დღგ-ის გარეშე, მაგრამ არანაკლებ საქონლის საბითუმო საბაზრო ფასის, აქციზისა და დღგ-ის გარეშე. გადასახადის გადამხდელის მიერ საცალო საბაზრო ფასით გაყიდული საქონლის მიმართ დასაბუჯარი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საბითუმო საბაზრო ფასის მიხედვით დღგ-ისა და აქციზის გარეშე;

ბ) საქართველოში საქონლის იმპორტისას (გარდა თამბაქოს ნაწარმისათვის, ნავთობპროდუქტებისათვის, მსუბუქი ავტომობილისათვის) საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა (მაგრამ არანაკლებ საქონლის საბითუმო საბაზრო ფასისა, აქციზისა და დღგ-ის გარეშე) და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი მოსაკრებლებისა და გადასახადების თანხის (აქციზისა და დღგ-ის გარეშე) ჯამით;

გ) შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისათვის – ჯართის წონით;

დ) ალკოჰოლური სასმელებისათვის – ალკოჰოლური სასმელების მოცულობით;

ე) თამბაქოს ნაწარმისათვის – თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით;

ვ) ნავთობპროდუქტებისათვის – ნავთობპროდუქტების წონით;

ზ) მსუბუქი ავტომობილებისათვის – მსუბუქი ავტომობილის ძრავის მოცულობით;

თ) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისათვის ან/და ბუნებრივი აირისათვის – აირის მოცულობით.

### 2.6.4. აქციზის განაკვეთები

აქციზური საქონელი იბეგრება შემდეგი განაკვეთებით:

№	საქონლის დასახელება	საქონლის ნომენკლატურის კოდი	ზომის ერთეული	აქციზის განაკვეთი
1	2	3	4	5
1	სხვა დადუღებული სასმელები (ვაშლის სიდერი, პერი, თაფლის სასმელი); დადუღებული სასმელების წარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების წარევი, რომლებიც ამ ცხრილში სხვა ადგი-	2206 00	ლიტრი	2,50 ლარი

	ლას არ არის დასახელებული			
2	ეთილის სპირტი	2207	1 ლიტრი	1,30 ლარი
3	სპირტიანი სასმელები, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით	2208 20	1 ლიტრი	2,30 ლარი
4	ვისკი	2208 30	1 ლიტრი	2,50 ლარი
5	რომი და ტაფია	2208 40	1 ლიტრი	2,50 ლარი
6	ჯინი და ღვინის ნაყენი	2208 50	1 ლიტრი	2,50 ლარი
7	არაყი	2208 60	1 ლიტრი	1,50 ლარი
8	ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	2208 70	1 ლიტრი	2,30 ლარი
9	სხვა სპირტიანი სასმელები	2208 90	1 ლიტრი	2,50 ლარი
10	ლუდი	2203 00	1 ლიტრი	0,20 ლარი
11	ა)თამბაქოს ნაწარმის (თამბაქოს ნედლეულის გარდა) იმპორტი: — სიგარეტი, სიგარეტი ნაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით — სიგარილეები (წვრილი სიგარეტი), თამბაქოს შემცველობით — ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით — ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი — სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები, თამბაქო „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“, თამბაქოს ექსტრაქტები და ესენციები; ბ)ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა): — სიგარეტი, სიგარეტი ნაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით — სიგარილეები (წვრილი სიგარეტი), თამბაქოს შემცველობით — ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით — ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი — სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო	2402 10 000 01 2402 10 000 02 2402 20 2402 20 2403 (გარდა 2403 10 900 00, 2403 99 900 00)	1 ლერი 20 ლერი 20 ლერი 20 ლერი 1 კგ	0,90 ლარი 1 ლარი 0,60 ლარი 0,15 ლარი 20 ლარი 0,70 ლარი 0,80 ლარი 0,40 ლარი 0,10 ლარი

	და თამბაქოს სამრეწველო შემცველები, თამბაქო „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“, თამბაქოს ექსტრაქტები და ესენციები	2403 (გარდა 2403 10 900 00, 2403 99 900 00)	1 კგ	20 ლარი
12	მსუბუქი ავტომობილები (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ნელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების ნელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში - საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის ნელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების ნელს შორის სხვაობის მიხედვით): ა) 1 წლამდე ბ) ერთი წლის გ) 2 წლის დ) 3 წლის ე) 4 წლის ვ) 5 წლის ზ) 6 წლის თ) 7 წლის ი) 8 წლის კ) 9 წლის ლ) 10 წლის მ) 11 წლის ნ) 12 წლის ო) 13 წლის პ) 14 წლის ჟ) 14 წელზე მეტი	8703	ძრავის მოცულობა 1 სმ³	1,5 ლარი 1,5 ლარი 1,4 ლარი 1,3 ლარი 1,2 ლარი 1,0 ლარი 0,7 ლარი 0,5 ლარი 0,5 ლარი 0,5 ლარი 0,5 ლარი 0,5 ლარი 0,5 ლარი 0,6 ლარი 0,7 ლარი 0,8 ლარი
13	ბუნებრივი აიროვანი კონდენსატი და ბუნებრივი აირი, გარდა მილსადენისა	2709 00 100 00 2711 11 000 00 2711 21 000 00	1000 მ³	80 ლარი
14	ნავთობის დისტილატები: მსუბუქი  საშუალო  მძიმე	2710 11  2710 19 11 000- 2710 19 290 00  2710 19 31 000- 2710 19 490 00	1 ტონა  1 ტონა  1 ტონა	250 ლარი  220 ლარი  150 ლარი
15	ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები; ანალოგიური პროდუქტები, რომლებშიც არამატული შემადგენელი ნაწ-	2707 (გარდა		



	იღების მასა აღემატება არაარომატულების მასას (გარდა ამ კოდებში აღნიშნული ნაფტალინისა და კრეოზოტული ზეთებისა, რომლებიც გამოიყენება ხის შპალების (სასაქონლო კოდი 4406 1000000) გასაქუნთად და ნახშირბადის (სასაქონლო კოდი 2803 00) მისაღებად	2707 10 100 00- 2707 60 000 00 2707 91 000 00 2707 99 9 10 00	I ტონა	350 ლარი
16	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	2711 12 2711 13 2711 14 000 00 2711 19 000 00	I ტონა	120 ლარი
17	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნედლის გარდა; პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი, ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობის ან ნავთობპროდუქტების 70 მას.% ან მეტი შემცველობით, ამასთანავე, ეს ნავთობი წარმოადგენს პროდუქტების ძირითად შემადგენლებს; ნაშუშევარი ნავთობპროდუქტები	2710 (გარდა 2710 11 110 00- 2710 19 490 00 და 2710 19 510 00- 2710 19 690 00)	I ტონა	400 ლარი
18	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	3911 90	I ტონა	400 ლარი
19	მისართი, გამსხნელი, ანტიდეტონატორი	2707 10 100 00- 2707 60 000 00 (გარდა 2707 40 000 00); 2712 20; 2902 11 100 00- 2902 30 900 00; 2905 11 000 00- 2905 16 800 00; 3811 11 100 00- 3811 90 000 00; 3814 00 100 00- 3814 00 900 00	I ტონა	400 ლარი
20	საპოხი მასალები და საშუალებები	3403 11 000 00 3403 19 100 00 3403 19 910 00 3403 19 990 00 3403 91 000 00 3403 99 100 00 3403 99 900 00	I ტონა	400 ლარი
21	შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი		I ტონა	25 ლარი

აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, გარდა შავი ან/და ფერადი ლითონების ექსპორტისა.

### 2.6.5. აქციზური მარკები

აქციზით დასაბეგრი ობერაციის (გარდა ექსპორტისა და უზაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის მიწოდებისა) ან/და იმპორტის (გარდა უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი, სავადასახადო კოდექსით აქციზური მარკების სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტისა) განხორციელებამდე აქციზური მარკის სავალდებულო დართვას ექვემდებარება:

ა) ალკოჰოლიანი სასმელები (მათ შორის, ლუდი), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს (გარდა 50 გრადუსს და მასზე ნაკლები ტევადობის და 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმულისა, აგრეთვე ფიზიკური პირის მიერ 2 ლიტრამდე ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტისას);

ბ) თამბაქოს ნაწარმი (გარდა მოსანევი (ჩიბუხის) თამბაქოსი, აგრეთვე ფიზიკური პირის მიერ 200 ლერამდე სიგარეტის იმპორტისა).

#### აკრძალულია:

ა) აქციზური მარკით ნიშანდების გარეშე მარკირებას დაქვემდებარებული საქონლით დასაბეგრი ობერაციის (გარდა ექსპორტისა და უზაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის მიწოდებისა) ან/და იმპორტის (გარდა უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი, ამ კოდექსით აქციზური მარკების სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტისა) განხორციელება;

ბ) ჩამოსასხმელი ან/და 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული ალკოჰოლიანი სასმელების (გარდა ლუდისა და ლეინისა) საცალო ქსელში მიწოდება.

აქციზური მარკების დანაკლისი, ნებისმიერი ფორმით (დაკარგვა, განადგურება და სხვა შემთხვევებით, ფორსმაჟორული შემთხვევების გარდა), განიხილება იმპორტიორის მიერ შესაბამისი ოდენობის საქონლის საქონლის იმპორტად და მიწოდებად, ხოლო ადგილობრივი მწარმოებლების მხრიდან საქონლის მიწოდებად და იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იმპორტიორების მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციზური მარკები ექვემდებარება უკან დაბრუნებას. ექვსთვიანი პერიოდის გასვლიდან მეორე დღესვე აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ჩაითვლება აქციზური მარკების ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტად და ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება გადასახადებით, ხოლო შემდგ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით მარკირებული საქონლის იმპორტისას, მოხდება გადასახადულად დარიცხული გადასახადების გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად.

მენარმე სუბიექტის მიერ დაუშვებელია აქციზური მარკების სხვა მენარმე სუბიექტისათვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის იმპორტიორის მიერ აქციზური მარკები საქონელზე დასატანად გადაეცემა იმპორტირებული აქციზური საქონლის მწარმოებელს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 28 მარტის №305 ბრძანების „საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ“ მიხედვით დამტკიცებული ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოში შემოტანილ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების გაცხადების მიზნით და საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესს.

საქართველოში აქციზური მარკების რეალიზაცია ხორციელდება ცენტრალიზებული წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ.

აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონელი და მათზე აქციზის გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

აქციზური მარკების არსებობა აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის ტარაზე (ბოთლზე, ქილაზე, კოლოფზე და სხვა) ითვლება მათი რეალიზაციის სავალდებულო პირობად.

მენარმე სუბიექტების მიერ დაუშვებელია აქციზური მარკების სხვა მენარმე სუბიექტზე გადაცემა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის იმპორტიორის მიერ აქციზური მარკები საქონელზე დასატანად გადაეცემა იმპორტირებული აქციზური საქონლის მწარმოებელს.

აქციზური მარკების დანაკლისი ნებისმიერი ფორმით, იმპორტიორის მხრიდან განიხილება შესაბამისი ოდენობის საქონლის იმპორტად ან მიწოდებად, ხოლო, ადგილობრივი მწარმოებლის მხრიდან საქონლის მიწოდებად და იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იმპორტიორების მიერ აქციზური მარკების მიღებიდან ექვს თვეში საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში, აქციზური მარკები ექვემდებარება უკან დაბრუნებას. ექვსთვიანი პერიოდის გასვლიდან მეორე დღესვე, აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ჩაითვლება აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტად და ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება გადასახადებით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით მარკირებული საქონლის იმპორტისას, მოხდება გადასახადულად დარიცხული გადა-

სახადების გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად.

აქციზური მარკების გაცემა ხორციელდება ამ მარკების შექმნის შესახებ მენარმე სუბიექტების განცხადების საფუძველზე დადგენილი ფორმის შესაბამისად.

განაცხადება, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ორ ეგ ზემპლარად შედგენილი განაცხადი აქციზური მარკების მოთხოვნის შესახებ, ინსტრუქციით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად ნარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოს. განაცხადებაზე თანდართული განაცხადებიდან ერთი ეგ ზემპლარი უბრუნდება მენარმე სუბიექტს თარიღის დასმისა და აღნიშვნის „განაცხადი მიღებულია“ გაკეთების შემდეგ. აღნიშვნას ხელს აწერს განაცხადის მიმღები პირი. მეორე ეგ ზემპლარი რჩება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოში. განაცხადებისა და თანდართული განაცხადების მიღების დღიდან მომსახურების სამმართველოში იწყება ადმინისტრაციული წარმოება. აქციზური მარკების გაცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურე ბანკის მიერ ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოს უფროსის (მოადგილის) მიერ მომსახურე ბანკისათვის წარდგენილი მიმართვის საფუძველზე, აქციზური მარკების განყოფილების მიერ გამოცემული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

განაცხადს აქციზური მარკის შექმნაზე თან უნდა ერთვოდეს: აქციზის გადასახადის გადახდის საგადასახადო დავალების ორიგინალი, აგრეთვე აქციზური მარკების შექმნაზე აქციზური მარკების ნომინალური ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების ორიგინალი (წარმოდგენილი ორიგინალები გადამონმების შემდგომ უბრუნდება განმცხადებელს, ხოლო ასლი დაიტოვება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოს მიერ).

თამბაქოს ნაწარმის იმპორტის შემთხვევაში მენარმე სუბიექტი ვალდებულია განაცხადში მოუთითოს ყოველი ცალკეული თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლისათვის გასაგზავნი აქციზური მარკების ზუსტი რაოდენობა. ამასთან განაცხადს თან უნდა ერთვოდეს:

ა) თამბაქოს ნაწარმის ნასყიდობის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორი და მისი მწარმოებელი ერთი და იგივე პირია. ხელშეკრულებაში მითითებული იქნება თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლის სრული იურიდიული მისამართი, სადაც იგზავნება აქციზური მარკები.

ბ) ხელშეკრულება საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციასთან;

თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლისათვის აქციზური მარკების გადაგზავნის უზრუნველსაყოფად მენარმე სუბიექტი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აფორმებს ხელშეკრულებას გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციასთან.

შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოს აქციზური მარკების განყოფილება, მენარმე სუბიექტის განაცხადის საფუძველზე და საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების პირობების ფარგლებში, უზრუნველყოფს აქციზური მარკების თამბაქოს მწარმოებელთან შეუფერებლად გაგზავნის ორგანიზებას შეფუთული სახით, მათი რაოდენობის, სერიებისა და ნომრების ჩვენებით.

აქციზური მარკების შეფუთვა ხდება უშუალოდ აქციზური მარკების შენახვის ადგილას, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციის მიერ, მენარმე სუბიექტისა და შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოს აქციზური მარკების განყოფილების წარმომადგენლების თანდასწრებით და გადაეცემა საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

აქციზური მარკების გადაცემა საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციისათვის მათი წარმოებულისათვის გადასაცემ ზავნად ხორციელდება აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მარკების რაოდენობის, სერიებისა და ნომრების ჩვენებით. მიღება-ჩაბარების აქტი დამონმებული უნდა იყოს შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოს აქციზური მარკების განყოფილების, საბაჟო ორგანოს, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციისა და მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერებითა და შესაბამისი ბეჭდებით.

აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების აქტი შეესებულ უნდა იქნას 4 ერთნაირი ორიდოული ძალის მქონე ეგ შემპლარად, რომლებიც გადაეცემა შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოს, მომსახურე ბანკს, საბაჟო ორგანოსა და მენარმე სუბიექტს.

აქციზური მარკების გასაცემი საერთო რაოდენობისათვის შეესებული მიღება-ჩაბარების აქტის გარდა აქციზური მარკების ყოველ შეფუთვაზე უნდა იყოს აღნიშვნა მასში მოთავსებული აქციზური მარკების რაოდენობის, სერიებისა და ნომრების შესახებ. შეფუთვაზე არსებული მონაცემები საერთო ჯამში უნდა ემთხვეოდეს გასაცემი აქციზური მარკების პარტიისათვის შედგენილი აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების მონაცემებს.

იმპორტის შემთხვევაში მენარმე სუბიექტებმა, გამოუყენებელი აქციზური მარკები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოში უნდა დააბრუნოს მათი მიღების დღიდან ექვსი თვის ვადაში, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი უკან არ ბრუნდება.

იმპორტული და ადგილობრივი ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების უკან დაბრუნებისას წარმომადგენენ შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ნერილობითი განცხადება მარკების დაბრუნების მიზეზებისა და გამოუყენებელი აქციზური მარკების ტიპების, სერიებისა და ნომრების მითითებით;

ბ) შემოსავლების სამსახურის მომსახურების სამმართველოსა და აქციზური მარკების მიმღები მენარმე სუბიექტის მიერ შედგენილი პირველადი აქტის ორიგინალი აქციზური მარკების გაცემისა და მიღების შესახებ.

უკან დაბრუნებული აქციზური მარკების მდგომარეობის გამომხატველი გარეგნული ნიშნები სრულად უნდა შეესაბამებოდეს მარკების გაცემისას არსებულ ნიშნებს.

გამოუყენებელი აქციზური მარკების დაბრუნების შემდეგ, მათ მისაღებად გადახდილი თანხები ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა გადასახადებში გადატანას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაზიანებული აქციზური მარკები უკან არ ბრუნდება.

მენარმე სუბიექტს უფლება აქვს დაბრუნებული გამოუყენებელი აქციზური მარკების სანაცვლოდ, მათზე გადახდილი თანხების ფარგლებში, მოითხოვოს სხვა სპეციფიკაციის, მაგრამ იგივე წარმოშობის (ადგილობრივის შემთხვევაში ადგილობრივის, იმპორტის შემთხვევაში იმპორტის) საქონლისათვის განკუთვნილი აქციზური მარკები.

მენარმე სუბიექტები, რომლებიც აწარმოებენ აქციზური მარკების ნიშანდებას დაქვემდებარებულ აქციზურ საქონელს ან ანხორციელებენ მის იმპორტს, ვალდებული არიან ინსტრუქციის შესაბამისად, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსტრუქციებში წარადგინონ ანგარიში აქციზური მარკების გამოყენების შესახებ.

აქციზური მარკების გამოყენების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრულია არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვი.

**2.6.6. აქციზისაგან გათავისუფლება**

აქციზისაგან გათავისუფლებულია:

ა) ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული ალკოჰოლური სასმელები;

ბ) ფიზიკური პირის მიერ 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ლერი სიგარეტის იმპორტი;

გ) საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემომსვლელი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების იმ სტანდარტულ ავზში არსებული სანავი, რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად არის დაკავშირებული;

დ) საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად საქონლის იმპორტი და დროებითი შემოტანა. კერძოდ, იმ საქონლის იმპორტი ან დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი ან დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების საშუალებაში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; გემების და საჰაერო საფრენი საშუალებების დროებითი შემოტანა; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანა; საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის დროებით შემოტანა;

ე) საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი, რისთვისაც გადაიხდებიან აქციზი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია. იმპორტიორს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული ამ საქონლის მოცულობის მიხედვით;

ვ) ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთო-

ბისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნათობპროდუქტების იმპორტი ან/და მიწოდება;

ზ)საგადასახადო კოდექსის 258-ე მუხლის ცხრილის 23-ე სტრიქონით გათვალისწინებული საქონლის, კერძოდ მისართის, გამხსნელისა და ანტიდეტონატორის იმპორტი, თუ იგი არ გამოიყენება აქციზური საქონლის წარმოებისათვის. აღნიშნული საქონლის იმპორტისას გადაიხდებიან აქციზი, ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი არ იქნა გამოყენებული აქციზური საქონლის წარმოებისათვის, გადასახადის გადახდელს საბაჟო ორგანოები უბრუნებენ აქციზის გადახდილ თანხას.

თ)საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი სანავისა და საპოხი საშუალებების იმპორტი, რისთვისაც გადაიხდებიან აქციზი ან საქართველოს ფინანსთა მინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია. იმპორტიორს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული ამ საქონლის მოცულობის მიხედვით.

ი)მსუბუქი ავტომობილის იმპორტი საგადასახადო კოდექსის 270/5 მუხლის „ღ.“ და „ე.“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

#### საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

აქციზური საქონლის რეალიზაციისას აქციზის გადახდელი ვალდებულება საქონლის მიმღებს მოთხოვნის შემთხვევაში გამოუნეროს და გადასცეს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელზედაც ვრცელდება საგადასახადო კოდექსის 251-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები.

### 2.6.7. აქციზის გადახდის წესი

აქციზი გადახდას ექვემდებარება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის.

თუ გადასახადის გადახდელს რომელიმე პერიოდისათვის აქვს აქციზის ვადაგადაცილებული დავალიანება, მაშინ ამ დავალიანების წარმოქმნის მომენტიდან მისი დაფარვის მომენტამდე მას ეკრძალება საქონლის მიწოდება (საწყობიდან გატანა) მასზე აქციზის გადაუხდელად. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას აქციზი გადაიხდება ოპერაციის განხორციელების მომენტში.

საქონლის იმპორტისას ან/და შავი ან/და ფერადი ლითონების ექსპორტისას აქციზის გადახდებიან ახორციელებენ საბაჟო ორგანოები საბაჟო გადასახადისათვის მიღებული პროცედურის შესაბამისად.

საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური მარკებით მარკირებას დაქვემდებარებული სანარმოს მწარმოებლები და იმპორტიორები (დეკლარანტები) აქციზური მარკის შექმნისას გადაიხდიან აქციზს და აქციზური მარკების ნომინალურ ღირებულებას სრული ოდენობით. ნომინალის ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

#### დეკლარაციის წარდგენა

აქციზური საქონლის მწარმოებელმა და ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და

ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების განმასხორციელებელმა პირმა ყოველი საანგარიშო თვის მიხედვით უნდა წარადგინოს დეკლარაცია ჩატარებული დასაბეგრი ოპერაციების აღნიშვნით, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის.



## **საქართველოს ნორმატიული აქტები**

### **საქართველოს კანონი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კარი 11, თავი 39

#### **საქართველოს კანონმდებლობაზე აქტი**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №21

2005 წლის 13 იანვარი ქ. თბილისი

აქციზური მარკის ნომინალური ღირებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №89

2006 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი

აქციზური მარკების ფერებისა და მათზე დატანილი ნუმერაციის განმსაზღვრელი სისტემის შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №305

2008 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

„საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №77

2005 წლის 11 თებერვალი, ქ. თბილისი

აქციზის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №87

2005 წლის 14 თებერვალი, ქ. თბილისი

„ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვისა და დაბეგვრის კონტროლის ღონისძიებათა შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №897

2004 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკებით ნიშანდების წესის“ შესახებ



## 2.7 საბაჟო გადასახადი

### 2.7.1. გადასახადის გადამხდელი

საბაჟო გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს.

საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

### 2.7.2. გადასახადის ბანაკვითები

საბაჟო გადასახადის 12%-იანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	დასახელება
1	0105	შინაური ფრინველი ცოცხალი (შინაური ქათამი Gallus domesticus), იხვი, ბატი, ინდაური და ციცარი
2	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული
3	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული
4	0203 11	დაუფეშხოებული ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი
5	0203 12	ბარკლები, ბეჭები და მათი გადანაჭრები, ძვლებამოუცლოელი
6	0203 19	დანარჩენი
7	0203 21	დაუფეშხოებული ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი
8	0203 29	დანარჩენი
9	0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
10	0205 00	ხორცი ცხენის, ვირის, ჯორისა ან ჯორცხენის, ახალი, გაცივებული ან გაყინული
11	0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ცხენის, ვირის, ჯორისა ან ჯორცხენის, ახალი, გაცივებული ან გაყინული
12	0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული

13	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული
14	0209 00	ლორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი
15	0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისაგან ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან
16	0401 10 100 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
17	0401 20 110 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
18	0401 20 910 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
19	0401 30 110 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
20	0401 30 310 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
21	0401 30 910 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
22	0402 10 110 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
23	0402 10 910 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
24	0402 21 110 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
25	0402 21 910 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
26	0402 29 150 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
27	0402 29 910 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
28	0402 91 110 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
29	0402 92 310 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
30	0402 91 510 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
31	0402 91 910 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
32	0402 99 110 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
33	0402 99 310 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
34	0402 99 910 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
35	0403	დო, აჭრილი რძე და ნალები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნალები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკ-

		ბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე
36	0406 10	ახალი ყველა (მოუმნიფებელი ან დაუფარგებელი), შრატალბუმინური ყველის ჩათვლით, და ხაჭო
37	0406 40	ცისფერი ყველი
38	0407 00	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული
39	0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდლდარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე.
40	0409 00 000 00	ნატურალური თაფლი
41	0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
42	0702 00 000 00	პომიდორი, ახალი ან გაცივებული
43	0703	ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
44	0704	თავებული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, კეჟერა კომბოსტო და Brassica გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
45	0705	სალათა - ღორის ქადა (Lactuca Sativa) და ვარდკაჭაჭა (Cichorium spp.), ახალი ან გაცივებული
46	0706	სტაფილო, თაღამი, სუფრის ქარხალი, თხისწვერა, ფესვერა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული
47	0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი ან გაცივებული
48	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაწურული ან დაწურჩავი, ახალი ან გაცივებული
49	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული
50	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული
51	0711	ბოსტნეული, დაკონსერვებული, ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებ-

		ისათვის უვარგისო
52	0712 20 000 00	თავიანი ხახვი
53	0712 30 000 00	გარიცულ გვარის სოკოები
54	0712 32 000 00	ხის სოკო, ან აურიკულარიები (Auricularia spp.)
55	0712 33 000 00	საფუარი სოკოები (Tremella spp.)
56	0712 39 000 00	დანარჩენი
57	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჭურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცვლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი
58	0714	მანიოკი, მარანთა, სალუპი, მიწის მსხალი ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან იწლინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
59	0801	ქოქოსის კაკალი, ბრაზილიური და კემიუ, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცვლელი კანით ან კანის გარეშე
60	0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცვლელი, კანით ან კანის გარეშე
61	0803 00	ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი
62	0804 10 000 00	ფინიკი
63	0804 20	ლეღვი
64	0804 30 000 00	ანანასი
65	0805	ციტრუსები, ახალი ან ხმელი
66	0806	ყურძენი, ახალი ან ხმელი
67	0807	ნესეი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
68	0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი
69	0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ლოღნოშო, ახალი
70	0810	ხილი დანარჩენი, ახალი
71	0811	ხილი და კაკალი, წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყინული, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
72	0812	ხილი და კაკალი, დაკონსერვებული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუა-

		ლო გამოყენებისათვის უვარგისი
73	0813	ხმელი ხილი, 0801-0806 სასაქონლო პოზიციებს ნაყოფების გარდა; მოცემული ჯგუფის კაკლის ან ხმელი ნაყოფების ნარევები
74	0814 00 000 00	ციტრუსების ნაყოფების კანი ან ნესვების ქერქი (საზამთროს ქერქის ჩათვლით), ახალი, გაყინული, ხმელი ან ხანმოკლე შენახვისათვის დაკონსერვებული მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში
75	0902 10 000 00	ჩაი მწვანე (არაფერმენტირებული), პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 3 კგ-ისა
76	0902 30 000 00	ჩაი შავი (ფერმენტირებული), ან ნაწილობრივ ფერმენტირებული პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 3 კგ-ისა
77	1005	სიმინდი
78	1101 00	ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი
79	1102	დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა
80	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვაი ფქვილი და მარცვლოვანების მარცვლის გრანულები
81	1104	მარცვლოვანების მარცვალი, დამუშავებული სხვა ხერხით (მაგალითად, დაჩურჩული, გაბრტყელებული, გადამუშავებული ფანტელებად, დატეხილი, დაროშილი ან დამსხვრეული), გარდა 1006 სასაქონლო პოზიციის ბრინჯისა; მარცვლოვანების მარცვლის ჩანასახები, მთლიანი, გაბრტყელებული, ფანტელების სახით ან დაფქული
82	1105	კარტოფლის წმინდად და უხეშად ნაფქვაი ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები, გრანულები
83	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვაი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფების ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან.
84	1108	სახამებელი: ინულინი
85	1109 00 000 00	ხორბლის ნებოვანა, მშრალი ან ტენიანი
86	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა საკვები პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე
87	1602 10 00	ჰომოგენიზებული მზა პროდუქტები

88	160220	ნებისმიერი ცხოველის ლეიძლისაგან
89	160231	ინდაურის
90	160232	შინაური ქათმის
91	160239	დანარჩენი
92	160241	ბარკლები და მათი გადანაჭრები
93	160242	ბეჭის ნაწილი და მისი გადანაჭრები
94	160249	დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
95	160250	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისაგან
96	170112	ჭარხლის შაქარი
97	17019100000	საგემოვნო-არომატული ან საღებარი დანამატებით
98	170199	დანარჩენი
99	17021900000	დანარჩენი
100	170220	შაქარი და ნეკერჩხლის სიროფი
101	170230	გლუკოზა და გლუკოზის სიროფი, ფრუქტოზის შემცველობის გარეშე ან ფრუქტოზის შემცველობით 20 მას. %-ზე ნაკლები, მშრალ მდგომარეობაში
102	170240	გლუკოზა და გლუკოზის სიროფი, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტოზის შემცველობით არანაკლებ 20 მას. %-ისა, მაგრამ 50 მას. %-ზე ნაკლები, ინვერტული შაქრის გარდა
103	17025000000	ქიმიურად სუფთა ფრუქტოზა
104	170260	ფრუქტოზა დანარჩენი და ფრუქტოზის სიროფი, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტოზის შემცველობით 50 მას. %-ზე მეტი, ინვერტული შაქრის გარდა
105	170290	დანარჩენი, ინვერტული შაქრისა და სხვა შაქრისა და შაქრის სიროფების ჩათვლით, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტოზის შემცველობით 50 მას. %
106	1703	მელასა, შაქრის ამორებით ან რაფინირების შედეგად მიღებული
107	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომელიც არ შეიცავს კაკაოს
108	19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი
109	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარეთა საკვებად ვარგისი სხვა ნაწილები, ძმრის, ან ძმარმჟავას დამატებით დაშზადებული, ან დაკონსერვებული
110	2002	პომიდორი, ძმრის, ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დაშზადებული ან დაკონსერვებული
111	2003	სოკო და ტრიოფელი, ძმრის, ან ძმარმჟავას დამატების

		გარეშე დამზადებული, ან დაკონსერვებული
112	2004	სხვა ბოსტნეული, ძმრის, ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
113	2005	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაუყინავი, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
114	2006 00	ბოსტნეული, ხილი, კაკალი, ნაყოფების ქერქი ან მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქრით დაკონსერვებული (შაქრის სიროფით გაჟღენთილი, მოსარკული ან დაშაქრული)
115	2007	ჯემი, ხილის ყელე, მარმელადები, ხილის ან კაკლის პიურე, ხილის ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით
116	2008 19	დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
117	2008 20	ანანასი
118	2008 30	ციტრუსები
119	2008 40	მსხალი
120	2008 50	გარგარი
121	2008 60	ალუბალი და ბალი
122	2008 70	ატამი, ნექტარინების ჩათვლით
123	2008 80	მარწყვი და ხენდრო
124	2008 91 000 00	პალმის გული
125	2008 92	ნარევები
126	2008 99	დანარჩენი
127	2009	ხილის წვენები (ყუნძნის ბადაგის ჩათვლით) და ბოსტნეულის წვენები, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრის, ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით, ან მათ გარეშე
128	2201 10 190 09	დანარჩენი
129	2201 10 900 00	დანარჩენი
130	2201 90 000 09	დანარჩენი
131	2201 90 000 99	დანარჩენი
132	2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრის ან სხვა დამატკობელი, ან საგემოვნო-არომატული ნივთიერებების დანამატების შემცველობით, და სხვა უაღკოპოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტ-

		ნეულის წენების გარდა
133	2203 00	ალაოს ლუდი
134	24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები
135	25	მარილი; გოგირდი; მინები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
136	6801 00 000 00	ძელურა, ბორდიურის ქვები და დასაგები ფილები ბუნებრივი ქვისაგან (გარდა ფიქალისა)
137	6802	ქვა დამუშავებული (გარდა ფიქალისა), ძეგლებისათვის ან მშენებლობისათვის და მისი ნაწარმი, გარდა 6801 სასაქონლო პოზიციის საქონლისა; მოზაიკის კუბურები და ბუნებრივი ქვის (ფიქალის ჩათვლით) ანალოგიური ნაწარმი ფუძეზე ან ფუძის გარეშე; ბუნებრივი ქვის (ფიქალის ჩათვლით) გრანულები, ნაფხვენი და ფხვნილი, ხელოვნურად შეღებილი
138	6803 00	ფიქალი დამუშავებული და ფიქალის ან აგლომერირებული ფიქალის ნაწარმი
139	6804	დოლაბები, სალესი ქვები, სახეხი რგოლები და ანალოგიური უკარკასო ნაწარმი, განკუთვნილი სახეხად, სალესად, საპრიალებლად, მოსარგებლად ან მოსაჩუქურთმებლად, ქვები ხელით სალესად ან საპრიალებლად და მათი ნაწილები ბუნებრივი ქვის, აგლომერირებული ბუნებრივი, ან ხელოვნური აბრაზივების, ან კერამიკისაგან, სხვა მასალების დეტალებთან აწყობილი ან ამ დეტალების გარეშე
140	6805	ბუნებრივი, ან ხელოვნური აბრაზიული ფხვნილი ან მარცვალი, გაჭრილ ან გაკერილ, ან განსაზღვრული ფორმის მისაღებად სხვა მეთოდით დამუშავებულ, ან დაუშუშავებელ ქსოვილის, ქაღალდის, მუყაოს ან სხვა ფუძეზე
141	6806	წიდის ბამბა, მინერალური სილიკატური ბამბა და ანალოგიური მინერალური ბამბები; განშრევებული ვერმიკულიტი, აფუებული თიხები, აქაფებული წიდა და ანალოგიური აფუებული მინერალური პროდუქტები; თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათშთამნთქმელი მინერალური მასალების ნარევები და ნაწარმი, გარდა 6811 ან 6812 სასაქონლო პოზიციის ან 69 ჯგუფის ნაწარმისა
142	6807	ნაწარმი ასფალტის, ან ანალოგიური მასალებისაგან (მაგალითად, ნავთობის ბიტუმის, ან ქვანახშირის სქელფისისაგან)
143	6808 00 000 00	პანელები, ფილები, ბლოკები და ანალოგიური ნაწარმი ცე-



		მენტით, თაბაშირით ან სხვა მინერალური შემკვერელი ნივთიერებებით აგლომერირებული მცენარეული ბოჭკოების, ჩალის, ბურბუშელას, ნაფოიტის, ნანილაკების, ნახევრის ან ხე-ტყის სხვა ნარჩენებისაგან
144	6809	ნანარში თაბაშირისა ან მის ფუძეზე დამზადებული ნარევი-ბისაგან
145	6810	ცემენტის, ბეტონის ან ხელოვნური ქვის ნანარში, დაარმა-ტურებული ან დაუარმატურებელი
146	6811	ნანარში აზბესტცემენტის, ცელულოზისბოჭკოებიანი ცე-მენტის ან ანალოგიური მასალებისაგან
147	681250 000 00	ტანსაცმელი, ტანსაცმლის საკუთნოები, ფეხსაცმელი და თავსაბურავები
148	681260 000 00	ქალაღი, სქელი მუყაო, ქეჩა ან ფეტრი
149	681270 000 00	ფურცლები ან რულონები წნეხილი აზბესტისაგან
150	6814	ქარსი დამუშავებული და მისი ნანარში, აგლომერირებული ან რეგენერირებული ქარსის ჩათვლით, ქალაღის, მუყაოს ან სხვა ფუძეზე ან მის გარეშე
151	6815	ნანარში ქვისა ან სხვა მინერალური ნივთიერებებისაგან (ნახშირბადიანი ბოჭკოების, ნახშირბადიანი ბოჭკოების ნანარმისა და ტორფის ნანარმის ჩათვლით), სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი

საბაჟო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	დასახელება
1	0203 22	ბარკლები, ბეჭები და მათი გადანაჭრები, ძვლებგამოუცვლელი
2	0405 10 110 00	პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 1 კგ-ისა
3	0406 20	ყველი სრესილი ან ფხვნილის სახით, ყველა სახის
4	0406 30	მდნარი ყველი, არც სრესილი და არც ფხვნილის სახით
5	0406 90	დანარჩენი ყველი
6	0712 90	დანარჩენი ბოსტნეული; ბოსტნეულის ნარევიები
7	0804 40 000 00	აგოკადო
8	0804 50 000 00	გუაიავა, მანგო და მანგოსტანი, ანუ გარცინია
9	1702 11 000 00	ლაქტოზის შემცველები 99 მას. % ან მეტი, გამოხატული, როგორც უწყლო ლაქტოზა, მშრალ ნივთიერებაზე გადა-ანგარიშებით
10	2008 11	არაქისის ზეთი

ამ ნაწილში აღნიშნული საქონელი იბეგრება შემდეგი საბაჟო გადასახადის განაკვეთით (euro/%vol/HL ნიშნავს, რომ ერთ ჰექტალიტრზე (100 ლიტრზე) გადასახადული საბაჟო გადასახადის თანხა შეადგენს საბაჟო გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემული საქონლის ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე):

№	კოდი	დასახელება	საბაჟო გადასახადის განაკვეთი
1	2204 10	ღვინოები ცქრიალა	1,5 euro/lit
2	2204 21	2ლ-იან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lit
3	2204 29	დანარჩენი	0,2 euro/lit
4	2204 30	ყურძნის ტებილი, დანარჩენი	0,2 euro/lit
5	2205	ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები, მცენარეული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით	0,5 euro/lit
6	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელები-საგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩამოუთვლელი	0,5 euro/lit
7	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. % ან 80 მოც. %-ზე მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	3 euro/lit
8	2208 20	სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად	5 euro/lit
9	2208 30	ვისკი	5 euro/%vol/HL
10	2208 40	რომი და ტაფია	5 euro/%vol/HL
11	2208 50	ჯინი და ლვის ნაყენი	5 euro/%vol/HL
12	2208 60	არაყი	5 euro/%vol/HL
13	2208 70	ლიქიორები	5 euro/%vol/HL
14	2208 90	დანარჩენი	5 euro/%vol/HL
15	2209 00	ძმარი და მისი შემცველები, მიღებული ძმარმჟავასაგან	0,4 euro/lit

2009 წლის 1 იანვრამდე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტისას საბაჟო გადასახადის განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5% ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

### 2.7.3. გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესი

საბაჟო გადასახადის დარიცხვა ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით (გარდა საგადასახადო კოდექსის 270/3 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ხოლო გადახდა – საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებამდე სხვა საბაჟო გადასახდლებთან ერთად.

საბაჟო გადასახადის გადახდის საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

### 2.7.4. გადასახადისაგან გათავისუფლება

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

- საქონლის ექსპორტი;
- საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
- საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს, ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც არანაკლებ 25%-ის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გრანტის ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად;

პირის მიერ ერთი დღე-ღამის განმავლობაში:

- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 06, 07, 08, 19 ჯგუფებისა და 0401-0406, 1601, 1702-1704, 2101-2102 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 50 ლარამდე ღირებულების, საერთო წონით არა უმეტეს 30 კგ-ისა კვების პროდუქტების იმპორტი (მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ, მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში);

— საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 1000 ლარამდე (ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტის შემოტანისას – 3000 ლარამდე) ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

— 200 ლერი სივარტის ან 50 სივარის (სივარლის), ან 250 გრამი თამბაქოს, ან თამბაქოს დასახელებული ნაწარმის საერთო წონით არა უმეტეს 250 გრამისა იმპორტი (გარდა 18 ლარამდე ასაკის პირის მიერ იმპორტირებულისა); 2 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლური სასმელის იმპორტი (გარდა 18 ლარამდე ასაკის პირის მიერ იმპორტირებულისა);

— უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 7500 ლარამდე ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო უცხო ქვეყ-

ანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დანესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამონეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი სასაქონლო (ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი;

– საქართველოს მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას ფიზიკური პირის მიერ საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

– საფოსტო გზაზე წარმოსვლის შემთხვევაში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფის შესაბამისი 1500 ლარამდე ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

– ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის; რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი;

– საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები, აგრეთვე საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საწვავი და საპოხი საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული საქონლის შემოტანისას გადახდებიან საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოების მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება გარანტია;

– „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადაარეგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

– უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში;

– 2010 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნაწარმის ან/და ნედლეულის („ტრაბზონის“ ჯიშის თამბაქოს გარდა) იმპორტი;

– საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად საქონლის იმპორტი და დროებითი შემოტანა; კერძოდ, იმ საქონლის იმპორტი ან დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ან წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამის

სი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი ან დროებით შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; გემების და საჰაერო საფრენი საშუალებების დროებით შემოტანა; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანა; საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის დროებით შემოტანა;

— საქონლის მიმართ გამოყენებული საბაჟო დამუშავების ოპერაციები საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად (გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის ექსპორტისა, იმპორტისა და დროებითი შემოტანისა), აგრეთვე უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლის განთავსება.

— თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან იმპორტი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1232 ბრძანების „საბაჟო დეკლარაციის სახეების, ფორმების, შევსების, წარდგენის, დაბრუნების, შეცვლის, რეგისტრაციის და მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმისა და შევსების, საფოსტო გზაწინლის დეკლარაციის ფორმისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციების და საბაჟო დეკლარირების კლასიფიკატორის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით განსაზღვრულია საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო დამუშავების ოპერაციების ადგილების კლასიფიკატორი.

1. საბაჟო ორგანოები

№	კოდი	საბაჟო ორგანოები
1	60000	თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
2	69405	ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
3	69114	რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
4	69037	თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
5	69038	ახალციხის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
6	69202	ცხინვალის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
7	69555	ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
8	69656	ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
9	69001	საბაჟო საგუშაგო „თბილისის აეროპორტი“
10	69002	საბაჟო გამშვები პუნქტი „ნითელი ხიდი“
11	69003	საბაჟო გამშვები პუნქტი „სადასლო“

12	69005	საბაჟო გამშვები პუნქტი „გუგუთი“
13	69006	საბაჟო გამშვები პუნქტი „ახკერპი“
14	69007	საბაჟო გამშვები პუნქტი „სამთაწყარო“
15	69009	საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბანი“
16	69010	საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდეხი“
17	69021	საქაჟო გამშვები პუნქტი „მტკვარი“
18	69101	საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“
19	69301	საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალე“
20	69302	საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“
21	69401	საბაჟო გამშვები პუნქტი „ქუთაისის და სენაკის აეროპორტი“
22	69501	საბაჟო საგუშაგო „ფონისა და ყულევის პორტები“
23	69601	საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“
24	69602	საბაჟო საგუშაგო „ბათუმის პორტი“
25	69603	საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის აეროპორტი“

2. საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების სხვა ადგილები რეგიონული ცენტრები (საგადასახადო ინსპექციები)

№	კოდი	რეგიონალური ცენტრები (საგადასახადო ინსპექციები)
1	60000	თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)
	69040	ქ. თბილისი, ჭირნახულის I შესახვევი №7
	69000	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №30
	20002	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის №30 (მხოლოდ საბაჟო-სავაჭრო თანამშრომლობის მონაწილეთა მიერ, ან მათი დანიშნულებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქომლის საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის)
	69026	ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია;
	69227	ქ. მცხეთა, მუხრანის ქ. №17
	69043	საქართველოს საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუ-მიმართულებით მოძრავი ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებელი. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პროცედურის მატარებელში წარმართვა,

	69015	საქონლის საბაჟო რეჟიმში მოქცევის ოპერაცია განხორციელება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ საბაჟო პროცედურის ჩატარების ადგილზე;
	69016	ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება (შპს „გაკო ტერმინალის“ სანყოფის ტერიტორია);
	69030	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №4 (შპს „კასპიან კრედო & ჯორჯიას სანყოფის ტერიტორია)
	69030	ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. №14 (სს „ლილო 1“-ის სანყოფის ტერიტორია)
	69250	ქ. გორი, მოსკოვის ქუჩა №1 სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქ გორის განყოფილების შენობა
2	69300	ახალციხის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია): საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალე“-ს ტერიტორია
	69350	ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი №2 სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქ ახალციხის განყოფილების შენობა
3	69017	თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია): ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. №1
	69070	ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის ქუჩა №21 სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქ თელავის განყოფილების შენობა
4	69033	ცხინვალის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია): სოფელი ქურთა
	69150	ს. ხეთი, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს ხეთის განყოფილების შენობა

5	<p>69400</p> <p>69450</p>	<p>ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია): წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი, „საბაჟო-კემპინგი“</p> <p>სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასაყვლეთ საქართველოს ქალაქ ქუთაისის განყოფილების შენობა</p>
6	<p>69014</p> <p>69050</p>	<p>რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია): ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. №38</p> <p>ს.ს.ი.პ. – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს სარეგისტრაციო განყოფილების შენობა</p>
7	<p>69600</p> <p>20001</p> <p>69605</p> <p>69602</p>	<p>ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია): ხელვაჩაურის რ-ნი, სოფელი ადღია, შპს „ტერმინალის“ სანყოფის ტერიტორია;</p> <p>ხელვაჩაურის რ-ნი, სოფელი ადღია, შპს „ტერმინალის“ სანყოფის ტერიტორია (მხოლოდ საბაჟო-საავტრო თანამშრომლობის მონაწილეთა მიერ, ან მათი დანიშნულებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის);</p> <p>ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. №11, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველო</p> <p>ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორია</p>
8	<p>69500</p> <p>20001</p>	<p>ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია): ქ. ფოთი, კოკიას ხეივანი №1</p> <p>ქ. ფოთი, კოკიას ხეივანი №1 (მხოლოდ საბაჟო-საავტრო თანამშრომლობის მონაწილეთა მიერ, ან მათი დანიშნულებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანი-</p>



		ლი საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის);
69502		ზობის რაიონი, სოფელი ყულევი
69510		ქ. ფოთი, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასაველეთ საქართველოს ქალაქ ფოთის განყოფილების შენობა
69511		ქ. ზუგდიდი, პარიზის კომუნის №7 სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასაველეთ საქართველოს ქალაქ ზუგდიდის განყოფილების შენობა
69555		ოზურგეთის რაიონი, ქალაქი ოზურგეთი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასაველეთ საქართველოს ქალაქ ოზურგეთის განყოფილების შენობა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1765 ბრძანების „საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების განხორციელების დროსა და ადგილის განსაზღვრის შესახებ“ თანახმად:

საქართველოს საბაჟო ორგანოებს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული საბაჟო პროცედურების განხორციელების ადგილებად განესაზღვრათ:

ა) საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ადგილებში საქონლის ნარდგენასთან, დათვალიერებასთან, საბაჟო დოკუმენტების არსებობის დადგენასთან, ზოგად დეკლარირებასთან, საბაჟო კანონმდებლობის შესრულების მიზნით სხვა ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ჩატარებისას – სასაზღვრო საბაჟო ორგანოები: საბაჟო გამშვები პუნქტები (წითელი ხიდი, სადახლო, გარდაბანი, ახკერპი, გუგუთი, მტკვარი, ლაგოდეხი, სამთაწყარო, ყაზბეგი, ვალე, ნინოწმინდა, სარფი, ბათუმის აეროპორტი, ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები) და საბაჟო საგუშაგოები (თბილისის აეროპორტი, ბათუმის პორტი, ფოთისა და ყულევის პორტები);

ბ) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოსაქცევად საქონლის ნარდგენასთან, საბაჟო დეკლარირებასთან და დათვალიერებასთან, საბაჟო გადასახდელების გადახდასთან, სატრანსპორტო საშუალებებისა და პირადი ნივთების შემონახვასთან, საბაჟო კანონმდებლობის შესრულების მიზნით სხვა ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ჩატარებისას — საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების შემდეგი ადგილები:

ბ.ა) თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

ბ.ა.ა) ქ. თბილისი, ჭირნახულის I შესახვევი №7;

ბ.ა.ბ)ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №30.

ბ.ა.გ)ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია (გარდა აქციზური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო დამუშავების ოპერაციისა. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება დიპლომატიური მიზნებისათვის ან საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემოსვლისას ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის შემოტანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელებისას);

ბ.ა.დ)ქ. მცხეთა, მუხრანის ქ. №17;

ბ.ა.ე)საქართველოს საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრაივ ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებელი (იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პროცედურის მატარებელში წარმართვა, საქონლის საბაჟო რეჟიმში მოქცევის ოპერაცია განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ საბაჟო პროცედურის ჩატარების ადგილზე);

ბ.ა.ვ)ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება, შპს „გაკო ტერმინალის“ სანყოფის ტერიტორია;

ბ.ა.ზ)ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №4, შპს „კასპიან კრედო ჯორჯიას“ სანყოფის ტერიტორია;

ბ.ა.თ)ქ. თბილისი, იუმაშვილის ქ. №14, სს „ლილო 1“-ის სანყოფის ტერიტორია.

ბ.ა.ი)ქ. გორი, მოსკოვის ქ. №1, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. გორის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;

ბ.პ)ახალციხის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

ბ.პ.ა)საბაჟო გამშვები პუნქტ „ვალე“-ს ტერიტორია (გარდა აქციზური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო დამუშავების ოპერაციისა);

ბ.პ.ბ)ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი №2, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;

ბ.გ)თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია):

ბ.გ.ა)ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. №1 (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისა და საქონლის მიმართ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენებისა. ამ რეჟიმში ახორციელებს მხოლოდ რკინიგზით გადაადგილებული საქონლისა და დახურული საბაჟო სანყოფის საქმიანობის ნებართვის მფლობელის სანყოფის შენახული საქონლის მოქცევას, აგრეთვე ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის (გარდა ექსპორტის საბაჟო რეჟიმისა) შექცვლას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმით);

ბ.გ.ბ)ქ. თელავი, ჩლოყაშვილის ქ. №21, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. თელავის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;

ბ.დ)ცხინვალის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია):

ბ.დ.ა)სოფელი ქუთთა (გარდა აქციზური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო დამუშავების ოპერაციისა);

ბ.დ.ბ)სოფელი ხეთი, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ხეთის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;

ბ.ე)ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია):

ბ.ე.ა)წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი, „საბაჟო-კემპინგი“ (გარდა აქციზური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო დამუშავების ოპერაციისა);

ბ.ე.ბ)სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ქუთაისის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;

ბ.ზ)ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია):

ბ.ზ.ა)ხელვაჩაურის რ-ნი, სოფელი ადლია, შპს „ტერმინალის“ სანყოფის ტერიტორია;

ბ.ზ.ბ)ქ.ბათუმი, ტბელ აბუსერძის ქ. №11, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინ-

ისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ბათუმის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;

ბ.ზ.გ) ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორია;

ბ.თ) ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);

ბ.თ.ა) ქ. ფოთი, კოკიას ხეივანი №1 (გარდა აბციზური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო დამუშავების ოპერაციისა);

ბ.ბ.ბ) ხობის რაიონი, სოფელი ყულევი (გარდა აბციზური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო დამუშავების ოპერაციისა).

ბ.ბ.გ) ქ. ფოთი, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ფოთის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;

ბ.ბ.დ) ქ. ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. №7, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ზუგდიდის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;

ბ.ბ.ე) ოზურგეთის რ-ნი, სოფელი ოზურგეთი, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ოზურგეთის განყოფილების შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-653 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის.

გ) საქონლის დროებითი დასაწყობების დროს – საბაჟო საწყობი ან შენახვის სხვა

ადგილი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება სხვა ადგილებში, რომლებიც განსაზღვრული არ არის საქართველოს მთავრობის დადგენილებით (განსაკუთრებულ შემთხვევებში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების, ავარიების, დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკის, აგრეთვე პირუტყვის შემოყვანის და მსგავს შემთხვევებში საზღვრის გადაკვეთის სხვა ადგილები) დაიშვება დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.

საბაჟო ორგანოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წერილობითი თანხმობა არაა საჭირო მუდმივ და დროებით საცხოვრებლად გადაადგილებულ პირთა, დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა, დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) კუთვნილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, ასევე ჰუმანიტარული დახმარებისა და განაწილთ შემოტანილი საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებისას.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე იმპორტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებული 700 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებული 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე საქონელი, ამ პირის თხოვნის საფუძველზე, ექვემდებარება საბაჟო დამუშავების ოპერაციის იმ სასაზღვრო საბაჟო ორგანოში, სადაც მის მიერ ხორციელდება საქონლით საბაჟო საზღვრის გადაკვეთა. მიუხედავად ამ პუნქტის პირველ წინადადებაში აღნიშნული დებულებისა, სასაზღვრო საბაჟო ორგანოებში – „წითელი ხიდი“, „გარდაბანი“, „სადახლო“, „ლაგოდეხი“, „სამთაწყარო“, „გუგუთი“, „ახკერაზი“, „მტკვარი“, „ვალე“ და „ყაზბეგი“ განხორციელდება მხოლოდ ექსპორტის (ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის) საბაჟო რეჟიმში დეკლარირება, ხოლო ამავე პუნქტების გავლით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე.

ფიზიკური პირის მიერ ერევანი-ბათუმი-ერევანი და ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებლით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 700 ლარზე (იმპორტის შემთხვევაში) და 3000 ლარზე (ექსპორტის შემთხვევაში) ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი ექვემდებარება იმავე მატარებელში შესაბამისად იმპორტისა და ექსპორტის საბაჟო რეჟიმებში მოქცევას. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პროცედურის მატარებელში წარმართვა, საქონლის საბაჟო დამუშავების შესაბამისი ოპერაცია განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ საბაჟო დამუშავების ადგილზე.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქართველოს ფინანსთა მინ-

ისტორის 2007 წლის 22 ნოემბრის №1232 ბრძანების დანართი №12 – „ნედლი ნავთობისა და მისი გადაამუშავებით მიღებული საქონლის (გარდა ნედლი ნავთობისა, რომელიც გადაადგილდება მილსადენი ტრანსპორტით ან ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით) ნუსხებით“ გათვალისწინებული საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელებების ადგილებად განისაზღვრა:

- ა) ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №30;
- ბ) წყალტუბოს რ-ნი, სოფ. ქვიტირი, „საბაჟო კემპინგი“;
- გ) ქ.ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №60;
- დ) ქ.ფოთი, კოკაიას ხეივანი №1.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე მსუბუქი ან სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული სეს ესნ-ის 3403 19 100 00, 3403 19 910 00, 3403 19 990 00, 3403 99 900 00, 2710 19 710 00-2710 99 000 00 კოდეზით გათვალისწინებული არა უმეტეს 10 ლიტრი ზეთებისა ან/და არა უმეტეს 20 ლიტრი ბენზინის დეკლარირება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში განხორციელებდა უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ ნებისმიერ საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 9 იანვრის №12 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემა „ASYCUDA“-ს მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემისა და რისკების მართვის სისტემის საფუძველზე გამარტივებული საბაჟო კონტროლის განხორციელების ნესების შესახებ ინსტრუქციით“ გათვალისწინებული საბაჟო-საჯაჭრო თანამშრომლობის მონაწილეთა მიერ, ან მათი დანიშნულებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების ადგილებად განისაზღვრა:

- ა) ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი №1;
- ბ) ხელვაჩაურის რ-ნი, სოფელი ადლია (შპს „ტერმინალის“ საწყობის ტერიტორია).

**საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების დროდ განისაზღვრა:**

- ა) საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანოსათვის – სამუშაო დრო (სამუშაო დროში არ ითვლება საქართველოს ფინანსთა მინისტრის შემოსავლების სამსახურის შრომის შინაგანანგისით განსაზღვრული შესვენების დრო) – კალენდარული კვირის ყოველი დღის 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, დაინტერესებული პირის თხოვნით, მისი ხარჯითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, საბაჟო დამუშავების ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს არასამუშაო დროსაც;
- ბ) სასაზღვრო საბაჟო ორგანოებისათვის – სამუშაო დრო – კალენდარული კვირის (საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ჩათვლით) ყოველი დღის 00.00-24.00 საათი.

გ) ფიზიკური პირის მიერ ერევანი-ბათუმი-ერევანი და ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებლით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების დროდ განისაზღვრა ერევანი-

ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებლის საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით გადაადგილებისთვის აუცილებელი დროის პერიოდი.

ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაზღვრო საბაჟო ორგანოები სტრუქტურულად ექვემდებარებიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შემდეგ ტერიტორიულ ორგანოებს:

ა) საბაჟო საგუშაგო: „თბილისის აეროპორტი“, საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“ – თბილისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას);

ბ) საბაჟო გამშვები პუნქტები: „ნითელი ხიდი“, „სადახლო“, „გარდაბანი“, „ახკერპი“, „გუგუთი“, „მტკვარი“ – რუსთავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას);

გ) საბაჟო გამშვები პუნქტი „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები“ – ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას);

დ) საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“ – გორის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას);

ე) საბაჟო გამშვები პუნქტები „ლაგოდეხი“ და „სამთაწყარო“ – თელავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას);

ვ) საბაჟო გამშვები პუნქტები „ვალე“ და „ნინოწმინდა“ – ახალციხის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას);

ზ) საბაჟო საგუშაგო „ბათუმის პორტი“, საბაჟო გამშვები პუნქტები: „სარფი“, ბათუმის აეროპორტი“ – ბათუმის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას).

თ) საბაჟო საგუშაგო „ფოთისა და ყულევის პორტები“, – ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას).



## საქართველოს ნორმატიული აქტები

### საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 12/1, თავი 39/1

საბაჟო მოსაკრებლების შესახებ;

საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ;

საქართველოს საბაჟო კოდექსი.

### საქართველოს კანონმდებლობა აქტი

საქართველოს მთავრობის დადგენილება №163

2006 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (ესე ენს) დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს მთავრობის დადგენილება №256**

**2006 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქონლის ნარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წესის, ნარმოშობის სერტიფიკატების ფორმის, მისი გაცემისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №151**

**2006 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი**

ზოგიერთი საქონლის საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №45**

**2006 წლის 12 იანვარი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების წარმოების წესის და ფორმების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №26**

**2007 წლის 16 იანვარი ქ. თბილისი**

უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1232**

**2007 წლის 22 ნოემბერი ქ. თბილისი**

საბაჟო დეკლარაციის სახეების, ფორმების, შევსების, წარდგენის, დაბრუნების, შეცვლის, რეგისტრაციის და მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზუპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმისა და შევსების, საფოსტო გაზვნილის დეკლარაციის ფორმისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციების და საბაჟო დეკლარირების კლასიფიკატორის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1758**

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1754**

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქონლის რეექსპორტის გამოყენების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1775**

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

ვალდებული პირის მიერ გადასახდელი საბაჟო გადასახდელეების ან/და საბაჟო სანქციის დარიცხული და გადახდილი თანხების აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1761**

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე



**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1762****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადაშუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1764****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1763****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაშუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1760****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1759****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქონლის დროებითი დასაწყობებისა და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1757****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1773****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლის მიტანის წესის, ვადების, საბაჟო მარშრუტის, წარდგენის წესის და ზოგადი დეკლარირების ფორმების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1767****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1768****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №112****2006 წლის 17 თებერვალი ქ. თბილისი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღ-

რიცხვის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების რეგისტრაციის ყურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1025**

**2007 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი**

მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის (თუ შეღავათების გამოყენების პირობა ძალაშია) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადაამუშავებაზე გამონაკლისის დაშვების ნების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №326**

**2001 წლის 13 აგვისტო ქ. თბილისი**

საქართველოში საიმპორტო საქონლისათვის გრანტისა და ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების, მისი აღრიცხვისა და გამოყენების შესახებ“ დებულების თაობაზე

**საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანება №798**

**2001 წლის 21 ნოემბერი ქ. თბილისი**

საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო საბუთებისა და ცნობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1755**

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ნების თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1774**

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საავტომობილო მიმოსვლის სახმელეთო სასაზღვრო საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1765**

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების განხორციელების დროისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1131**

**2006 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი**

სანავისა და საპოხი საშუალებების ბორტზე მიწოდების ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების, ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის საბაჟო კონტროლის მიზნით აღრიცხვის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №9**

**2008 წლის 9 იანვარი ქ. თბილისი**

საქონლის დათვალიერებისას და სინჯის ან/და ნიმუშის აღებისას განსახორციელებელი საბაჟო პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №12****2008 წლის 9 იანვარი ქ. თბილისი**

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებ-  
ის (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტრ-  
ოლის განხორციელებისას საბაჟო მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემა „ASYCU-  
DA“-ს მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემისა და რისკების მარ-  
თვის სისტემის საფუძველზე გამარტივებული საბაჟო კონტროლის განხორციელების  
წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1770****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის  
დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1756****2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით  
გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახ-  
ებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა  
და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5-20 დეკემბრის №312/6-

№1235

**ერთობლივი ბრძანება**

სამკურნალო საშუალებების საბაჟო აღნუსხვის წესისა და პირობების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის

მინისტრის ერთობლივი ბრძანება №171-№2-37

**2006 წლის 6 მარტი ქ. თბილისი**

საქართველოს საზღვრებზე, საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში, სახმელე-  
თო გასასვლელებში და საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ფიტო-  
სანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორ-  
ციელების შესახებ დროებითი ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა

მინისტრის ერთობლივი ბრძანება №500-№653

**2008 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი**

„საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პრო-  
ცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორ-  
ციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის დადგენილება №239

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის სახეების, მისი წარდგენის შემთხვევებისა  
და წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1766

**2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი**

საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის წესისა და საბაჟო კონტროლის ზონის ადგილებ-

ის განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

**საქართველოს მთავრობის დადგენილება №157**

**2008 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი**

თავისუფალი ზონისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მათი ფუნქციონირების, საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის წესის განსაზღვრის შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №537**

**2008 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი**

თავისუფალ ზონაში საქონლის გადატანის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრისათვის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

**საქართველოს მთავრობის დადგენილება №256**

**2006 წლის 27 დეკემბერი**

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წესის, წარმოშობის სერტიფიკატების ფორმის, მისი გაცემისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციით დამტკიცების თაობაზე

## 2.8 ადგილობრივი გადასახადები

### 2.8.1. ქონების გადასახადი

ქონების გადასახადის გადამხდელია პირი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე:

ა) საკუთრებაში ან ლიზინგით აქვს ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი;

ბ) კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა (ფაქტობრივ მფლობელობაში იგულისხმება მიწის ფაქტობრივი ფლობა ან მიწით სარგებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიწის ფლობისა და მიწით კანონიერი სარგებლობისა);

გ) ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში აქვს გარდაცვლილი პირის საკუთრებაში რიცხული ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტობრივი მფლობელის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

ქონების გადასახადის გადამხდელია აგრეთვე პირი, რომელიც საგადასახადო კოდექსის 91-ე მუხლის მიხედვით ითვლება ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტის ცრუმ-აგიერ მფლობელად. ზემოთაღნიშნული მუხლის მიხედვით, პირები წარმოადგენენ ერთიმეორის ცრუმ-აგიერ პირებს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო ავენტის ან სხვა ვალდებული პირის განსხვავება სხვა პირისაგან იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გამოყენებულია გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად

### 2.8.2. დაბეგვრის ობიექტი

1. საქართველოს სანარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მონყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები.

2. უცხოური სანარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქონება (მათ შორის, რეზიდენტი პირისათვის იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება).

3. ორგანიზაციისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მონყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები ან მათი ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის.

4. ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული:

ა) უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა სამენარჩეო საქმიანობისათვის გამოყენებული, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონებისა;

ბ) იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონება;

გ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილები (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი);

დ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტები (კატარლები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები.

5. მენარჩე ფიზიკური პირისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ქონებისა და მინისა, ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სამენარჩეო საქმიანობისათვის, აგრეთვე „მენარჩეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობისათვის გამოყენებული ან განკუთვნილი ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები.

6. საქართველოს ან უცხოური სანარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) საკუთრებაში არსებული მიწა;

ბ) კანონის გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

7. პირის, რომელსაც ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში აქვს გარდაცვლილი პირის საკუთრებაში რიცხული ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტობრივი მფლობელის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე და ცრუმავიერი მფლობელისთვის დაბეგვრის ობიექტად განიხილება ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული შესაბამისი ქონება.

### 2.8.3. გადასახადის განაკვეთები

— საგადასახადო კოდექსით საქართველოს სანარმოსათვის, უცხოური სანარმოსათვის და ორგანიზაციისათვის განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებზე გადასახადის წლიური განაკვეთი განსაზღვრება საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

— საგადასახადო კოდექსით ფიზიკური პირის მიერ იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონების და მენარჩე ფიზიკური პირის, აგრეთვე მენარჩეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობისათვის გამოყენებული ან განკუთვნილი ძირითად საშუალებებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე და არამატერიალურ აქტივებზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება ქონების ღირებულების არაუმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

საგადასახადო კოდექსით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით

აღებული უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონებისა გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) 60 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 პროცენტისა;

ბ) 60 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,2 პროცენტისა და არა უმეტეს 0,4 პროცენტისა;

გ) 100 000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,4 პროცენტისა და არა უმეტეს 0,8 პროცენტისა.

— საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია მსუბუქი ავტომობილის სახეობის ძრავის მოცულობის და ხნოვანების მიხედვით და შეადგენს არა უმეტეს:

№	მსუბუქი ავტომობილის სახეობა ძრავის მოცულობის მიხედვით	მსუბუქი ავტომობილის ხნოვანება კალენდარული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გადასახადის ოდენობა (ლარებში)
1	2000 სმ <sup>3</sup> -მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	50
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	40
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	30
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	20
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	10
		6 წელზე მეტი	5
2	2001 სმ <sup>3</sup> -დან 3000 სმ <sup>3</sup> -მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	150
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	130
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	110
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	80
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	25
		6 წელზე მეტი	5

3	3000 სმ <sup>2</sup> -ზე მეტი მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	300
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	250
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	200
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	100
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	50
		6 წელზე მეტი	5

საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტების (კატარლების), თვითმფრინავების, შეუღლმფრენების გადასახადის წლიური განაკვეთები დიფერენცირებულია სატრანსპორტო საშუალების სახეობისა და ძრავის სიმძლავრის მიხედვით:

სატრანსპორტო საშუალების სახეობა	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კოდი	გადასახადის განაკვეთი ძრავის 1 ცხენის ძალაზე წელიწადში
1. იახტა (კატარლა)	8903 10 900 00 8903 92 100 00 8903 92 990 00 8903 99 990 00	არანაკლებ 3 ლარისა და არაუმეტეს 7 ლარისა
2. თვითმფრინავი	8802 20 8802 30 8802 40	არანაკლებ 2 ლარისა და არაუმეტეს 5 ლარისა
3. შეუღლმფრენი	8802 11 8802 12	არანაკლებ 2 ლარისა და არაუმეტეს 5 ლარისა

საქართველოს ან უცხოური სანარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი წლიური საბაზისო განაკვეთი დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით და დგინდება ერთ შექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:



## ა) სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა და დასახლების დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
	მინის ხარისხი	
	კარგი	მწირი
1. თბილისი (გარდა თბილისის დასახლებებისა (სოფლებისა), მარნეული	57	31
2. ბოლნისი, გარდაბანი, თბილისის დასახლებები (სოფლები): ნაკვისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, სამადლო, კიკეთი, ნასაგურალი, ახალდაბა, დიდი ლილო, ვარკეთილი	52	27
3. რუსთავი, ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი	51	27
4. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	44	24
5. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	43	22
6. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი, თილვი, თბილისის დასახლებები (სოფლები): დილომი, მშრალხევი, დაბა ზაპესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეძისი, აგარაკი, თხინვალი, სოფელ გლდანიდან აფქალის დასახლებამდე – საბაღე ნაკვეთები, გოორგინმინდა – საბაღე ნაკვეთები, მუხიანის მიმდებარე – საბაღე ნაკვეთები, ხევძმარის მიმდებარე „აეშინის“ დასახლება, ლოტიკინის დასახლება – სანერგე მეურნეობა, რესის მიმდებარე დასახლება, თბილისის ზღვის არსებული დასახლება	39	21
7. კასპი, თეთრიწყარო, სამტრედია	38	20
8. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	36	20
9. ქურთა, ნალკა	34	19
10. აბაშა, ზუგდიდი	34	18
11. ახალქალაქი, ახალციხე	34	19
12. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	33	17
13. ნინოწმინდა	33	17
14. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	30	15
15. ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	28	15
16. ნაღენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	24	13
17. საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	22	12
18. ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	18	11
19. ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქედა	17	9
20. შუახევი, ხარაგაული, ქიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, სტეფანწმინდა, ჯაბა	13	8

ბ) ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)			
	სათიბები	საძოვრები	გაკულტურებული	
			სათიბები	საძოვრები
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დედოფლისწყარო, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრიწყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	6	3	8	4
2. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, ნალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე	4	2	7	3
3. ამბროლაური, ახმეტა, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	2,5	1,5	4	2

ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის მიწის ხარისხისა და მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებით. ამასთანავე, ამ განაკვეთების ოდენობა შეიძლება იყოს შესაბამის საბაზისო განაკვეთზე არანაკლებ 50 პროცენტისა და არა უმეტეს 150 პროცენტისა.

თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის გადამხდელი საგა-

დასახადო ორგანოს არ წარუდგენს კონკრეტული მიზნის ნაკვეთისათვის მიზნის ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს, აღნიშნული მიზნის ნაკვეთი დაიბეგრება სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების შემთხვევაში კარგი ხარისხის მიზნის ნაკვეთებისათვის, ხოლო ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების შემთხვევაში გაკულტურებული მიზნის ნაკვეთებისათვის განსაზღვრული ქონების გადასახადის განაკვეთებით.

საქართველოს ან უცხოური სანარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიზნის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიზნის ნაკვეთისათვის მიზნის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განსაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთის გამრავლებით საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლით გათვალისწინებულ ტერიტორიულ კოეფიციენტებზე. ამასთანავე, ეს ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ბუნებრივი საძოვრებისათვის დადგენილი განაკვეთით იბეგრება ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის მიხედვით, შესაბამისი ქონების ადგილმდებარეობისა და შესაძლო სარეალიზაციო ფასის გათვალისწინებით.

ფიზიკური პირის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი (სარგებელი) საგადასახადო შეღავათების გათვალისწინების გარეშე, მათ შორის:

ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი;

ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;

გ) ნებისმიერი შემოსავალი (სარგებელი), რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ამასთან ამ შემოსავლებში არ გაითვალისწინება ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება.

## 2.8.4. გადასახადის გამოანგარიშების წესი

ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი.

თუ საქართველოს სანარმოს და უცხოური სანარმოს, მენარმე ფიზიკური პირის, აგრეთვე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობისათვის გამოყენებული ან განკუთვნილი ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მონყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, ამასთან საქართველოს ან უცხოური სანარმოს, ორგანიზაციის და ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მიწა და კანონით გათვალ-

ინსინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა შექენილი, რეალიზებული (გასხვისებული ან განადგურებული) ან შექენილი და რეალიზებული (გასხვისებული ან განადგურებული) იქნა კალენდარული წლის დაწყების შემდეგ, ამ წელს საგადასახადო პერიოდი ამ ქონების გადასახადზე განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი გამოიანგარიშება გადასახადის განაკვეთის გამრავლებით მიწის ნაკვეთის ფართობზე (ჰექტრებში).

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის მე-9 ნაწილით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთის გამრავლებით მიწის ნაკვეთის ფართობზე.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტი დიფერენცირებულია მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობისა და ზონის მიხედვით.

ქონების გადასახადით დასაბეგრი მიწის ფართობი მოიცავს შენობა-ნაგებობებით დაკავებულ, ასევე მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობების სანიტარულ-ტექნიკურ ზონას.

მიწაზე ქონების გადასახადის საგადასახადო ვალდებულება პირს ეკისრება მიწის საკუთრების ან მიწით სარგებლობის უფლების წარმოშობისას, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივი მფლობელობის შემთხვევაში – ფაქტობრივ მფლობელად გახდომის თვის მომდევნო თვიდან.

მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის საფუძველია მიწის საკუთრების დამატებითი დოკუმენტი, იჯარის (ქირაუნობის) ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწით სარგებლობის უფლებას, ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივი მფლობელობა.

შენობა-ნაგებობებით დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც რამდენიმე პირის საკუთრებაშია, გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე ნაგებობისათვის, თითოეული პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად.

**გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წესი**

უძრავ ქონებაზე (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონებისა; საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი); საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ იახტებზე (კატარლებზე), თვითმფრინავებზე, შვეულმფრენებზე, საკუთრებაში არსებული აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე ქონების გადასახადის გადახდის ფიზიკური პირები ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო წლის 1 მაისამდე წარუდგენენ საგადასახადო ორგანოს, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მისი არარსებობის შემთხვევაში – საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ზემოაღნიშნულთა არარსებობის შემთხვევაში – დასაბეგრი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

საქართველოს ან უცხოური სანარმოები და ორგანიზაციები ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო წლის 1 აპრილამდე წარუდგენენ საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

თუ ოჯახის ორ ან ორზე მეტ წევრს აქვს დაბეგვრის ობიექტი, ამ პირთაგან ნებისმიერ სრულწლოვან ფიზიკურ პირს აქვს უფლება, წარადგინოს ქონების გადასახადის ერთიანი (საოჯახო) წლიური დეკლარაცია, რომელშიც აისახება ამ პირის, ასევე ოჯახის სხვა წევრების დაბეგვრის ობიექტები. ამ შემთხვევაში დეკლარაციის წარმდგენ პირს ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებით ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით ენიჭება გადასახადის გადამხდელის წარმომადგენლის უფლებამოსილება და მითითებულ საგადასახადო ვალდებულებებზე ეკისრება გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები.

უძრავ ქონებაზე (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა სამენარმოე საქმიანობისათვის გამოყენებული, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონებისა; საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი); საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე), თვითმფრინავებზე, შეეულმფრენებზე საკუთრებაში არსებულზე, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები ქონების გადასახადს იხდიან არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 ნოემბრისა.

საქართველოს სანარმოს, უცხოური სანარმოს, ორგანიზაციის, ფიზიკურ პირს, რომელსაც იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული აქვს ქონება, აგრეთვე მენარმე ფიზიკური პირს დაბეგვრის ობიექტებზე ქონების გადასახადი გადაიხდებიან საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მიმდინარე გადასახდელის სახით და ბიუჯეტში ჩაირიცხება არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა. მიმდინარე გადასახდელის სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხა ჩაითვლება საგადასახადო პერიოდის მიხედვით გამოანგარიშებულ გადასახადის თანხად. ამასთანავე, თუ გადასახადის გადამხდელი არსებობს მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში, იგი გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად.

სანარმოს, რომელიც დაფუძნდა კალენდარული წლის დანყების შემდეგ, შესაბამისი საგადასახადო პერიოდის მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ ეკისრება. ანალოგიური წესი გამოიყენება მენარმე ფიზიკური პირის მიმართ, თუ საგადასახადო აღრიცხვაზე მისი აყვანა განხორციელდა კალენდარული წლის დანყების შემდეგ.

საქართველოს სანარმოს, უცხოური სანარმოს, ორგანიზაციის, ფიზიკურ პირს, რომელსაც იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული აქვს ქონება, აგრეთვე მენარმე ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საგადასახადო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

საქართველოში დადგენილი წესით, რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე

(საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი) გადასახადი გადაიხდება ყოველწლიურად:

ა) სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც არ ექვემდებარება გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას – არა უგვიანეს 15 ნომბრისა, ხოლო თუ დაბეგვრის ობიექტის გასხვისება აღნიშნულ ვადამდე ხდება, მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციამდე, ამ შემთხვევაში ქონების მიმღებს მიმდინარე კალენდარულ წლისათვის დაბეგვრის ობიექტის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა;

ბ) სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ექვემდებარება გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას, — ყოველწლიურად სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის (თუ სატრანსპორტო საშუალების წინა მესაკუთრეს მიმდინარე კალენდარული წლის გადასახადი არ აქვს გადახდილი) ან გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების დროს. რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია ან გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება არ უნდა განხორციელდეს გადასახადის გადახდის გარეშე.

საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ იახტებზე (კატარლებზე), თვითმფრინავებზე, შვეულმფრენებზე, გადასახადის თანხის გადახდა ხდება ყოველწლიურად, არა უგვიანეს 15 ნომბრისა.

ფიზიკურ პირს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, გარდა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში გამოყენებული ქონებისა და საკუთრებაში ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო მიწისა, უფლება აქვს, არ წარადგინოს დეკლარაცია, თუ:

ა) საგადასახადო კოდექსის 276-ე მუხლის გათვალისწინებით მას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა;

ბ) საანგარიშო წლის წინა პერიოდის მიხედვით ქონების გადასახადის დეკლარაცია წარმოდგენილია ან დარიცხულია საგადასახადო ორგანოს მიერ და მომდევნო საანგარიშო პერიოდების მიხედვით არ ხდება დაბეგვრის ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილება. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, ხოლო საგადასახადო ორგანომ გადამხდელს წარუდგინა „საგადასახადო მოთხოვნა“, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი პერიოდის მიხედვით ბოლო დეკლარირებულის (დარიცხულის) ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.

### 2.8.5. გადასახადისაგან გათავისუფლება

შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთებისა) ან/და უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონებისა;

საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუჲეი ავტომობილები (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი);

საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტები (კატარლები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები.

თუ ამ პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს;

ბ)მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი), რომლის ფართობი არ აღემატება 30 კვადრატულ მეტრს;

დ)მიწის ის ფართობები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავებული სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი საქმიანობისათვის, მათ შორის, ლიანდაგებისა და სალიანდაგო დისტანციების, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოების, რკინიგზის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობებისა და კომუნიკაციების, საქართველოს სარკინიგზო კოდექსით განსაზღვრული გასხვისების ზოლისა და დამცავი ზონის მიერ, გარდა სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სპორტული და უშუალოდ რკინიგზის ფუნქციონირებასთან კავშირში არმყოფი ობიექტების მიერ დაკავებული მიწებისა. მიწის ვადასახადისაგან აგრეთვე არ თავისუფლდება რკინიგზის ვაგზლის შენობის ქვეშ არსებული მიწის ფართობები;

ე)ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა;

ვ)მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო და ელექტროგადამცემი ხაზები;

ზ)საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტიანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საეტალონო და სასტენდო მოწყობილობები;

თ)ორგანიზაციის ქონება, გარდა მიწისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

ი)“ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობა) სანარმოებლად გამოყენებული ქონება;

კ)სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა სამენარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწებისა;

ლ)ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განთავსებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება სამენარმეო საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესავლელი ბილეთების რეალიზაცია;

მ)ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკების ან/და სასაფლაოებით, ზოოლოგიური ბაღებით ან/და პარკებით, ოკანერიუმებით, სკვერებით, ხეივნებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე ღია საუწყებო პარკებით, ბაღებითა და ტყე-ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობი-

სათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

ნ) ქალაქის წყალსაცავები და მათი აკვატორიები, ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, თუ ისინი არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ო) ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;

პ) სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

ჟ) ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) სანარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;

რ) საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემები, გარდა საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტების (კატარლების), თვითმფრინავების, შეუღლმფრენებისა;

ს) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად;

ტ) გაგრაში, გალში, გუდაუთაში, გულრიფში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ტყვარჩელში, ცხინვალში, ჯავაში, აგრეთვე ქუთაის, ერედვისა და თილვის თემებში, აგნევისა და ნულის სოფლებში არსებული ქონება – დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მონესრიგებამდე;

უ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

ფ) ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამატებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ქ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

ღ) ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;

ყ) 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;

შ) მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე 2014 წლის 1 იანვრამდე მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამელიორაციო ასოციაციებისათვის გადაცემული, მათი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;



ჩემორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები – პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

ვ) მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი – აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;

ძ) სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებათა ქონება, გარდა მიწისა;

წ) სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება არასამედიცინო ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ჭ) სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ფინანსდება ბიუჯეტიდან;

ხ) მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტიდან დაფინანსებული უსინათლოების, ყრუ-მუნჯების, გონებრივად ჩამორჩენილი და ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვების, ომის ვეტერანთა საზოგადოების, მოხუცებულთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადაპტაციისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სახლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწევიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ჯ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც მონეული მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხალი, სეტყვა, ვვალვა, წყალდიდობა) და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ – სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ;

ჰ) სამონადირეო მეურნეობების მიერ დაკავებული მიწები.

ჰ1) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება.

დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შეღავათების მქონე პირი თავის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს) ან/და შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გადასცემს სხვა პირს.

ფიზიკურ პირებს ქონების გადასახადის დეკლარაციის წარუდგენლობისათვის საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ ეკისრებათ.

2009 წლის 1 იანვრამდე ქონების გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლდნენ ფიზიკური პირები, რომლებსაც იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული აქვთ ქონება;

ამასთანავე, ამ ობიექტებზე, თუ ისინი გამოყენებულია დამქირავებლის (მოიჯარის) მიერ სამენარმოო საქმიანობისათვის, ქონების გადასახადის საგადასახადო ვალდებულება ეკისრება დამქირავებელს (მოიჯარეს) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი განაკვეთით.

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, მინაზე ქონების გადასახადის გადახდელ ფიზიკურ პირებს და ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას შეუწყდათ საგადასახადო ვალდებულებები 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის მინის ნაკვეთების მიხედვით გაანგარიშებულ ქონების გადასახადის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა თანხებზე და მათზე დარიცხულ სანქციებზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 27 დეკემბრის 550-ე ბრძანებულებით განსაზღვრულია სანარმოთა დროებით გამოყენებელი ქონების კონსერვაციის წესი.

დაბეგრას დაქვემდებარებულ სანარმოთა დროებით გამოყენებელი (უმოქმედო) ქონების, აგრეთვე ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების კონსერვაცია არის ამ საშუალებათა გამოყოფა სანარმოო პროცესიდან და შენახვის რეჟიმზე გადაყვანა მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შენარჩუნებით.

კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანის შესახებ გადანაცვებილების მიღების საფუძველია:

ა) სანარმოებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით მათი დროებით გამოყენებლობა, თუ არსებობს იმის პირობა, რომ კონსერვაციის რეჟიმში ყოფნის მანძილზე არ გაუარესდება ამ საშუალებათა ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები და კონსერვაციის ვადის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება მათი ამოქმედება;

ბ) ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ ძირითადი საშუალებების (შენობა-ნაგებობების) საცხოვრებელ ფართობად გამოყენება.

ძირითად საშუალებათა დროებითი კონსერვაცია ხელს არ უნდა უშლიდეს სანარმოთა რესტრუქტურისაგან.

კონსერვაციის რეჟიმი უქმდება:

ა) ძირითად საშუალებათა ნებისმიერი სახით განკარგვის (იჯარის, ქირავნობის, გაყიდვის) შემთხვევაში;

ბ) ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ გამოყენებული ფართობის გათავისუფლების შემთხვევაში;

გ) ძირითად საშუალებათა კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანის ვადის, მათ შორის გაგრძელებული ან განმეორებითი ვადის დასრულების შემთხვევაში.

კონსერვაციის რეჟიმზე ძირითადი საშუალებების გადაყვანა ხორციელდება:

ა) ერთ მილიონამდე ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითად საშუალებებზე – ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით, აფხაზეთისა (ევაკუირებული სანარმოების) და აჭარის მინისტრთა საბჭოებთან, აგრეთვე ქ. თბილისის მერიასთან და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან შეთანხმებით;

ბ) ერთ მილიონ ლარს ზევით ნარჩენი ღირებულების ძირითად საშუალებებზე –

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი საექსპორტო საბჭოს (შემდგომში – უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭო) წინადადების საფუძველზე.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, აფხაზეთისა (ევაკუირებული სანარმოების) და აჭარის მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე ქ. თბილისის მერია და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები თავიანთ გადაწყვეტილებებს აცნობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შესაბამისი საგადასახადო სამსახურებს, აგრეთვე უწყებათაშორის საექსპერტო საბჭოს, ხოლო „პ“ ქვეუნიქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ატყობინებს ფინანსთა სამინისტროს.

კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანისა და შემდგომ კონსერვაციის რეჟიმიდან მოხსნის ხარჯებს თვით სანარმო ეწევა.

კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანის მიზნით სანარმოში იქმნება სპეციალური კომისია მისი ხელმძღვანელის (დირექტორის, პრეზიდენტის, მენეჯერის), ტექნიკური და ეკონომიკური (კომერციული) სამსახურის უფროსების, მთავარი (უფროსი) ბუღალტრის, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (გამგეობის, მერიის) საფინანსო ეკონომიკური და საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელობის შემადგენლობით. თუ კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანა ხდება სანარმოში, სადაც აქციების (წილის) საკონტროლო პაკეტს ფლობს სახელმწიფო, კომისიაში მონაწილეობს აგრეთვე საკონტროლო პაკეტის მფლობელი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ძირითად საშუალებათა კონსერვაციის რეჟიმის საერთო ხანგრძლივობა განისაზღვრება ორი წლით, გარდა ერთ მილიონ ნარჩენ ლირებულებაზე მეტი ძირითადი საშუალებებისა. ამ ვადაზე მეტი ხნით, აგრეთვე განმეორებით კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილი ძირითადი საშუალებები კონსერვაციაში ითვლება კონსერვაციაზე გადაყვანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

კონსერვაციის ვადის დამთავრებამდე ძირითადი საშუალებების წარმოების პროცესში ჩართვისა და ამოქმედების შემთხვევაში ეს საშუალებები ამუშავების დროიდან ითვლება კონსერვაციის რეჟიმიდან გასულად და ქონების გადასახადით დაიბეგრება დადგენილი წესით. ვადაზე ადრე კონსერვაციის რეჟიმის შეწყვეტა სანარმოს ხელმძღვანელობამ ერთი კვირით ადრე უნდა აცნობოს კონსერვაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და ადგილობრივ საგადასახადო სამსახურს.

გთავაზობთ ფიზიკური პირის მიერ ქონებაზე, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა ქონების გადასახადის გადახდის სქემას (წყარო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდი).





## **საქართველოს ნორმატიული აქტები**

### **საქართველოს კანონი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 13, თავი 50

**საქართველოს კანონქვემდებარე აქტი**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №176

2007 წლის 6 მარტი ქ. თბილისი

ქონების გადასახადის გამონგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის №550 ბრძანებულება

2002 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

დაბეგერის მიზნებისათვის საწარმოთა დროებით გამოუყენებელი ქონების კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანის წესის შესახებ

ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №14-5

2005 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ

ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №14-6

2004 წლის 10 აგვისტო

ქ. თბილისის ტერიტორიაზე მინის გადასახადის შემოღების შესახებ

## 2.9 მოსაკრებლები

საქართველოში მოსაკრებლების სტრუქტურას, ოდენობასა და შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

მოსაკრებლების გადამხდელი ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან გადაიხადონ კანონით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მოსაკრებლები.

დაუშვებელია კანონით გაუთვალისწინებელი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ მხოლოდ საქართველოს შესაბამისი კანონით დაწესებული ადგილობრივი მოსაკრებლები.

შემოღების წესის მიხედვით, მოსაკრებლები არის საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი.

**საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებია:**

- ა) საბაჟო მოსაკრებელი;
- ბ) სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები;
- გ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი;
- დ) საარეგისტრაციო მოსაკრებელი;
- ე) სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი;
- ვ) სახელმწიფო ბაჟი;
- ზ) სააკონსულო მოსაკრებელი;
- თ) საატენდერო მოსაკრებელი;
- ი) სააღსრულებო მოსაკრებელი;
- კ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი;
- ლ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი;
- მ) საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი;
- ნ) პრობაციის მოსაკრებელი – „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი.

**ადგილობრივი მოსაკრებლებია:**

- ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი;
- ბ) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მოსაკრებელი;
- გ) ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი;
- დ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;

ე)სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;

ვ)სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი;

ზ)კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი.

მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები ანიჭებენ კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლებას, აგრეთვე, რომელთაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები უნევენ გარკვეულ მომსახურებას.

მოსაკრებლების განაკვეთები მათ ცალკეულ სახეობებზე წესდება კანონის შესაბამისად მიღებული კანონებით და განისაზღვრება შემდეგი პრინციპებით:

ა)სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებაზე ან/და უფლების მინიჭებაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურების გათვალისწინებით;

განსაკუთრებულ შემთხვევებში სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური (მათ შორის მოსალოდნელი შემოსავლების შეფასების გათვალისწინებით) ინტერესებიდან გამომდინარე.

მოსაკრებლები წესდება ლარებში ან ფარდობით სიდიდეებში.

განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო მოსაკრებლები – სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი

### 2.9.1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი

საქართველოს კანონის „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ მიხედვით სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივ ბიუჯეტში, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

#### მოსაკრებლის გადამხდელი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც ენევიან სამენარმეო საქმიანობას კაზინოებით (სამორინეებით), აზარტული და სხვა სათამაშო ბიზნესით და ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან აგრეთვე ლატარიის მოწყობი პირები (ორგანიზატორები), რომლებიც ენევიან სამენარმეო საქმიანობას „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეროვნული ლატარიის ფონდის მიერ ორგანიზებული ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენამდე.

#### მოსაკრებლის ობიექტები

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტებია:

ა)აზარტული და მომგებიანი თამაშებისათვის გამოყენებული სათამაშო მაგიდები, სათამაშო აპარატები;

ბ)ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროები (სპეციალურად მოწყობილი ადგილი, სადაც მოლარის ან/და სპეციალური აპარატის ან სხვა საშუალებით ხორციელდ-

ება ფსონის მიღება ან/და მოგების გაცემა);

გ)წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი;

დ)სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა;

ე)ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები.

მოსაკრებლის განაკვეთები

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება ხდება სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით და განისაზღვრება:

ა)კაზინოს (სამორინეს) თითოეულ სათამაშო მაგიდაზე – კვარტალში 15 000-დან 30 000 ლარამდე;

ბ)თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 150-დან 600 ლარამდე;

გ)ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე – კვარტალში 900-დან 1800 ლარამდე;

დ)თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

ე)სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე – კვარტალში 6000-დან 30 000 ლარამდე;

ე)ლატარიების მონყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების არა უმეტეს 20%-ისა.

მოსაკრებლის ანგარიშგება და გადახდის წესი

წამახალისებელი გათამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) ვალდებულია ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში ყოველკვარტალურად წარადგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია და გადაიხადოს მოსაკრებელი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობის მომწყობი (ორგანიზატორი) ვალდებულია ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში ყოველკვარტალურად წარადგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია და გადაიხადოს მოსაკრებელი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

კაზინოს (სამორინეს) სათამაშო მაგიდების, სათამაშო აპარატებისა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროების მონყობისას თამაშების ორგანიზატორები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს იხდიან მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შექმნისას. მოსაკრებლის გადახდის ნიშანში იგულისხმება თამაშების მონყობისას სათამაშო მაგიდებსა და აპარატებზე ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებზე მისამაგრებელი ნიშნები, რომლებიც ადასტურებს მოსაკრებლის გადახდას და თამაშების ორგანიზატორის უფლებას თამაშების მონყობის ადგილებში სათამაშო მაგიდებსა და აპარატების დადგმასა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროების მონყობაზე.

თამაშების მომწყობნი (ორგანიზატორები) მოსაკრებლის გადახდის ნიშნებს ამაგრებენ სათამაშო მაგიდებსა და აპარატებზე, აგრეთვე ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროების თვალსაჩინო ადგილებზე, საანგარიშო კვარტალის პირველ სამუშაო დღეს და ხსნიან ყოველი საანგარიშო კვარტალის ბოლო სამუშაო დღეს.

ლატარიის მომწყობნი (ორგანიზატორები) ვალდებული არიან ადგილობრივ საგა-



დასახადო ორგანოებში ყოველკვარტალურად წარადგინონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია და გადაიხადონ მოსაკრებელი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.



## საქართველოს ნორმატიული აქტები

### საქართველოს კანონი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ

ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ

#### საქართველოს კანონმდებლობა აქტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №50

2007 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შექმნის, რეგისტრაციისა და დამაგრების, დაზიანებული ნიშნების შეცვლის, აგრეთვე უმოქმედო დაბეგერის ობიექტების დალუქვის ნესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №824

2005 წლის 30 აგვისტო ქ. თბილისი

„განალღებული, გაუქმებული, არარეალიზებული ლატარიის, ტოტალიზატორის და სხვა მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის დამადასტურებელი ბილეთების, დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდების, ღირებულების მქონე, მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების, დოკუმენტების ექსპერტიზა-უტილაზაციისა და ლეგალიზაციის შესახებ ინსტრუქციის“ დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №143

2007 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების ესკიზის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №159

2007 წლის 1 მარტი ქ. თბილისი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ყოველკვარტალური დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების ნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1216

2005 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

სამორიენეს, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოს, ბინგოს, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მონომობის ფორმების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №265**

**2006 წლის 28 მარტი ქ. თბილისი**

სამორიენეს, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოს, ბინგოს, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1143**

**2007 წლის 29 აგვისტო ქ. თბილისი**

აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ

**9.2. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი**

საქართველოს კანონის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ მიხედვით

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადამხდელია:**

ა) პირი, რომლის საკმიანობა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ლიცენზირებას;

გ) პირი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ტყის ფონდიდან მერქნული რესურსებით სარგებლობას;

გ) სპეციალური ჭრების შედეგად ამოღებული მერქნული რესურსებით მოსარგებლე;

დ) პირი, რომელიც ახორციელებს გადამფრენი ფრინველების გარემოდან ამოღებას სამონადირეო მეურნეობის ფარგლების გარეთ.

**მოსაკრებლის ობიექტი**

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე (ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) გარემოდან ამოღებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ:

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა);

ბ) ტყის ფონდის მერქნული რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

გ) მცენარეთა არამერქნული რესურსების (მათ შორის სოჭის გირჩების) მოცულობა (რაოდენობა);

დ) წყლის რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

ე) ცხოველთა სამყაროს რესურსების (გარდა გადამფრენი ფრინველებისა) მოცულობა (რაოდენობა);

ვ) გადამფრენი ფრინველების რაოდენობა.

**მოსაკრებლის განაკვეთი**

1. წიაღით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სახეობებისა და მოცულობის (რაოდენობის) მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი	ზომის ერთეული	მოსაკრებლის ოდენობა ლარებში
სანვავი და ენერგორესურსები:		
ა)ნავთობი	1 ტონა	21
ბ)გაზი	1000 გ³	2
გ)ნახშირი	1 ტონა	1
დ)ტორფი და საპრობელები	1 ტონა	0,7
შავი ლითონები:		
ა)რკინა	1 ტონა/1%-იანი შემცველობით	0,008
ბ)მანგანუმი		0,012
ფერადი ლითონები:		
ა)სპილენძი	1 ტონა	136
ბ)ტყვია	1 ტონა	37
გ)თუთია	1 ტონა	90
დ)ანთიმონიტი	1 ტონა/1%-იანი შემცველობით	0,09
ე)კადმიუმი	1 ტონა	800000
ე)ალუმინი	1 ტონა	104
ზ)ნიკელი	1 ტონა	450
თ)კალა	1 ტონა	400
ი)სტრონციუმი და სხვა	1 ტონა	0,8
კეთილშობილი ლითონები:		
ა)ოქრო	1 გრამი	0,9
ბ)პლატინოიდები		1,3
გ)ვერცხლი		0,015
იშვიათი ლითონები, იშვიათი ელემენტები და იშვიათ მინათა ელემენტები	1 გრამი	1,5
სამთო-ქიმიური ნედლეული:		
ა)ანდეზიტი	1 გ³	0,6
ბ)ბარიტი	1 ტონა	1,8
გ)კალციტი	1 ტონა	1,2
დ)ბენტონიტური თიხები	1 ტონა	3,6
ე)ვერცხლისწყალი	1 ტონა/1%-	0,14

ვ)დარიშხანი	იანი შემ- ცველობით 1 ტონა	20
ზ)გოგირდი	1 ტონა	2
თ)დიატომიტი და სხვა	1 ტონა	6
არამადნეული ნედლეული, მეტალურგიისათვის საჭი- რო ნედლეულის ჩათვლით:		
ა)დოლომიტი	1 ტონა	0,5
ბ)ცეცხლგამძლე თიხები	1 ტონა	1
გ)საფლუსე კირქვები	1 ტონა	0,5
დ)კვარცის ქვიშები საყალიბე და მინის წარმოებისათვის	1 ტონა	1,5
ე)მინერალური პიგმენტები	1 ტონა	200
ვ)ტალკი	1 ტონა	1
ზ)ცეოლითი	1 ტონა	1
თ)კაოლინი	1 ტონა	4,0
ი)ტრაქიტი	1 ტონა	0,3
კ)პეგმატიტი	1 ტონა	0,3
ლ)კირქვა კირის წარმოებისათვის	1 ტონა	0,15
მ)გრაფიტი	1 ტონა	8
ნ)საყალიბე-საფლუსე თიხები	1 ტონა	0,3
ო)კერამიკული თიხები	1 ტონა	0,2
პ)ბუნებრივი ცარცის ქვა	1 ტონა	0,1
ჟ)საფორმე ქვიშები	1 მ <sup>3</sup>	0,3
რ)ლითოგრაფიული ქვა და სხვა	1 მ <sup>3</sup>	2
ძვირფასი ქვები	1 კარატი	1
საიუველირო ნახევრადძვირფასი ქვები (აკვამარინი, ამეთისტო, ქრიზოლითი, მთის ბროლი და სხვა)	1 კილოგრამი	0,25
საიუველირო-სანაკეთობო ქვები (აქატი, მალაქიტი, ნეფრიტი, სერდოლიკი, ქარვა, გიშერი, ლაზურიტი და სხვა)	1 კილოგრამი	0,15
იასპი (ეშმი)	1 გრამი	0,05
საშენი მასალები:		
ა)საცემენტე ნედლეული (კირქვა, თიხამინა, სპონგოლიტი)	1 ტონა	0,14
ბ)თაბაშირი	1 ტონა	0,7
გ)გაჯი	1 ტონა	1,0

დ)პერლიტი	1 ტონა	8
ე)ხრეში, ქვიშა	1 გ	0,2
ვ)სააგურე თიხები	1 გ	0,35
ზ)მოსაპირკეთებელი და სახერხი ქვები (გრანიტი, სიენიტი, დიორიტი, გაბრო, ტეშენიტი, ბაზალტი, ტუფი, მარმარილო)	1 გ	1,0
თ)სალორღე ნედლეული	1 გ	0,4
ი)სხვა საშენი მასალები	1 გ	0,7
სასმელ-სამკურნალო და ჩამოსასხმელი მინისქვეშა მინერალური წყლები, გარდა ამ პუნქტის „ბ“-„ე“ ქვე- პუნქტებში აღნიშნული მინერალური წყლებისა	1 გ	3
სამკურნალო ტალახი	1 ტონა	1
გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მი- ნისქვეშა მინერალური წყლები	1 გ	0,04
მინისქვეშა თერმული (თბოენერგეტიკული დანიშნუ- ლების) წყლების გამოყენება ტემპერატურით 40°C-დან 60°C-მდე	1 გ	0,03
60°C-დან 80°C-მდე	1 გ	0,05
80°C-დან 100°C-მდე	1 გ	0,06
100°C-ზე მეტი	1 გ	0,08
მინისქვეშა მტკნარი წყლები: ა)მინისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენება;	1 გ	4
ბ)მინისქვეშა მტკნარი წყლების სხვა სამენარმეო მიზნით გამოყენება		0,005
მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გად- ამუშავების ნარჩენები	1 ტონა	0,2
სამთამადნო სანარმოთა გამდიდრების კუდები	1 ტონა	0,18

შენიშვნა: ფიზიკური პირების მიერ პირადი მოხმარების მიზნით, ასევე კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ან/და არასამე-  
ნარმეო ეკონომიკური საქმიანობის მიზნით მოპოვებული მინისქვეშა მტკნარი წყლები  
არ ექვემდებარება მინისქვეშა მტკნარი წყლებისათვის დაწესებული ბუნებრივი რესურ-  
სით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდას.

ბ)„ბორჯომის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მო-

საკრებელი 18<sup>ა</sup> წყალზე შეადგენს 10 ლარს;

გ) „ნახებლავის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 18<sup>ბ</sup> წყალზე შეადგენს 6 ლარს;

დ) „საირმის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 18<sup>გ</sup> წყალზე შეადგენს 6 ლარს;

ე) „უნერის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 18<sup>დ</sup> წყალზე შეადგენს 4 ლარს;

ვ) მინერალური წყლებით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება წყლის იმ მოცულობით, რომელიც მიეცემა პირს წიაღით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული წლიური ოდენობის მიხედვით. წლიური ოდენობის გაანგარიშებისას გაითვალისწინება მინერალური წყლების სასაქონლო პროდუქციის წარმოების ნებართვით განსაზღვრული პირობები.

ზ) ნახშირორჟანგი (გაზი CO<sub>2</sub>) სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ნახშირორჟანგის (გაზი CO<sub>2</sub>) იმ მოცულობით, რომელიც მიეცემა პირს წიაღით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული ყოველდღიური ლიმიტის ოდენობით. ნახშირორჟანგი (გაზი CO<sub>2</sub>) სარგებლობის მოსაკრებელი შეადგენს 20 ლარს 1 (ერთ) ტონაზე.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე გავრცელებული ტყის მერქნიანი სახეობებისა და მერქნული რესურსების სასაქონლო ხარისხის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ტყის მერქნიან სახეობათა ჯგუფები (სახეობათა დასახელების ჩათვლით)	მოსაკრებლის ოდენობა ერთი მკვრივი კუბური მეტრისათვის ლარებში	
	სამასალე მერქანი უქერქოდ	საშეშე მერქანი ქერქით
1	2	3
I ჯგუფი: უთხოვარი, ბზა, ლვია, ძელქვა, კაკალი	102	6
II ჯგუფი: მუხა, ნაბლი, იფანი, თელა, თუთა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, პანტა, სალსალაჯი	60	4
III ჯგუფი: წიფელი, რცხილა, აკაცია, აკაკი, უხრაჯი	47	3
IV ჯგუფი: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, კედარი, კვიპაროსი, კრიპტომერია, ტუია	22	2
V ჯგუფი: ჯაგრცხილა, ჭადარი, ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები	13	2

3. გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ყოველ კილოგრამზე, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

№	რესურსების დასახელება სახეობათა ჯგუფების მიხედვით	მოსაკრებლის ოდენობა (ლარი/კგ)
1	თეთრყვავილას ბოლქვები, ყოჩივარდას გორგლები	0,1
2	სოჭის გირჩა	0,60

4. წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) წყლის ობიექტების ჯგუფების მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

წყლის ობიექტთა ჯგუფები (წყლის ობიექტთა სახეობების დასახელების ჩათვლით)	მოსაკრებლის ოდენობა ერთ კუბურ მეტრზე ლარებში
I ჯგუფი (კასპიის ზღვის აუზის მდინარეები, ტბები და სხვა წყალსატევები)	0,01
II ჯგუფი (შავი ზღვის აუზის მდინარეები, ტბები და სხვა წყალსატევები)	0,005
III ჯგუფი (შავი ზღვის წყალი)	0,003

ბ) თბოსადგურებისათვის და სარწყავი სისტემებისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ<sup>3</sup> წყალზე შეადგენს შესაბამის წყლის ობიექტთა ჯგუფებისათვის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობის 1 პროცენტს;

გ) ჰიდროელექტროსადგურებისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ<sup>3</sup> წყალზე შეადგენს შესაბამის წყლის ობიექტთა ჯგუფებისათვის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობის 0,01 პროცენტს;

დ) კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის მტკნარი (მინისქვეშა და ზედაპირული) წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ<sup>3</sup> წყალზე შეადგენს 0,01 თეთრს.

5. ცხოველთა სამყაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ცხოველთა სამყაროს ობიექტების საქართველოში გავრცელებულ სახეობათა მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ცხოველთა სამყაროს ობიექტთა ჯგუფები (ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სახეობების დასახელებათა ჩათვლით)	მოსაკრებლის ოდენობა (ძუძუმწოვრებისა და ფრინ- ველებისათვის სახეობის ერთ ინდივიდზე, თევზებისა და წყლის ცხოველებისათვის ერთ ტონაზე) ლარებში
I ჯგუფი (დათვი)	1000
II ჯგუფი (გარეული ღორი)	100
III ჯგუფი: ა) შველი; ბ) ირემი	500 1300
IV ჯგუფი (მგელი)	100
V ჯგუფი ა) ტურა; ბ) მელა; გ) მაჩვი; დ) კვერნა; ე) ენოტისებური ძაღლი, ენოტი, ნუტრია; ვ) ტყის კატა.	15 50 20 20 1 10
VI ჯგუფი (კურდღელი)	2
VII ჯგუფი ა) ჯიხვი; ბ) არჩვი; გ) კავკასიური შურთხი.	1500 600 220
VIII ჯგუფი: ა) ქარსალა ბ) მერლანგი გ) ხონთქარა დ) ქაშაყი, პელამი, სამარიდა, სარლანი ე) ლუფარი ვ) სკუმბრია, სარდინი, სტავრიდა ზ) ფარგა თ) სამარისი	10 15 40 40 30 20 50 40
IX ჯგუფი (ხოხობი)	15
X ჯგუფი ა) კაკაბი, გარეული ბატი; ბ) გარეული იხვი.	4 1



XI ჯგუფი (სხვა ფრინველები)	1
XII ჯგუფი (ქაფშია)	25
XIII ჯგუფი	
ა)ქარსალა;	10
ბ)მერლანგი;	15
გ)ხონთქარა;	40
დ)ქაშაყი, პელამი, სამარიდა, სარლანი;	40
ე)ლუმფარი;	30
ვ)სკუმბრია, სარდინი, სტავრიდა;	20
ზ)ფარგა.	50
XIV ჯგუფი	
ა)კეფალი, წვერა, ციმორი, მურნა;	120
ბ)შამაია;	90
გ)ლოქო	60
XV ჯგუფი	
ა)თეთრი ამური, სქელმუბლა;	40
ბ)ტობი.	50
XVI ჯგუფი	
ა)კობრი;	40
ბ)ჭერეხი;	70
გ)კაპარჭინა;	30
დ)ნაფოტა;	10
ე)ქარიყლაპია.	10
XVII ჯგუფი (სიგა, პელიადი, ჭაფალა)	15
XVIII ჯგუფი (კატრანი)	80
XIX ჯგუფი	
ა)მდინარის კალმახი, ტბის კალმახი;	200
ბ)ორაგულისებრნი.	525
XX ჯგუფი (ზუთხისებრნი)	3000
XXI ჯგუფი	
ა)რაპანი;	6
ბ)მიდია.	8
XXII ჯგუფი	
ა)ხრამული;	50
ბ)ქაშაყი;	5
გ)ქარჩხანა (კარასი);	5
დ)ლორჯო;	5

ე)ჭანარი;	50
ვ)მცირე ვიშა;	15
ზ)კამბალა, კალკანი.	40
<b>XXIII ჯგუფი</b>	
ა)ზღვის კატა	30
ბ)ზღვის ენა;	30
გ)ზღვის მელა;	30
დ)ვარსკვლავთმორიცხველი	40

6. გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებლის ოდენობა სეზონზე შეადგენს 10 ლარს.

**მოსაკრებლის გადახდის და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი**

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება საანგარიშოს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, გარდა შემდეგი ბუნებრივი რესურსებისა:

— ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება არა უგვიანეს ტყიდან მათი ტრანსპორტირებისა, ხოლო კანონის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის შესახებ“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მერქნული რესურსების რეალიზაციისას;

— მცენარეთა არამერქნული რესურსებით და მათი პროდუქტებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წინასწარ, ლიცენზიის მიღებამდე;

სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის რესურსების მოსაკრებელი გადაიხდება შესაბამისი წლის 1 დეკემბრამდე;

— გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წინასწარ, ნადირობის დაწყებამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით;

— მინერალურ წყლებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ამ პერიოდის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული წლიური ოდენობის მიხედვით თანაბარ ნაწილებად;

— ნახშირორჟანგზე (გაზი CO<sub>2</sub>) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ამ პერიოდის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული ყოველდღიური ლიმიტის ოდენობით.

მოსაკრებლის გადახდელი თავისი ადგილსამყოფლის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგენს მოსაკრებლის გაანგარიშებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით.

**შელავათები:**

— მოსაკრებლებისაგან თავისუფლდება მეტროპოლიტენის, წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემების, ინფრასტრუქტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისას მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა).

— მოსაკრებელი უმცირდებთ 70%-ით:

- ა) იმ ბუნებათმოსარგებლებს, რომლებიც ეწევიან ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას;
- ბ) აღდგენილი (კვლავნარმოებული) რესურსების მოცულობის (რაოდენობის) ფარგლებში იმ ბუნებათმოსარგებლებს, რომლებიც საკუთარი სახსრებით ახორციელებენ ბუნებრივი რესურსების აღდგენა-კვლავნარმოებას.

### განსაკუთრებული შემთხვევები

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობებით სარგებლობის მოსაკრებელი გადაიხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში: პათოლოგიური დაავადებების შედეგად გამზმარი, დიდთოვლიანობისა და ქარისაგან მოთხრილი ხეების რეალიზაციისა და მაგისტრალური გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, მილსადენების, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისას ჩატარებული ხეების ჭრების დროს. ასევე ამ სახეობებით სარგებლობის მოსაკრებელი გამოიყენება უკანონო ჭრების შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის) დაანგარიშებისათვის.

ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის, „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობებით სარგებლობის მოსაკრებელი გამოიყენება რესურსების უკანონო მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის) დაანგარიშებისათვის.



## საქართველოს ნორმატიული აქტები

### საქართველოს კანონი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ

### საქართველოს კანონმდებლარა აქტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №31

2005 წლის 21 იანვარი ქ. თბილისი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმის დამტკიცების შესახებ

## 2.10 საკონტროლო-სალარო აპარატები

ეკონომიკური საქმიანობის განმასხვრციელებელი პირები ვალდებული არიან საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შესაბამისი მონაცემები აღრიცხონ მხოლოდ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებით.

საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლებიან:

1. პირები მომხმარებლებთან ანგარიშსწორების იმ ნაწილში, სადაც გამოიყენება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფაქტის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი; მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების წუსხა განსაზღვრულია საქართველოს კანონით „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ და დაკონკრეტებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით.

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) წუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიხედვითაც მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) წუსხა შემდეგნაირად გამოიყურება:

- მკაცრი აღრიცხვის ფორმებს განეკუთვნება შემდეგი ბლანკები და დოკუმენტები:
  - ა) ვიზა;
  - ბ) საქართველოში დასაბრუნებელი მონმობა;
  - გ) ლტოლვილთა მონმობა;
  - ე) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
  - ე) კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
  - ზ) სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის სერტიფიკატი;
  - თ) სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
  - ი) სანარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის (გადასახადის გადამხდელის) მონმობა;
  - კ) წულოვანი განაკვეთის სარეგისტრაციო სერტიფიკატი;
  - ლ) დამატებული ლირებულების გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო სერტიფიკატი;
  - მ) სათამაშო ბიზნისის გადასახადის გადახდის ნიშნები;
  - ენ) ანგარიშ-ფაქტურა საბაჟო პროცედურების სმ-1;
  - ყ) ნედლი ნავთობისა და მისი გადამუშავებით მიღებული საქონლის, მისამართების, გამხსნელების, ნახშირწყალბადების, თხევადი გაზის და საპოხი საშუალებების (გარდა ნედლი ნავთობისა, რომელიც გადაადგილება მოლსადენის ტრანსპორტით ან ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით), თამბაქოს ნანარმის სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაცია;

- შ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ლიცენზიისა და ნებართვის ფორმები;
- ჩ) ტყით სარგებლობის ბილეთი (ხე-ტყის დამზადებისთვის);
- ც) ტყით სარგებლობის ბილეთი (არამერქნული რესურსებით სარგებლობისთვის);
- ძ) ტყით სარგებლობის ბილეთი (ტყის მერქნიანი მცენარეების, პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადებისათვის);
- წ) ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ჭ) ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ხ) ხე-ტყის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ჯ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
- ჰ) დაბადების მონმობა, სააქტო ჩანაწერი;
- ჰ.ა.) მამობის დადგენის მონმობა, სააქტო ჩანაწერი;
- ჰ.ბ.) ქორწინების მონმობა, სააქტო ჩანაწერი;
- ჰ.გ.) განქორწინების მონმობა, სააქტო ჩანაწერი;
- ჰ.დ.) შვილად აყვანის მონმობა, სააქტო ჩანაწერი;
- ჰ.ე.) გარდაცვალების მონმობა, სააქტო ჩანაწერი;
- ჰ.ვ.) სახელის, მამის, გვარის შეცვლის მონმობა, სააქტო ჩანაწერი;
- ჰ.ზ.) პასპორტი;
- ჰ.თ.) პირადობის მონმობა;
- ჰ.ი.) ჩანართი;
- ჰ.ი.) საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელთა ბინადრობის მონმობა;
- ჰ.ი.) საქართველოში დროებით მცხოვრებ უცხოელთა ბინადრობის მონმობა;
- ჰ.კ.) სამედიცინო დანესებულებების სალიცენზიო მონმობა;
- ჰ.ლ.) ფარმაცევტული საქმიანობის სალიცენზიო მონმობა და სარეგისტრაციო მონ-  
მობის დანართის ფორმები;
- ჰ.მ.) სახელმწიფო სერტიფიკატი;
- ჰ.ნ.) ნასამართლეობის ან ძებნის ბლანკი;
- ჰ.ო.) ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- ჰ.პ.) ცნობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისა და მათში დაშვებულ პირთა შესახებ;
- ჰ.ჟ.) ადმინისტრაციული დაკავების ოქმი;
- ჰ.რ.) პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის ოქმი;
- ჰ.ს.) ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის ოქმი;
- ჰ.ტ.) მძღოლის მონმობის პლასტიკური ყდა;
- ჰ.უ.) მძღოლის მონმობის ბლანკი;
- ჰ.ფ.) ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონმობის პლასტიკური ყდა;
- ჰ.ქ.) ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონმობის ბლანკი;
- ჰ.ყ.) საბანკო ლიცენზია;
- ჰ.შ.) საბანკო ფილიალის გახსნის შესახებ თანხმობა;
- ჰ.ჩ.) არასაბანკო სადებუზიტო დანესებულებებზე (საკრედიტო კავშირები, ვალუტ-  
ის გადამცველი პუნქტები) გასაცემი სალიცენზიო მონმობა;
- ჰ.წ.) თანხმობა საინკასაციო მომსახურების შესახებ;
- ჰ.ც.) მონმობა ნაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაციის შესახებ;

- პ.ჯ) მონმობა ინკასატორის კვალიფიკაციის შესახებ;
- პ.პ) საფულე ჩეკი;
- პ.პ.გ) სარეზერვო ფონდების აღრიცხვის წიგნი;
- პ.პ.დ) ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის აღრიცხვის წიგნი;
- პ.პ.ე) ნაღდი ფულის კუპიურული აღრიცხვის წიგნი;
- პ.პ.ვ) საცავის გაღება-დაკეტვისა და დალუქვაზე დასაშვებ პირთა საკონტროლო დავთარი;
- პ.პ.თ) ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის გადაზიდვის შესახებ დავალების აღრიცხვის წიგნი;
- პ.პ.ი) ქვითრების წიგნი №0402004.
- პ.პ.კ უმაღლესი, სახელობო, საბაზო საფეხურის ზოგადი, სრული ზოგადი, ექსტერნატის ფორმით მიღებული სრული ზოგადი, საშუალო პროფესიული განათლების დამატურებული დიპლომი, ატესტატი, სერტიფიკატი;
- პ.პ.ლ) სამგზავრო ავიაბილეთები;
- პ.პ.მ) საბარგო ქვითრები (ავიაგადაზიდვისთვის);
- პ.პ.ნ) სტფ-2 საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრის ტალონი;
- პ.პ.ო) სტფ-3 ტალონის ბარათი;
- პ.პ.ყ) სტფ-5 შეკვეთა-კატეგორია შეღავათიანი ტარიფი;
- პ.პ.რ) ფორმა №ნ შეკვეთა;
- პ.პ.ს) სტფ-7 ტრანზიტი;
- პ.პ.ტ) სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანაშენე მონმობა (სერტიფიკატი);
- პ.პ.უ) წყლის რეგისტრაციისათვის ადგილწარმოშობის დასკვნის ფორმა;
- პ.პ.ფ) წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის ბლანკი;
- პ.პ.ქ) ფიტოსანიტარული სერტიფიკატი ექსპორტზე;
- პ.პ.ლ) ფიტოსანიტარული სერტიფიკატი რექსპორტზე;
- პ.პ.ყ) ავტოპარკირების ქვითარი;
- პ.პ.შ) ლატარიის ბილეთები
- პ.პ.ჩ) ღია ნავთობპროდუქტის გადასაგზავნი ზედნადები (გუ №27 დს);
- პ.პ.ც) მუქი ნავთობპროდუქტების გადასაგზავნი ზედნადები (გუ №27 დტ);
- პ.პ.ძ) ცარიელი ვაგონების გადასაგზავნი ზედნადები (გუ 27-სპ);
- პ.პ.წ) ტვირთის გადაზიდვის საგზაო უწყისი (გუ-29);
- პ.პ.ჭ) ცარიელი სპეციალური მოძრავი შემადგენლობის გადასაგზავნი უწყისი (გუ-33);
- პ.პ.ხ) საგზაო უწყისი მარშრუტზე ან ვაგონთა ჯგუფზე (გუ-29ბ);
- პ.პ.ჯ) კომბინირებული ქვითარი (გუ-57);
- პ.პ.პ) სამგზავრო პარკის ვაგონების გარბენაზე საგზაო უწყისი (მგ.№12-ვგ);
- პ.პ.პ.ა) საბარგო ქვითარი (მგ.№12-ბ);
- პ.პ.პ.ბ) ტვირთბარგის ქვითარი (მგ.№12-ტბ);
- პ.პ.პ.გ) კომერციული აქტი(კა);
- პ.პ.პ.დ) სსმ-მცირე სიჩქარის ზედნადები;
- პ.პ.პ.ე) კომბინირებული სამგზავრო დოკუმენტი (მიფრი 11);
- პ.პ.პ.ვ) საბავშვო კომბინირებული დოკუმენტი (მიფრი 12);
- პ.პ.პ.ზ) შეღავათიანი სამგზავრო 50 დოკუმენტი (მიფრი 21);
- პ.პ.პ.თ) საერთო კომბინირებული სამგზავრო დოკუმენტი (მიფრი 301);



3.3.3.3.ლ) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ აქტი – ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების შესახებ;

3.3.3.3.მ) სს სადაზღვევეო კომპანია „გეოპოლისის“ სალაროს შემოსავლის ორდერი“.

3.3.3.3.ო) საბაჟოს სამართალდარღვევის ოქმი (სერია რსა);

3.3.3.3.პ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი (სერია რსდ);

3.3.3.3.ჟ) ავტობუსით მგზავრობის ერთჯერადი ბილეთი;

3.3.3.3.რ) ავტობუსით მგზავრობის ბარათი;

3.3.3.3.ს) შიგიენური სერტიფიკატი;

3.3.3.3.ტ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი (სერია „რცსი“);

3.3.3.3.უ) ზარალის ანაზღაურების ან გირაოს სახით თანხების გადახდის დასტური;

3.3.3.3.ფ) ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ფირნიში“.

2. მენარმე ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ „ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს:

№	საქმიანობის სახე	ფართობის მაქსიმალური ოდენობა მ²
1	2	3
<b>სექცია A</b>		
1.	01.41.1. ქვეკლასით გათვალისწინებული მომსახურება: — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებში	
<b>სექცია D</b>		
2.	17.51.1. ქვეკლასით გათვალისწინებული: — ხალიჩებისა და ორბოვისებრი ნაწარმის წარმოება	20
3.	17.72.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება	15
4.	18.22.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა.	10
5.	18.23.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — საცვლების წარმოება.	10



6.	18.24.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — თავსაბურავების წარმოება.	10
7.	18.24.9 ქვეკლასით გათვალისწინებული: — დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება.	10
8.	20.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება — ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება; — ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნობის წარმოება.	20
9.	26.21.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება	20
10.	28.75.2 ქვეკლასით გათვალისწინებული: — სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლის და ინვენტარის წარმოება.	20
11.	36.30 კლასით გათვალისწინებული: — მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება — აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის ტუჩის გარმონიკების წარმოება; — სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება ინსტრუმენტების წარმოება	15
12.	36.62 კლასით გათვალისწინებული: — ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება.	10
<b>სექცია G</b>		
13.	50.20 კლასით გათვალისწინებული: — ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.	40
14.	52.7 კლასით გათვალისწინებული: — საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი — საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს.	20

15.	52.71 კლასით გათვალისწინებული: — ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი.	20
16.	52.72 კლასით გათვალისწინებული: — საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი.	20
17.	52.73 კლასით გათვალისწინებული: — საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი.	2
18.	52.74.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი.	10
19.	52.74.9 კლასით გათვალისწინებული: — საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	20
სექცია H		
20.	55.23.0 ქვეკლასით – სხვა საცხოვრებელი ადგილები – გათვალისწინებული: — საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გადაცემა სოფლის სახლებში (შალებში), კოტეჯებში და ბინებში.	60
სექცია K		
21.	74.85.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: — სამდივნო და თარგმნითი მომსახურების განევა.	5
22.	93.01.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: — თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება.	20
23.	93.02.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: — თმის დაბანა, შესწორება და კრეჭა, დანყოფა, შეღებვა, შეფერადება, დახვევა, გასწორება და ანალოგიური სამუშაოები მამაკაცებისთვის და ქალებისათვის, აგრეთვე გაპარსვა და წვერის შესწორება.	20
24.	95.0 კლასით გათვალისწინებული: — შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება.	

3. ეკონომიკური საქმიანობის განმასხორციელებელი ფიზიკური პირები, რომლებსაც საგადასახადო კოდექსით არ აქვთ საგადასახადო ორგანოში მენარმე ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის ვალდებულება;

4. პირები, რომლებიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებენ მომხმარებლების ტერიტორიაზე (სახლებში, ორგანიზაციებში, სანარმოებში) – საქმიანობის ამ ნაწილში, ჩეტან გათანაბრებული დოკუმენტის გაცემის პირობით;

5. პირები, რომლებიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებენ ავტომატიზებული ან მექანიკური მონყოილობების მეშვეობით – საქმიანობის ამ ნაწილში;

6. მენარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქუჩაში დატარების ფორმით წერილ საცალო ვაჭრობას, გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვას ქუჩაში დადგმული სტენდებიდან/მაგიდებიდან – საქმიანობის ამ ნაწილში;

7. პირები – საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის ად<sup>1</sup> ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის ნაწილში, კერძოდ,

საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, სატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციისას;

2010 წლის 1 იანვრამდე პირებზე, რომლებიც ჟურნალ-გაზეთების გაერცელებას ახორციელებენ სპეციალიზებული ჯიხურებით, რომლებშიც იყიდება მხოლოდ ჟურნალები ან/და გაზეთები, არ ვრცელდება საგადასახადო კოდექსის 97/1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები.

2010 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირაებულ პირთა შრომას და ახორციელებენ სამენარმეო ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობების) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დასლიდან, გარდა იმ პირისა, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებისას პირი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესების დაცვა;

ბ) საქონლის/მომსახურების მიწოდების ღირებულების ნაღდი ფულით ანაზღაურებისას მომხმარებელზე საკონტროლო-სალარო აპარატის მიერ ამობეჭდილი ჩეკის გაცემა (იმ შემთხვევის გარდა, როცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გაციემა ჩეტან გათანაბრებული დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციასთან დაკავშირებით შესაბამისი ნაღდი ფულის გადახდის ფაქტს.

საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკური საქმიანობის განმასხორციელებელი პირების მიერ გასაყიდი საქონლის/მომსახურების ფასი გამოცხადდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ფასის მაჩვენებლები (პრეიკურანტები) გამოიკვრება მომხმარებელთათვის თვალსაჩინო ადგილას.

საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელონ საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი.

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორებისათვის დასაშვები საკონტროლო რეესტრი ინარჩუნება საქართველოს ფინანსთა მინისტრის საგადასახადო დეპარტამენტის მიერ, რომელშიც შემდეგი მოდელის საკონტროლო სალარო აპარატებია შეტანილი:

№	საკონტროლო-სალარო აპარატის მოდელი	ფუნქციონირების სფერო
1	Меркурий 111ф	ვაჭრობა, მომსახურება, კომუნალური გადასახადები, ელექტროკავშირგაბმულობა, ფოსტა
2	Меркурий 112ф	ვაჭრობა, მომსახურება, ელექტროკავშირგაბმულობა, ფოსტა
3	Меркурий 115ф	ვაჭრობა, მომსახურება, ავტორანსპორტი, გაერ ვაჭრობა
4	Меркурий 130ф	ვაჭრობა, მომსახურება, ელექტროკავშირგაბმულობა
5	Europa-2.0 F	სწრაფი მომსახურება, რესტორნები
6	Азимут-Ерson-ТМ-950	რესტორნები, სასტუმროები, შემნახველი სალაროები,
7	рф Меркурий 114ф ЭЛВЕС-МИКРО-Ф	ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა ვაჭრობა, მომსახურება, კავშირგაბმულობა, ავტორანსპორტი, ბენზოგასამართი სადგური
8	МИНИКА-1101ф	ვაჭრობა, მომსახურება
9	ЕЛИТ-МИКРО	ვაჭრობა, მომსახურება
10	ЕЛИТ-МОБИЛ	ვაჭრობა, მომსახურება
11	ЕЛИТ-МИНИ РФ	ვაჭრობა, მომსახურება
12	ЕЛКА МИКРО F-03	ვაჭრობა, მომსახურება
13	A-100	ვაჭრობა, მომსახურება
14	ЕЛКА 852-02	ვაჭრობა, მომსახურება
15	ЕЛКА 803	ვაჭრობა, რესტორნები, ბაზრები, სავალუტო პუნქტები
16	ЭРА-101	ვაჭრობა, მომსახურება, სავალუტო პუნქტები
17	Casio FE-700	ვაჭრობა, მომსახურება
18	ЭКР 2102-Ф	ვაჭრობა, მომსახურება
19	ТВЕС-МИНИ-Ф	ვაჭრობა, მომსახურება, კავშირგაბმულობა, ავტორანსპორტი
20	Меркурий-120ф	ვაჭრობა, მომსახურება, სუპერმარკეტი, რესტორნები
21	Меркурий-140ф	ვაჭრობა, მომსახურება, სუპერმარკეტი, რესტორნები
22	Меркурий-152ф	ვაჭრობა, მომსახურება, სუპერმარკეტი, რესტორნები
23	ОРИОН-100Ф	ვაჭრობა, მომსახურება

24	MIKROS-8700	სასტუმროები
25	КАСБИ-03 Ф	ვაჭრობა, მომსახურება
26	"ОКА ПФ"	ვაჭრობა, მომსახურება
27	"IVERIA"	ვაჭრობა, მომსახურება
28	"მინიკა 1102 ფ"	ვაჭრობა, მომსახურება



## საქართველოს ნორმატიული აქტები

### საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 5, თავი 12/1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“

### საქართველოს კანონმდებლობა აქტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №669

2005 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი

მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ნუსხისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის უზრუნველყოფის დადგენილების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №178

2006 წლის 10 მარტი ქ. თბილისი

„საკონტროლო-სალარო აპარატების დალუქვის ნუსხების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №145

2006 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი

საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ნუსხების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №147

2006 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორების გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატების მიმართ ნაყენებული ტექნიკური მოთხოვნებისა და სახელმწიფო რეესტრის წარმოების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №186

2006 წლის 10 მარტი ქ. თბილისი

საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) ნუსხისა და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №258**

**2006 წლის 28 მარტი ქ. თბილისი**

ავტოგასამართ სადგურში მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების დალუქვის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №148**

**2006 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი**

საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტების წარმოების და რეგისტრაციის წესების დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №146**

**2006 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი**

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატების საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ

## 2.11 საგადასახადო ანგარიშგება

გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია ანარმოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს:

ა) აღნიშნული პირის საგადასახადო ვალდებულებას;

ბ) აღნიშნული პირის მიერ გადასახადის დაკავების ვალდებულებას;

გ) აღნიშნული პირის მიერ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით მონაცემების წარდგენის ვალდებულებას.

პირველად საგადასახადო დოკუმენტად მიიჩნევა წერილობითი საბუთი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) დოკუმენტის დასახელება;

ბ) დოკუმენტის შედგენის თარიღი;

გ) დოკუმენტის ნომერი, რომლის განმეორება აკრძალულია;

დ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი, გადასახადის გადასხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, დოკუმენტის გამცემი ორგანოს დასახელება და მისი გაცემის თარიღი; სხვა პირის შემთხვევაში — პირის სრული დასახელება, მისი მისამართი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი);

ე) სამეურნეო ოპერაციის შინაარსი;

ვ) გადაცემული საქონლის/მომსახურების დასახელება (სრული ჩამონათვალი), მისი ოდენობა და ზომის ერთეული (თუ შესაძლებელია მისი ოდენობისა და ზომის განსაზღვრა);

ზ) გადაცემული საქონლის/მომსახურების ღირებულება (ჩამონათვალის მიხედვით);

თ) აქციზისა და დღგ-ის თანხა (აქციზურ საქონელზე);

ი) დღგ-ის თანხა (დღგ-ით დასაბეგრ არააქციზურ საქონელზე/მომსახურებაზე);

კ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების სახელი, გვარი და ხელმოწერა.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება პირს, რომელმაც შეადგინა და გასცა აღნიშნული დოკუმენტი, ხოლო მეორე გადაეცემა და ინახება იმ პირთან, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს დოკუმენტი.

თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულის პირის სააღრიცხვო და სხვა დოკუმენტები შედგენილია უცხოურ ენაზე და ისინი გაუგებარია საგადასახადო ორგანოსათვის, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს მათი თარგმნა სახელმწიფო ენაზე.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი სააღრიცხვო დოკუმენტაციას ანარმოებს ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით, იგი ვალდებულია, საგადასახადო კონტროლის განხორციელების ფარგლებში, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს სააღრიცხვო დოკუმენტის ქალაქდზე ამობეჭდილი ასლი.

გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია შეინახოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია იმ კალენდარული წლის დამთავრებიდან, რომელსაც იგი მიეკუთვნება, არანაკლებ 6 წლის განმავლობაში.

### საგადასახადო დეკლარაცია

საგადასახადო დეკლარაცია წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის წერილობით ანგარიშგებას მიღებული შემოსავლებისა და განული ხარჯების, შემოსავლის წყაროების, გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების, საგადასახადო შეღავათების, გამოანგარიშებული გადასახადის თანხის ან/და გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ.

გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ვადაში.

გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს პირადად წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში ან გაგზავნოს დაზღვეული საფოსტო გზაწინადად. საგადასახადო ორგანოს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს საგადასახადო დეკლარაციის მიღებაზე და იგი ვალდებულია აღნიშნული დეკლარაციის ასლზე დაუსვას ბეჭედი და მიუთითოს მისი მიღების თარიღი. საგადასახადო დეკლარაციის დაზღვეული საფოსტო გზაწინადად გაგზავნის შემთხვევაში მისი წარდგენის დღედ ჩაითვლება საგადასახადო დეკლარაციის გაგზავნის თარიღი.

თუ გადასახადის გადამხდელი არ წყვეტს ეკონომიკურ საქმიანობას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში (დროებით) აღარ ახორციელებს სამეურნეო ოპერაციებს და ამ პერიოდში უნდა განახორციელოს საგადასახადო ანგარიშგება, მას უფლება აქვს, აღნიშნული პერიოდების მიხედვით არ წარადგინოს საგადასახადო დეკლარაციები (გაანგარიშებები), გარდა საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადების ყოველწლიური დეკლარაციებისა.

ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, რომლის მიხედვით, მისი შემოსავლები, ხარჯები და საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი პერიოდების მიხედვით წულის ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესრულებულ დეკლარაციად.

ფიზიკურ პირს (სამწარმო-ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის გარდა), რომელიც მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავლიდან არ ახორციელებს გამოქვითვებს, უფლება აქვს არ წარადგინოს საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. ამ შემთხვევაში მის მიერ დადგენილ ვადაში ფაქტობრივად გადახდილი წლიური საშემოსავლი გადასახადის თანხა



ჩაითვლება საშემოსავლო გადასახადის მიხედვით დეკლარირებულ საგადასახადო ვალდებულებად. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი წლიური საშემოსავლო, ქონების ან მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს ვადის გაგრძელებების თაობაზე და გადაიხდის იმ დროისათვის მოსალოდნელ გადასახადსაც, დეკლარაციის წარდგენის ვადა ავტომატურად გაგრძელდება 3 თვით. ამ მუხლის თანახმად საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება არ მოქმედებს გადასახადის გადახდის დროზე და არ აჩერებს გადაუხდელ გადასახადზე საურავის დარიცხვას.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომებს, რომლებიც იწვევს საგადასახადო ვალდებულებების ცვლილებას (შემცირებას ან გაზრდას), იგი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება.

თუ საგადასახადო დეკლარაციაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა წარედგინება საგადასახადო ორგანოს საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვამდე, შეცვლილი საგადასახადო დეკლარაცია ჩაითვლება თავდაპირველად წარდგენილად. 2007 წლის 16 აგვისტოდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1000 ბრძანების „ელექტრონული ფორმით საგადასახადო დეკლარირების შესახებ“ საფუძველზე გადასახადის გადამხდელს მიეცეთ შესაძლებლობა, საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა განახორციელონ ელექტრონული ფორმით – ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინტერნეტ-მომსახურების პაკეტის გამოყენებით, ონლაინ რეჟიმში.

ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე გადასვლა ხორციელდება გადამხდელის წერილობითი მიმართვისა და მის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

ელექტრონული ფორმით დეკლარაციების წარდგენის პროცესის დანერგვა ხორციელდება ეტაპობრივად, პირველ ეტაპზე – დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებულ მსხვილ გადამხდელებთან მიმართებით.

ელექტრონული დეკლარირებისას გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობით წერილობითი დეკლარაციისათვის დადგენილი ფორმა, მისი შევსების წესის, წარმოდგენის ვადების და პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები.

გადამხდელის მიერ ელექტრონული ფორმით წარდგენილ დეკლარაციას გააჩნია ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ, პირადი ხელმოწერით და ბეჭდით დამონმბეულ დეკლარაციას.

ელექტრონული ფორმით საგადასახადო დეკლარირების განხორციელების წესი მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი არეგულირებს გადასახადის გადამხდელის მიერ ონლაინ რეჟიმში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დეკლარაციების ელექტრონულად წარდგენის პროცესს.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინტერნეტ-მომსახურების პორტალის მეშვეობით ელექტრონული ფორმით წარდგენილ დეკლარა-

ციას გააჩნია ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ დეკლარაციას.

3. ელექტრონული დეკლარაციის მიღების დადასტურების მიზნით საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს ელექტრონული დეკლარირების პორტალზე უგზავნის დეკლარაციის სარეგისტრაციო ნომერს, ასევე უგზავნის შემდეგი შინაარსის ერთ-ერთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას:

ა) ... დეკლარაცია მიღებულია, № ... (რეგისტრაციის ნომერი) (თარიღი)

ბ) ... დეკლარაცია მიღებულია, № (რეგისტრაციის ნომერი) (თარიღი)

დეკლარირებული ვალდებულება (თანხა)

4. მოკლე ტექსტური შეტყობინება იგზავნება მობილური კავშირის განმასხვრციელებელი ოპერატორის მეშვეობით.

5. ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე გადასვლა შესაძლებელია გადამხდელის წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) გადასახადის გადამხდელის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოკლე ტექსტური შეტყობინების სახე, რომლითაც სურს დადასტურების მიღება;

გ) მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც მოხდება ელექტრონული დეკლარაციის მიღების დადასტურების (მოკლე ტექსტური შეტყობინების) გაგზავნა;

დ) ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე გადასვლის თარიღი, მაგრამ არაუადრეს განაცხადის წარდგენის თარიღისა;

ე) გადამხდელის ხელმოწერა.

6. მომსახურებით სარგებლობისათვის საჭიროა გადამხდელის ვებ ბრაუზერი აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: IE ვერსია 4.0 ან ზევით, Fera ვერსია 7.11 ან ზევით, Firefox ვერსია 1.5.0.6 ან ზევით.

მუხლი 2. გადამხდელის უფლებები და ვალდებულებები

1. გადამხდელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს საგადასახადო ორგანოსგან ელექტრონული ფორმით წარდგენილი დეკლარაციის მიღების ფაქტის წერილობით დადასტურება;

ბ) ელექტრონული ფორმით დეკლარირებისათვის გამოსაყენებელი მომხმარებლის სახელწოდებისა და კოდის დაკარგვის ან მათი შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში წერილობით აცნობოს საგადასახადო ორგანოს და მოითხოვოს ელექტრონული ფორმით დეკლარირების მოქმედების შეჩერება.

2. გადამხდელი ვალდებულია:

ა) ამ ნების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით ელექტრონული ფორმით დეკლარირების დადასტურების მიუღებლობის შემთხვევაში (მიუხედავად გამოწვევი მიზეზებისა) დეკლარაცია წერილობითი ფორმით წარადგინოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

ბ) ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე გადასვლის შესახებ წერილობით განაცხადში დეკლარირების განხორციელების დადასტურების მისაღებად დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს საგადასახადო ორგანოს;

გ) მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს დეკლარაცია ნარუდგინოს წერილობითი ფორმით;

დ) დეკლარირება განახორციელოს წერილობითი ფორმით (საერთო წესების დაცვით) თუ იგი ვერ უზრუნველყოფს ელექტრონული ფორმით დეკლარირებას.

### მუხლი 3. საგადასახადო ორგანოს უფლებები და ვალდებულებები

1. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში გადამხდელს მოსთხოვოს დეკლარაციის წერილობითი ფორმით წარდგენა.

2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია:

ა) ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე გადასვლის შესახებ გადასახადის გადამხდელის წერილობითი განაცხადის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გადასახადის გადამხდელი გადაიყვანოს ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ განაცხადი არ შეესაბამება ამ წესს ან მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებს გადასახადის გადამხდელს გაუგზავნოს დასაბუთებული წერილობითი უარი განაცხადის დაკმაყოფილებაზე. განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში რეგისტრაციაზე უარის მიუღებლობის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის განაცხადი ითვლება დაკმაყოფილებულად და მას შეუძლია გადავიდეს ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე;

ბ) გამოყოს თანამშრომელი ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელის განაცხადის მიღების და მასზე შესაბამისი რეაგირების მიზნით;

გ) დაუყოვნებლივ დაადასტუროს ელექტრონული დეკლარაციის მიღება გადამხდელისათვის მობილურ ტელეფონზე ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინების ვაგზავნით;

დ) შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში გადამხდელს წერილობით დაუდასტუროს ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი დეკლარაციის მიღების ფაქტი;

ე) დეკლარაციის წარდგენის ფაქტი და თარიღი ასახოს საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის მიღების თანავე;

ვ) ელექტრონული ფორმით დეკლარირების სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელწოდებისა და კოდის დაკარგვის ან მათი შეცვლის აუცილებლობის თაობაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში შეაჩეროს გადამხდელთან ელექტრონული ფორმით დეკლარირება ვითარების გამოსწორებამდე;

ზ) უზრუნველყოს ელექტრონული დოკუმენტების უსაფრთხოება და საგადასახადო საიდუმლოების დაცვა, ასევე გადამხდელის მიერ წარდგენილი დეკლარაციის შენახვა, წერილობითი დეკლარაციის შენახვისათვის დადგენილი ვადით.

### მუხლი 4. ელექტრონული ფორმით დეკლარირების შეწყვეტა

გადამხდელს უფლება აქვს წერილობითი განაცხადის საფუძველზე შეწყვიტოს ელექტრონული ფორმით დეკლარირება და გადავიდეს დეკლარირების წერილობით ფორმაზე.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება) \_\_\_\_\_  
 (გადასახადის გადამხდელის დასახელება და ს/ნ) \_\_\_\_\_  
 (გადასახადის გადამხდელის მისამართი) \_\_\_\_\_

**განაცხადი**

**ელექტრონული ფორმით დეკლარირების შესახებ**

გთხოვთ გადამიყვანოთ ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე 20\_\_\_ წლის  
 \_\_\_\_\_-დან.

ელექტრონული დეკლარაციის მიღება დამიდასტუროთ \_\_\_\_\_ მობილური  
 ტელეფონის ნომერზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს  
 №1000 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ფორმით საგადასახადო დეკლარ-  
 ირების განხორციელების წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „...“ ქვეპუნქტით  
 გათვალისწინებული ფორმის მოკლე ტექსტური შეტყობინების გამოგზავნით.

(გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა)



**საქართველოს ნორმატიული აქტები**  
**საქართველოს კანონი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 5, თავი 12, მუხლი 93-97.

**საქართველოს კანონმდებლარე აქტი**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1000  
 2007 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

ელექტრონული ფორმით საგადასახადო დეკლარირების შესახებ  
 საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №899

2004 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამართვითი სისტემის შემოღების  
 თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №301  
 2005 წლის 4 მაისი ქ. თბილისი

საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შენახვის რეჟიმის და დაშ-  
 ვების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

## 2.12 საგადასახადო კონტროლი

საგადასახადო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო, ხოლო საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში – საბაჟო ორგანო.

სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს ეკრძალებათ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის საგადასახადო კონტროლი. აუცილებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის საგადასახადო კონტროლს ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმასხვრციელებელი ორგანოს თხოვნით, რისთვისაც საგადასახადო ორგანო მოსამართლის ბრძანებით მოიპოვებს საგადასახადო კონტროლის უფლებას. სასამართლოში საგადასახადო კონტროლის შესახებ შუამდგომლობას აღძრავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმასხვრციელებელი ორგანო, რომელიც მოსამართლეს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტების შესახებ. მოსამართლე საკითხს განიხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობის გარეშე.

საგადასახადო კონტროლი მოიცავს მიმდინარე კონტროლის პროცედურებს (გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვას, გადასახადის გადამხდელისაგან ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნას, ზოგად ანალიტიკურ პროცედურებს), გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვებას (ქრონომეტრაჟს, საკონტროლო შესყიდვას, ინვენტარიზაციას, დათვალიერებას) და საგადასახადო შემოწმებას (კამერალურსა და გასვლითს). თუ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახადები განისაზღვრება საბაჟო პროცედურების მიხედვით, საგადასახადო კონტროლი ხორციელდება აგრეთვე საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

საგადასახადო კონტროლის პროცედურებმა გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ გააჩეროს მისი საქმიანობა.

### 2.12.1. საგადასახადო კონტროლის განხორციელება

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიმართ გამოიყენოს საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, გარდა: ა) მიმდინარე კონტროლის პროცედურებისა;

ბ) გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურებისა (ამასთან, არააქტიური საქონლის მფლობელ პირს მოსამართლის ბრძანების გარეშე

კალენდარული წლის განმავლობაში ინვენტარიზაცია შეიძლება ჩაუტარდეს არა უმეტეს 3-ჯერ);

გ)კამერალური საგადასახადო შემონმებისა;

დ)გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმებისა;

ე)იმ საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმებისა, რომელიც დაკავშირებულია სანარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან;

ვ)გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმებისა;

ზ)საგადასახადო დავის ფარგლებში ჩატარებული გასვლითი შემონმებისა, თუ გადასახადის გადამხდელი თანახმაა, შემონმება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე.

თუ მოსამართლე არ გაცემს ბრძანებას გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის საგადასახადო შემონმების შესახებ, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის აღნიშნული შემონმება არ ჩატარდება.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს გადასახადის გადამხდელის ან იმ პირის, რომელიც ვალდებულია დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელად, საგადასახადო შემონმება მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის შესახებ არსებობს მოსამართლის ბრძანება.

მოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის იმავე პერიოდში უკვე შემონმებული საკითხის ხელახალი შემონმება, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა მიხედვით, გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი უკვე შემონმებული პერიოდის გადასახადებზე შესწორებულ საგადასახადო დეკლარაციას წარადგენს.

## **2.12.2. მიმდინარე კონტროლის პროცედურები**

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის წერილობითი ბრძანების საფუძველზე, უფლება აქვს მოითხოვოს გადასახადის გადამხდელისაგან/საგადასახადო აგენტისაგან ან მისი წარმომადგენლისაგან საალრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა.

საალრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა ხორციელდება საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის მოტივირებული წერილობითი მოთხოვნით, სადაც კონკრეტულად უნდა მიეთითოს წარსადგენი საალრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებულის ინფორმაციის ჩამონათვალი და მათი წარდგენის გონივრული ვადა (ასლების დამონმებას ახორციელებს გადასახადის გადამხდელი).

პირი, რომელიც საქონლის/მომსახურების რეალიზაციას ახორციელებს უპირატესად ნაღდი ანგარიშსწორებით, გადასახადის გადახდისას იყენებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამართივებულ წესებს. აღნიშნული წესები არ ვრცელდება იმ გადასახადის გადამხდელზე, რომელიც მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მიზნებიდან გამომდინარე,

ვალდებულია განახორციელოს ან ნებაყოფლობით ახორციელებს ბულალტრულ აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით, აგრეთვე იმ პირზე, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურები ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ, საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის მოტივირებული ბრძანებით, ამის თაობაზე გადასახადის გადამხდელის წინასწარ შეტყობინების გარეშე.

გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს.

გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებს უნდა ესწრებოდეს გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში – მონეული სპეციალისტი.

### 2.12.3. ქრონომეტრაჟის ჩატარების წესი

დროის გარკვეულ პერიოდში გადასახადის გადამხდელის შემოსავლების, საქონლის/ მომსახურების მიწოდების მოცულობისა და დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის დადგენის მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე განახორციელოს დაკვირვება და ქრონომეტრაჟის ჩატარების წესით ამ საქმიანობის გამოკვლევა.

ქრონომეტრაჟი ტარდება საგადასახადო ორგანოს არანაკლებ ორი უფლებამოსილი პირის მიერ.

ქრონომეტრაჟი ტარდება სამუშაო დღის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოებული ან/და მიწოდებული საქონლის/მომსახურების მოცულობის შესახებ უწყვეტი ჩანაწერების წარმოებით. საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს დააყენოს მრიცხველები და სხვა საზომი ხელსაწყოები და ქრონომეტრაჟის ჩატარების ყოველი დღის ბოლოს აწარმოოს მათი მარევენებლების რეგისტრაცია.

ქრონომეტრაჟი, როგორც წესი, ტარდება კალენდარული თვის მანძილზე არანაკლებ 7 დღის განმავლობაში. ამასთან, საგადასახადო ორგანომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ქრონომეტრაჟის მომდევნო თვეში გაგრძელებისა და გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ობიექტზე დაკვირვების მიზნით საგადასახადო საგუშაგოს შემოღების თაობაზე.

ქრონომეტრაჟის ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან დაბეგვრასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის წარდგენა.

### 2.12.4. საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა

გადასახადის გადამხდელის რეალური შემოსავლების დადგენის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა ან/და დაადგინოს საქონლის/მომსახურების ფასი საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით (მისი გასაღების ან მოხმარების მიზ-

ნის გარეშე).

საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების განეხილვით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენა.

თუ საკონტროლო შესყიდვით შესყიდული საქონელი არ ტოვებს სავაჭრო ობიექტის ტერიტორიას და მისი სახე და შეფუთვა არ დაზიანებულია, მაშინ საკონტროლო შესყიდვის ოქმის საფუძველზე ოპერაცია ექვემდებარება გაუქმებას (შესყიდული საქონელი უბრუნდება გამყიდველს, ხოლო გადახდილი ფული – მყიდველს).

### **2.12.5. დათვალიერება**

საგადასახადო კონტროლის განხორციელების მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირს უფლება აქვს ჩაატაროს საგადასახადო გადამხდელის ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების დათვალიერება, გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინისა, რომლის დათვალიერებაც დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით.

დათვალიერების პროცედურით გათვალისწინებულია საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ საგადასახადო გადამხდელის ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების გარე და შიდა სივრცის ვიზუალური დათვალიერება. აღნიშნული პროცედურის ჩატარებისას აკრძალულია საგადასახადო გადამხდელის დოკუმენტაციისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემოწმება, ასევე მისგან სიტყვიერი და წერილობითი ახსნა-განმარტებების მოთხოვნა.

დათვალიერების პროცედურა არ მოიცავს სეიფის, კარადის, უჯრისა და სხვა მსგავსი სათავსის შიგთავსის ვიზუალურ დათვალიერებასა და შემოწმებას.

### **2.12.6. ინვენტარიზაცია**

საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე გამოსცეს აქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება (არააქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ბრძანება შეიძლება გაიცეს კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 3-ჯერ). აღნიშნული ბრძანების საფუძველზე საგადასახადო გადამხდელის ხელმძღვანელმა (დირექტორმა) ინვენტარიზაციის გონივრულ ვადაში ჩატარების მიზნით უნდა შექმნას საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიაში უნდა შევიდნენ ის პირები, რომლებიც კარგად იცნობენ საინვენტარიზაციო ქონებას, იციან მისი ფასი და პირველადი აღრიცხვა. აღნიშნული კომისია ვალდებულია სრულად და დროულად აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოებისა და მათი შენახვის ადგილზე და შეუდაროს აღრიცხვის შედეგები ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის მონაცემებს და ყოველივე ეს შეიტანოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმში.



## საგადასახადო შემონემა

საგადასახადო შემონემა, რომელსაც ატარებს საგადასახადო ორგანო, შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი.

### 2.12.7. კამერალური საგადასახადო შემონემა

კამერალური საგადასახადო შემონემა, გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, ადგენს საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, გაანგარიშებების, საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესაბამისობას საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

კამერალური საგადასახადო შემონემებისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს გადასახადის გადამხდელისაგან ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენა.

თუ გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში კამერალური საგადასახადო შემონემის შედეგად გამოვლინდა შეცდომები, აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს გადასახადის გადამხდელს, რომელმაც ამ დოკუმენტებში უნდა შეიტანოს შესაბამისი შესწორებები.

თუ კამერალური საგადასახადო შემონემის შედეგად გამოვლენილი შეცდომები იწვევს გადასახადის თანხის ცვლილებას (შემცირებას ან გაზრდას), მაშინ კამერალური საგადასახადო შემონემის განმარტებით უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო შემონემის აქტს.

### 2.12.8. გასვლითი საგადასახადო შემონემა

გასვლითი საგადასახადო შემონემით გათვალისწინებულია გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გადასახადის გამომწვევებისა და დაკავშირებული დოკუმენტაციის სრული ან შერჩევითი შემონემა. გასვლითი საგადასახადო შემონემა შეიძლება მოიცავდეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებსაც.

გასვლითი საგადასახადო შემონემის დანიშნვის შესახებ ბრძანებას უნდა დაერთოს გასვლითი საგადასახადო შემონემის პროცესში შესასრულებელ იმ მოქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც შემონემის პროგრამითაა გათვალისწინებული.

გასვლითი საგადასახადო შემონემის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ გადასახადის გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს.

გასვლითი საგადასახადო შემონემა შეიძლება იყოს გეგმური ან საკონტროლო.

გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონემა ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის დადანიშნული, კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს ერთხელ, რის თაობაზედაც გადასახადის გადამხდელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება შემონემის დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღისა, ხოლო

შემონმება უნდა დაიწყოს გადამხდელისათვის შეტყობინების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში დასაბუთებული მიზეზებით შეუძლებელი ხდება შემონმების დაწყება, შეტყობინების ბათილად ცნობის თაობაზე ეცნობება გადამხდელს. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმების საფუძველი და საგანი, ასევე შემონმების ჩატარების სავარაუდო დრო.

საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმება ტარდება წერილობითი შეტყობინების გარეშე. საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმების მიზნით სასამართლოსათვის მიმართვის ან გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე, თუ:

ა) პოლო საგადასახადო შემონმებისას გამოვლინდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები ან არსებობს სხვა ფაქტები, რომლებიც ადასტურებს ასეთი დარღვევების შემთხვევებს;

ბ) არსებობს საწდო ინფორმაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს გადასახადის გადამხდელის ფინანსური და მატერიალური საშუალებების წარმომობას;

გ) არსებობს საწდო ინფორმაცია ქონების ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დოკუმენტურად დაუდასტურებელი მატების შესახებ;

დ) საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციებით და სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება დაბეგრის ობიექტებისა და გამოანგარიშებული გადასახადების რეალობა;

ე) წარდგენილი არ არის საგადასახადო დეკლარაცია ან გადასახადის გამოსაანგარიშებლად ან/და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები;

ვ) საწარმო/ორგანიზაციამ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

გასვლითი საგადასახადო შემონმება შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვით. აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო ინსპექციას უფლება აქვს ეს ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 1 თვით. საჭიროების შემთხვევაში შემონმების 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფროსთან შეთანხმებით შესაძლებელია შემონმების ვადის დამატებით გაგრძელება არა უმეტეს 2 თვით იმ საწარმოში, რომლის ერთობლივი შემოსავალი წინა 3 კალენდარული წლიდან ერთი წლის განმავლობაში მაინც აღემატებოდა 20 მილიონ ლარს.

გასვლითი საგადასახადო შემონმების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე ვალდებულია, შექმნას საგადასახადო შემონმების ჯგუფი.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გასვლითი საგადასახადო შემონმებისას საგადასახადო შემონმების ჯგუფს შეუქმნას ისეთი სამუშაო პირობები, როგორც ჩვეულებრივ არსებობს გადასახადის გადამხდელთან.

თუ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი ჩათვლის, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები შეიძლება განდგურდეს, დამალულ იქნეს, შესწორდეს ან შეიცვალოს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული საალრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადასახადის

გადამხდელის მიერ დამონმებული ასლი. გადასახადის გადამხდელის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირი უფლებამოსილია ამოიღოს აღნიშნული დოკუმენტის ან სხვა მასალის დედანი. ამის თაობაზე მან უნდა შეადგინოს აღნიშნული დოკუმენტის ან სხვა მასალის ამოღების აქტი, რომლის ერთი ეგ ზემპლარი გადაეცემა გადასახადის გადამხდელს, გადაიღოს აღნიშნული დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლი და 5 დღის ვადაში დედანი დაუბრუნოს გადასახადის გადამხდელს.

### **2.12.9. გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმება**

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა დგება, როდესაც საგადასახადო ორგანო ჩათვლის, რომ გადასახადის გადამხდელი გეგმავს, თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას საქართველოდან გასვლით, აქტივების სხვა პირისათვის გადაცემით, საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურებით, დამალვით, შესწორებით ან შეცვლით ანდა სხვა ღონისძიებების გატარებით.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმების დანყებიდან 48 საათში მიმართოს და ნებართვა მიიღოს სასამართლოსაგან საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარების შესახებ.

სასამართლოს ნებართვის მიღებამდე საგადასახადო შემონმების უგუფის წევრებს უფლება არა აქვთ დაიწყონ გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმების პროცედურები. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ მხოლოდ დალუქონ გადასახადის გადამხდელის ის საგადასახადო დოკუმენტები და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც აუცილებელია საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარებისათვის.

### **2.12.10. ექსპერტიზა**

საჭიროების შემთხვევაში გასვლითი საგადასახადო შემონმების დროს შეიძლება დაინიშნოს ექსპერტიზა.

ექსპერტიზა ინიშნება, თუ საგადასახადო შემონმებისას წამოჭრილი საკითხები მოითხოვს სპეციალურ ცოდნას მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ტექნიკაში ან სხვა სფეროებში.

ექსპერტიზა ინიშნება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის ბრძანებით.

ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარებისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს: ა)წარადგინოს დამატებითი საკითხები და მიიღოს მათ შესახებ ექსპერტის დასკვნა; ბ)დაეწიროს ექსპერტიზას და განმარტებები მისცეს ექსპერტს;

გ)გაცენოს ექსპერტის დასკვნას.

ექსპერტის დასკვნა ან განცხადება დასკვნის გაცემის შეუძლებლობის შესახებ წარედგინება გადასახადის გადამხდელს. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს მისცეს ახსნა-განმარტებები ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით, აგრეთვე მოითხოვოს ექსპერტისათვის დამატებითი კითხვების დასმა ან დამატებითი ანდა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა საკუთარ ხარჯზე.

### 2.12.11. საპენალისტის მონევა

საჭიროების შემთხვევაში საგადასახადო კონტროლის კონკრეტული მოქმედების განხორციელების მიზნით სახელშეკრულებო საფუძველზე შეიძლება მონეულ იქნეს სპეციალისტი, რომელსაც აქვს საჭირო ცოდნა და ჩვევები და დაინტერესებული არ არის საქმის შედეგით.

### 2.12.12. საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას შედგენილი ოქმის ზოგადი მოთხოვნები

საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას (გარდა საგადასახადო შემონების დროს გამოვლენილი სამართალდარღვეებისა) საგადასახადო ინსპექციაში ან სამართალდარღვევის აღმოჩენის ადგილზე საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს.

ოქმში უნდა აღინიშნოს:

- ა) მისი დასახელება;
- ბ) კონკრეტული მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი;
- გ) მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო;
- დ) ოქმის შემდგენი პირისა და იმ პირის (პირების) თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩაატარა საკონტროლო მოქმედება;
- ე) მოქმედების მონაწილეთა სახელი და გვარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მათი მისამართი;

ვ) მოქმედების შინაარსი და მისი ჩატარების თანამიმდევრობა;

ზ) მოქმედების განხორციელებისას გამოვლენილ საქმესთან დაკავშირებული არსებული ფაქტები და გარემოებები.

ოქმს ხელს აწერენ საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილი პირი და გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი (მათი ადგილზე ყოფნის შემთხვევაში), აგრეთვე მონეული სპეციალისტი ან სხვა პირი, თუ ისინი მონაწილეობენ საგადასახადო კონტროლის პროცედურებში. გადასახადის გადამხდელის ან მისი წარმომადგენლის მიერ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის ან მათი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

### 2.12.13. საგადასახადო შემონების აქტი

საგადასახადო შემონების შედეგების შესახებ დგება აქტი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

- ა) აქტის შედგენის თარიღი და ადგილი (დასახლებული პუნქტის დასახელება)
- ბ) შემონებელ პირთა ვინაობა და თანამდებობა;
- გ) შემონების ფორმალური საფუძველი (საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის/ მისი მოადგილის ბრძანება ან სასამართლოს გადაწყვეტილება (თარიღი და ნომერი);
- დ) შემონების ვადა და პროგრამა;
- ე) შესამონებელი სუბიექტის ვინაობა (დასახელება), საიდენტიფიკაციო ნომერი, სასამართლო და საგადასახადო რეგისტრაციის თარიღები და ნომრები, სხვა რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) შესამონებელი სუბიექტისათვის მისი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ განმარტებითი ბარათის ჩაბარების ფაქტი (გასვლითი საგადასახადო შემონებისას);

ზ) შესაძლებელი სუბიექტის მხრიდან შემონმების მონაწილე პირთა (დირექტორი (ხელმძღვანელი), ბუღალტერი, აუდიტორი, ადვოკატი და სხვა) ვინაობა და თანამდებობა (გასვლითი საგადასახადო შემონმებისას);

თ) შემონმების ფაქტობრივი საფუძვლები და მათი დასაბუთება;

ი) შემონმების შედეგების შემონმების პროგრამის თითოეული უბნეტის მიხედვით – გადასახადის გადამხდელის მიმართ მოთხოვნებისა და ვალდებულებების წარმოშობის ზუსტი თარიღები (თუ ამის დადგენა შესაძლებელია), გადასახადის ოდენობა, საურავებისა და ჯარიმების გაანგარიშება, ჯამურად გადასახდელი ან მისაღები თანხა, იმ დოკუმენტების რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში – ასლები), რომლებითაც დასტურდება ამ მოთხოვნებისა და ვალდებულებების წარმოშობა; აქტის დანართების შინაარსი;

კ) ის საკითხები, რომელსაც არ ეთანხმება გადასახადის გადამხდელი (გასვლითი საგადასახადო შემონმებისას);

ლ) მთლიანად გადასახდელი ან მისაღები თანხა – ძირითადი ვალდებულება, ჯარიმა, საურავი.

საგადასახადო შემონმების აქტს ხელს აწერენ;

ა) საგადასახადო ორგანოს მხრიდან – საგადასახადო შემონმების ჯგუფის წევრები; ბ) გადასახადის გადამხდელის მხრიდან: დირექტორი (ხელმძღვანელი), ბუღალტერი, აგრეთვე აუდიტორი და ადვოკატი, თუ ისინი მონაწილეობას იღებდნენ საგადასახადო შემონმების პროცესში. თუ გადასახადის გადამხდელის მხარე უარი განაცხადა ხელის მონერაზე (გასვლითი საგადასახადო შემონმებისას), აქტში ეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

თუ საგადასახადო შემონმების საეციფიკა მოითხოვს შემონმების ჩატარებას რამდენიმე ეტაპად, ყოველი ეტაპის შემდეგ დგება შუალედური აქტი.

## 2.12.14. საგადასახადო საიდუმლოება

საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა:

ა) დღ-ის გადამხდელის დასახელებისა და მისამართისა;

ბ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ ინფორმაციისა;

გ) "შენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონითა (სამენარმეო რეესტრით) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრით) გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციისა.

საგადასახადო ორგანო, მისი თანამდებობის პირი, მონეული სპეციალისტი ან/და ექსპერტი ვალდებულია დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემთა საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. მას უფლება აქვს ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასცეს მხოლოდ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს წევრებს – ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

ბ) სამართალდამცავ ორგანოებს – მოსამართლის ბრძანების საფუძველზე იმ პირთა შესახებ, რომლებიც კანონით იდგენებიან საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის;

გ) სასამართლოს – გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან

პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით;

დ)სხვა სახელმწიფოების საგადასახადო ორგანოებს – საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად;

ე)სასამართლოს აღმასრულებლებს – საგადასახადო დავასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

საგადასახადო ორგანოების თანამშრომლები ვალდებული არიან, დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და გამოიყენონ მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რის გამოც მათთვის ნებადართულია ამ ინფორმაციის გაცემა.

საგადასახადო საიდუმლოების გახმაურებად ითვლება საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის, მოწვეული სპეციალისტის ან/და ექსპერტის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისას გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ინფორმაციის გამოყენება პირადი მიზნებისათვის ან მისი გადაცემა სხვა პირისათვის.

გადასახადის გადამხდელის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს სხვა პირს.

ცნობები გადასახადის გადამხდელის შესახებ მისი აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან ითვლება საგადასახადო საიდუმლოებად.



## **საქართველოს ნორმატიული აქტები**

### **საქართველოს კანონი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 6, თავი 13-16, მუხლი 98-122.

### **საქართველოს კანონმდებლობა**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №228

2005 წლის 7 აპრილი ქ. თბილისი

გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №301

2005 წლის 4 მაისი ქ. თბილისი

საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შენახვის რეჟიმის და დამუშავების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №337

2007 წლის 11 აპრილი ქ. თბილისი

საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №691

2008 წლის 29 აგვისტო ქ. თბილისი

გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით საქონლის/მომსახურების ფასის დადგენის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

## 2.13 საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მისრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები

საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებებით:

- ა) საგადასახადო იპოთეკით/ვიზიტით;
- ბ) მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევით;
- გ) ქონებაზე ყადაღის დადებით;
- დ) ყადაღად აღებული ქონების რეალიზაციით;
- ე) საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამონერით;
- ვ) გადასახადის გადახდელის სალაროდან ნაღდი ფულადი სახსრების ამოღებით;
- საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების რიგითობას ირჩევს საგადასახადო ორგანო.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებები გაკოტრების საქმის წარმოებისას ან რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი სანარმოების მიმართ გამოიყენება მხოლოდ მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება შეჩერდეს გადასახადის გადახდელის დასაბუთებული წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე, რომელსაც უნდა ერთვოდეს საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად (გადასახდელი გადასახადის ან/და სანქციის და შეჩერების პერიოდში მასზე დარიცხული საურავის ოდენობის გათვალისწინებით) საბანკო გარანტია ან ფინანსური გარანტია.

საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:

- ა) საგადასახადო ორგანო, თუ შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულება არ აღემატება 250 000 ლარს, ხოლო შეჩერების ვადა არ აღემატება 6 თვეს;
- ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, თუ შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულება არ აღემატება 1 000 000 ლარს, ხოლო შეჩერების ვადა არ აღემატება 1 წელს.

საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საგადასახადო ვალდებულებების დაფარვაზე იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება დაფარვის გრაფიკი და სხვა პირობები.

ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევისას ან/და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვის პერიოდში მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მოთხოვნისას წარდგენილი საბანკო გარანტია ან ფინანსური გარანტია უპირობოდ სრულდება. საგადასახადო



ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები არ შეიძლება შეჩერდეს, თუ:

ა) გადასახადის გადამხდელის წინააღმდეგ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის გამო;

ბ) მიმდინარეობს საგადასახადო სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის გამო.

ზემოთაღნიშნული გარემოებების არსებობისას საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება ითვლება ბათილად, ხოლო ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება – ბათილ გარიგებად.

საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერება არ ათავისუფლებს გადასახადის გადამხდელს ბიუჯეტში გადასახადის არადროულად ჩარიცხვის გამო დარიცხული საურავის გადახდისაგან.

საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერება ვადამდე წყდება:

ა) შესაბამისი გადაწყვეტილების (ხელშეკრულების) ვადის ამონურვისას;

ბ) თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილი ვადის ამონურვამდე სრულად გადაიხდის გადასახადის კუთვნილ თანხებს და შესაბამის საურავს;

გ) თუ გადასახადის გადამხდელი დაარღვევს გადავადების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

### 2.13.1. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო ვალდებულების შესრულება უზრუნველყოს საგადასახადო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის ქონებრივადან.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება წარმოიშობა საგადასახადო დავალიანებაზე საგადასახადო დავის დაწყებისთანავე ან/და აღიარებულ საგადასახადო დავალიანებასთან ერთად. ეს უფლება საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში ვრცელდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (ლოზინგით მიღებული გარდა) ნებისმიერ ქონებაზე, საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შექმნილი ქონების ჩათვლით.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ შეტყობინება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს, აგრეთვე მარეგისტრირებელ ორგანოს რეგისტრაციისათვის, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს შეტყობინების მიღების დღის მომდევნო დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, რომლის დენაც ჩერდება:

ა) გაკოტრების საქმის წარმოების პერიოდში;

ბ) სანარმოს რესტრუქტურისაგან რევიზიში ყოფნის პერიოდში;

გ)საგადასახადო დავის მიმდინარეობისას.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება არ გამოიყენება გირავნობის/იპოთეკის უფლების იმ მფლობელის მიმართ, რომლის უფლებაც წარმოიშვა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე. როდესაც საგადასახადო ორგანო ყიდის გირავნობას/იპოთეკას დაქვემდებარებულ ქონებას, უქმდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი ყველა უფლება, მაგრამ ძალაში რჩება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაციამდე რეგისტრირებული სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებები.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის მოთხოვნის უპირატესობა გაკოტრების საქმის წარმოების ან რესტრუქტურული ზაქციის რეჟიმის დასრულების შემდეგ განისაზღვრება იმავე წესით, როგორც იყო გაკოტრების საქმის წარმოების ან რესტრუქტურული ზაქციის რეჟიმის დაწყებამდე.

თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკის დატვირთული ქონება გაიყიდება ან რაიმე გზით გადაეცემა სხვა მფლობელს სახელმწიფოს მიერ საგადასახადო იპოთეკის/გირავნობის უფლების გაუქმების გარეშე, გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ ვრცელდება ამ ქონებაზე ახალი მფლობელის მიმართ. ახალი მფლობელის ნებისმიერი სხვა იპოთეკის/გირავნობის უფლებას ექნება უმცირესი ძალა იმ საგადასახადო იპოთეკის/გირავნობის უფლების მიმართ, რომელიც არსებობდა გაყიდვამდე ან გადაცემამდე.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება გაუქმებულად ითვლება:

ა)დავალიანების დაფარვისთანავე, თუ გადასახადის გადამხდელმა სრულად დაფარა დავალიანება;

ბ)საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლისთანავე.

გ)საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში;

დ)“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში.

თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შემდგომ შესაბამისი ქონება დაიტვირთა გირავნობით/იპოთეკით კომერციული ბანკის სასარგებლოდ და საგადასახადო ორგანო მითითებული ქონების რეალიზაციის თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში არ მოახდენს საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციას, მეორე რიგის მოგირავნე/იპოთეკარი (კომერციული ბანკი) უფლებამოსილია, დაიკავოს პირველი რიგის იპოთეკარის ადგილი, ხოლო საგადასახადო ორგანო – მეორე რიგის იპოთეკარის ადგილი. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საგადასახადო ორგანო არის მეორე და შემდგომი რიგის მოგირავნე/იპოთეკარი ან/და მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება ან ქონების რეალიზაცია შეუძლებელია საგადასახადო ორგანოსგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

**2.13.2. მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადასახადების მიქცევა**

თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია ან მესამე პირის მიერ აღიარებულია, რომ გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონება ან ქონებრივი უფლებები რაიმე ფორმით მესამე პირის დროებით მფლობელობაშია, გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის თანხმობით ან გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის თანხმობის გარეშე, თუ გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონება იმდენად მცირეა, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელება ვერ უზრუნველყოფს აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვას, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მესამე პირს მოსთხოვოს, რომ მან გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის წინაშე აღებული და შეუსრულებელი ვალდებულებები (არა უმეტეს აღიარებული საგადასახადო დავალიანებისა) ისევე შეასრულოს საგადასახადო ორგანოს მიმართ, როგორც უნდა შეესრულებინა გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირს. მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისთანავე გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადასახადო ვალდებულება შესაბამისად უქმდება ან მცირდება.

**2.13.3. ქონებაზე ყადაღის დადება**

აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა და იმ ქონებისა, რომელიც სხვა პირის საკუთრებაა) ნებისმიერ ქონებას, მათ შორის, მოძრავ, უძრავ, არამატერიალურ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში.

ქონებაზე ყადაღის დადება არის გადასახადის გადასახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონების აღწერა ამ ქონების განკარგვის (გადამხდელის მიერ ნებისმიერი ფორმით გასხვისების, თხოვების, ქრავენობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების, სხვისთვის დროებით ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემის) აკრძალვას, მაგრამ არა ჩვეულებრივი სანარმოო მიზნით გამოყენებას (გარდა რეალიზაციისათვის გათვალისწინებული საქონლისა), და სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლის შესანახად გადაცემას. ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში გადასახადის გადასახდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არა აქვს ამ ქონების გადაცემის, გაყიდვის, გაქირავების, იჯარით გადაცემის ან სხვა სახით განკარგვის უფლება საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე, ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ამის შედეგად ამონაგები თანხის შეტანა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

წივთზე ყადაღის დადების შესახებ აქვს საგადასახადო ორგანო დაუყოვნებლივ უგ-

ზანის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს.

საგადასახადო ორგანოს შეუძლია დააეღებულოს გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი, წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა. ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ის ქონებაც, რომელიც გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს სხვებისგან ეკუთვნის. გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი წერილობით გარანტიას იძლევა, რომ მან ყველა ის მონაცემი, რომელიც მისგან მოითხოვეს მაქსიმალურად სწორად და სრულად წარმოადგინა. თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი არ წარმოადგენს ქონების ნუსხას ან უარს ამბობს წერილობითი გარანტიის მიცემაზე, ან შეგნებულად წარმოადგენს არასწორ ინფორმაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო ორგანო ამონებს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემების სისწორესა და სისრულეს. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ახალი ქონების შექენის შემთხვევაში იგი ვალდებულია არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა შესაწოროს მის მიერ წარმოდგენილი ქონების ნუსხა და საგადასახადო ორგანოს მისცეს ახალი გარანტია.

საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში ყადალადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონებაზე ყადალის დადების (აღწერის) აქტში.

ქონებაზე ყადალის დადების (აღწერის) აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) ყადალის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საგადასახადო ორგანოს დასახელება, საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის სახელი, გვარი და ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ აქტის შედგენას;

გ) მოვალის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, მისამართი), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება და განმასხვავებელი ნიშნები (წონა, მეტრაჟი, ცვეთა და სხვა);

ე) აქტში შეტანილი თითოეული საგნის შეფასება და მთელი ქონების ღირებულება;

ვ) საგანი ან/და სადგომი, რომელიც დაილუქა, და მასზე დადებული ლუქების რაოდენობა და აღწერილობა;

ზ) იმ პირის დასახელება, რომელსაც შესაძლად გადაეცა ქონება, და მისი მისამართი, თუ შენახვა თვით მოვალეს არ დაეველა;

თ) რომ მოვალესა და ქონების შემნახველს განემარტათ მათი მოვალეობა ქონების შენახვის თაობაზე და გადაცემული ქონების გაფლანგვისათვის, გასხვიებისათვის ან გადაზღვისათვის პასუხისმგებლობის საკითხი;

ი) რომ მოვალესა და სხვა პირებს განემარტათ საგადასახადო ორგანოს მოქმედებათა გასაჩივრების წესი;

კ) საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის ან/და მოვალის შენიშვნები.

ფასიან ქალაქებს ან/და ფასიან ნივთებს შესანახად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოიღებს საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი, თუ არსებობს ყადაღადადებული ნივთების ხელყოფის საშიშროება. თუ ეს ნივთები მოვალესთან რჩება, მაშინ ყადაღის დადება ხდება დალუქვით

ქონებაზე ყადაღის დადების (აღწერის) აქტს ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი, ქონების შემნახველი, მოვალე და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ყადაღის დადებას. თუ ამ პირებმა უარი თქვეს აქტის ხელმოწერაზე, აქტში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებისას მესამე პირები განაცხადებენ ამ ქონებაზე თავის უფლებებს, ქონება შეიტანება ქონებაზე ყადაღის დადების (აღწერის) აქტში, მაგრამ გაკეთდება სათანადო აღნიშვნა.

ყადაღადადებულ ნივთებს აფასებს საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი. თუ ყადაღადადებული ქონების შეფასებისას საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ვერ შეაფასებს ცალკეულ საგნებს, მოიწვევა ექსპერტი ან აუდიტი.

თუ საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ

გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება (მათ შორის დეკლარაციების წარდგენისათვის თავის არიდებით), მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება, მას უფლება აქვს დაუყოვნებლივ დაადოს ყადაღა მოვალის ქონებას საგადასახადო დავალიანების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ ყადაღის დადებიდან 72 საათში სასამართლოს უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა მოვალის ქონების საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთვის თაობაზე (თუ მოვალეს აქვს შესაბამისი ქონება) ან/და ქონებაზე ყადაღის დადების დადასტურების შესახებ (თუ მოვალეს არა აქვს საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დასატვირთი ქონება ან მისი ღირებულება არასაკმარისია საგადასახადო დავალიანების დასაფარავად). სასამართლო ვალდებულია მომდევნო 72 საათის განმავლობაში მიიღოს განჩინება შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ან უარყოფის შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში საგადასახადო ორგანო სასამართლოში არ წარუდგენს შუამდგომლობას ან სასამართლო არ მიიღებს განჩინებას ქონებაზე ყადაღის დადების დადასტურების შესახებ, ყადაღა მოხსნილად ჩაითვლება.

**საგადასახადო ორგანომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, თუ:**

ა) გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი მაღალეს ქონებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად;

ბ) გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ემზადება ქვეყნის დასატოვებლად ისე, რომ არ ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს და არ ახორციელებს არანაირ ქმედებას დავალიანების დაფარვის მიზნით;

გ) გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ცდილობს გამოცხადდეს გაკოტრებულად;

დ) არსებობს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ნამდვილი ან თვალთმაქცური გარიგებით ქონების გასხვისების რეალური საშიშროება, რომელიც გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის მის მიერ საგადა-

სახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას;

ე)გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ერიცხება ვადაგადაცილებული აღიარებული საგადასახადო დავალიანება, საკუთრებაში აქვს 10 000 ლარზე მეტი და არ ფარავს დავალიანებას.

**მოვალის ქონებაზე დადებული ყადაღა უქმდება:**

- ა)აღიარებული საგადასახადო დავალიანების სრულად დაფარვისთანავე;
- ბ)საგადასახადო ორგანოს მიერ ან გაკოტრების საქმის წარმოებისას ყადაღადებული ქონების დადგენილი წესით აუქციონზე რეალიზაციის შემთხვევაში;
- გ)თუ საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადანყვეტილებით, ასეთი ქმედება სახელმწიფო ინტერესია;

დ)თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ყადაღადებული ქონების გაყიდვა და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად;

ე)საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### **2.13.4. ყადაღადებული ქონების რეალიზაცია**

მოვალის ყადაღადებული ქონების რეალიზაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ღია აუქციონზე. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას მოვალის ყადაღადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საგადასახადო ორგანო, რის შესახებაც იგი აუქციონის ჩატარებამდე 30 კალენდარული დღით ადრე აკეთებს განცხადებას.

აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებით უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

აუქციონის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება განცხადებით, რომელიც გამოიკვრება საგადასახადო ორგანოში განცხადებების დაფაზე, და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შექენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

აუქციონს ატარებს შესაბამისი საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი. იგი აუქციონს გახსნილად აცხადებს და სთავაზობს საწყის ფასს.

აუქციონი გრძელდება მანამ, სანამ სხვა შემოთავაზება აღარ იქნება. შესაბამისი საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელმა უნდა გამოაცხადოს პირი, რომელმაც აუქციონის საბოლოო ფასი შესთავაზა, რის შემდეგაც აუქციონი დასრულებულად ცხადდება.

პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს აუქციონში, გადახდილი თანხა უბრუნდებათ აუქციონის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.

პირი, რომლის შემოთავაზებული ფასი მიიღება აუქციონზე და რომელიც შეისყიდის ჩამორთმეულ ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს თავის მიერ შემოთავაზებული ფასის არანაკლებ ნახევარი ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის სრულად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

აუქციონზე ქონების შესყიდვისათვის გადახდილი თანხები შეიტანება ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე, საიდანაც ამოღებასთან, შენახვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების ეკვივალენტური თანხებით ხორციელდება აღნიშნული ხარჯების დაფარვა, ხოლო დარჩენილი თანხები ირიცხება ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე. თანხის სრულად გადახდისთანავე მყიდველს ეძლევა სერტიფიკატი გაყიდვისა და ქონების ფლობის (განკარგვის) შესახებ. ამ სერტიფიკატით მყიდველს გადაეცემა საკუთრების უფლება, რომელზედაც ვრცელდება არასაგადასახადო გირავნობის უფლება, რომელიც არსებობდა ქონების გაყიდვამდე და აღმატებოდა იმ საგადასახადო გირავნობის უფლებას, რომელმაც გამოიწვია ქონებაზე ყადაღის დადება. მყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს ქონება საწყობიდან ან საცავიდან, სადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ინახავდა მას. მყიდველის საკუთრების უფლება ძალაში შედის თანხის სახელმწიფოსათვის სრულად გადახდისთანავე.

თუ მყიდველი ვერ შეძლებს აუქციონზე შესყიდული ქონების ღირებულების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას, ის კარგავს ყოველგვარ უფლებას აღნიშნულ ქონებაზე და მის მიერ ქონების შექმნის მიზნით უკვე გადახდილ თანხაზე (მათ შორის, დეპოზიტზე განთავსებულ თანხაზე). ამ შემთხვევაში გადახდილი თანხით დაიფარება ის გადასახადები, რომელთა დაფარვის მიზნითაც თავის დროზე განხორციელდა ქონების რეალიზაცია.

თუ მყიდველი ვერ შეძლებს აუქციონზე შესყიდული ქონების ღირებულების დადგენილი წესით გადახდას ან აუქციონზე არ იქნება შემოთავაზებული შესაბამისი ფასი, სახელმწიფო (საგადასახადო ორგანო) უფლებამოსილია:

ა) აუქციონის ჩატარების შესახებ ხელახალი განცხადების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 14 დღის შემდეგ ქონება გასაყიდად გაიტანოს განმეორებით აუქციონზე, რომლის რაოდენობას და ჩატარების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო;

ბ) მოხსნას ქონებაზე ყადაღა და დაუბრუნოს იგი გადასახადის გადამხდელს მფლობელობისა და განკარგვის უფლებით.

ყადაღად დებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ. მალფუჭებად საქონელზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია ხორციელდება სასამართლო გადანყვებილების (ბრძანების) ვადის გაღწევის შემდეგ. მალფუჭებად საქონლად ითვლება მხოლოდ ის საქონელი, რომლის შენახვის გადგენილ დარჩენილია 10 კალენდარული დღეზე ნაკლები. მალფუჭებადი საქონლის გაყიდვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის სხვა კრედიტორებს უფლება აქვთ აუქციონის ჩატარებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში მიმართონ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელს ადმინისტრაციული საჩივრით, რომ მათაც ჰქონდათ რეგისტრირებუ-

ლი გირავნობის უფლება გაყიდულ მალფუჭებულ საქონელზე საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციის თარიღზე ადრე. ასეთი ადმინისტრაციული საჩივრის მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს 30 კალენდარული დღის ვადაში. საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო დაინტერესებულ მხარეს გადაუხდის მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის მთლიან ოდენობას ან მოთხოვნილ თანხას, უმცირესი თანხის მიხედვით.

ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში დაიფარება:

- ა) ქონების ამოღებასთან, შენახვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ბ) გადასახადის თანხები;
- გ) ჯარიმისა და საურავის თანხები.

ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში დაფარული თანხების შემდეგ დარჩენილი სახსრები უბრუნდება გადასახადის გამამხდელს ნაბანკო დღის ვადაში.

მარეგისტრირებული ორგანოები, აუქციონზე ქონების მყიდველის მიერ სერტიფიკატის წარდგენის შემთხვევაში, ვალდებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაატარონ ქონების ახალი მესაკუთრე, რომელიც დაიკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და გახდება საკუთრების გადაცემის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

ყადაღადებული ქონების რეალიზაცია შეწყდება, თუ გადასახადის გამამხდელი აუქციონის ჩატარებამდე უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასა და საგადასახადო ორგანოს მიერ აუქციონის ორგანიზებისათვის განეული ხარჯების დაფარვას.

### **2.13.5. საბანკო ანგარიშიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამონერა**

თუ გადასახადის გამამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი არ შესრულებს საგადასახადო ვალდებულებას მისი შესრულებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლიდან 10 სამუშაო დღეში, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, მისი საბანკო ანგარიშებიდან (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა), საინკასო დავალებით ჩამონეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტებში.

გადაწყვეტილებას გადასახადის გამამხდელის-საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საბანკო ანგარიშიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების შესაბამის ბიუჯეტებში ჩარიცხვის შესახებ საბანკო დანესტებულება უპირობოდ ასრულებს.

საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებაში უნდა მიეთითოს გადასახადის გამამხდელი/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ის საბანკო ანგარიშები, საიდანაც უნდა განხორციელდეს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების გადარიცხვა და გადასარიცხი თანხის ოდენობა.



5. გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალები შეიძლება შეჩერდეს:

ა) საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სადავო თანხის მოცულობის ფარგლებში;

ბ) თუ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადამწყვეტილებით, ასეთი ქმედება სახელმწიფო ინტერესია.

### **2.13.6. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულის პირის სალაროდან ნაღდი ფულადი სახსრების ამოღება**

თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარად არასაკმარისია საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლით გათვალისწინებული საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამონერა და საგადასახადო ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიება, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მოსამართლის ბრძანების გარეშე განახორციელოს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სალაროს სეიფიდან სხვა სათავსიდან (გარდა ფიზიკურის პირის საცხოვრებელი ბინისა) არსებული ნაღდი ფულადი სახსრების (მათ შორის, უცხოური ვალუტის) ამოღება აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვისათვის აუცილებელი ოდენობით. ნაღდი ფულადი სახსრების ამოღების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მოვალის სალაროდან ან სხვა სათავსიდან ამოღებული ნაღდი ფულადი სახსრები შესაბამისი ბიუჯეტების ანგარიშზე ჩარიცხვის მიზნით იმავე დღეს უნდა იქნეს შეტანილი საბანკო დანესებულებაში. თუ აღნიშნული ფულადი სახსრების შეტანა საბანკო დანესებულებაში იმავე დღეს შეუძლებელია, ისინი შეტანილ უნდა იქნეს საბანკო დანესებულებაში უახლოეს სამუშაო დღეს.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის განსხვავება სხვა პირისაგან იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გამოყენებულია გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად, აღნიშნული პირები წარმოადგენენ ერთიმეორის ცრუმაციურ პირებს.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს აქვს შეუსრულებელი, ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ცრუმაციური პირის მიმართ გაატაროს საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

### **2.13.7. გადასახადების მიხედვით ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ჩამონერა**

ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებები ჩამოიწერება, თუ:

ა) იგი აღიარებულია უიმედო საგადასახადო დავალიანებად;

ბ) საგადასახადო ვალდებულებები შეწყვეტილია საგადასახადო კოდექსის 62-ე მუხლის ან საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტების საფუძველზე.

ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერება საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თუ პირი, რომელსაც ჩამოენერა უიმედო საგადასახადო დავალიანება, აგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობას ან/და დადგინდა, რომ მას აქვს ქონება, მაშინ ამ პირის მიმართ განახლდება ადრე ჩამოენერილი საგადასახადო ვალდებულების მოქმედება, საურავის დარიცხვა და ჯარიმის დაკისრება.

საგადასახადო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული გარდა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება ჩამოენერება იმ გადასახადის გადამხდელს (თუ გადასახადის გადამხდელს ჩამოენერა ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება და აგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მაშინ მის მიმართ განახლდება ჩამოენერილი საგადასახადო ვალდებულების მოქმედება, საურავის დარიცხვა და ჯარიმის დაკისრება). თუ მისთვის არსებობს ერთ-ერთი შემდეგი ნინაპირობა:

ა) საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ამასთანავე, ამ გადასახადის გადამხდელს არ განუხორციელებია საგადასახადო ანგარიშგება (დეკლარაციების ან/და განგანგანებების წარდგენა) და საგადასახადო ვალდებულების შესრულება ბოლო 6 კალდნარული წლის განმავლობაში;

ბ) გადასახადის გადამხდელი არის ლიკვიდირებული საბიუჯეტო ორგანიზაცია;

გ) იურიდიული პირის ლიკვიდაცია განხორციელდა სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე და იგი ამოიშალა სამენარმეო რეესტრიდან.

### 2.13.8. საგადასახადო სესხი

საგადასახადო სესხით სარგებლობის უფლება აქვს 2008 წლის 1 იანვრიდან რეგისტრირებულ პირს, რომელიც აღნიშნული მიზნით სახელმწიფო რეგისტრაციიდან 12 თვის ვადაში მიმართავს შესაბამის საგადასახადო ორგანოს.

საგადასახადო სესხის პირზე გაიცემა მხოლოდ ერთხელ, მისი მოთხოვნის შემთხვევაში. აკრძალულია პირის (მათ შორის, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული პირის) მიერ ერთზე მეტი სესხით სარგებლობა.

საგადასახადო სესხის გაცემის წესი, ხელშეკრულების ფორმა და ანგარიშგების პროცედურები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

საგადასახადო სესხის ზღვრული ოდენობაა 2000 ლარი, რომელიც გაიცემა არა უმეტეს 10 წლისა და 3 თვის (123 თვის) ვადით, წლიური 4%-იანი სარგებლით; პირველი 10 წლის (120 თვის) განმავლობაში საგადასახადო სესხით მოსარგებლე პირს უფლება აქვს არ მოახდინოს სესხზე დარიცხვით პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდები. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ სესხზე დარიცხვით პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდები. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ სესხზე დარიცხვით პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებები პირს ეკისრება ყოველთვიურად თანაბარი ოდენობით.

პირის ინიციატივით სასესხო ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყვედეს შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

საგადასახადო სესხით მოსარგებლე პირზე, სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, გავრცელდება კოდექსით გათვალისწინებული სანქციები და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საგადასახადო სესხის თანხები არ გაითვალისწინება საგადასახადო კოდექსის 71-ე მუხლით გათვალისწინებული ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებისას.

საგადასახადო სესხით სარგებლობა 2009 წლის 1 იანვრის შემდგომ დარეგისტრირებულ პირებს შეეძლება, თუ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება საქართველოს შესაბამისი წლის (პირის დარეგისტრირების წელი) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 2 მაისის №411 ბრძანების „საგადასახადო სესხის გაცემის და ანგარიშგების პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით საგადასახადო სესხი არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XI<sup>1</sup> თავის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხი, რომელიც გაიცემა „მენარმთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე და გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების შესრულებისათვის.

საგადასახადო სესხით სარგებლობა პერიოდში და სესხის თანხის ფარგლებში პირს არ დაეკისრება დარიცხული გადასახადის გადახდის ვალდებულება, აგრეთვე მას გადასახადის ამ თანხაზე არ დაერიცხება საურავი.

საგადასახადო სესხის მიღებისათვის პირმა, სახელმწიფო რეგისტრაციიდან 12 თვის ვადაში, განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ტერიტორიულ საგადასახადო ორგანოს.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს:

- ა) გადასახადის გადამხდელის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;
- ბ) საგადასახადო სესხის ოდენობა, მისი დაფარვის ვადა და პირობები;
- გ) საგადასახადო სესხის მიღების თარიღი, მაგრამ არაუადრეს განცხადების საგადასახადო ორგანოში წარდგენის თარიღისა და არაუგვიანეს სახელმწიფო რეგისტრაციიდან 12 თვისა.

საგადასახადო ორგანო განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს საგადასახადო სესხის შესახებ განცხადებას, ამონებს მის შესაბამისობას საგადასახადო კოდექსის 280.1 მუხლის და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებთან და იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის, ხარვეზზე მითითების ან სესხის გაცემაზე უარის შესახებ, რასაც იმავე ვადაში წერილობით აცნობებს განმცხადებელს.

თუ განცხადება არ შეესაბამება საქართველოს საგადასახადო მოთხოვნებს ან/და არ არის წარდგენილი კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული რაიმე დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია, რაც აუცილებელია საკითხის გადაწყვეტილისთვის, საგადასახადო ორგანო ამის შესახებ წერილობით აცნობებს განმცხადებელს და მისცემს მას 5 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში განმცხადებელი შეავსებს ხარვეზს, საგადასახადო ორგანო ხარვეზის შევსებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში პირთან აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას.

სარეგისტრაციო შემთხვევაში საგადასახადო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

გადამხდელს საგადასახადო სესხის მიღებაზე შეიძლება ეთქვას უარი იმ შემთხვევაში თუ:

ა) იგი რეგისტრირებულია 2008 წლის პირველ იანვრამდე;

ბ) განცხადება წარდგენილია გადამხდელის რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ;

გ) საგადასახადო სესხი პირზე (მათ შორის რეორგანიზაციის შედეგად) ერთხელ უკვე გაცემულ იქნა;

დ) დარღვეულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

საგადასახადო სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საგადასახადო ორგანო პირთან აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას საგადასახადო სესხის მაქსიმალური ვადით ან გადასახადის გადამხდელის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი სხვა ვადით.

ხელშეკრულება ძალაში შედის გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო სესხის მიღების შესახებ განცხადებაში დაფიქსირებული ვადიდან.

საგადასახადო სესხით სარგებლობის უფლება აქვთ 2008 წლის პირველი იანვრიდან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ პირებს.

საგადასახადო სესხის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება 2000 ლარით, რომელიც გაიცემა არაუმეტეს 10 წლისა და სამი თვის (123 თვის) ვადით, წლიური 4%-იანი სარგებლით.

საგადასახადო სესხის პირზე გაცემა და პირის მიერ საგადასახადო სესხით სარგებლობა (მათ შორის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულის) შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.

საგადასახადო სესხის ვადა, დაბრუნების პროცედურები და ანგარიშგების წესი განისაზღვრება საგადასახადო ორგანოსა და საგადასახადო სესხის მიმღებს შორის გაფორმებული საგადასახადო სესხის ხელშეკრულებით.

საგადასახადო სესხის ხელშეკრულება წყდება ვადის გასვლის ან გადამხდელის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

საგადასახადო სესხის აღრიცხვის წესი განისაზღვრება „გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 7 აპრილის №228 ბრძანებით.

ტერიტორიული საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს პირთან საგადასახადო სესხის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად სესხის და პროცენტის დაფარვის კონტროლს.

საგადასახადო სესხის მაქსიმალური ვადით მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს პირველი 10 წლის (120 თვის) განმავლობაში არ მოახდინოს სესხზე დარიცხული პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდა, ხოლო აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ დარჩენილი 3 თვის განმავლობაში ყოველთვიურად, თანაბარი ოდენობით მოახდინოს საგადასახადო სესხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვა.

განსხვავებული ვადით საგადასახადო სესხის მიღების შემთხვევაში პირის მიერ სესხის თანხის და დარიცხული პროცენტის დაფარვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს სესხის დაფარვის ვადის ბოლო დღისა.

პირის ინიციატივით სასესიო ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადამდე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღისა უნდა ეცნობოს ტერიტორიულ საგადასახადო ორგანოს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში საგადასახადო სესხით მოსარგებლე პირებზე ვრცელდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციები და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

## ხელშეკრულება

№ \_\_\_ / \_\_\_

საგადასახადო სესხის შესახებ

„\_\_\_\_\_“ 200 წ.

### 1. ხელშეკრულების მხარეები

გადამხდელის სახელწოდება \_\_\_\_\_ (დასახელება) (შემდგომში „გადამხდელი“ ანუ „მხარე“ საიდენტიფიკაციო ნომერი \_\_\_\_\_ წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში) \_\_\_\_\_ ერთის მხრივ და \_\_\_\_\_ საგადასახადო ორგანოს დასახელება, ხელმძღვანელი მეორეს მხრივ შეთანხმდნენ შემდეგზე:

### 2. ხელშეკრულების საგანი და მიზანი

ამ ხელშეკრულების საგანია საგადასახადო სესხით სარგებლობა, რომელიც გაიცემა გადამხდელზე საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მიზნით.

### 3. საგადასახადო სესხის თანხა, დაფარვის ვადა და წესი

3.1. საგადასახადო სესხის თანხა: \_\_\_\_\_ ლარი, წლიური 4%-იანი სარგებლით.

3.2. საგადასახადო სესხით სარგებლობის პერიოდი: 10 წელი და 3 თვე (123 თვე).

3.3. ხელშეკრულება ძალაში შედის 200\_\_ წლის \_\_\_\_\_ -დან და მოქმედებს 20\_\_ წლის \_\_\_\_\_ -მდე.

3.4. პირველი 10 წლის (120 თვის) განმავლობაში გადამხდელს არ ეკისრება სესხზე დარიცხული პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება, ხოლო აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ დარჩენილი 3 თვის განმავლობაში გადამხდელი ვალდებულია ყოველთვიურად, თანაბარი ოდენობით მოახდინოს საგადასახადო სესხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვა.

### 4. გადამხდელის უფლებები და ვალდებულებები

4.1. გადამხდელს უფლება აქვს:

4.1.1. ისარგებლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადასახადო სესხით.

4.1.2. საგადასახადო სესხით სარგებლობის პერიოდში და სესხის თანხის ფარგლებში არ გადაიხადოს დარიცხული გადასახადის თანხა.

4.1.3. არ დაერიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების გადაუხდელობისათვის საურავი საგადასახადო სესხით სარგებლობის პერიოდში და სესხ-

ის თანხის ფარგლებში.

4.1.4.საკუთარი ინიციატივით სასესიო ხელშეკრულება შეწყვიტოს ვადამდე.

4.2.გადამხდელი ვალდებულია:

4.2.1.მოახდინოს საგადასახადო კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში საგადასახადო სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის (სარგებლის) დაფარვა.

4.2.2.სასესიო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ვალდებულებების დაფარვა და აღნიშნულის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღისა აცნობოს ტერიტორიულ საგადასახადო ორგანოს.

4.2.3.რეორგანიზაციის შემთხვევაში გადამხდელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 280.1 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რაც გულისხმობს რეორგანიზაციის (გაერთიანების) შედეგად ჩამოყალიბებული საწარმოს უფლებას, სარგებლობა განაგრძოს მხოლოდ ერთი საგადასახადო სესხით და ვალდებულებას საგადასახადო სესხებზე გაფორმებული სხვა ხელშეკრულებები შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების 4.2.2. პუნქტით დადგენილი წესით.

## 5. საგადასახადო ორგანოს უფლებები და ვალდებულებები

5.1.საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს საგადასახადო კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადებში მოითხოვოს საგადასახადო სესხის დაფარვა.

5.2.საგადასახადო ორგანო ვალდებულია:

5.2.1.უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადასახადო სესხით სარგებლობა.

5.2.2.საგადასახადო სესხით სარგებლობის პერიოდში და სესხის თანხის ფარგლებში დარიცხულ გადასახადებზე არ დაარიცხოს საურავი.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

საგადასახადო სესხის ხელშეკრულება წყდება:

7.1.ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში;

7.2.გადამხდელის ინიციატივით;

7.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში.

## 8. დავის განხილვა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები და სხვა პირობები

ამ ხელშეკრულების ტექსტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა.

გადამხდელის დასახელება

საგადასახადო ორგანოს დასახელება

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

(მისამართი და უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)  
(ხელმოწერა)

(მისამართი და უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)  
(ხელმოწერა)



## საქართველოს ნორმატიული აქტები

### საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 4, 13/1 თავი 11, მუხლი 84-92, 280/1 საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურისა და მართვის შესახებ

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ

გაკოტრების შესახებ

### საქართველოს კანონმდებლობის აქტი

საქართველოს მთავრობის დადგენილება №45

2004 წლის 7 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცხადებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებებთან რესტრუქტურისა და მართვის მიზანშეწონილობის საქმის შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილება №10

2005 წლის 25 იანვარი ქ. თბილისი

გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილება №14

2005 წლის 25 იანვარი ქ. თბილისი

საგადასახადო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის

დადებისა და, ყადაღადადებული ქონების ამოღების, შეფასებისა და შენახვის ნებსების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №148**

**2005 წლის 17 მარტი ქ. თბილისი**

გადასახადების მიხედვით ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების უიმედო საგადასახადო დავალიანებად აღიარების და ჩამოწერის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №300**

**2005 წლის 4 მაისი ქ. თბილისი**

„გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სალაროდან ნაღდი ფულადი სახსრების ამოღების წესის“ დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №1037**

**2002 წლის 17-12 დეკემბერი ქ. თბილისი**

გადასახადის გადამხდელის დაყადებული ქონების რეალიზაციის მიზნით სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №110

**2008 წლის 31 იანვარი ქ. თბილისი**

საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №411**

**2 მაისი 2008 წელი ქ. თბილისი**

საგადასახადო სესხის გაცემის და ანგარიშგების პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე



## 2.14 საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევა წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც გამოიხატება საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში, რითაც ირღვევა საგადასახადო ურთიერთობათა მონაწილეების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სანარმოებს/ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს.

თუ დადგინდა, რომ საგადასახადო კოდექსის საფუძველზე დამტკიცებული ინსტრუქციის დებულებები ეწინააღმდეგება საგადასახადო კოდექსის დებულებებს და გადასახადის გადამხდელმა ისარგებლა ასეთი ინსტრუქციის დებულებებით, რაც კოდექსის თანახმად იწვევს სანქციის დაკისრებას, მაშინ მის მიმართ აღნიშნული სანქცია არ გამოიყენება.

საგადასახადო სამართალდარღვევის გამო არავის არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ არა საგადასახადო კოდექსით დადგენილ საფუძველზე და წესით.

ერთი და იმავე საგადასახადო სამართალდარღვევის გამო არავის არ შეიძლება დაეკისროს განმეორებითი პასუხისმგებლობა.

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევისათვის ფიზიკურ პირს იმ შემთხვევაში დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ეს სამართალდარღვევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

საგადასახადო სამართალდარღვევის გამო სანარმოს/ორგანიზაციის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მის თანამდებობის პირებს, შესაბამისი საფუძველების არსებობისას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი ან სხვა პასუხისმგებლობისაგან.

საგადასახადო სამართალდარღვევის გამო გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მას კუთვნილი გადასახადებისა და საურავის გადახდის ვალდებულებისაგან.

მემკვიდრე (უფლებამონაცვლე) პასუხისმგებელია გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებული სანქციებისათვის, თუ მან მიიღო სამკვიდრო.

### 2.14.1. საგადასახადო სანქცია

საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.

საგადასახადო სანქციები გამოიყენება საურავისა და ფულადი ჯარიმის სახით საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საგადასახადო სამართალდარღვევათა ერთობლიობისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. ამასთან, უფრო მკაცრი სანქცია არ შთანთქმავს ნაკლებად მკაცრ სანქციას.

საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.

### 2.14.2. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება

საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ, განიხილავენ და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელთან/სხვა ვალდებულ პირთან სამართალდარღვევის გამოვლენისას (გარდა საგადასახადო შემონგების დროს გამოვლენილი სამართალდარღვევებისა) ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს.

ოქმი გასაცნობად წარედგინება მოქმედების მონაწილე ყველა პირს. მათ უფლება აქვთ გამოთქვან შენიშვნები. ისინი აისახება ოქმში.

ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი პირი და სამართალდარღვევის ჩამდენი გადასახადის გადამხდელი/სხვა ვალდებული პირი ან მისი წარმომადგენელი, ხოლო თუ არიან მოწმეები, ოქმს შეიძლება მათაც მოაწერონ ხელი.

თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები. ოქმის ერთი პირი გადაეცემა სამართალდარღვევის ჩამდენს.

საგადასახადო შემონგებისას გამოვლენილი სამართალდარღვევები ფიქსირდება საგადასახადო შემონგების აქტში (ამ შემთხვევაში არ დგება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი), რომელშიც აისახება ყველა საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, საქმის განხილვის მასალებზე დაყრდნობით საგადასახადო ინსპექციის უფროსი/მოადგილე საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ბრძანებით.

განსაზღვრული ვადის დარღვევით გამოცემული ბრძანება ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით გადასახადის გადამხდელი/სხვა ვალდებული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს საგადასახადო სანქცია, რომელიც წარმოადგენს ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომას.

საგადასახადო შემონმების აქტის საფუძველზე გადასახადების ან/და საგადასახადო სანქციის გამოყენების თაობაზე საგადასახადო ინსპექცია აქტის შედგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იღებს ერთიან გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ბრძანებით.

გადასახადის გადამხდელს/სხვა ვალდებულ პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება, წერილობით ეცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო საგადასახადო სანქციის გამოყენების შემთხვევაში წარედგინება „საგადასახადო მოთხოვნა“.

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ბრძანება ან სხვა გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება. აღნიშნული აქტები შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოტანილია აღნიშნული ბრძანება ან სხვა გადაწყვეტილება, ან მისმა კანონიერმა ან უფლებამოსილმა წარმომადგენელმა მხოლოდ მათ საფუძველზე გამოცემულ „საგადასახადო მოთხოვნასთან“ ერთად.

**2.14.3. საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა**

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა

მუ-ლი	შინაარსი	სასჯელის ფორმა
129	<p>1.1. თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი საურავი.</p> <p>2. საურავის გადახდა ხორციელდება საგადასახადო დავალიანების თანხაზე დანამატის სახით, საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების ან/და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ღონისძიებების გატარების მიუხედავად.</p> <p>3. საურავის დარიცხვა ხორციელდება საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის მომდევნო კალენდარული დღიდან თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის, „საგადასახადო მოთხოვნის“ წარდგენის ან წარუდგენლობის მიუხედავად, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ საურავის დარიცხვის ვალდებულების ვადის დადგომის შემდეგ გადამხდელი გადაიხდის გადასახადის ძირითადი თანხის ნაწილს, გადახდის მომდევნო</p>	<p>საურავი შეადგენს საგადასახადო დავალიანების 0,07 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ითვლება ვადაგადაცილებულ დღედ.</p>

	<p>კალენდარული დღიდან საურავის დარიცხვა გაგრძელდება საგადასახადო დავალიანების ფაქტობრივად დარჩენილ ნაწილზე</p> <p>4. ვაკოტრების საქმის წარმოების გახსნის, რეაბილიტაციის ან საგაკოტრებო მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე, ვაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფ საწარმოს ამ რეჟიმების დაწყებამდე არსებულ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებებზე საურავი არ დაერიცხება.</p>	
<p>130</p>	<p>საგადასახადო ორგანოში სახელმწიფო რეგისტრაციის ან/და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე დადგომის წესის დარღვევა.</p> <p>საგადასახადო ორგანოში სახელმწიფო რეგისტრაციის ან/და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე დადგომის წესის დარღვევა, კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობა საგადასახადო ორგანოში სახელმწიფო რეგისტრაციის ან/და საგადასახადო აღრიცხვის გარეშე.</p>	<p>ინვეცს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით</p>
<p>131</p>	<p>საგადასახადო დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენა</p> <p>1. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევა.</p> <p>2.2. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის განზრახ წარუდგენლობა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, კერძოდ, საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის ამონურვიდან ერთ წელზე მეტი ხნით საგადასახადო დეკლარაციის წარუდგენლობა, თუ ასეთი მოქმედების შედეგად გადაუხდელი გადასახადის თანხა აღემატება 25 000 ლარს, განიხილება გადასახადის გადახდისაგან თავის</p>	<p>1. ინვეცს დაჯარიმებას ამ დეკლარაციის საფუძველზე დამატებით გადასახდელი თანხის 5 პროცენტის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ სრულ (არასრულ) საგადასახადო თვეზე, მაგრამ არანაკლებ 200 ლარისა აღნიშნული დეკლარაციის წარუდგენლობის ყოველი სრული (არასრული) თვისათვის.</p>

	<p>არიდებდა და ინვესტორებს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყება, თუ „საგადასახადო მოთხოვნის“ მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში დაიფარება დამატებით გადასახდელად დაკისრებული გადასახადების ძირითადი თანხა</p>	
<p>132</p>	<p><b>გადასახადების შემცირება</b></p> <p>1. საგადასახადო დეკლარაციაში ან/და გაანგარიშებებში გადასახადის ოდენობის 15000 ლარამდე შემცირება.</p> <p>2. საგადასახადო დეკლარაციაში ან/და გაანგარიშებებში 15000-დან 25000 ლარამდე ფარგლებში შემცირება.</p> <p>3. საგადასახადო დეკლარაციაში ან/და გაანგარიშებებში გადასახადის 25000 ლარით ან უფრო მეტით შემცირება.</p> <p>4. თუ დამალული გადასახადების ოდენობა აღემატება 25000 ლარს, განიხილება დიდი ოდენობით გადასახადებისაგან თავის არიდებად და ინვესტორებს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყება, თუ „საგადასახადო მოთხოვნის“ მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში დაიფარება დამატებით გადასახდელად დაკისრებული გადასახადების ძირითადი თანხა.</p> <p>5. გადასახადის გადაამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს, რომელმაც საგადასახადო ორგანოს წარუდგინა შესწორებული საგადასახადო დეკლარაცია ან გაანგარიშება გასულითი საგადასახადო შემოსულების ჩატარების შესახებ შეტყობინების მიღებამდე, შესწორებული, არასწორად ნაჩვენები ინფორმაციისათვის არ დაეკისრება ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა.</p>	<p>1. ინვესტორების შემცირებული თანხის 25 პროცენტის ოდენობით.</p> <p>2. ინვესტორებს შემცირებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით.</p> <p>3. ინვესტორებს შემცირებული თანხის 75 პროცენტის ოდენობით.</p>
<p>133</p>	<p><b>შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის წესის დარღვევა.</b></p>	

	<p>1. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის მიერ შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე გადასახადებით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის წესის დარღვევა ჩადენილი ერთ საგადასახადო პერიოდში.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ერთ საგადასახადო პერიოდზე მეტი ხნის განმავლობაში.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუ მან საგადასახადო ბაზის შემცირება გამოიწვია.</p> <p>4. ამ მუხლის მიზნებისათვის, შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე გადასახადებით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის წესის დარღვევა დ ითვლება პირველადი დოკუმენტების, სასაქონლო ზედნაღებების (დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების), საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრების უქონლობა ან დადგენილი წესის დარღვევით მათი წარმოება, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის ან/და დალუქვის გარეშე შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის არსებობა, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე და ანგარიშგებაში გადასახადის გადამხდელის სამეურნეო ოპერაციების, ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების, არამატერიალური აქტივებისა და ფინანსური დაბანდებების სისტემატურად (კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ და მეტჯერ) არადროულად ან არასწორად ასახვა.</p>	<p>1. ინვეეს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.</p> <p>2. ინვეეს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის სამმაგი ოდენობით.</p> <p>3. ინვეეს დაჯარიმებას გადაუხდელი გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის სამმაგი ოდენობისა.</p>
<p>134</p>	<p><b>გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობა</b></p> <p>1. საგადასახადო აგენტის მიერ გადახდის წყაროსთან გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის დაუკავებლობა ან/და დაკავებული გადასახადის თანხის ბიუჯეტში არასრულად გადარიცხვა (გადახდა).</p> <p>2. ხელფასის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის (ასეთ პირებს შორის თანამდებობით (რანგით) ყველაზე მაღლა მდგომის, მენარმე ფიზიკური</p>	<p>1. ინვეეს დაჯარიმებას დაუკავებელი (გადასარიცხი) თანხის 10 პროცენტის ოდენობით.</p> <p>2. ინვეეს დაჯარიმებას მინიმალური ხელფასის ორმოცდაათმაგი ოდენობით.</p>

	<p>პირის გარდა) მიერ ხელფასზე დასაკაეებელი ან/და გადასახდელი (სამემოსავლო) გადასახადების დაუკაეებლობა ან/და ბიუჯეტში გადახდის მოვალეობის შეუსრულებლობა.</p>	
<p>135</p>	<p><b>საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირისათვის წინააღმდეგობის განევა</b>                  საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის მიერ საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირისათვის წინააღმდეგობის განევა, ამ კოდექსის შესაბამისად შევიდეს და დაათვალიეროს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ტერიტორიები და შენობა-ნაგებობები.</p>	<p>ინევეს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.</p>
<p>136</p>	<p><b>ყადალადადებული ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან/და განკარგვის წესის დარღვევა</b>                  ყადალადადებული ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან/და განკარგვის ამ კოდექსით დადგენილი წესის დარღვევა.</p>	<p>ინევეს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით</p>
<p>137</p>	<p><b>საგადასახადო ორგანოსათვის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარუდგენლობა</b>                  1. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარუდგენლობა, ასევე არსებული სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარუდგენაზე უარის თქმა, აგრეთვე აღნიშნული დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის წარუდგენისათვის თავის არიდება.                  2. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული ქონების ნუსხის</p>	<p>1. ინევეს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.                   2. ინევეს დაჯარიმებას წარუდგენელი ან არასწორად ან/და არასრულყოფილად წარუდგენილი ქონების ღირე-</p>

	<p>გონივრულ ვადაში წარუდგენლობა ან არასწორად ან/და არასრულყოფილად წარდგენა, თუ ასეთი წარუდგენელი ან არასწორად ან/და არასრულყოფილად წარდგენილი ქონების ღირებულება აღემატება მთელი ქონების 5%-ს.</p>	<p>ბუღელების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საგადასახადო დავალიანების ორმაგი ოდენობისა.</p>
<p>138</p>	<p><b>გადასახადის არასწორი ჩათვლა ან დაბრუნება</b> გადასახადის ვადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოში არასწორი მონაცემების შემცველი დოკუმენტების წარდგენა, რაც იძლევა გადახდილი გადასახადის მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლის ან დაბრუნების საფუძველს.</p>	<p>ინვეეს დაჯარიმებას ჩასათვლელი ან დასაბრუნებელი თანხის 300 პროცენტის ოდენობით.</p>
<p>139</p>	<p><b>მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევა</b></p> <p>1. მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გარეშე მუშაობა, თუ ასეთი ვალდებულება დადგენილია ამ კოდექსით.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით</p> <p>3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენების შემდეგ, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით.</p> <p>4. მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებლობა.</p> <p>5. ამ მუხლის მე-4 ან/და მე-10 ნაწილით/ნაწილებით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით.</p> <p>6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენების შემდეგ, ამ მუხლის მე-4 ან/და მე-10 ნაწილით/ნაწილებით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით.</p> <p>7. საკონტროლო-სალარო აპარატზე საგადასახადო ორგანოს მიერ დადებული ლუქის განზრახ მოხსნა ან საკონტროლო-სალარო აპარატ-</p>	<p>1. ინვეეს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.</p> <p>2. ინვეეს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.</p> <p>3. ინვეეს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 10 000 ლარის ოდენობით.</p> <p>4. ინვეეს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.</p> <p>5. ინვეეს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.</p> <p>6. ინვეეს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2500 ლარის ოდენობით.</p> <p>7. ინვეეს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.</p>



	<p>ის იმგვარი გამოყენება, რომ შესაძლებელი გახდება მის ფისკალურ მენეჯერებაში შეღწევა ან ამ მენეჯერებაზე სხვაგვარი ზემოქმედება.</p> <p>8. ავტოგასამართ სადღურში მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების საგადასახადო ორგანოს ლუქების გარეშე მუშაობა.</p> <p>9. ამ მუხლის მე-7 ან მე-8 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით.</p> <p>10. ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება.</p> <p>11. ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმისაგან თავისუფლდებიან პირები, თუ მათ საკონტროლო-სალარო აპარატის დაზიანების თაობაზე შეტყობინება გაუგზავნენ საგადასახადო ორგანოს დაზიანების დაფიქსირებიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.</p> <p>12. პირი ვალდებულია საკონტროლო-სალარო აპარატის დაზიანების აღმოფხვრამდე შეაჩეროს საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებელთან ნალდი ფულით ანგარიშსწორება.</p> <p>13. ამ მუხლის მე-11 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევის შესახებ საგადასახადო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანო ვალდებულია განახორციელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი ღონისძიებები.</p>	<p>8. ინვეს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.</p> <p>9. ინვეს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 15000 ლარის ოდენობით.</p> <p>10. ინვეს დაჯარიმებას ფაქტობრივად გადახდილ თანხასა და ჩეკში აღნიშნულ თანხას შორის დაფიქსირებული სხვაობის 100-მაგი ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 200 ლარისა.</p>
<p>140</p>	<p><b>დღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა</b></p> <p>1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე ფუნქციონირების შემთხვევაში.</p> <p>2. დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის არასწორად ან/და არასრული შევსების შემთხვევაში, თუ ეს ინვეს დღგ-ის თანხის შემცირებას ან ჩასათვლელი თანხის ზრდას.</p> <p>3. მყიდველის მოთხოვნისას მისთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოუცემლობის შემთხვევაში.</p>	<p>1. რეგისტრაციის გარეშე ფუნქციონირების მთელ პერიოდში ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის თანხის 100 პროცენტი;</p> <p>2. შემცირებული დღგ-ის თანხის ან გაზრდილი ჩასათვლელი თანხის 100 პროცენტი;</p> <p>3. ოპერაციის მიხედვით დღგ-ის თანხის 100 პროცენტი.</p>

	<p>4. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის არასრული შევსებისათვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შესაბამის ველში ჩასაწერი ინფორმაცია არსებობს, ან იგი არ იწვევს დღგ-ის თანხის შემცირებას, ან ჩასათვლელი თანხის ზრდას.</p>	<p>4. 200 ლარის ოდენობით.</p>
<p>141</p>	<p>გადასახადის გადარიცხვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებისა და გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადასახადო დავალების შესრულების ვადის დარღვევა.</p> <p>1. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების არსებობისას ბანკებისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების, ან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, ან სხვა ვალდებული პირის საგადასახადო დავალების საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის.</p> <p>2. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების არსებობისას ბანკებისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების, ან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, ან სხვა ვალდებული პირის საგადასახადო დავალების საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, კერძოდ, სხვა მიმართულებით ფულადი სახსრების გადარიცხვა.</p>	<p>1. იწვევს დაჯარიმებას ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების იმ ნაწილის 0,15%-ის ოდენობით ყოველი დაგვიანებული კალენდარული დღისათვის, რომელიც ექვემდებარებოდა საინკასო/საგადასახადო დავალებით მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას.</p> <p>2. იწვევს დაჯარიმებას სხვა მიმართულებით გადარიცხული თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა და არა უმეტეს საინკასო/საგადასახადო დავალებაში მითითებული თანხის ოდენობისა.</p>
<p>142</p>	<p>ბანკების მიერ გადასახადის გადამხდელისათვის ანგარიშის გახსნის წესის დარღვევა და გადასახადის გადამხდელის ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადანყევტილების შეუსრულებლობა</p> <p>1. ბანკებისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორ-</p>	<p>1. იწვევს დაჯარიმებას გადასახადის გადამხდელის/სა-</p>

<p>განიზაციაების მიერ გადასახადის გადამხდელი-სათვის/საგადასახადო აგენტისათვის საბანკო ანგარიშების გახსნა იმ დოკუმენტების წარდგენის გარეშე, რომლებითაც დასტურდება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება, (გარდა უცხოური სანარმოსი და ფიზიკური პირებისა, რომლებიც არ ენევიან ეკონომიკურ საქმიანობას), აგრეთვე გადასახადის გადამხდელის-საგადასახადო აგენტის ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების ან საინკასო დავალების წარდგენის შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების არსებობისას ამ გადასახადის გადამხდელისათვის სხვა ანგარიშის გახსნა.</p> <p>2. ბანკებისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციების მიერ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის საბანკო ან/და სხვა ანგარიშების გახსნის ან დახურვის შესახებ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ინფორმაციის წარუდგენლობა.</p> <p>2'. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ანგარიშების თაობაზე საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის (შეტყობინების) წარდგენამდე ან მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გასავლის წარმოება.</p> <p>3. ბანკების და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციების მიერ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.</p> <p>4. ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსაგან წერილობითი ნებართვის მიუღებლად გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის უზრუნველყოფის სადემონსტრო ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვა.</p> <p>5. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო</p>	<p>გადასახადო აგენტის ანგარიშებზე შესრულებული გასავლის ოპერაციების თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.</p> <p>2. ინვესს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით თითოეულ ანგარიშზე.</p> <p>2'. ინვესს დაჯარიმებას გასავლის ოპერაციის თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.</p> <p>3. ინვესს დაჯარიმებას იმ თანხის 20 პროცენტის ოდენობით, რომელიც გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის დავალების შესაბამისად გადაირიცხა სხვა პირებზე, მაგრამ არა უმეტეს დავალიანების თანხის ოდენობისა.</p> <p>4. ინვესს დაჯარიმებას განკარგული თანხის 100 პროცენტის ოდენობით.</p>
--	--

	<p>აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობისას ანგარიშიდან თანხების ჩამოწერისა და ბიუჯეტში გადარიცხვის თაობაზე გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, ან სხვა ვალდებული პირის საგადახდო დავალების, ან საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ გადამხდელი წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს, იგი ვალდებულია ბანკის ამ მოქმედების შედეგად გადამხდელისათვის დაკისრებული საურავი იმავე ოდენობით დაარიცხოს ბანკს. ასეთ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს სანქცია არ დაეკისრება.</p>	
<p>1421</p>	<p><b>საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური მომსახურების განვების შედეგად მიღებული შემოსავლის ნებადართული ნორმის გადამეტება</b></p> <p>საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური მომსახურების განვების შედეგად მიღებული შემოსავლის გადამეტება ერთობლივი შემოსავლის 10%-ზე.</p>	<p>ინვეს დაჯარიმებას გადამეტებული თანხის 100%-ის ოდენობით.</p>
<p>143</p>	<p><b>დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება (გადაზიდვა) და აღურიცხავობა</b></p> <p>ეკონომიკური საქმიანობისათვის შექმნილი ან მიწოდებული საქონლის (გარდა სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე – სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პროდუქციისა) სასაქონლო ზედნადების (მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში გამარტივებული ზედნადების) გარეშე ტრანსპორტირებისას (გადაზიდვისას), ხოლო სხვა ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საქონლის საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირებისას (გადაზიდვისას).</p>	<p>გადასახადის გადამხდელს ჯარიმის სახით გადახდება შესაბამისად სასაქონლო ზედნადების ან შემოტანილი საქონლის ღირებულება საბაჟო ფასებით დღგ-ის გარეშე (ხოლო აქციზის გადამხდელს – აქციზისა და დღგ-ის გარეშე). ამასთანავე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანოებს უფლება აქვთ ჯარიმის თანხის გადახდევინებამდე ან დაუჯარიმებლობის შესახებ გადან-</p>

<p>საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება (გადაზიდვა) მოიცავს სასაქონლო ზედნადების არასრულად შევსების შემთხვევასაც, კერძოდ, როდესაც სასაქონლო ზედნადებში (გარდა შესაბამის შემთხვევაში გამართლებული ზედნადებისა, რომელიც სრულად შევსებული უნდა იყოს) არ არის ასახული ქვემოთ ჩამოთვლილი რეკვიზიტებიდან ერთ-ერთი:</p> <p>ა) დოკუმენტის შედგენის თარიღი და ნომერი;</p> <p>ბ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (არაგადამხდელი ფიზიკური პირის შემთხვევაში - გვარი, სახელი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი);</p> <p>გ) ინფორმაცია ტვირთის გადამზიდველის შესახებ (სატრანსპორტო საშუალების სახე, მარკა და სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი);</p> <p>დ) ინფორმაცია საქონლის შესახებ (საქონლის დასახელება და რაოდენობა);</p> <p>ე) ტრანსპორტირების (გადაზიდვის) დაწყებისა და დამთავრების ადგილები, მისამართების ჩვენებით;</p> <p>ვ) ტვირთის გამყიდველის ან/და ტვირთის გამგზავნის ხელმოწერა ტვირთის გადამზიდველისათვის ჩაბარების შესახებ;</p> <p>ზ) ტვირთის გადამზიდველის ხელმოწერა ტვირთის მიღების შესახებ.</p> <p>სამეურნეო ოპერაციის დამთავრებიდან (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღების, შენახვის ან მიწოდების ყველა ეტაპზე) არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა, საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოვლენის შემთხვევაში, ხოლო სხვა ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოვლენის შემთხვევაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოვლენად ჩაითვლება</p>	<p>ყვეტილების მიღებამდე განახორციელონ ასეთი წესით ტრანსპორტირებულ (გადაზიდულ) საქონელზე ყადაღის დადება და შესაბამისი პირისათვის შესანახად გადაცემა. დაყადაღების, დაჯარიმების და შენახვის პროცედურები და ვადები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.</p> <p>გადასახადის გადამხდელს/სხვა ვალდებულ პირს გადახდება შესაბამისად საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე ან საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება საბაჟო ფასებით დღგ-ის გარეშე (ხოლო აქციზის გადა-</p>
---	---

	<p>საქონლის როგორც ფიზიკური, ისე დოკუმენტების (მათ შორის, საგადასახადო ორგანოსათვის ცნობილი სხვა სათანადო ინფორმაციის) მიხედვით გამოვლენა. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღურიცხავად არ ჩაითვლება და გადასახადის გადამხდელზე/სხვა ვალდებულ პირზე სანქცია არ გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მისი რეალიზაციის, გადაცემის ან სხვა სახით გამოყენების შესახებ სათანადო ინფორმაცია ჩართულია გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დეკლარაციაში.</p> <p>სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისი განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში ნაღდი ანგარიშსწორებით საბაზრო ფასებით (აქციზისა და დღგ-ის გარეშე) განხორციელებულ მინოდებად და გადასახადებით დაიბეგრება ამ კოდექსით დადგენილი წესით.</p>	<p>მხდელს/სხვა ვალდებულ პირს – აქციზისა და დღგ-ის გარეშე). აღნიშნული სანქცია არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაზე არსებობს საბაზო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.</p> <p>ჯარიმა გადახდება იმ გადასახადის გადამხდელს/სხვა ვალდებულ პირს, რომლის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზედაც აღმოჩნდება სხვა პირის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომელზედაც არ არსებობს ამ ტერიტორიაზე განთავსების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.</p>
<p>144</p>	<p><b>სხვა ჯარიმები</b></p> <p>გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, რისთვისაც ამავე კოდექსით გათვალისწინებულია ჯარიმა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა.</p>	<p>ინვეეს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.</p>

**2.14.4. აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სასჯები და პასუხისმგებლობა პაჭროვისა და ფინანსების სფეროში**

საგადასახადო სამართალდარღვევათა, ისევე როგორც საფინანსო და ეკონომიკურ საქმიანობათა სფეროში ჩადენილ სხვა სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა განსაზღვრულია აგრეთვე საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით.

აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და

პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სანარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.

ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა ნარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდგენს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სხვა საკითხებით ან ერთად განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ვაჭრობისა და ფინანსების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევებზე, რომელსაც გთავაზობთ ცხრილის სახით:

მშ-ლი	შინაარსი	სასჯელის ფორმა
153	მენარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა.	გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.
153 <sup>1</sup>	საქართველოს ტერიტორიაზე ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა	გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, ასეთი საქმიანობიდან მიღებული მთელი ამონაგების კონფისკაციით.
153 <sup>3</sup>	გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე	გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 20-დან 50 ლარამდე ოდენობით სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.
	იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან	გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

154	<p>ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ სასურსათო და არასასურსათო პროდუქციით ვაჭრობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით.</p>
154 <sup>1</sup>	<p>პურპროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაციის დადგენილი წესების დარღვევა</p> <p>პურპროდუქტების სანარმოებში სავაჭრო ობიექტებში პროდუქციის შესყიდვის, წარმოების ან რეალიზაციის წესების დარღვევა</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასიდან ხუთას მინიმალურ ოდენობამდე.</p> <p>2. გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ასიდან ორას მინიმალურ ოდენობამდე.</p>
154 <sup>2</sup>	<p>პურპროდუქტების სანარმოების მუშაობის უწყვეტი ციკლის დარღვევა</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთი ათასიდან ათი ათას მინიმალურ ოდენობამდე.</p>
155	<p>სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.</p>
155 <sup>1</sup>	<p>ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტრილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების დარღვევა</p> <p>1. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტრილატებით ვაჭრობა არასტაციონალური სავაჭრო ობიექტებიდან, აგრეთვე ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტრილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების სხვაგვარი დარღვევა.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით ან ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.</p> <p>2. გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.</p> <p>3. გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.</p>



<p>155<sup>2</sup></p>	<p><b>მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვა.</b></p> <p>1. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა, თუ საქონლის ღირებულება არ აღემატება 200 ლარს.</p> <p>2. იგივე ქმედება, თუ საქონლის ღირებულება აღემატება 200 ლარს, ან ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი.</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.</p> <p>2. გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება საკმარისად არ ჩაითვლება, - ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 30 დღემდე, სამართალდარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებების კონფისკაციით ან უამისოდ.</p>
<p>155<sup>3</sup></p>	<p><b>თამბაქო პროდუქციის რეალიზაციისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა</b></p> <p>1. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია</p> <p>2. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.</p> <p>4. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე</p> <p>5. სიგარეტის ლერების, ერთეული შეფუთვის (კოლოფის) რეალიზაცია, თუ მასში სიგარეტის</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.</p> <p>2. გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით.</p> <p>3. გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათი ლარით.</p> <p>4. გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.</p> <p>5. გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ლარით.</p>

	<p>20 ლერზე ნაკლებია 6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.</p>	<p>6. გამოიწვევს დაჯარიმებას ორასი ლარით.</p>
<p>155<sup>4</sup></p>	<p>ფართო მოხმარების საქონლის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კვების პროდუქტების რეალიზაციის წესების დარღვევა 1. ფართო მოხმარების საქონლის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კვების პროდუქტების რეალიზაციისას „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს პროდუქციის (გარდა მოწვევასთან დაკავშირებული აქსესუარებისა) რეკლამა. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით. 2. გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათი ლარით.</p>
<p>155<sup>5</sup></p>	<p>თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.</p>
<p>155<sup>6</sup></p>	<p>თამბაქოს პროდუქციის დიზაინის დარღვევა 1. „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი თამბაქოს პროდუქციის დიზაინის დარღვევა 2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასი ლარით. 2. გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასი ლარით.</p>
<p>156</p>	<p>ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო თოფის გაყიდვის წესების დარღვევა 1. საეჭრო სანარმოების (ორგანიზაციების) მუშაკ-</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას</p>

	<p>თა მიერ ცეცხლსასროლი გლუველულიანი სანად- ირო თოფის და მისი საბრძოლო მასალების მიყიდ- ვა იმ მოქალაქეების, სანარმოების, დანესებულებე- ბისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთაც არა აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვა. 2. იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ასეთივე დარღვე- ვისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი</p>	<p>შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.  2. გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.</p>
<p>157</p>	<p>იმ ჰუმანური დახმარების პროდუქციის გაყ- იდვა, რომელიც განკუთვნილი იყო უფასოდ გასაცემად. 1. კომერციულ სტრუქტურებში (მიუხედავად მათი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმ- ისა) იმ ჰუმანური დახმარების პროდუქციის გაყ- იდვა, რომელიც განკუთვნილი იყო მოქალაქეებ- ისა ან იურიდიული პირებისათვის გასაცემად. 2. ამ პროდუქციის კონფისკაციით, ხოლო თუ საქ- მის გარემოებათა მიხედვით დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების გამო- ყენება საკმარისად არ ჩაითვლება</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას პროდუქციაზე დადებული ფა- სის ხუთმაგი ოდენობით.  2. ადმინისტრაციულ პატიმ- რობას ვადით ოცდაათ დღემდე.</p>
<p>157<sup>1</sup></p>	<p>საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლე- ბების დარღვევა 1. შემოსავლის მიღების მიზნით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირება ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლა, „საავტორო და მო- მიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მათი კონტრაფაქციული ასლების არამართლზომიერი შექმნა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება ან სხვა უკანონო გზით გამოყენება, აგრეთვე შემოსავლის მიღებ- ის მიზნით საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადე- ბლის უფლებების სხვა დარღვევა. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ად- მინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან სამი ათას ლარამდე კონტრაფაქციული ასლების, აგრეთვე, იმ მასალების, მონყო- ბილობებისა და ტექნიკური სა- შუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტე- ქნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის.  2. გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე კონტრაფაქციული ასლების და, აგრეთვე, იმ მასალების, მონყო-</p>

		<p>ბიზნის რეგისტრაციის აქტი და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის.</p>
<p>157<sup>2</sup></p>	<p><b>ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე მითითებული უფლების მართვის ინფორმაციის შეცვლა, განადგურება ან გაყალბება</b></p> <p>1. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე მითითებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „უფლების მართვის ინფორმაციის“ უკანონო შეცვლა, განადგურება ან გაყალბება, რასაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, აღმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მონაცემებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.</p> <p>2. გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მონაცემებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.</p>
<p>157<sup>3</sup></p>	<p><b>ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (აღნიშვნის) შეცვლა ან განადგურება</b></p> <p>1. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (აღნიშვნის) უკანონო შეცვლა ან განადგურება.</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებისა და, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მონ-</p>

	<p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.</p>	<p>ყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.</p> <p>2. გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.</p>
<p>158</p>	<p><b>სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის უკანონო გამოყენება</b></p> <p>1. სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, აგრეთვე, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციით.</p> <p>2. გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციით.</p>
<p>158<sup>1</sup></p>	<p><b>მომხმარებლის უფლებების შელახვა</b></p> <p>მომხმარებლის უფლებების განზრახ შელახვა, რასაც მოჰყვა ქონებრივი ზარალი.</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას პრომის ანაზღაურების ათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.</p>
<p>158<sup>2</sup></p>	<p><b>ეკომარკით უკანონო სარგებლობა</b></p> <p>ეკომარკით უკანონო სარგებლობა</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე.</p>
<p>159</p>	<p><b>რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა</b></p>	

	<p>1. რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი.</p>	<p>1. გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3000 ლარის ოდენობით.</p> <p>2. გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.</p>
<p>159<sup>1</sup></p>	<p>არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება) არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება)</p>	<p>გამოიწვევს ფიზიკური პირების დაჯარიმებას განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების ოთხმაგი ოდენობით, იურიდიული პირებისა და დაწესებულებებისა – განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების შვიდმაგი ოდენობით.</p>
<p>159<sup>2</sup></p>	<p>თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობა</p>	<p>გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას სამასიდან ექვსას ლარამდე, სწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირებისა – ათასიდან სამი ათას ლარამდე.</p>
<p>159<sup>3</sup></p>	<p>თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა.</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.</p>
<p>159<sup>4</sup></p>	<p>ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების რეკლამა 1. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, სანოვრიანი ბოთლებისა და სატყუარების ნებისმიერი სახის რეკლამა. 2. იგივე მოქმედება, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ორას ორმოცდაათიდან ხუთას ლარამდე. 2. გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან შვიდას ლარამდე.</p>

159 <sup>5</sup>	<p>სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების ან მეთოდის არასწორად შერჩევა ტენდერის ან ფასთა კოტირების ჩატარების თავიდან აცილების მიზნით, ან სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალებების იმონტეარული (ფულადი) ზღვრების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც დადგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით</p>	<p>გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე.</p>
159 <sup>6</sup>	<p><b>სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესების დარღვევა</b></p> <p>1. სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელებისას ტენდერის შესახებ გამოცხადების ან სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენა, ან განცხადების გამოქვეყნების წესების დარღვევა</p> <p>2. სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების, საკვალიფიკაციო შერჩევისა და პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების არასათანადოდ (ტენდენციურად) შეფასება.</p> <p>3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების წესების დარღვევა.</p>	<p>1. გამოიწვევს სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა – შრომის ანაზღაურების სამასიდან ოთხას მინიმალურ ოდენობამდე.</p> <p>2. გამოიწვევს სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა – შრომის ანაზღაურების სამასიდან ოთხას მინიმალურ ოდენობამდე.</p> <p>3. გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის (სახელმწიფო შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ან ფასთა კოტირების მეთოდით განხორციელებისას) დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ან სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრების (სახელმწიფო შესყ-</p>

		<p>იდვის ღია ან დახურული ტენდერის საშუალებით განხორციელებისას) – დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა – შრომის ანაზღაურების სამასიდან ოთხას მინიმალურ ოდენობამდე.</p>
1597	<p>სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების წესების დარღვევა.</p>	<p>გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი თანამდებობის პირის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე.</p>
1598	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოთხოვნათა შეუსრულებლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა</p>	<p>გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის (სახელმწიფო შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ან ფასთა კოტირების მეთოდით განხორციელებისას) დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ან სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრების (სახელმწიფო შესყიდვის ღია ან დახურული ტენდერის საშუალებით განხორციელებისას) დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა – შრომის ანაზღაურების სამასიდან ოთხას მინიმალურ ოდენობამდე.</p>
1599	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს</p>	<p>გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის</p>



	<p>კანონით ან შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა, ან ყალბი ინფორმაციის მიწოდება.</p>	<p>დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე.</p>
<p>163</p>	<p>სერტიფიკატის გაცემის წესების დარღვევა სერტიფიკატის გაცემის წესების დარღვევა</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამასიდან ხუთას მინიმალურ ოდენობამდე</p>
<p>164</p>	<p>სამენარმეო საქმიანობის წესის დარღვევა 1. სამენარმეო საქმიანობის წესის დარღვევა სამენარმეო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, აგრეთვე აკრძალული სამენარმეო საქმიანობის განხორციელება ან უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს. 2. მეურნე სუბიექტების საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში მათ მიერ სავაჭრო ოპერაციების (მომსახურების) განხორციელება.</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე. 2. გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების შვიდასი მინიმალური ოდენობით.</p>
<p>164<sup>4</sup></p>	<p>სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობა 1. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნების შეუსრულებლობა გადასახადებისა და სხვა გადასახდლების გაანგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის საკითხებზე, აგრეთვე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრაზე. 2. ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) შესრულებული (შესასრულებელი) ოპერაციებისა და არსებული ფულადი სახსრების შესამოწმებლად სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკთა დაუშვებლობა. 3. ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) გასულ</p>	<p>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან სამოცდაათ ლარამდე. 2. გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე. 3. გამოიწვევს დაჯარიმებას ასოცდაათიდან ასოთხმოც ლარამდე.</p>

	<p>საანგარიშო პერიოდში შესრულებული ოპერაციებისა და ამ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების შესახებ მონაცემების წარუდგენლობა.</p> <p>4. ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშ-სწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) ფულად სახსრების გაცემის, გადარიცხვისა და ჩამონერის ოპერაციების შეჩერების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მითითების შეუსრულებლობა.</p>	<p>4. გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ორასორმოცდაათ ლარამდე.</p>
<p>164<sup>5</sup></p>	<p>კვების პროდუქტების უკანონო წარმოება</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის წარმოების სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა.</li> <li>2. ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის, მათ შორის, მინერალური წყლის, სასაქონლო პროდუქციის წარმოების სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა.</li> <li>3. ბავშვთა კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა.</li> <li>4. ყველა სხვა სახის პროდუქტების წარმოება ლიცენზიის გარეშე.</li> <li>5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი განმეორებით.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასი ლარით.</li> <li>2. გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასი ლარით.</li> <li>3. გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასი ლარით.</li> <li>4. გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი ლარით.</li> <li>5. გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასი ლარით.</li> </ol>
<p>165</p>	<p>საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის წესის დარღვევა და ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე დავალებების შეუსრულებლობა</p> <p>ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლად, გადამხდელთათვის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნა და ანგარიშების გახსნის შესახებ საგადასახადო ორგანოებში ინფორმაციის წარუდგენლობა, აგრეთვე ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) მოულებლობა და მიღებული საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) უწინარესად შეუსრულებლობა.</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.</p>

165 <sup>1</sup>	<p>სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება</p> <p>სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება და ვადამხდელთათვის ზარალის მიყენება</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.</p>
165 <sup>2</sup>	<p>წიალით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება</p> <p>წიალით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე.</p>
165 <sup>3</sup>	<p>ცენტრალური ბიუჯეტიდან ან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდიდან გამოყოფილი, ან/და ცენტრალური ბიუჯეტის ან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის კუთვნილი ფულადი სახსრების გადარიცხვისა და გაცემის დაგვიანება</p> <p>ცენტრალური, საგანგებო ან საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტიდან, ანდა სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდიდან მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიებების, სხვა მიზნობრივი პროგრამის დასაფინანსებლად ან სხვა სპეციალური დანიშნულებით გამოყოფილი, ანდა ცენტრალური, საგანგებო ან საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტის ანდა სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის კუთვნილი ფულად სახსრების დანიშნულებისამებრ გადარიცხვის, გადაგზავნის, განაწილების ან გაცემის არასაპატიო მიზეზით დაგვიანება</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე.</p>
178	<p>სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევადი ცენზიის გარეშე სავალუტო ოპერაციების წარმოება ან მომსახურება.</p>	<p>გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით, თანამდებობის პირთა სამოცდაათი მინიმალური ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, - აღმინისტრაციულ პატიმრობას</p>

	<p>უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა ვალუტის გადამცვლელი დანებსებულების მუშაკის მიერ.</p>	<p>ვადით ოცდაათ დღემდე. გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოთხმოცობის იმალური ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, - ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.</p>
--	---	--

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებით „მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად მინიმალური ხელფასი განსაზღვრულია 20 ლარის ოდენობით, ამასთან შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანამდე, მინიმალური ხელფასთან (შრომის ანაზღაურებასთან) დაკავშირებული სხვა გადასახდელებისათვის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა (მინიმალური ხელფასი) განსაზღვრულია 40 ლარით. აქვე განსაზღვრულია რომ ბრძანების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს. სწორედ ეს საკანონმდებლო ნორმა მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების განსაზღვრის დროს.

**2.14.5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობა სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის, ფულადსაკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულისათვის**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. სისხლის სამართლის კოდექსში სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულის, კერძოდ სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის, ფულადსაკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში დანაშაულისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობა სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის, ფულადსაკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულისათვის მოცემულია ცხრილის სახით:

მუხ- ლი	შინაარსი	სასჯელის ფორმა
189	<p><b>საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა</b></p> <p>1. საავტორო უფლების ობიექტზე ავტორობის მითვისება ან თანაავტორობაზე იძულება.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთგზის.</p> <p>3. შემოსავლის მიღების მიზნით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირება ან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მათი კონტრაფაქციული ასლების უკანონო შექმნა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება ან სხვა უკანონო გამოყენება, ან/და საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების სხვა ხელყოფა, ჩადენილი დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით.</p> <p>4. ამ მუხლის შესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:  ა) ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით;  ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.</p> <p>3. ისჯება ჯარიმით თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.</p> <p>4. ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.</p>
189 <sup>1</sup>	<p><b>სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა</b></p> <p>1. გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის, სელექციური მილნევის ავტორობის მითვისება ან თანაავტორობაზე იძულება.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთგზის.</p> <p>3. წინასწარი შეცნობით სხვისი გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის,</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.</p> <p>3. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით</p>

	<p>ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის, სელექციური მილნევის შემოსავლის მიღების მიზნით უკანონო გამოყენება.</p> <p>4. ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.</p>	<p>ორ წლამდე.</p> <p>4. ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.</p>
<p>190</p>	<p><b>კანონიერი სამენარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა</b> დაუსაბუთებლად უარის თქმა სანარმოს რეგისტრაციაზე, ნებართვის ან ლიცენზიის გაცემაზე, ან და მისი ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, სანარმოს საქმიანობაზე კონტროლის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება, აგრეთვე მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.</p>
<p>191</p>	<p><b>მინასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია</b> მინასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია, სახელმწიფო მინის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯება ან და მინის გადასახადის შემცირება ან გარეგნობით ან და სხვა პირადი მოტივით.</p>	<p>ისჯება ჯარიმით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ან თანამდებობის დაკავებით, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.</p>
<p>192</p>	<p><b>უკანონო სამენარმეო საქმიანობა</b> 1. სამენარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის, ან ლიცენზიის გარეშე, ან და სანებართვო, ან სალიცენზიო პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიიღება. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად, ბ) არაერთგზის; გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამიდან ხუთ წლამდე.</p>
<p>193</p>	<p><b>ცრუმენარმეობა</b> ცრუმენარმეობა, ესე იგი სანარმოს შექმნა სამე-</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან თავისუფ-</p>

	<p>წარმო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.</p>	<p>ფულების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p>
<p>194</p>	<p><b>უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)</b></p> <p>1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შექენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა</p> <p>2. იგივე ქმედება:</p> <p>ა) ჩადენილი ჯგუფურად;</p> <p>ბ) ჩადენილი არაერთგზის;</p> <p>გ) რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება</p> <p>3. იგივე ქმედება:</p> <p>ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;</p> <p>ბ) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;</p> <p>გ) რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.</p>
<p>194.1</p>	<p><b>უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შექენა, ფლობა ან გასაღება</b></p> <p>1. წინასწარი შეცნობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შექენა, ფლობა ან გასაღება</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.</p>

	<p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:  ა)წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;  ბ)არაერთგზის;  გ)დიდი ოდენობით</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:  ა)ორგანიზებული ჯგუფის მიერ;  ბ)სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;  გ)განსაკუთრებით დიდი ოდენობით შენიშვნა:  1. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ოცდაათი ათასი ლარიდან ორმოცდაათ ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – შემოსავალი ორმოცდაათი ათასი ლარის ზევით.  2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევითა და ჯარიმით.</p>	<p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.</p>
<p>195</p>	<p><b>მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა</b></p> <p>1. მონოპოლიური საქმიანობა მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დანესებით, აგრეთვე კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის, ბაზარზე გაელენის შენარჩუნების, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევების ანდა ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის ან შენარჩუნების გზით.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:  ა)ჯგუფურად;  ბ)არაერთგზის, -</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, აგრეთვე სხვისი ნიეთის დაზიანებით, ან განადგურებით, ანდა მისი დაზიანების ან განადგურების მუქარით, თუ არ არსებობს გამოძალვის ნიშნები.</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე ჯარიმით.</p>



<p>196</p>	<p>სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება.</p> <p>1. დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების, ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება, ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, აგრეთვე, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.</p> <p>2. არარეგისტრირებულ სასაქონლო (მომსახურების) ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) არაერთგზის;</p> <p>ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ;</p> <p>გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.</p> <p>შენიშვნა: სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადებას დიდი ოდენობით ადგილი აქვს, როდესაც მათი საერთო რაოდენობა აღემატება 1000 ცალს, ხოლო მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად დანაშაული ჩადენილად ითვლება, თუ წარმოებული ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იმ საქონლის ღირებულება, რომელიც სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით, გეოგრაფიული აღნიშვნით ან რეგისტრირებული საფირმო სახელ-</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან/და გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან სამ წლამდე.</p> <p>3. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.</p>
------------	--	--

	<p>წოდებით უკანონოდ არის ნიშანდებული (მარკირებული), აღემატება 5000 ლარს.</p>	
<p>197</p>	<p><b>ფალსიფიკაცია</b></p> <p>1. ფალსიფიკაცია, ესე იგი მოტყუებით ნიეთის თვისობრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის.</p> <p>4. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.</p>	<p>1. ისჯება უჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p> <p>4. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.</p>
<p>198</p>	<p><b>ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია</b></p> <p>1. ადამიანის სიცოცხლისათვის, ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა, ან რეალიზაცია ანდა ასეთ პროდუქციასზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენება.</p> <p>2. იგივე ქმედება, რამაც საფრთხე შეუქმნა ად-</p>	<p>1. ისჯება უჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების</p>

	<p>ამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.</p> <p>3. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.</p>	<p>შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.</p>
199	<p><b>ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა</b></p> <p>ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.</p>
200	<p><b>მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა</b></p> <p>1. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:  ა) არაერთგზის;  ბ) დიდი ოდენობით;  გ) პირთა ჯგუფის მიერ;</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით</p> <p>4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:  ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;  ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლელი ამ თავით გათვალისწინებული ქმედებისათვის.</p> <p>შენიშვნა:  1. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, როდესაც აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება აღემატება ორი ათას ლარს.</p> <p>2. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარე-</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე</p> <p>4. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.</p>

	<p>ბული საქონლის ღირებულება ხუთი ათასი ლარის ზევით, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – ასეთი საქონლის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით.</p>	
<p>200<sup>1</sup></p>	<p><b>ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება</b></p> <p>1. ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:  ა) არაერთგზის;  ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;  გ) დიდი ოდენობით;</p> <p>3. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.</p> <p>4. იგივე ქმედება, ჩადენილი:  ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;  ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;  გ) ჯიშის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლელი ამ თავით გათვალისწინებული ქმედებისათვის.</p> <p>შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის დიდ ოდენობად ჩაითვლება 1000 ცალზე მეტი, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად 5000 ცალზე მეტი ყალბი აქციზური მარკის დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება.</p>	<p>1. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე</p> <p>4. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.</p>
<p>200<sup>2</sup></p>	<p><b>აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შექენა და გამოყენება ან/და სხვა პირისათვის გადაცემა</b></p> <p>1. პირის მიერ აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შექენა და გამოყენება ან/და სხვა პირისათვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქციზური მარკების ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის იმპორტიორის მიერ აქციზური მარკები საქონლზე დასატანად გადაეცემა იმპორტირებული აქციზური საქონლის მწარმოებელს.</p>	<p>1. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6 თვემდე.</p>

	<p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) არაერთგზის;</p> <p>ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;</p> <p>გ) დიდი ოდენობით.</p> <p>3. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.</p> <p>4. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;</p> <p>ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;</p> <p>გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი ამ თავით გათვალისწინებული ქმედებისათვის.</p> <p>შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის დიდ ოდენობად ჩათვლება 1000 ცალზე მეტი, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად 5000 ცალზე მეტი აქციზური მარკის მფორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შექმნა და გამოყენება ან/და მათი სხვა პირისათვის გადაცემა. აქციზური მარკების მფორად გამოყენებად ითვლება მათი ნიშანდებული საქონლიდან აძრობა და სხვა ანალოგიური სახეობის არამარკირებულ საქონელზე დატანა.</p>	<p>2. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.</p> <p>4. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.</p>
201	<p>ყალბი რეკლამა</p> <p>რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიერ მომწოდებლის განზრახ შეცდომაში შეყვანა, რამაც ნიშნულოვანი ზიანი გამოიწვია.</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.</p>
202	<p>კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება.</p> <p>1. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება მისი უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების მიზნით.</p> <p>2. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ გახმაურება ან</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით</p>

	<p>გამოყენება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია</p>	<p>სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.</p>
<p>203</p>	<p><b>პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვა.</b></p> <p>1. პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილის, მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზაციის, ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის, ან ჟიურის წევრის მოსყიდვა შეჯიბრების, ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.</p> <p>4. პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილის მიერ უკანონოდ, ფულის, ფასიანი ქალაქის ან სხვა ქონების მიღება, ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობა შეჯიბრების ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით.</p> <p>5. პროფესიული სპორტული შეჯიბრების მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის, ან ორგანიზაციის, ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქალაქის, ან სხვა ქონების მიღება, ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობა შეჯიბრების ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით.</p> <p>6. შენიშვნა: სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით განუცხადებს ხელისუფლების</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.</p> <p>4. თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p> <p>5. ისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.</p>

	ორგანოს, რომ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ რომელიმე პირს გადასცა ფული, ფასიანი ქაღალდი, ან სხვა ქონება, ანდა გაუნია მას ქონებრივი მომსახურება.	
2041.	<p>ბულალტრული აღრიცხვის წესის დარღვევა</p> <p>1. ბულალტრული აღრიცხვის განმასრუციებელი პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის შემცველი საბულალტრო დოკუმენტის შექმნა, გამოყენება ან საგადასახადო დოკუმენტის აღრიცხვა, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღების, ზეგავლენით ვაჭრობის ან ასეთი საქმიანობის დაფარვის მიზნით, —</p> <p>2. იგივე ქმედება:  ა) ჩადენილი არაერთგზის;  ბ) რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით.</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.</p>
205	უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას გადახდისუუნარობისას ქონების იმ ნაწილის განკარგვა ან დამალვა კრედიტორისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით, რომელიც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა სამეურვეო ქონებაში, აგრეთვე მეურვეობის სწორად გაძღოლის მოთხოვნათა სანიხალმდეგოდ მისი დაზიანება, გაუვარგისება ან განადგურება.	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე.
206	საბულალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გადახდისუუნარობისას. გადახდისუუნარობისას საბულალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა.	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
207	გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობისას. გადახდისუუნარობისას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ლიკვიდატორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოე-	ისჯება ჯარიმით გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების

	ბის განხრის შესახებ განცხადების შეუტანლობა.	ალკვეთით იმავე ვადით.
207 <sup>1</sup>	<p>მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეურვისათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა.</p> <p>მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადგენილი წესით მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე ინფორმაციის წარუდგენლობა, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენა.</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.</p>
208	<p>კრედიტის უკანონოდ მიღება.</p> <p>1. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის, სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება ან გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქალაღი.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა)ჯგუფურად; ბ)არაერთგზის.</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.</p>
210	<p>ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება.</p> <p>1. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის, სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება ან გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქალაღი.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა)ჯგუფურად; ბ)არაერთგზის.</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.</p>



211	<p><b>ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება</b></p> <p>ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება, რამაც გამწვანებელი მნიშვნელოვნად დააზიანა.</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.</p>
212	<p><b>ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება.</b></p> <p>1. ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასაღება.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) დიდი ოდენობით;</p> <p>ბ) ასეთი დანაშაულისათვის, მსჯავრდებულის მიერ.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.</p>	<p>1. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.</p> <p>3. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.</p>
213	<p><b>ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევა.</b></p> <p>1. განზრახ სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გარეშე ან შეჩერებული ემისიის პროსპექტით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.</p> <p>2. ემისიის პროექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.</p>
214	<p><b>საბაჟო წესის დარღვევა</b></p> <p>1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.</p> <p>3. საქართველოს საბაჟო საზღვარზე კულტურულ-</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.</p> <p>3. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ხუთმეტ წლამდე.</p>

	<p>ლი მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯარათის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა.</p> <p>4. საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევის გადატანა ან გადმოტანა.</p> <p>5. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) არაერთგზის;</p> <p>ბ) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;</p> <p>გ) საბაჟო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით.</p> <p>6. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.</p> <p>შენიშვნა: 1. ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს თხუთმეტი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს ოცდახუთი ათას ლარს.</p>	<p>ფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.</p> <p>4. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.</p> <p>5. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერთმეტ წლამდე.</p> <p>6. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.</p>
<p>215</p>	<p>საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დაუბრუნებლობა.</p> <p>საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დაუბრუნებლობა.</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.</p>

216	<p><b>საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა</b></p> <p>1. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) ჯგუფურად;</p> <p>ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ.</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p>
217	<p><b>საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა</b></p> <p>საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა მისი გადმორიცხვა საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.</p>
218	<p><b>გადასახადისათვის თავის არიდება</b></p> <p>1. დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება.</p> <p>2. იგივე ქმედება ჩადენილი:</p> <p>ა) არაერთგზის;</p> <p>ბ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით.</p> <p>შენიშვნა:</p> <p>1. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახდელი თანხა აღემატება ოცდახუთი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება სამოცდათხუთმეტ ათას ლარს.</p> <p>2. ამ მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო შემონმების შედეგებზე საგადასახადო მოთხოვნის ან საბაჟო შეტყობინების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში გადახდილი, გადავადებული ან კორექტირებული იქნება გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა.</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.</p> <p>2. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.</p>

<p>219</p>	<p><b>მომხმარებლის მოტყუება</b></p> <p>1. მომხმარებლის მოტყუება ზომაში, წონაში ან ანგარიშში, ანდა მისთვის მცდარი წარმოდგენის შექმნა საქონლის სამომხმარებლო თვისების ან ხარისხის შესახებ, აგრეთვე მისი სხვაგვარი მოტყუება მომსახურებისას, რამაც მომხმარებელი მნიშვნელოვნად დააზიანა.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;</p> <p>ბ) დიდი ოდენობით;</p> <p>გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ.</p> <p>შენიშვნა: ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება მოტყუებით მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელიც აღემატება მომხმარებლის მიერ გადასახდელი ღირებულების 20 პროცენტს.</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.</p>
<p>220</p>	<p><b>უფლებამოსილების ზოროტად გამოყენება</b></p> <p>სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.</p>
<p>221</p>	<p><b>კომერციული მოსყიდვა</b></p> <p>1. პირისათვის, რომელიც სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან განევა, რათა მან განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით, მომსყიდველის ან სხვა პირის ინტერესებისათვის.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p>	<p>1. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.</p> <p>2. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.</p>

<p>ა)ჯგუფურად; ბ)არაერთგზის.</p> <p>3. იმ პირის მიერ, რომელიც სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზების, დაპირების გადაცემის, ან განევის მოთხოვნა, ან მიღება, რათა მან განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით, მომსყიდველის ან სხვა პირის ინტერესებისათვის.</p> <p>4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა)ჯგუფურად; ბ)არაერთგზის; გ)გამოძალით.</p> <p>შენიშვნა:</p> <p>1. ის, ვინც ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მას გამოსძალეს ქონება, ან თუ მან ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს ამის შესახებ.</p> <p>2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.</p>	<p>ფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p> <p>3. ისჯება ჯარიმით თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p> <p>4. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p>
--	--



## საქართველოს ნორმატიული აქტები

### საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 7, თავი 17-18, მუხლი 123-144.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კარი 8, თავი 25, მუხლი 189-207

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თავი 12, მუხლი 153-165

### საქართველოს კანონმდებარე აქტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №379

2006 წლის 27 აპრილი ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვის ყურნალისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №272

2006 წლის 1 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1755

2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

## 2.15 საგადასახადო დავა

### 2.15.1. საგადასახადო დავის განხილვის საერთო წესი

საგადასახადო დავის დაწყების მატერიალური საფუძველია საგადასახადო ორგანოს, ან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების დარღვევა.

საგადასახადო დავის დაწყების ფორმალური საფუძველია:

ა) საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლით განსაზღვრული „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ შესრულებაზე უარი და შესაბამისი წერილობითი შესაგებლის წარდგენა ან ამ კარით განსაზღვრულ ვადაში მისი წარუდგენლობა;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის/საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის წარდგენილი, საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლით განსაზღვრული „საგადასახადო მოთხოვნა“.

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის/საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის საგადასახადო კოდექსის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გარდა იმ აქტებისა, რომლებიც ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება) წარდგენა.

ზემოთ განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს, სადავო საკითხი გაასაჩივროს ამ კარით დადგენილი წესით და აირჩიოს საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმა.

შესწორებული „საგადასახადო მოთხოვნა“ შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი არ შეესაბამება საგადასახადო დავის განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს.

### 2.15.2. საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმები და ზოგადი წესები

საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმებია:

ა) დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით;

ბ) დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ;

დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით შედგება 2 ეტაპისაგან:

ა) დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში;

ბ) დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში (შემდგომში – საბჭო).

თუ გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირ-

მა დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია მისი გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით, მას უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის ნებ-ისმიერ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში იმავე ვადაში, რომელშიც მას უფლება აქვს, გადაწყვეტილება გაასა-ჩივროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მიუხედავად იმისა, მითითე-ბულია თუ არა ამის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წარდ-გენილ საჩივარში.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი, ან სხვა ვალდებული პირი დავას იწყებს, ან დავას აგრძელებს სასამართლოში გასაჩივრებით, იგი ვალდებულია ამის თაობაზე წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს წერილობითი შეტყობინე-ბით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის მიმდინარე-ობისას, აგრეთვე „საგადასახადო მოთხოვნისა“ და საგადასახადო ორგანოს, შემო-სავლების სამსახურისა და საბჭოს გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრები-სათვის საჭირო ვადების განსაზღვრისას გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო კოდე-ქსი და მის შესაბამისად გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტების დებულებები.

საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტის გასაჩივრება ნიშნავს მის საფუძველზე გამოცემული „საგადასახადო მოთხოვ-ნის“ გასაჩივრებას და პირიქით.

საგადასახადო დავის დაწყება არ აჩერებს საგადასახადო ორგანოს გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილების მოქმედებას, გარდა საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და აუღიარებელ საგადასახადო დავალიანებაზე საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“-“ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებისა.

გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, ან სხვა ვალდებული პირის სა-ჩივარი მთლიანად, ან ნაწილობრივ არ განიხილება, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მო-სარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარე-თა მიროცების დამტკიცების შესახებ;

ბ) სასამართლოს წარმომადგენელმა იმავე მხარეებს შორის დავაზე, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;

გ) არსებობს შემოსავლების სამსახურის ან საბჭოს გადაწყვეტილება იმავე პირის მიმართ იმავე საგანზე;

დ) მიმდინარეობს საგადასახადო დავა იმავე პირის საჩივართან დაკავშირებით იმავე საგანზე;

- ე) საჩივარი შეიტანა ქმედუწუნარო პირმა;
- ვ) საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა;
- ზ) არ არსებობს დავის დაწყების ფორმალური საფუძველები;
- თ) გასულია საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა;
- ი) საჩივრის ხარვეზი არ გამოსწორდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით;
- კ) გასაჩივრებულ „საგადასახადო მოთხოვნაში“ ასახულია აღიარებული გადასახა-



დები და საგადასახადო ვალდებულებები. საჩივარი არ განიხილება ასეთი თანხების ნაწილში.

თუ მომჩივანი თავის უფლებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში იცავს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მომჩივანს ან მის წარმომადგენელს სხდომის ჩატარების დრო და ადგილი ეცნობება არსებული ტექნიკური საშუალებებით (მათ შორის, ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვა). თუ ვერ ხერხდება მომჩივანთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, დავა მათი მონაწილეობის გარეშე განიხილება.

თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის 147-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებისა და 149-ე მუხლის (გარდა 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა) მოთხოვნებს, მომჩივანს წერილობით მიეთითება მათ შესახებ და ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცემა არანაკლებ 5 კალენდარული დღისა. ამ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება. თუ ხარვეზი აღმოჩნდება დავის განხილების მიზნით ჩატარებულ სხდომაზე და შესაძლებელია მისი დაუყოვნებლივ გამოსწორება, დავის განმხილველი ორგანოს თანხმობით ხარვეზი შეიძლება გამოსწორდეს სხდომაზევე.

საჩივრის წარდგენისათვის საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მომჩივანმა საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადაში საჩივარი წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში.

საგადასახადო დავის განახლება ან/და აღიარებული „საგადასახადო მოთხოვნის“ გადახედვა შეიძლება მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოებებისა და ფაქტების წარმოდგენის შემთხვევაში, საგადასახადო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში და მხოლოდ საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებზე. ამასთანავე, დავა განახლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გამოცემისას გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, ან სხვა ვალდებული პირის მიერ მისთვის სასარგებლო გარემოებების, ან ფაქტების წარუდგენლობა მისი ბრალით არ მომხდარა.

### 2.15.3. საგადასახადო დავის დაწყების წესი

თუ საგადასახადო ორგანო მთლიანად ან ნაწილობრივ უარს აცხადებს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ შესრულებაზე, იგი ვალდებულია, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოთხოვნის წარმდგენ პირს საგადასახადო კოდექსის 46-ე მუხლით დადგენილი წესით გაუგზავნოს წერილობითი შესაგებელი. ამ ვადაში შესაგებლის გაუგზავნელობა ნიშნავს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ შესრულებაზე უარს.

თუ საგადასახადო ორგანო საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი უარს აცხადებს „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულებაზე ან არ ეთანხმება საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილი „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იგი ვალდებულია, „საგადასახადო მოთხოვნის“/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღე-

ბიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოძეგმეში საგადასახადო ორგანოს მეშვეობით გაუგზავნოს წერილობითი საჩივარი, თუ დავის დაწყების ფორმად ირჩევს მის გადაწყვეტას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, ან საგადასახადო ორგანოს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, თუ დავის გადაწყვეტის ფორმად ირჩევს სასამართლოს მიერ მის გადაწყვეტას.

საჩივრისა და მისთვის დართული მასალების ყველა გვერდი უნდა დაინომროს და საჩივრის ბოლოში, ხელის მონერამდე სიტყვიერად უნდა მიეთითოს შეესებული ფურცლების საერთო რაოდენობა.

მოდვე მხარე ვალდებულია ხელი მოაწეროს საჩივრისა და მისთვის დართული მასალების ყველა გვერდზე.

**საგადასახადო დავის დაწყების თარიღად ითვლება:**

ა) საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის/საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის 147-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შესაგებლის გაგზავნის თარიღი, ხოლო შესაგებლის გაუგზავნელობის შემთხვევაში – მისი გაგზავნის ვადის ბოლო დღე;

ბ) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისათვის 147-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული საჩივრის ან შეტყობინების გაგზავნის თარიღი.

ზემოთმოტანილი ბ) ნაწილით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა მიიჩნევა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულის პირის მიერ „საგადასახადო მოთხოვნის“ ან საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღიარებად, იგი აღსასრულებლად მიიქცევა და „საგადასახადო მოთხოვნასა“ და აღნიშნულ აქტზე ვადისა და ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

სადავო თანხისა და მასზე დარიცხული საურავის, ისევე, როგორც შესაბამისი ჯარიმის, გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითვლება საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საგადასახადო დავის დაწყების დღიდან დავის დასრულებამდე, თუმცა ძირითად თანხაზე საურავის დარიცხვა გრძელდება.

**2.15.4. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივარი და შეტყობინება**

გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივარში უნდა აღინიშნოს:

ა) უფლებამოსილი ორგანოს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საბჭოს) დასახელება და მისამართი;

ბ) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის

ვინაობა (სახელი და გვარი, დასახელება), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისამართი და საკონტაქტო საშუალებები (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების („საგადასახადო მოთხოვნის“, შესაგებლის, საგადასახადო ორგანოს უარის) გამოძვევით საგადასახადო ორგანოს დასახელება და მისამართი, ამ გადაწყვეტილების მიღების თარიღი და მოთხოვნის საგანი;

დ) „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულებაზე უარის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, ხოლო სხვა გადაწყვეტილების შემთხვევაში – მისი გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები;

ე) მისთვის დართულ მტკიცებულებათა ჩამონათვალი, რომელიც უნდა ემთხვეოდეს დართულ მტკიცებულებებს.

საგადასახადო კოდექსის 147-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ წერილობით შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) საგადასახადო ორგანოს დასახელება და ზუსტი მისამართი;

ბ) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ვინაობა (სახელი და გვარი, დასახელება), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისამართი და საკონტაქტო საშუალებები (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების („საგადასახადო მოთხოვნის“) მიღების თარიღი და მოთხოვნის საგანი.

### 2.15.5. „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულების უზრუნველყოფა

გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ „საგადასახადო მოთხოვნის“ გასაჩივრების შემთხვევაში ვალდებულია, „საგადასახადო მოთხოვნის“ მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულების უზრუნველსაყოფად, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საბანკო გარანტია ან/და ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე სათანადო თანხის შეტანის ცნობა (გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ამ თანხის განკარგვის უფლება არა აქვს ბანკისათვის შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ წერილობითი ნებართვის გაცემის გარეშე) ან/და ფინანსური რისკების დაზღვევის პოლისი ან/და თავისი ქონება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკის დასატივრთად. წარდგენილი გარანტიების საერთო ღირებულება არ უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის სადავო საგადასახადო დავალიანებაზე ნაკლები. საგადასახადო ორგანო საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის უზრუნველსაყოფად ვალდებულია, საჯარო რეესტრი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა რეგისტრაციაში გაატაროს ეს უფლება. აღნიშნული ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით და იგი საკმარისია სადავო საგადასახადო ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი 150-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ვადაში საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენს

იმევე ნაწილში აღნიშნულ უზრუნველყოფის გარანტიებს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოიყენოს „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულების უზრუნველყოფის ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები (სადავო საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში, ხოლო თუ წარმოდგენილია ნაწილობრივი უზრუნველყოფის გარანტია, — იმ ფარგლებში, რაც საქმარისია სადავო საგადასახადო დავალიანების მოცულობის შესავსებად);

ა)ყადალა დაადოს მის ნებისმიერი სახის ქონებას (მათ შორის, მოძრავ, უძრავ და არამატერიალურ ქონებას).

ბ)ყადალა დაადოს მის ნებისმიერი სახის ქონებას (მათ შორის, მოძრავ, უძრავ და არამატერიალურ ქონებას).

თუ საგადასახადო დავა გადაწყდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სასარგებლოდ, მაშინ გაუქმდება მის მიერ წარდგენილი უზრუნველყოფის გარანტიები, საგადასახადო ორგანოს მიერ დადებული ყადალა ჩაითვლება მოხსნილად, ხოლო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება — გაუქმებულად.

თუ საგადასახადო დავა არ გადაწყდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სასარგებლოდ, მაშინ მას სადავო საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღიდან დაეკისრება სადავო გადასახადისა და შესაბამისი საგადასახადო სანქციების თანხის გადახდა.

**2.15.6. საგადასახადო ორგანოს შესაგებელი**

საგადასახადო ორგანოს შესაგებელში უნდა აღინიშნოს:

ა)გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ვინაობა (სახელი და გვარი, დასახელება), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისამართი;

ბ)საგადასახადო ორგანოს დასახელება და ზუსტი მისამართი, საკონტაქტო საშუალებები (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა);

გ)„გადასახადით გადამხდელის მოთხოვნის“ მიღების თარიღი და მოთხოვნის საგანი;

დ)შესაგებლის ვაგზანის (გადაცემის) თარიღი;

ე)„გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ შესრულებაზე უარის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები;

ვ)შესაგებლისათვის დართულ მტკიცებულებათა ჩამონათვალი.

საგადასახადო ორგანოს შესაგებელს ხელს აწერს საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი/მისი მოადგილე.

**2.15.7. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის უფლებამოსილება საგადასახადო ორგანოს შესაგებლის მიღების ან დადგენილ ვადაში მისი მიუღებლობის შემდეგ.**

საგადასახადო ორგანოსაგან შესაგებლის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში მისი მოუღებლობის შემთხვევაში, ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარულ დღეში გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება

აქვს, დავა გააგრძელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული ფორმით.

დავის სასამართლოში გაგრძელების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს საგადასახადო ორგანოს იმავე ვადაში, რა ვადაშიც აქვს დავის გაგრძელების უფლება.

აღნიშნულ ვადაში საგადასახადო დავის გაუგრძელებლობა ან 152-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ცნობის წარუდგენლობა ითვლება დავაზე (მათ შორის, სასამართლოში დავაზე) უარის თქმად და აღნიშნული მოთხოვნების დაუცველად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვები მოთხოვნების დარღვევის გამო.

## **2.15.8. საგადასახადო დავის განხილვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვის მიზანია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საწყისებზე დავის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვა და გადაწყვეტა ხორციელდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. სისტემაში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ, საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლისა და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და საბჭოში, რომლის შექმნისა და ფუნქციონირების წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

## **2.15.9. საგადასახადო ორგანოს ვალდებულება საჩივრის ან „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ მიღებისას**

საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი/მისი მოადგილე ვალდებულია, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივარი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, თანდართულ მასალებთან ერთად გაუგზავნოს შემოსავლების სამსახურს.

თუ საგადასახადო ორგანო „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არ გაუგზავნის მას, ეს ნიშნავს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ შესრულებაზე უარს.

## **2.15.10. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება**

გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს, „საგადასახადო მოთხოვნა“ ან საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, საგადასახადო

დო კოდექსის 147-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს შესაგებელი (მისი მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში) და იმავე ნაწილით განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის გაუგზავნელობისას საგადასახადო ორგანოს უარი (ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში) გაასაჩივროს:

ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი საგადასახადო ორგანოს მეშვეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში და წარდგენილ საჩივარს უნდა დაურთოს დამატებითი მტკიცებულებები, მათი არსებობის შემთხვევაში;

ბ) სასამართლოში.

ზემოთ მითითებული გასაჩივრების ვადები შესაძლებელია ათვალოს განსხვავებული თარიღებიდან, უპირატესობა ენიჭება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ შესაგებლის მიღების თარიღს, მიუხედავად იმისა, დროულად გააგზავნა თუ არა შესაგებელი საგადასახადო ორგანომ.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ზემოთ დადგენილ ვადებში არ გაასაჩივრებს (მათ შორის, სასამართლოში):

ა) საგადასახადო ორგანოს „საგადასახადო მოთხოვნას“ ან შესაგებელს, „საგადასახადო მოთხოვნა“ აღიარებულად ჩაითვლება, აღსასრულებლად მიიქცევა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში „საგადასახადო მოთხოვნაზე“ ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ გაუქმებულად ჩაითვლება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში უარზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო;

ბ) საგადასახადო ორგანოს უარს, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ გაუქმებულად ჩაითვლება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში უარზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო;

გ) საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ეს ჩაითვლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღიარებად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ამ აქტზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი დარჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

**2.15.11. საგადასახადო ღირსების განხილვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ვალდებულია, საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საჩივრის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში განიხილოს იგი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და არა უგვიანეს გადაწყვეტილების მიღებიდან მე-3 სამუშაო დღისა გაუგ-

ზავნოს იგი მომჩივანს და იმ საგადასახადო ორგანოს, რომლის გადანყვეტილებაც იყო გასაჩივრებული. თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დაასკვნის, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, იგი უფლებამოსილია, გასაჩივრებული გადანყვეტილების გამოცემე საგადასახადო ორგანოს დაავალოს, განმეორებით განიხილოს და შეისწავლოს მხოლოდ სადავო საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 სამუშაო დღეზე მეტი. ამ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება.

ზემოთ მითითებული სადავო საკითხის განმეორებით განხილვისა და შესწავლის უზრუნველსაყოფად გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარება არ საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, თუ გადაშდელი თანახმაა, შემონმება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე. გადაშდელის ინფორმირებას განმეორებით შემონმების შესახებ უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში დავა განიხილება მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) მონაწილეობით. განხილვისათვის დანიშნულ დროს მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დავა მის გარეშე განიხილება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დავის განხილვის საფუძველზე უფლებამოსილია:

ა) დააკმაყოფილოს საჩივარი და გააუქმოს საგადასახადო ორგანოს გადანყვეტილება;  
 ბ) ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი და ნაწილობრივ გააუქმოს საგადასახადო ორგანოს გადანყვეტილება;

გ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადანყვეტილება შეიძლება გამოიცეს გათვალისწინებული უფლებამოსილების გაერთიანების საფუძველზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადანყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა, მომჩივნისა და საგადასახადო ორგანოს დასახელება, რომლის გადანყვეტილებაც იყო გასაჩივრებული, და დავის საგანი;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომელთა საფუძველზეც მოხდა ამა თუ იმ მტკიცებულების უარყოფა, ნორმატიული აქტები და მათი ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა იგი;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დასკვნა საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების, მის დაკმაყოფილებაზე უარის ან სადავო საკითხის განმეორებითი განხილვის შესახებ;

დ) მისი გასაჩივრების ვადა და წესი.

საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ვალდებულია, გადანყვეტილების ძალაში შესვლიდან არა უგვი-

ანეს 3 სამუშაო დღისა გადასახადის გამამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს გადანყვეტილებასთან ერთად გაუგზავნოს შესწორებული „საგადასახადო მოთხოვნა“ (თუ მოხდა მისი შესწორება).

თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 156-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში არ მიიღებს იმავე ნაწილში აღნიშნულ გადანყვეტილებას ან გადასახადის გამამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არ გაუგზავნის მას, ეს ნიშნავს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარს.

## **2.15.12. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება**

გადასახადის გამამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს, საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადანყვეტილება (ამ გადანყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში), აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უარი, თუ მან საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღო ეს გადაწყვეტილება (ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში), გაასაჩივროს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეშვეობით საბჭოში. მან წარდგენილ საჩივარს უნდა დაურთოს ამავე სამსახურისათვის წარდგენილი ყველა მასალის ასლები და დამატებითი მტკიცებულებები, მათი არსებობის შემთხვევაში;

ბ) სასამართლოში (ასეთ შემთხვევაში მოპასუხეა საგადასახადო კოდექსი 147-ე ან 151-ე მუხლში აღნიშნული საგადასახადო ორგანო).

თუ 157-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული გასაჩივრების ვადები შესაძლებელია აითვალოს განსხვავებული თარიღებიდან, უპირატესობა ენიჭება გადასახადის გამამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულ პირის მიერ გადანყვეტილების მიღების თარიღს, მიუხედავად იმისა, დროულად გააგზავნა თუ არა გადანყვეტილება შემოსავლების სამსახურმა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ვალდებულია, გადასახადის გამამხდელი/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულ პირის საჩივარი მიიღებინოს 3 კალენდარული დღის ვადაში, თანდართულ მასალებთან ერთად გაუგზავნოს საბჭოს.

თუ გადასახადის გამამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებულ პირი ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში არ გაასაჩივრებს (მათ შორის, სასამართლოში):

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადანყვეტილებას, იგი აღიარებულად ჩაითვლება, აღსასრულებლად მიიქცევა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადანყვეტილებაზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ საჩივარზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უარს, საჩივარი



გაუქმებულად ჩაითვლება, გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიიქცევა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში უარზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

### 2.15.13. საბჭო, საბჭოს სხდომა და რეგლამენტი

საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბჭოში ნებაყოფლობით სანყისებზე აგრეთვე მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის წევრები და დამოუკიდებელი ექსპერტები (მათ შორის, უცხო ქვეყნის ექსპერტები) საბჭოს წევრის სტატუსით.

საბჭო დავას თავის სხდომაზე იხილავს საჩივრის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია ჩატარდეს მოსამზადებელი სხდომა/სხდომები. თუ საბჭო დაასკვნის, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, იგი უფლებამოსილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ საგადასახადო ორგანოს დაავალოს, განმეორებით განიხილოს და შეისწავლოს მხოლოდ სადავო საკითხი საბჭოს მიერ მითითებულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 სამუშაო დღეზე მეტი. აღნიშნულ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება სამჯერ და ვადის თითოეული გაგრძელებისას – არა უმეტეს 15 სამუშაო დღით.

სადავო საკითხის განმეორებითი განხილვისა და შესწავლის უზრუნველსაყოფად გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარება არ საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, თუ გადამხდელი თანახმაა, შემონმება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე. გადამხდელის ინფორმირებას განმეორებითი შემონმების შესახებ უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანო.

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ან საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საბჭოს წევრთაგან დანიშნული პირი.

საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. დაუშვებელია ხმის მიცემისაგან თავის შეკავება.

საბჭოში დავა განიხილება მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) მონაწილეობით. განხილვისათვის დანიშნულ დროს მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დავა მის გარეშე განიხილება.

### 2.15.14. საბჭოს გადაწყვეტილება

საბჭო უფლებამოსილია დავის განხილვის საფუძველზე:

ა) დააკმაყოფილოს საჩივარი და გააუქმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება;

ბ) ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი და ნაწილობრივ გააუქმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება;

გ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი.

საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოიყენოს უფლებამოსილებების გაერთიანების საფუძველზე. საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა, მომჩივნისა და საგადასახადო ორგანოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც იყო გასაჩივრებული, და დავის საგანი;

ბ) საბჭოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომელთა საფუძველზედაც მოხდა ამა თუ იმ მტკიცებულების უარყოფა, ნორმატიული აქტები და მათი ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა იგი;

გ) საბჭოს დასკვნა საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ;

დ) მისი გასაჩივრების ვადა და წესი.

საბჭოს წევრს (როგორც გადაწყვეტილების მომხრეს, ისე მოწინააღმდეგეს) უფლება აქვს, საბჭოს გადაწყვეტილებას დაურთოს განსხვავებული მოსაზრება.

საბჭო ვალდებულია, საბჭოს გადაწყვეტილების დამონმბებული ასლი არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გაუგზავნოს, ან პირადად ჩააბაროს მხარეებს, ან მათ წარმომადგენლებს.

თუ საბჭო საგადასახადო კოდექსის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღებს იმავე ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას, ეს ნიშნავს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარს.

საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის:

ა) მომჩივნის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მე-10 კალენდარულ დღეს, თუ მან ამ ვადაში არ გაასაჩივრა იგი;

ბ) საგადასახადო კოდექსის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ვადის ამონურვიდან მე-10 კალენდარულ დღეს, თუ საბჭომ ამ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება და მომჩივანმა ამავე ვადაში არ გაასაჩივრა საბჭოს უარი.

გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა უფლებამოსილ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს საბჭოს გადაწყვეტილება 160-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ვადებში. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეა საგადასახადო კოდექსის 147-ე მუხლში ან 151-ე მუხლში აღნიშნული საგადასახადო ორგანო.

ზემოთ მითითებული ვადების დაუცველად სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

### 2.15.15. სასამართლოს მიერ საგადასახადო დავის განხილვა

გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ „საგადასახადო მოთხოვნა“, საგადასახადო ორგანოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. სასამართლოში წარდგენილი სარჩელი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.



## **საქართველოს ნორმატიული აქტები**

### **საქართველოს კანონი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი კარი 8, თავი 19-20, მუხლი 145-161

**საქართველოს კანონმდებარე აქტი**

**საქართველოს მთავრობის დადგენილება №4**

**2005 წლის 20 იანვარი ქ. თბილისი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ

**საქართველოს მთავრობის დადგენილება №65**

**2007 წლის 28 მარტი ქ. თბილისი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს ფუნქციონირების წესისა და რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

## 2.16 საგადასახადო ადმინისტრაცია

საქართველოს კანონი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის საფუძვლებს და მათი სოციალური დაცვის გარანტიებს.

სამსახურის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს.

**შემოსავლების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:**

ა) გადასახადის ან საბაჟო გადასახდელის გადამხდელისათვის მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბ) გადასახადის ან საბაჟო გადასახდელის გადამხდელისათვის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადასახადების, საბაჟო გადასახდელის, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახდელის, აგრეთვე შესაბამისი მოსაკრებლების ადმინისტრირება;

დ) გადასახადითა და საბაჟო გადასახდელით დაბეგვრის საკითხებზე კანონპროექტებისა და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ე) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული პროცედურების, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელება;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

ზ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის საქმიანობის უსაფრთხოების და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში ამ ორგანოთა თანამშრომლობის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფა;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძ-

ველზე;

ი)თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის თავიდან აცილება, გამოვლენა, წინასწარი გამოძიება და წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად სათანადო ექსპერტიზის ორგანიზება და ჩატარება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

კ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

**სამსახური ვალდებულა თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:**

ა)დაიცვას გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები;

ბ)დაიცვას საგადასახადო, საბაჟო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტები, იმოქმედოს კანონის, საგადასახადო, საბაჟო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესაბამისად;

გ)ჩატაროს განმარტებითი მუშაობა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, გამოსცეს მეთოდური და ინსტრუქციული მითითებები, სახელმძღვანელოები და ბროშურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნოს კონსულტაციები და განმარტებები;

დ)გააკონტროლოს გადასახადებისა და საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშების სისწორე, სისრულე და დროულად გადახდა, ჩატაროს საგადასახადო შემონმებები საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით დადგენილი წესით და ამ შემონმებათა ჩატარებისას გააცნოს გადამხდელს მისი უფლებები და ვალდებულებები;

ე)დაიცვას გადამხდელის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოება;

ვ)განიხილოს გადამხდელის ნერილები, საჩივრები და შეკითხვები, მიანოდოს მას ინფორმაცია მოქმედი გადასახადების/გადასახდელების, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, აგრეთვე გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე;

ზ)უზრუნველყოს გადამხდელთა დროულად აღრიცხვა;

თ)შეასრულოს ამ კანონით, საგადასახადო, საბაჟო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**სამსახური უფლებამოსილია:**

ა)თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საგადასახადო, საბაჟო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული საქმიანობა;

ბ)მის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის, საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის ან სხვა სამართალდარღვევის გამოვლენის, შესწავლის, აღკვეთის ან წინასწარი გამოძიების მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დახმარებით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა,

როდესაც დახმარება სავალდებულოა;

გ) მის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის, საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის ან სხვა სამართალდარღვევის შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობისას გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე, 245-ე, 247-ე, 248-ე და 249-ე მუხლებით განსაზღვრული უზრუნველყოფის ზომები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებების გამოყენების უფლება აქვთ ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილებების მქონე მოსამსახურეებს, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებების გამოყენებისა — საბაჟო და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ მოსამსახურეებს;

დ) თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინებში და მოქალაქეთა კუთვნილ სათავსებში, სანარმოთა, დანესებულებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულოების და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შენობა-ნაგებობათა გარდა, რომლებიც სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეუხებლობით) დანაშაულის აღსაკვეთად ან/და იმ პირის დასაცავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის ან სამართალდარღვევის გამოკვლევისა და აღკვეთის მიზნით, სამსახურის უფროსის ბრძანებით, დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალეზე და ტერიტორიულ წყლებში შეიძლება მოეწყოს შემონმების პროცედურები. ამ დროს სამსახურის უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იმუნიტეტის მქონე პირებისა, დიპლომატიური, საკონსულო და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობებისა), მოსთხოვოს მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმცლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება. შესაბამისი პირის და სატრანსპორტო საშუალების დიპლომატიური უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ფუნქციების მქონე თანამდებობის პირების მიერ საგადასახადო შემონმების ინიცირებისას ასეთ შემონმებას ატარებს მხოლოდ საგადასახადო ინსპექტორი საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და „სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში.

სამსახური არის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით საფუძველზე სამსახურის ტერიტორიული ორგანოები და სტრუქტურული ქვედანაყოფები, აგრეთვე სამსახური უფლებამოსილი არიან განხორციელონ საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საგადა-

სახადო ან/და საბაჟო ორგანოების ფუნქციები, აგრეთვე ამ კანონით განსაზღვრული ცალკეული ფუნქციები.

სამსახური შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კანონით, მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნას სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უფლებამოსილია, თავისი საქმიანობა სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განახორციელოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სამსახური ყოველი საგადასახადო წლის დამთავრებიდან 3 თვის ვადაში აქვეყნებს ანგარიშს, რომელშიც აღინიშნება შესაბამისი ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებზე. ანგარიშში აღინიშნება ყველა პირი, რომლის აღიარებული საგადასახადო დავალიანება აღემატება 100 000 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება, რომლის თანახმადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს; ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას.

**სამინისტროს ფუნქციებია:**

საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ქვეყნის საფინანსო სისტემის მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება;

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების ფარგლებში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად დებულებათა და საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტების ძირითად მონაცემთა და მიმართულებათა ჩამოყალიბება, აგრეთვე შესაბამისი საფინანსო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება.

წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის, ასევე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება და საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში მისი წარდგენა მთავრობისათვის;

სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების უზრუნველყოფა, ბიუჯეტის დაბალანსები-

სათვის საბიუჯეტო დეფიციტის ზღვრული სიდიდის გაანგარიშება და მისი შევსების წყაროების განსაზღვრა;

სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალდებულებათა რეგისტრაცია დადგენილი წესის მიხედვით; საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულების დამონშების შესაბამისად გადახდა დადგენილი წესის მიხედვით; უკან დასაბრუნებელ სახელმწიფო შემოსულობათა დაბრუნების პროცესის მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;

საბიუჯეტო კლასიფიკაციის სტრუქტურისა და ძირითადი შემადგენლობის დამტკიცება, მათში ცვლილების შეტანა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით;

კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ანგარიშგებისა და ფორმის დადგენა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების წარდგენის წესისა და ვადების დადგენა;

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების პერიოდული (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წლიური) ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის წესის, ვადებისა და ფორმების შემუშავება;

საქართველოს ეროვნულ ბანკთან, როგორც ფისკალურ აგენტ ბანკთან ერთად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი პარამეტრების დაცვაში მონაწილეობა;

საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, შესაბამისი პროგრამების შედგენა, კონცეფციების ჩამოყალიბება და მათი განხორციელების ორგანიზება; საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების სრული მობილიზების უზრუნველყოფა გადასახადების აკრეფის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ამ მიზნით სათანადო წინადადებათა მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება;

საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მთავრობის დადგენილებების, განკარგულებების, პრემიერ-მინისტრის ბრძანებების შესრულების ორგანიზება და კონტროლი;

საგადასახადო, საბაჟო და საფინანსო-საბიუჯეტო კანონმდებლობის აღსრულებისა და გამოყენების ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების შედგენა და დადგენილი წესით მათი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;

საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობით მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და პროგნოზირება, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარ-



ლვევათა კოდექსის შესაბამისად საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გამოვლენა-აღკვეთა, თავიდან აცილება, წინასწარი გამოძიება; საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება; ამ სფეროში დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად შესაბამის წინადადებათა მომზადება;

არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზირება და მათი შესრულების მიმდინარეობის ანგარიშების მომზადება;

სახელმწიფო საგარეო და საშინაო პირდაპირი და პირობითი (გარანტირებული) ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

სახელმწიფოს მიმართ საქართველოს იმ ეკონომიკური აგენტების ფინანსურ ვალდებულებათა აღრიცხვა, რომლებიც სარგებლობენ საგარეო წყაროებიდან მიღებული სახელმწიფო საკრედიტო რესურსებით ან კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიებით, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

სახელმწიფო ვალის ფორმირების, კერძოდ, სახელმწიფო ვალად აღიარებასთან დაკავშირებული ურთიერთპრეტენზიების საკითხთა განხილვაში მონაწილეობა;

სხვადასხვა ვადიანი სახელმწიფო სასესხო ვალდებულების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის ძირითადი პირობების შემუშავება, ემისიების განხორციელება და მის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულება;

სახელმწიფოს შიდა, რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვა; სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საჭიროების შემთხვევაში სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) რესტრუქტურისა და თაობაზე წინადადებების მომზადება;

აქციზური მარკების სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება, აქციზური მარკების რეალიზაცია, მარკების გამოყენებისათვის მკაცრი კონტროლის დაწესება, სამომხმარებლო ბაზარზე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის მონიტორინგი, დასაბეჭდი აქციზური მარკების რაოდენობის განსაზღვრა და მათი ბეჭდვის ორგანიზება;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიის შემუშავება, სამინისტროების, სხვა მხარჯავი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმიანობის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა; ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების ფორმების, ნორმებისა და წესების შემუშავება;

საიმპორტო საქონლისათვის გრანტის ან ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება; საქართველოს მიერ მიღებული გრანტების, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების, სახელმწიფო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა და სათანადო საჯარო რეესტრების წარმოება;

ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მქონე საქონლის მონეტიზაციის პროგრამების განხილვა, შეთანხმება;

უცხოური საინვესტიციო რესურსების მოზიდვაში მონაწილეობა და ქვეყანაში ინ-

ვესტიციური პოლიტიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტების განხორციელების კოორდინაცია და ზედამხედველობა;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების შესაძლო ფინანსური შედეგების თაობაზე დასკვნის მომზადება; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის უფლების ლიცენზიის (ნებართვის) გაცემა და ლიცენზიის (ნებართვის) პირობების შესრულების კონტროლი;

საქართველოს ტერიტორიაზე ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების სახელმწიფოებრივი რეგულირება; კანონმდებლობით დადგენილი წესით აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების თითოეული სახეობის ნებართვის გაცემა, ნებართვის მოქმედების შეჩერება, განახლება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება და საქმიანობის კონტროლი, აგრეთვე ამ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; კანონმდებლობით დადგენილი წესით ლატარიის ბილეთების, ტოტალიზატორისა და სხვა მომგებიან თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების (ნივთის) ლეგალიზაცია, განაღდებული და გაუქმებული ფასიანი ქალაღდების, ლატარიის ბილეთების, ტოტალიზატორისა და სხვა მომგებიან თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების (ნივთის) ლირებულების მქონე და მკაცრი აღრიცხვის ბლანკეტის (ფორმების, დოკუმენტების) ექსპერტიზა და უტილიზაცია;

კანონმდებლობით დადგენილი წესით ვადავადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურისა და პროცესში მონაწილეობა, შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება;

კანონმდებლობით დადგენილი წესით მკაცრი აღრიცხვის ფორმების, მათი დამზადების, შენახვისა და გამოყენების საკითხთა მართვა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის დამტკიცება, ფორმების სახის შეთანხმება და რეგისტრაცია;

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სანარმოების მიერ მიღებული წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე წარმოდგენილ წინადადებათა განხილვა-შეთანხმება;

კანონმდებლობით დადგენილი საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროსთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციითა განხორციელება;

იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა სახელმწიფო კონტროლი, რომელთა მკონტროლებელ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, აგრეთვე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მუშაობაში.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის თანახმად საქართველოსათვის სავალდებულო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრულების ფინანსური საბიუჯეტის გადანაცვება;

**სამინისტროს სისტემაში შედის:**

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;

ბ) აქტარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;  
სამინისტროს სისტემაში შექმავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებია:

- ა) გენერალური ინსპექცია;
- ბ) შემოსავლების სამსახური;
- გ) სახაზინო სამსახური (სახაზინო დეპარტამენტი);
- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
  - ა) საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი;
  - ბ) იურიდიული დეპარტამენტი;
  - გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
  - დ) მინისტრის აპარატი;
  - ე) საბიუჯეტო დეპარტამენტი;
  - ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი;
  - ზ) ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი;
  - თ) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი;
  - ი) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის №170 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის, საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ“ მიხედვით:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების, და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

სამსახური (სამსახურის უფლებამოსილი მოსამსახურე) თავის კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლს;

ბ) ორგანიზაციას უწევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადების, აგრეთვე სხვა კანონებით განსაზღვრული და მის კომპეტენციაში შემავალი გადასახადელების ადმინისტრირებას;

გ) ახორციელებს გადამხდელთა საგადასახადო და საბაჟო კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო და სხვა კონტროლს;

დ) ახორციელებს ტერიტორიული ორგანოებისა და სპეციალიზირებული სტრუქტუ-

რული ქვედანაყოფების საქმიანობის მართვას, კოორდინაციას და ზედამხედველობას; ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრული დადგენილებებისა და ბრძანებების პროექტებს და მეთოდურ მითითებებს, აგრეთვე, კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს საგადასახადო და საბაჟო სფეროში, სისხლის სამართლის სფეროში კანონპროექტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებასა და განხილვაში;

ვ) დადგენილი წესით მონაწილეობს სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს;

ზ) ახდენს სამსახურის სისტემაში კადრების შერჩევასა და განაწილებას, ახორციელებს ღონისძიებებს კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებით;

თ) მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან;

ი) იღებს გადაწყვეტილებებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით მის ქვემდებარებას მიკუთვნებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, ცვლილებების შეტანის, გაუქმების, მოქმედების შეჩერების და განახლების თაობაზე;

კ) იხილავს საიმპორტო საქონლისათვის გრანტის ან ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების საკითხს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

ლ) აწარმოებს საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის საქმეებს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ სამართალდარღვევებთან და დანაშაულებთან დაკავშირებით;

მ) უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულთა გამოვლენას, გახსნას და აღკვეთას და ამ მიზნით:

მ.ა) ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, იყენებს ფიზიკურ იძულებას კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში;

მ.ბ) ატარებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, გამოითხოვს მოსამართლის ბრძანებას კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით;

მ.გ) წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს შესაბამის ექსპერტიზას;

ნ) დანაშაულისა თუ სხვა სამართალდარღვევის შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობისას აჩერებს და ათვალთვრებს სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე ამოწმებს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ საბუთებს, ახდენს პირის (საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების) დაკავებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების შესაბამისად;

ო) შეიმუშავებს ერთობლივ ღონისძიებებს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად;

პ) სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებასთან დაკავშირებით იძახებს ფიზიკურ პირს, სთხოვს ახსნა-განმარტებას და საქმესთან (მასალებთან) დაკავშირებულ საჭირო დოკუმენტებს;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

**სამსახურის უფროსი:**

ა) წარმოადგენს სამსახურს ან უფლებამოსილებას ანიჭებს სამსახურის წარმომადგენლობაზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამსახურის საქმიანობას, უზრუნველყოფს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

გ) აწინააღმდეგებს ფუნქციებს სამსახურის უფროსის მოადგილეებს შორის, კოორდინაციას უწევს მათ მუშაობას, განსაზღვრავს სამსახურის მოსამსახურეთა ფუნქციებსა და მათი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხებს;

დ) უშუალოდ, ხოლო დელეგირების შემთხვევაში – სამსახურის მოხელეების, ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით წყვეტს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

ე) გამოსცემს მეთოდურ მითითებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა სამსახურის საჯარო მოსამსახურეთათვის, ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას, უზრუნველყოფს და ახორციელებს სამსახურის მოსამსახურეთა წახალისებასა და დისციპლინურად დასჯას;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს, რომელთა დანიშნვისა და განთავისუფლების კომპეტენციაც არ გააჩნია საქართველოს ფინანსთა მინისტრს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების საფუძველზე;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს სპეციალურ ნოდებს და შუამდგომლობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე თანამშრომლებისათვის შესაბამისი სპეციალური ნოდების მინიჭების თაობაზე;

ი) მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს სამსახურის ცენტრალური აპარატის, ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების სტრუქტურას;

კ) ბიუჯეტით განსაზღვრული წლიური ხელფასის ფონდისა და სამტატო რიცხოვნების ფარგლებში შეიმუშავებს და ამტკიცებს სამსახურის ცენტრალური აპარატის, ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების სამტატო ნუსხას;

ლ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს წინადადებებს შემოსავლების სამსახურის სამსახურის გავლის საკითხების გადანყვევის შესახებ და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების თაობაზე;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განკარგავს სამსახურისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს, პასუხისმგებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვასა და მიზნობრივად გამოყენებაზე;

ნ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის უფროსის

სათათბირო ორგანოს და განსაზღვრავს მის რიცხვონობას და პერსონალურ შემადგენლობას;

ო) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებაზე;

პ) კომპეტენციის ფარგლებში ძალადაკარგულად ცნობს სამსახურის შესაბამისი მოსახურების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან მიზანშეწონილ გადაწყვეტილებებს;

ჟ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამტკიცებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

რ) ახორციელებს კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**სამსახურის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:**

- ა) სამსახურის უფროსის აპარატი;
- ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- გ) იურიდიული დეპარტამენტი;
- დ) მომსახურების დეპარტამენტი;
- ე) მეთოდოლოგიის დეპარტამენტი;
- ვ) საბაჟო კონტროლის დეპარტამენტი;
- ზ) სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი;
- თ) ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის დეპარტამენტი.

**სამსახურის განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფებია:**

- ა) საგამოძიებო დეპარტამენტი;
- ბ) სპეციალური დანიშნულების რაზმი;
- გ) აუდიტის დეპარტამენტი.

**სამსახურის ტერიტორიული ორგანოებია:**

- ა) აფხაზეთის საგადასახადო ინსპექცია;
- ბ) მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია;
- გ) თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);
- დ) ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);
- ე) ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);
- ვ) რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);
- ზ) ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);
- თ) გორის საგადასახადო ინსპექცია;
- ი) თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);
- კ) ახალციხის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);
- ლ) ცხინვალის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია);
- მ) გურუის საგადასახადო ინსპექცია.

საგამოძიებო დეპარტამენტის, სპეციალური დანიშნულების რაზმის და აუდიტის დეპარტამენტის, როგორც განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით.

- სამსახურის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:
- ა)სამსახურის უფროსის აპარატი;
  - ა.ა)საორგანიზაციო სამმართველო;
  - ა.ბ)სატელეფონო და ვიდეომონიტორინგის ცენტრი;
  - ბ)ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
  - ბ.ა)საფინანსო სამმართველო;
  - ბ.ბ)კადრების სამმართველო;
  - ბ.გ)სამეურნეო სამმართველო;
  - ბ.დ)საქმისწარმოების სამმართველო;
  - გ)იურიდიული დეპარტამენტი;
  - გ.ა)ექსპერტიზის სამმართველო;
  - გ.ბ)სასამართლო დავების სამმართველო;
  - გ.გ)საჩივრების სამმართველო;
  - დ)მომსახურების დეპარტამენტი:
  - დ.ა)აქციზური მარკების სამმართველო;
  - დ.ბ)არაპირდაპირი გადასახადის სამმართველო;
  - დ.გ)გადამხდელთა მომსახურების სამმართველო;
  - დ.დ)სათამაშო ბიზნესის რეგულირების სამმართველო;
  - დ.ე)გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარების სამმართველო;
  - ე)მეთოდოლოგიის დეპარტამენტი:
  - ე.ა)დაბეგვრის მეთოდოლოგიის სამმართველო;
  - ე.ბ)საბაჟო პროცედურების მეთოდოლოგიის სამმართველო;
  - ე)საბაჟო კონტროლის დეპარტამენტი:
  - ვ.ა)საბაჟო დამუშავების ოპერაციების მონიტორინგის სამმართველო;
  - ვ.ბ)საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილებაზე ზედამხედველობის სამმართველო;
  - ვ.გ)ექსპერტინარული, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო;
  - ვ.დ)სპეციალური საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო;
  - ზ)სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი:
  - ზ.ა)განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო;
  - ზ.ბ)სპეციალურ გამოკვლევათა სამმართველო;
  - თ)ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის დეპარტამენტი:
  - თ.ა)რისკების მართვის სამმართველო;
  - თ.ბ)სტატისტიკის და ანალიზის სამმართველო;
  - თ.გ)ადმინისტრირების ღონისძიებების სამმართველო.
  - საორგანიზაციო სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:
  - ა)პროგნოზით გათვალისწინებული ღონისძიებების, უცხო ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების უმაღლესი და მაღალი რანგის ოფიციალური დელეგაციების ვიზიტების, შემოსავლების სამსახურის მიერ გასამართი ღონისძიებების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, სამსახურის ოფიციალური დელეგაციების (თანამშრომელთა) უცხოეთში მივლინების ორგანიზება;

ბ) შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინაცია;  
გ) საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობის წარმართვა; სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება; სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ოფიციალური შეტყობინების, განცხადების და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება;

დ) საჯარო ინფორმაციის გაცემის ორგანიზება;  
ე) სამსახურის ხელმძღვანელობის თათბირების ორგანიზება, თათბირების ოქმების წარმოება, საოქმო დავალების შესრულების ვადების კონტროლი;

ვ) მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;  
ზ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება. სატელეფონო და ვიდეომონიტორინგის ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ორგანიზაციებისათვის კონსულტაციების განწევა საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე სატელეფონო და ელექტრონული კომუნიკაციების (ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი) მეშვეობით;

ბ) გეამბდეელთათვის და დანტერესებული პირებისათვის ინფორმაციების მიწოდება საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის საკითხებზე საინფორმაციო კომუნიკაციების საშუალებებით (ბროშურები, სამახსოვროები, სხვა ბეჭდვითი გამოცემები, ინტერნეტ-საშუალებები, სატელევიზიო გადაცემები);

გ) დანტერესებული პირებისათვის კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციების მიწოდება სამსახურის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ანალიტიკური მასალების მომზადებაში მონაწილეობა; ე) საბაჟო და საგადასახადო მომსახურების მიმდინარე საქმიანობის ონლაინ რეჟიმში კოორდინაცია და მუდმივი მონიტორინგის განხორციელება;

ვ) მონიტორინგის შედეგების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში რიგების აღმოფხვრის, საბაჟო და საგადასახადო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეაგირება; გამოვლენილი დარღვევების შესახებ სამსახურის ხელმძღვანელობის ინფორმირება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება. საფინანსო სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამსახურის სისტემის წაერთი ბიუჯეტის პროექტის მომზადება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენა;

ბ) წლიური საბიუჯეტო კანონით, სამსახურის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების მიზნით, გამოყოფილი ფულადი სახსრების მართვა;

გ) საშტატო ნუსხის პროექტის მომზადება და ხელმძღვანელისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის ხარჯთაღსხის შესრულების პერიოდული ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;



- ე)სამსახურის სისტემის ფინანსური და მატერიალური აქტივებისა და პასივების აღრიცხვა-ანგარიშების წარმოება;
- ზ)საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე; სამსახურის ბიუჯეტის ხარვეზითი ნაწილის შესრულება;
- თ)კონტრაქტური და წლიური საფინანსო, სტატისტიკური, აგრეთვე სამსახურის წაერთი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების მომზადება და მათი დროულად წარდგენა;
- ი)მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ორგანიზება და სოციალური დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა;
- კ)სააქენსიო საბუთების გაანგარიშება წელთა ნამსახურების მიხედვით;
- ლ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.
- კადრების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**
- ა)დანერგულების შინაგანანესის შემუშავება და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მონაწილეობით მის განხორციელებაზე კონტროლის განევა. წარდგინების შესაბამისად დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტების მომზადება;
- ბ)დადგენილი წესის შესაბამისად სისტემის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, საჭიროებისამებრ მოსამსახურეთა შრომის ნიგნაკებში შესაბამისი ჩანაწერების შეტანა;
- გ)წარდგინების საფუძველზე, დადგენილი წესის შესაბამისად, მოსამსახურეთა დანიშვნის, განთავისუფლებისა და გადაადგილების თაობაზე სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებების) პროექტების მომზადება;
- დ)დადგენილი წესის შესაბამისად, სამსახურის სისტემის მოსამსახურეთათვის სახელმწიფო სპეციალური ნოდების მინიჭების თაობაზე წინადადებების მომზადება;
- ე)სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით სისტემის მოსამსახურეთათვის დადგენილი წესით კონკურსის და ატესტაციის ჩატარების ორგანიზება, დადგენილი წესის შესაბამისად პრაქტიკისა და სტაჟირების გაელასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება; სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის სასწავლო ცენტრში სამსახურის მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადების (კვალიფიკაციის შეცვლა) და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის საკითხების კოორდინაცია.
- სამეურნეო სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**
- ა)სამსახურის სისტემაში ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განაწილება, კონტროლი და ცენტრალურ აპარატში ინვენტარიზაციის ჩატარების უზრუნველყოფა;
- ბ)სამსახურის სისტემის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა და სანავის გაცემა განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში;
- გ)სამსახურის სისტემის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- დ)ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით კაპიტალური და მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ზედამხედველობა;
- ე)სასაწყობო მეურნეობის წარმოება;
- ვ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**საქმისწარმოების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა)სამსახურში საქმისწარმოების ორგანიზება და კონტროლი; შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია, ზემდგომი ორგანოებისა და სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლი; შესრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვა და ორგანიზება;

ბ)სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და დავალებების რეგისტრაცია, მათი შესრულების ორგანიზების უზრუნველყოფა, განუვლი მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციის მომზადება სამსახურის უფროსისათვის;

გ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება. ექსპერტიზის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა)კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების სამსახურში შემუშავებული ან სხვა სახელისუფლო ორგანოებიდან გადმოგზავნილი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზის წარმოება;

ბ)სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადების ორგანიზება;

გ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება. სასამართლო დავების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა)კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე სამსახურის ინტერესების წარმომადგენლობა სასამართლო და სხვა სახის დავებში;

ბ)სასამართლო და სხვა სახის დავების წარმოშობის მიზეზების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

გ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება. საჩივრების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა)სამსახურში შემოსული საჩივრების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;

ბ)სათანადო ინფორმაციის მომზადება საჩივრების განსახილველად დანიშნულ სხდომებზე გასატანად;

დ)დავების განმხილველი სხდომების ორგანიზება და სხდომის ოქმების წარმოების უზრუნველყოფა;

დ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება. აქციზური მარკების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა)კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტურობის ანალიზის უზრუნველყოფა და შესაბამისი ცვლილებების და დამატებების პროექტების მომზადება;

ბ)აქციზური მარკების მიღებისა და გაცემის ორგანიზება, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და კომპეტენციის ფარგლებში ანალიტიკური მასალების მომზადებაში მონაწილეობა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მუქდავ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე ზედამხედველობა;

გ)წინადადებების მომზადება აქციზური მარკების დამცავი ნიშნებისა და დიზაინის სრულყოფისათვის;

დ)საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებისათვის კონსულტაციის განევა აქცი-

ზური მარკების გამოყენების, კონტროლისა და დამცავი ნიშნების გაყალბების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დაეალებების შესრულება. არაპირდაპირი გადასახადის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის და განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობის ანალიზის უზრუნველყოფა და შესაბამისი ცვლილებების და დამატებების პროექტების მომზადება;

ბ) საგადასახადო ორგანოების უზრუნველყოფა ანგარიშ-ფაქტურებით და დღგ-ის გადამხდელის სარეგისტრაციო სერთიფიკატებით. წინადადებების მომზადება და დღგ-ით დაბეგვრაზე შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სპეციალური დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა-სერთიფიკატების გაცემა; კომპეტენციის ფარგლებში ანალიტიკური მასალების მომზადებაში მონაწილეობა;

გ) წინადადებების მომზადება მკაცრი აღრიცხვის ბლანკების და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების ბეჭდვის ორგანიზებაზე და მათი გაცემის უზრუნველყოფა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დაეალებების შესრულება. გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ორგანიზების პროცესის კოორდინაცია. წინადადებების და მეთოდური მითითებების მომზადება;

ბ) დადგენილი წესით სანარმოთა (მათ შორის ინდივიდუალურ სანარმოთა), არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციისა და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის ერთიანი სახელმწიფო (მათ შორის სამეწარმეო) რეესტრების წარმოების უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა;

გ) უცხოური და საერთაშორისო სანარმოების და ორგანიზაციების საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის ძირითადი პრინციპების შემუშავება;

დ) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის სრულყოფის მიზნით ურთიერთობების დამყარება სათანადო ორგანოებთან და მათგან ინფორმაციების მიღება, მისი შედარება გადამხდელთა სარეგისტრაციო ბაზებთან და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ზომების მიღება მათ აღმოსაფხვრელად;

ე) არსებული პრაქტიკის განზოგადება სახელმწიფო (საგადასახადო) რეგისტრაციის შესახებ კანონმდებლობის გამოყენებაზე, საანგარიშგებო და სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება და შესაბამისი წინადადებების მომზადება ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის და განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობის ანალიზის უზრუნველყოფა და შესაბამისი ცვლილებების და დამატებების პროექტების მომზადება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო და საგადასახადო ორგანოების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი. დადგენილ ვადებში გადა-

მხედელთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელება საგადასახადო ორგანოების ყრილობი, მათი საქმიანობის გაანალიზება, პრაქტიკული დახმარების განევა საგადასახადო ორგანოებისათვის;

თ)ბანკის ან საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ უცხოური სანარმოსათვის გახსნილ საბანკო ანგარიშებზე მონოდებული ინფორმაციების დამუშავება და შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინფორმირება;

ი)მომხმარებლებთან ნალდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატების მოდლებების სახელმწიფო რეესტრის წარმოება და რეგისტრაციის პროცესის ორგანიზება;

კ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**სათამაშო ბიზნისის რეგულირების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა)კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ბ)საქართველოს ტერიტორიაზე ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების სახელმწიფოებრივი რეგულირება;

გ)კანონმდებლობით დადგენილი წესით აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების თითოეულ სახეობაზე ნებართვის გაცემა, ცვლილების შეტანა, გაუქმება, მოქმედების შეჩერება, განახლება და კანონით დადგენილი წესით ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი, აგრეთვე ამ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

დ)ლატარიის ბილეთებისა და სხვა მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების/ნივთის (გარდა ტოტალიზატორის ბილეთებისა) ლეგალიზაცია, განაღდებული და გაუქმებული ლატარიის ბილეთებისა და სხვა მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების/ნივთის (გარდა ტოტალიზატორის ბილეთებისა) და ღირებულების მქონე ბლანკების (ფორმების, დოკუმენტების) ექსპერტიზა და უტილიზაცია;

ე)შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული და სპეციალიზირებული ორგანოებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიღება, გაანალიზება და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ვ)შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობისათვის პერიოდულად სათანადო ანგარიშის წარდგენა;

ზ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა)კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ბ)საიმპორტო საქონლისათვის გრანტის ან ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების პროექტის მომზადება;

გ)გრანტით და ჰუმანიტარული დახმარებით იმპორტირებული საქონლის აღრიცხვა; დ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**დაბეგვრის მეთოდოლოგიის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა)კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაუო კანონმდებლობის სრულყო-

ფაზე წინადადებების და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;  
 ბ) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში მეთოდ-  
 ოლოგიური ერთიანობის დაცვის უზრუნველყოფა შემუშავებული ინსტრუქციების,  
 განმარტებების და რეკომენდაციების ნაწილში;

გ) კომპეტენციის ფარგლებში გადამხდელთა დაბეგვრასთან და საგადასახადო/სა-  
 ბაჟო სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ინსტრუქციის პროექტების, მეთოდ-  
 ღური მითითებების და სხვა აქტების, აგრეთვე საგადასახადო დეკლარაციების და გაან-  
 გარიშებების სხვა ფორმების (მათ შორის საჯარო მოხელეთა დეკლარაციების) და მათი  
 შევსების წესების შემუშავება;

დ) შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი გადასახადებისა და მო-  
 საკრებლების დეკლარაციების კუთხით საგადასახადო ორგანოთა საქმიანობის მეთოდ-  
 ოლოგიურად უზრუნველყოფა;

ე) სხვა სახელმწიფოებთან ორმაგი დაბეგვრის შესახებ ხელშეკრულების პროექტბ-  
 ის მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობა. საერთაშორისო ხელშეკრულების  
 გამოყენების საკითხებზე ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შე-  
 მუშავება კომპეტენციის ფარგლებში.

ვ) წარმოდგენილი ანგარიშების ფორმების გაანალიზება და გამოკვეთილი ტენდენ-  
 ციების განზოგადება კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან  
 დაკავშირებით გადამხდელებისაგან, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებიდან და სხვა  
 უწყებებიდან სამსახურში შემოსულ წერილებზე პასუხების მომზადება და დასმულ სა-  
 კითხებზე ერთიანი მიდგომის გამომუშავება;

თ) საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების ვადის შეცვლის, რესტრუქტურ-  
 იზაციის და დავალისაგან ჩამოწერის, საგადასახადო ვალდებულების შესრულების  
 უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ სამართლებრივი აქტების და მეთოდური რე-  
 კომენდაციების პროექტების მომზადება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.  
 საბაჟო პროცედურების მეთოდოლოგიის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებ-  
 ბის და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო ორგანოებში მეთოდოლოგიური ერთიანობის  
 დაცვის უზრუნველყოფა შემუშავებული ინსტრუქციების, განმარტებების და რეკომენ-  
 დაციების ნაწილში;

გ) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირე-  
 ბით გადამხდელისაგან, საგადასახადო ორგანოებიდან და სხვა უწყებებიდან სამ-  
 სახურში შემოსულ წერილებზე პასუხების მომზადება და დასმულ საკითხებზე ერთიანი  
 მიდგომის გამომუშავება;

დ) საბაჟო პროცედურების, აგრეთვე საბაჟო ორგანოების და მათი სტრუქტურული  
 ერთეულების მუშაობის ტექნოლოგიური სქემების შემუშავება და მათი სრულყოფა.  
 სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამისი ქვედანაყოფების და სამსახურის ტერ-  
 იტორიული და სპეციალიზირებული ორგანოების მიერ წინასწარი ოპერაციების, სა-  
 ბაჟო პროცედურების განხორციელებისას საბაჟო კანონმდებლობის (მათ შორის, საერ-

თაშორისო ხელშეკრულებების) ნორმათა გამოყენების პრაქტიკის (პრაქტიკული საქმიანობის, მისი ამსახველი დოკუმენტების და მონაცემების) შესწავლა, ხოლო შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე შესაბამისი რეკომენდაციებისა და პროექტების შემუშავება;

ე)პარამონიზირებული სისტემების და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის საკითხებზე მუშაობა, პარამონიზირებული სისტემის ცვლილებების სისტემატიზაციის და ამ ცვლილებებთან სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისობაში მოყვანის, აგრეთვე ამ სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი რეკომენდაციების და წინადადებების წარდგენა;

ვ)საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საკითხებზე მუშაობა, აღნიშნული სფეროს მომწესრიგებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიღების და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ინფორმაციის სისტემატიზაცია, ამ სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი რეკომენდაციების და წინადადებების წარდგენა;

ზ)ამ პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და არსებული სამართლებრივი აქტების სრულყოფაზე წინადადებების შემუშავება;

თ)საბაჟო საქმის (მათ შორის, საერთაშორისო საბაჟო თანამშრომლობის) მომწესრიგებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთების, ასევე ამ ხელშეკრულებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის წარმართვა;

ი)წინადადებების შემუშავება საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების, კონტროლის მეთოდების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის თაობაზე;

კ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება. **საბაჟო დამუშავების ოპერაციების მონიტორინგის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა)საბაჟო დამუშავების ოპერაციების მონიტორინგი და ზედამხედველობა; საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებისას საბაჟო კონტროლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესის მონიტორინგი;

ბ)რისკის მართვის სისტემის საფუძველზე შერჩეული საბაჟო კონტროლის ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება, საბაჟო კონტროლის განმარტაციულელებელ პირებზე ზედამხედველობა, შესაძლო არასასურველი პრაქტიკის გამოვლენა და მათი აღკვეთის მიზნით ღონისძიებების შემუშავება;

გ)საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების წარმართვისას საქონლის მესაკუთრის ან/და მფლობელის მიერ საბაჟო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტაციის შერჩევა და ამ დოკუმენტაციის შემოწმება საბაჟო საქმის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მექანიზმების გამოყენებით, შემოწმების შედეგებზე შესაბამისი რეაგირება;

დ)საბაჟო კონტროლის განხორციელების და საბაჟო კონტროლის შედეგების რეალიზაციის ერთიანი პრინციპებისა და სტანდარტების დანერგვის, საბაჟო კონტროლის სრულყოფისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში რე-

გიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) საქმიანობის ზედამხედველობა, პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა და კონკრეტულ საკითხებზე შესასრულებლად სავალდებულო მითითებების მიცემა;

ესაბაჟო საქმის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების ორგანიზება. სამმართველოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების ანალიზისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების თაობაზე რეკომენდაციების წარდგენა, სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების განხორციელების საკითხებზე შესაბამისი მეთოდური მითითებების მომზადება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილებაზე ზედამხედველობის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილებისას საბაჟო ვალდებულების დაფარვის საგარანტიო (საბანკო გარანტია, დაზღვევა, დეპოზიტი და სხვა) სისტემის ფუნქციონირების ორგანიზება და საგარანტიო სისტემის ერთიანი სტანდარტების დანერგვა;

ბ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარდგენისათვის დადგენილი ვადებისა და პირობების შესრულებაზე, მათ შორის საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონუმენტით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების პირობების შესრულებაზე მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება.

გ) სასაზღვრო საბაჟო ორგანოებში რისკის მართვის სისტემის საფუძველზე საბაჟო კონტროლის ღონისძიებების მეთოდების შემუშავება;

დ) სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საბაჟო კონტროლს ქვეშ გადაადგილების დაწყებასთან ან დასრულებასთან მიმართებით საბაჟო კონტროლის განხორციელების და საბაჟო კონტროლის შედეგების რეალიზაციის ერთიანი პრინციპებისა და სტანდარტების დანერგვის, საბაჟო კონტროლის სრულყოფისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით კომპეტენციის ფარგლებში რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) საქმიანობის ზედამხედველობა, სამსახურის ტერიტორიული ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა და კონკრეტულ საკითხებზე შესასრულებლად სავალდებულო მითითებების მიცემა;

ე) სასაზღვრო საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების ორგანიზება; სამმართველოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების ანალიზისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების თაობაზე რეკომენდაციების წარდგენა, სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ერთად სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საბაჟო პროცედურების განხორციელების საკითხებზე შესაბამისი მეთოდური მითითებების მომზადება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

ვეტერინარული, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საბაჟო ორგანოების მიერ სახელმწიფო ფიტოსანიტარიული, სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ორგანიზაცია;

ბ) სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის, გადაადგილებისა და გატანის პროცესის მონიტორინგი. სასაზღვრო საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება, ანალიზი, პრობლემების გამოვლენა და რეაგირების თაობაზე წინადადებების მომზადება;

გ) სასაზღვრო საბაჟო ორგანოში სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების და კონტროლის შედეგების რეალიზაციის ერთიანი პრინციპებისა და სტანდარტების დანერგვის, კონსტროლის სრულყოფისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) საქმიანობის ზედამხედველობა, სამსახურის ტერიტორიული ორგანოებისათვის კომპეტენციის ფარგლებში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა და კონკრეტულ საკითხებზე შესასრულებლად სავალდებულო მითითებების მიცემა;

დ) სასაზღვრო საბაჟო ორგანოში სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების ორგანიზება. სამმართველოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების ანალიზისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების თაობაზე რეკომენდაციების წარდგენა, სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საბაჟო პროცედურების განხორციელების საკითხებზე შესაბამისი მეთოდური მითითებების მომზადება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**სპეციალური საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულო კონტროლის, იარაღის, ნარკოტიკულ საშუალებათა და პრეპარატების, სამკურნალო საშუალებათა, ორმაგი დანიშნულების საქონლის, სახიფათო ნარჩენების საქართველოში შემოტანასა და საქართველოდან გატანაზე ზედამხედველობის განხორციელება, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების, აგრეთვე სხვა სახის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება;



ბ)საბაჟო ორგანოებში არსებული სპეციალური ტექნიკის გამოყენების ორგანიზება; კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების, ახალი მეთოდების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის თაობაზე წინადადებების შემუშავება;

გ)ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეგისტრაციასთან, ცვლილებების შეტანასთან და გაუქმებისთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წარმართვა და შესაბამისი გადანაცვლებების პროექტების მომზადება;

დ)„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით სამსახურის ქვემდებარებას მიკუთვნებული ნებართვის (უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვა, საბაჟო საწყობის (ლია, ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვა, დროებითი შენახვის საწყობის (ლია, ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვა) გაცემის, ნებართვაში ცვლილების შეტანისა და ნებართვის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წარმართვა, კანონმდებლობით დადგენილი წესით სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის ორგანიზება და შესაბამისი გადანაცვლებების პროექტების მომზადება;

ე)კომპეტენციის ფარგლებში რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) საქმიანობის ზედამხედველობა, სამსახურის ტერიტორიული ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა და კონკრეტულ საკითხებზე შესასრულებლად სავალდებულო მითითებების მიცემა;

ვ)სპეციალურ კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების ორგანიზება. სამმართველოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების ანალიზისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე სამსახურის ხელმძღვანელობისათვის კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების თაობაზე რეკომენდაციების წარდგენა, სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ერთად საბაჟო პროცედურების განხორციელების საკითხებზე შესაბამისი მეთოდური მითითებების მომზადება;

ზ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა)სასამართლოს, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილების თანახმად, რევიზიით, ინვენტარიზაციით ან/და ფინანსურ სფეროში სპეციალური გამოკვლევებით მტკიცებულებათა აღმოჩენა, დამტკიცება და დამაგრება; მიღებულ შედეგებზე გამოძიებისათვის შესაბამისი დასკვნების (დოკუმენტების) წარდგენა;

ბ)წინანსარი გამოძიების სტადიაზე ფინანსური ექსპერტიზის ორგანიზება და განხორციელება;

გ)კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს რეგიონალური სამმართველოების და რეგიონალური სამართალდამცავი ორგანოების (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ორგანოებისა) წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებების შესრულება;

დ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**სპეციალურ გამოკვლევათა სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა)სასამართლოს, გამოძიებლის, პროკურორის დადგენილების თანახმად, რევიზი-ით, ინვენტარიზაციით ან/და ფინანსურ სფეროში სპეციალური გამოკვლევებით მტ-კიცებულებათა აღმოჩენა, დამტკიცება და დამაგრება; მიღებულ შედეგებზე გამოძი-ებისათვის შესაბამისი დასკვნების (დოკუმენტების) წარდგენა;

ბ)წინასწარი გამოძიების სტადიაზე ფინანსური ექსპერტიზის ორგანიზება და განხ-ორციელება;

გ)კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სასამართლოს, საქართველოს გენერ-ალური პროკურატურის, ქ. თბილისის პროკურატურის, ქ. თბილისის სხვა სამართალ-დამცავი ორგანოების და შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებების შესრულება;

დ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**რისკების მართვის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა)კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების და მეთოდური მითითებე-ბის პროექტების მომზადება, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის პრაქტიკუ-ლი დახმარების აღმოჩენა;

ბ)საბაჟო პროცედურების განხორციელებისას პირების მიერ წარდგენილი დოკუ-მენტაციის და ინფორმაციის ანალიზი და შერჩევითი შემოწმება საერთაშორისო საბა-ჟო თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენებით და შესაბამისი რეაგირება;

გ)წინადადებების მომზადება მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გამოყენებით წარმო-ქმნილ დარღვევებზე რეაგირების შესახებ და შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით ინფორმაციის მიწოდება შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული და სპე-ციალიზირებული ორგანოებისათვის;

დ)კომპეტენციის ფარგლებში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების და უცხოეთის სახ-ელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული საგადასახადო ინფორმაცი-ის დამუშავება, ანალიზი და შესაბამის საგადასახადო და საბაჟო ორგანოებზე დაყვანა;

ე)ინფორმაციული ბაზების, სპეციალური საბაჟო სტატისტიკის მონაცემების, საბა-ჟო და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე არსებული, აგრეთვე საერთაშორისო საბაჟო და საგადასახადო თანამშრომლობის მექანიზმების გამოყ-ენებით მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით რისკის ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი, რისკების მენეჯმენტის თაობაზე წინადადებების შემუშავება და მათი განხ-ორციელების კოორდინაცია;

ვ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**სტატისტიკის და ანალიზის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა)კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების და მეთოდური მითითებე-ბის პროექტების მომზადება. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის პრაქტიკუ-ლი დახმარების აღმოჩენა;

ბ)სამსახურის ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამსახურის სტრუქტურული

ქვედანაყოფებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება;

გ) დანაშაულობათა (მათში მონაწილე პირთა) და სამართალდარღვევათა აღრიცხვა-სისტემატიზაცია, სტატისტიკური ანალიზი, საინფორმაციო საძიებო კომპიუტერული სისტემების დანერგვა და ექსპლუატაცია;

დ) სახელმწიფო დანესტრუქტურებიდან, ასევე კანონით დასაშვები წყაროებიდან სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვება, სისტემატიზაცია;

ე) საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის, სპეციალური საბაჟო, საგადასახადო და სხვა შესაბამისი სტატისტიკის წარმოება, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის მონაცემების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების არსებული სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკაზე ზეგავლენის ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;

ვ) ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული და სხვა სპეციალიზირებული ორგანოებიდან წარმოდგენილი ინფორმაციების მიღება და ანალიზი;

ზ) ელექტრონული და სხვა სახის ინფორმაციის მიღება და დამუშავება სამსახურის ადმინისტრირებადი შემოსავლების შესახებ;

თ) დამტკიცებული საეგემო-საპროგნოზო მაჩვენებლების დაყვანა საგადასახადო და საბაჟო ორგანოებამდე;

ი) შემოსავლების დამუშავების ორგანიზება გადასახადის სახეების ტერიტორიული ერთეულების, ეკონომიკის ძირითადი დარგების მიხედვით;

კ) საგადასახადო შემოსავლების მიმდინარეობის, მათ შორის ეკონომიკის დარგების და რაიონების მიხედვით, აგრეთვე დაბეგვრის საკითხებზე აქტუალური ინფორმაციების და მასალების მომზადება;

ლ) საგადასახადო ბაზის საპროგნოზო გაანგარიშებების წარმოება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაშვებული წესით;

მ) მონაცემთა ელექტრონული (ქსელური და ელექტრონული ინფორმაციის მატარებლების გამოყენებით დაცული) და არაელექტრონული ბაზების შექმნა, ოპერატიული განახლება, სისტემატიზაცია და წარმართვა;

ნ) სამსახურის ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება;

ო) საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის და მათი აკრეფის გაუმჯობესების შესახებ წინადადებების და ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება;

პ) საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში საბიუჯეტო შემოსულობათა (მათ შორის, ზედმეტად გადახდილი თანხის), გადატანების, დაბრუნებების, საგადასახადო სანქციებისა და საურავების მიხედვით აღრიცხვის წარმოების წესების შემუშავება;

ჟ) საგადასახადო შემოსავლების ანგარიშგების სტატისტიკური ფორმების შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება-სრულყოფა და ეკონომიკური ანალიზი;

რ) განუვლი მუშაობის შედეგების, ასევე მათი კონტროლის განხორციელების მიზნით ანგარიშების მიღება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისტემატიზაცია და ანალიზი; სამსახურის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიშების მომზადება;

ს) საზღვარგარეთის ქვეყნების ტექნიკური დახმარების პროექტებით იმპორტირე-

ბული საქონლის აღრიცხვა;

ტ)გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავება და სრულყოფა;

უ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება. ამინისტრირების ღონისძიებების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა)კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე ნინადღებების და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ბ)ვადაგადაცილებულ დავალიანებათა აღრიცხვა და ანალიზი;

გ)სამსახურის ტერიტორიული ორგანოების მიერ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულების შესარულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების ანალიზი;

დ)რესტრუქტურის რეჟიმში მომუშავე საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან დადებული რესტრუქტურის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის;

ე)საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგების ანალიზი, შესაბამისი ანგარიშგების წარმოება;

ვ)შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული და სპეციალიზირებული ორგანოებიდან მათ მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევებზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიღება და ანალიზი;

ზ)კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის №172 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადაამხდელთა საგადასახადო ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადაამხდელთა საგადასახადო ინსპექცია (შემდგომში – ინსპექცია) წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ საგადასახადო ორგანოს, რომლის კომპეტენცია განსაზღვრულია ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ინსპექცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მასთან საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადასახადის გადაამხდელების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე და შესრულებაზე საგადასახადო კონტროლს.

ინსპექცია წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ორგანოს. მისი საქმიანობის კოორდინაციას და საერთო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი ცენტრალური აპარატის მეშვეობით.

ინსპექციაში გადასახადის გადაამხდელთა შერჩევა ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა)გადასახადის გადაამხდელის წლიური ბრუნვის მოცულობა (აღემატება 2.5 მლნ. ლარს);

ბ)აქტივის გადაამხდელთათვის წლიური ბრუნვის მოცულობა (აღემატება 1.0 მლნ. ლარს).

ზემოთაღნიშნული პუნქტის გაუთვალისწინებლად ინსპექციაში გადასახადის გადაამხდელთა საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანა ხორციელდება გადასახადის გადაამხდელთა საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

ინსპექციაში საგადასახადო აღრიცხვაზე ასაყვან და დასაბრუნებელ გადასახადის გადამხდელთა შერჩევას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

ინსპექციის საგადასახადო აღრიცხვიდან გადასახადის გადამხდელთა მოხსნა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც წლის შედეგებით გადასახადის გადამხდელი ვერ აკმაყოფილებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ან როცა მათი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლითა და ანალიზით დადგინდა, რომ ნამდვილად არ არსებობს პერსპექტივაში ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ინსპექციის ამოცანაა ინსპექციაში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადასახადის გადამხდლების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანარმოების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ფილიალების (წარმომადგენლობების) რეესტრში ცვლილებათა რეგისტრაცია და რეესტრიდან ამონაწერის გაცემა, გადამხდელთა მომსახურება, საგადასახადო შემონიშნების ჩატარება, გადასახადების ადმინისტრირება, გადასახადების იძულებითი გადახდევინება, კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი მომსახურება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემოღებული გადასახადების სწორად გამოანგარიშებისა და მათ შესაბამის ბიუჯეტსა და სახელმწიფო ფონდებში სრულად და დროულად ჩარიცხვაზე კონტროლი და ზედამხედველობა.

ინსპექცია შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

- ა) გადამხდელთა მომსახურების სამმართველო;
- ბ) საგადასახადო შემონიშნების სამმართველო;
- გ) გადასახადების ადმინისტრირების სამმართველო;
- დ) იურიდიულ საკითხთა სამმართველო;
- ე) ადმინისტრაცია;
- ვ) საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველო.

გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი წესით შერჩეული და ინსპექციაში საგადასახადო აღრიცხვაზე გადაყვანილი გადასახადის გადამხდელთა დოკუმენტების გადატანა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციებიდან და მათი შენახვა;

ბ) გადამხდელთა მომსახურება;

გ) საგადასახადო დეკლარაციებისა და გაანგარიშებების მიღება;

დ) დადგენილი წესით გადამხდელთა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე შედარებების აქტის გაფორმების უზრუნველყოფა;

ე) საგადასახადო დეკლარაციებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ანგარიშგების ფორმების შეტანა კომპიუტერში დასამუშავებლად;

ვ) ექსპრემდი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების კომპიუტერული აღრიცხვა;

ზ) კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მათში ცვლილებე-

ბის შეტანის ჩათვლით;

თ) კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშფაქტურების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებისა და მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების უზრუნველყოფა;

ი) სანდო ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ცნობილია საგადასახადო ინსპექციისათვის, სავარაუდო დარიცხვის თაობაზე სათანადო წესით გაფორმებული დასკვნის ინსპექციის უფროსისათვის წარდგენა;

კ) დეკლარაციებისა და ანგარიშგების ფორმების ვიზუალური შემოწმება მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;

ლ) წინადადებების მომზადება საგადასახადო შემოსემების ჩატარების შესახებ;

წ) წინადადებების მომზადება გადამხდელთან ქრონომეტრაჟის ჩატარების შესახებ;

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანარმოების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ფილიალების (წარმომადგენლობების) რეესტრში ცვლილებების რეგისტრაცია და რეესტრიდან ამონაწერების გაცემა.

**გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს მოვალეობაა:**

ა) გაუწიოს კონსულტაცია გადამხდელებს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე მათთვის საინტერესო საკითხების გადამწყვეტაში. განუმარტოს გადამხდელებს გადასახადების გამორჩევი ნაწილების, საგადასახადო დეკლარაციებისა და გაანგარიშებების შეესების წესი და წარდგენის ვადები;

ბ) მიაწოდოს გადამხდელებს ინფორმაცია საგადასახადო კანონმდებლობასა და გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) მოახდინოს დღგ-ს გადამხდელთა რეგისტრაცია;

დ) უზრუნველყოს გადამხდელები საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებითა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმებით, დეკლარაციებით და გაუწიოს შესაბამისი მომსახურება დეკლარაციის მიღებასთან დაკავშირებით;

ე) მიიღოს გადამხდელთა დეკლარაციები და გაანგარიშებები, გადაამოწმოს აღნიშნულ დოკუმენტებზე მითითებული საიდენტიფიკაციო ნომერი;

ვ) აწარმოოს გადამხდელთა საქმიანობის, უზრუნველყოს ინფორმაციის შეკრება და არქივისათვის გადაცემა;

ზ) მიიღოს გადასახადის გადამხდელების მიერ წარმოდგენილი დეკლარაციები და გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ანგარიშგების სხვა ფორმები, მიიღოს საგადასახადო შემოსემების სამმართველოდან ინფორმაციები კამერალური საგადასახადო შემოსემებით გადასახადის გადამხდელებზე დარიცხული (შემცირებული) გადასახადების შესახებ და უზრუნველყოს მონაცემების დადგენილ ვადებში კომპიუტერებში შეტანა;

თ) დადგენილი წესითა და ვადებში უზრუნველყოს ამ დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ გადამხდელებზე დარიცხული ქონების გადასახადის შესახებ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა (გაგზავნა) გადამხდელებისათვის;

ი) დადგენილი წესით მიიღოს ინსპექციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან ინფორმაციები გადამხდელთა მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ და უზრუნვე-

ლყოს მათი კომპიუტერებში შეტანა და დამუშავება;

კყოველდლორად მიილოს სახაზინო დანესებულეზიდან დოკუმენტები გადასახადის გამამხდელეზის მიერ ბიოუჯეტში და სახელმწიფო ფონდებში ჩარიცხული გადასახადების შესახებ და უზრუნველყოს აღნიშნული მონაცემების კომპიუტერებში შეტანა;

ლ)გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს ოპერატიულად გადასაცეს ინფორმაცია ვადგადაცილებული დავალიანებების შესახებ გადასახადის გამამხდელეზისა და ვადასახადების სახეების ჭრილი ვადასახადების იძულებით ვადახდევინების მიზნით;

მ)დადგენილი წესის მიხედვით ანარმოს ვადასახადის გამამხდელეზის ბარათებზე საგადასახადო კანონმდებლობით დანესებული ვადასახადების დარიცხვა და აღრიცხვა ვადასახადის სახეების მიხედვით, ვადგადაცილებული დავალიანებების შემთხვევაში ანარმოს საურავების დარიცხვა;

ნ)კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და კანონმდებლობით ვათვალისწინებული სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებაზე კონტროლის ვადლიერების, ჩათვლებში გამოყენებული ანგარიშფაქტურების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნისა და ამ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით შემოსავლების სამსახურში ანგარიშების წარდგენა;

პ)დაიცვას კომპიუტერული სისტემები ვარეშე პირების მიერ მონაცემთა ბაზაში შეღწევისაგან;

ჟ)კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში უზრუნველყოს გამამხდელთა სხვადასხვა ვადასახადების ბარათებზე არსებული ზედმეტობების სხვა ვადასახადის ანგარიშში ვადტანის, ან მათი დბრუნებისათვის დოკუმენტაციის მომზადება;

რ)უზრუნველყოს დეკლარაციების წარმოუდგენლობის ფაქტების გამოვლენა და რეაგირებისათვის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანყოფებისათვის ინფორმაციის წარდგენა;

ს)სანდო ინფორმაციების დამუშავების შედეგად სავარაუდო დარიცხვის თაობაზე დადგენილი წესით ვაფორმებული დასკვნის ინსპექციის უფროსისათვის წარდგენა;

ტ)დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების დამუშავების შედეგად გამოვლენილი დარღვევების მიხედვით წარმოუდგენელი დეკლარაციების ან ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით სავარაუდო დარიცხვის შესახებ წინადადებების მომზადება, ვაყალბებული დოკუმენტების მიხედვით ვანხორციელებულ ოპერაციებზე მასალების მომზადება და რეაგირებისათვის სათანადო ორგანოებისათვის ვადაცემა;

ქ)აუცილებლობის შემთხვევაში ვამოიძახოს ვადამხდელი და დასაბეგრი ბაზის დაზუსტების მიზნით მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები და ახსნა-ვანმარტებები;

ლ)სამოქმედო ტერიტორიაზე საგადასახადო და სტატისტიკური ანგარიშების მონაცემების ეკონომიკური ანალიზის ჩატარება;

ყ)განხილოს ვადამხდელეზის ვანცხადებები საგადასახადო დეკლარაციების წარმოდგენის ან ვადასახადის ვადის ვაგრძელების შესახებ;

შ)კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საგადასახადო კოდექსებით ვათვალისწინებულ და მათ მიერ გამოვლენილ ყველა სამართალდარღვევაზე შესაბამისი ოქმების (აქტების) შედგენა და ოურიდულ საქითხთა სამმართველოსთვის შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლოვ ვადაცემა.

**10** **მცვლელთა სახადო შემონმებების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს გადასახადის გადამხდელთა საქმიანობასთან დაკავშირებული კამერალური საგადასახადო შემონმება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ჩაატაროს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით ან/და 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შემონმებები;

გ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში შეადგინოს საგადასახადო შემონმების აქტები, შემონმების აქტის საფუძველზე მოამზადოს განხილვის ოქმისა და გადანყვეტილების პროექტი და გადანყვეტილების მისაღებად წარუდგინოს ინსპექციის უფროსს/მოადგილეს;

დ) საგადასახადო შემონმებისას დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს ინსპექციის უფროსისათვის სათანადო მასალების წარდგენა მათი კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადასაცემად.

ე) კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საგადასახადო კოდექსებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში შეადგინოს შესაბამისი ოქმები და რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადასცეს იურიდიულ საკითხთა სამმართველოს;

ვ) საგადასახადო შემონმებასთან დაკავშირებით ითანამშრომლოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტთან და საჭიროების შემთხვევაში მიანოდოს შესაბამისი ინფორმაცია;

ზ) წარუდგინოს ინსპექციის უფროსს დეპარტამენტში საგადასახადო შემონმებების კუთხით განეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია.

საგადასახადო შემონმებების სამმართველო არ ახორციელებს იმ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო შემონმებას, რომელთა მიმართ გასვლით საგადასახადო შემონმებას მოცემული პერიოდისათვის ატარებს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი.

**გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) მიმდინარე ზედამხედველობა საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე;

ბ) ვადაგადაცილებულ დავალიანებების გადასახდევინებლად საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება;

გ) ურჩ გადამხდელთა გამოვლენა;

**გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს მოვალეობაა:**

განახორციელოს შემოსავლების დაკვირვების ტექნიკური საშუალებების დაყენება და კონტროლი;

უზრუნველყოს ბიუჯეტში და სახელმწიფო ფონდებში გადასახადების დროული და სრული მობილიზაცია;

დაანესოს კონტროლი გადასახადების გადამხდელების მიერ გადასახადების ბიუჯეტში და სახელმწიფო ფონდებში ამოსაღებად;

შეაგროვოს ინფორმაციები იმ გადამხდელების შესახებ, რომლებიც ფაქტობრივად გადახდისუნარიანნი არიან და მიიღოს ზომები დარიცხული გადასახადების ბიუჯეტში და სახელმწიფო ფონდებში ამოსაღებად;



საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებით უზრუნველყონ ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღება;

შეაგროვოს ინფორმაციები იმ გადამხდლების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადების გადახდას;

გამოიკვლიოს სანარმოთა და მეწარმე-ფიზიკურ პირთა სანარმოო, სასაწყობო, საეაჭრო და სხვა სათავსოები, ჩატაროს დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულის საფუძველზე შეადგინოს ოქმები და დადგენილი წესით მოამზადოს დასკვნები ინსპექციის უფროსზე გადასაცემად. მონაწილეობა მიიღოს გადამხდელთა მიმართ ჩატარებულ კონტროლის ღონისძიებებში;

განახორციელოს ვადაგადაცილებული დავალიანებების მქონე გადამხდელებთან ფულადი საშუალებების მოძრაობის პერიოდული შემოწმებები;

მოამზადოს ანგარიშგებები სამმართველოს მიერ განუვლი მუშაობის შესახებ და უზრუნველყოს მათი დადგენილ ვადაში წარდგენა შემოსავლების სამსახურში;

კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საგადასახადო კოდექსებით გათვალისწინებულ და მათ მიერ გამოვლენილ ყველა სამართალდარღვევაზე შესაბამისი ოქმების (აქტების) შედგენა და იურიდიულ საკითხთა სამმართველოსათვის შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემა;

კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

გამოავლინოს საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადამხდლების მიერ აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის წარმოების, მიწოდების დარღვევის ფაქტები;

აქციზური საქონლის რეალიზაციაზე კონტროლის მიზნით მოახდინოს საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ გადამხდელზე აღმრიცხველი მოწყობილობებისა და სათავსოების დალუქვა, დამატებითი აღმრიცხავი ტექნიკური საშუალებების დაყენება და მისი კონტროლი. დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს ლუქის ახსნა, მათი ხელახალი დალუქვა და შეადგინოს ამ მიზნით შემუშავებული შესაბამისი ფორმის აქტები. ხელახალი დალუქვის ყველა შემთხვევაში მოახდინოს საკონტროლო-სალარო აპარატში შეტანილი პაროლის შეცვლა;

შეადგინოს შემოსავლების სამსახურის მიერ დანესებული სტატისტიკური და ფაქტობრივი შემოსავლებისა და ვადაგადაცილებული დავალიანებების შესახებ ანგარიშები.

**იურიდიულ საკითხთა სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) ინსპექციის იურიდიული მომსახურება;

ბ) სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვაში მონაწილეობა.

**იურიდიულ საკითხთა სამმართველო ვალდებულია:**

გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოდან მიღებულ მასალებზე დაყრდნობით მოამზადოს მასალები სასამართლოში წარსადგენად;

გადასახადების იძულებით გადახდევინების მიზნით ვადასახადების ადმინისტრირების სამმართველოსთან ერთად მოამზადოს მასალები შესაბამის ორგანოებში წარსადგენად. კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს გადასახადის იძულებითი გადახდევინების ღონისძიებებში;

კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილებე-

ბის აღსრულების პროცესში;

ინსპექციის თანამშრომლებს გაუნიოს იურიდიული კონსულტაციები, გააცნოს ახალი ნორმატიული აქტები და ცვლილებები კანონმდებლობაში;

მისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში საგადასახადო დავებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას;

შემონმების აქტების საფუძველზე მოამზადოს სათანადო გადაწყვეტილების პროექტი გადახდის (საგადასახადო სანქციის) თანხის დარიცხვის ან არდარიცხვის, ხოლო აქტით დარიცხული თანხის ოდენობის შესაბამისად შემონმების მასალების ქვემდებარების მიხედვით შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადაგზავნის შესახებ;

უზრუნველყოს კანონიერების დაცვა და მიიღოს ზომები მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის თავიდან ასაცილებლად;

კანონით დადგენილი წესით დაიცვას ინსპექციისა და მისი მუშაკების კანონიერი უფლებები და ინტერესები სასამართლოში და სხვა ორგანოებში სამართლებრივი საქმიანობის განხილვისას;

ინსპექციის სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებულ ოქმებზე დაყრდნობით მოამზადოს მასალები ინსპექციის ხელმძღვანელობასთან წარსაღვენად და/ან სასამართლოში გადასაგზავნად;

წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს ანგარიშგებები განეული მუშაობის შესახებ.

საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოს ძირითადი ამოცანაა:

მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში საინფორმაციო საძიებო სისტემების დანერგვა-ექსპლოატაცია;

ინსპექციის ამოცანების შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვება-სისტემატიზაცია, ანალიზი და დამუშავებული ფორმების ინსპექციის დანაყოფებისათვის მიწოდება;

გადამხდელის მიერ წარმოდგენილი მონაცემების (დეკლარაციების და სხვა გაანგარიშებების) დამუშავება-ანალიზი, რისკის ფაქტორების განსაზღვრა, საბაჟო მონაცემების დამუშავება, მათი შედარება საგადასახადო მონაცემებთან;

დღგ-ს შეგროვების მდგომარეობის ანალიზი, აქტივების წარმოშობის ანალიზი, ამ გადასახადებში წარჩენების დაგროვების ანალიზი, ასევე დღგ-ის და სპეციალური დღგ-ის ანგარიშ-ფაქტორების მოძიების ანალიზი, დღგ-ის ბრუნვების (მათ შორის განთავისუფლებული და ნულოვანი ბრუნვების) ანალიზი;

გადამხდელთა ანალიტიკური ბარათების შემუშავება, საქმიანობის მიხედვით გადამხდელთა საქმიანობის ანალიზი და რისკის ფაქტორების განსაზღვრა, ამ სფეროში გადამხდელთა ბრუნვების და შემოსული გადასახადების ანალიზი;

ინსპექციის უფროსის დავალებების შესაბამისად, სხვა ანალიტიკური ინფორმაციის შემუშავება;

სამოქმედო ტერიტორიაზე საგადასახადო და სტატისტიკური ანგარიშების მონაცემების ეკონომიკური ანალიზის ჩატარება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის №168 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აფხაზეთის

საგადასახადო ინსპექცია (შემდგომში – ინსპექცია) წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ საგადასახადო ორგანოს, რომლის კომპეტენცია განსაზღვრულია დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ინსპექცია თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მასთან საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი საგადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე და შესრულებაზე კონტროლს.

ინსპექცია შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შემადგენლობაში და მისი საქმიანობის მართვასა და საერთო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი ცენტრალური აპარატის მეშვეობით.

აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციაში სახელმწიფო რეგისტრაციაზე და/ან საგადასახადო აღრიცხვაზე აიყვანება ზემო აფხაზეთის ტერიტორიის ადგილობრივი მთავრობის (იურიდიული მისამართის) მქონე იურიდიული პირები, სანარმოები და ორგანიზაციები, ასევე ფიზიკური პირები, რომლებიც ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას ან/და რომლებიც ფაქტობრივად ცხოვრობენ ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე და წარმოემართა საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა გადამხდელთა სახელმწიფო რეგისტრაციაზე და/ან საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის კრიტერიუმებს ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით) გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციაში სახელმწიფო რეგისტრაციაზე და/ან საგადასახადო აღრიცხვაზე ასაყვან (მოსახსნელ) საგადასახადის გადამხდელთა შერჩევას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური;

აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციაში საგადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო რეგისტრაციაზე და/ან საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანა (მოხსნა) ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

ინსპექციის ამოცანაა ინსპექციაში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, გადამხდელთა სახელმწიფო რეგისტრაცია და/ან საგადასახადო აღრიცხვა, გადამხდელთა მომსახურება, საგადასახადო შემონეშება, მონაცემთა დამუშავება, საგადასახადების ადმინისტრირება, საგადასახადების იძულებით გადახდევინება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი მომსახურება, საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემოღებული საგადასახადების სწორად გამოანგარიშებისა და მათი შესაბამის ბიუჯეტში სრულად და დროულად ჩარიცხვაზე კონტროლი და ზედამხედველობა.

**ინსპექციის თანამშრომელთა ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები:**

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი წესით შერჩეული და ინსპექციაში საგადასახადო აღრიცხვაზე გადაყვანილი საგადასახადის გადამხდელთა დოკუმენტების გადატანის უზრუნველყოფა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციებიდან და მათი შენახვა, გადამხდელთა რეგისტრაციის განხ-

ორციელება;

ბ)გადამხდელთა მომსახურება, საგადასახადო დეკლარაციებისა და გაანგარიშებების მიღება. დადგენილი წესით გადამხდელთა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე შედარებების აქტის გაფორმების უზრუნველყოფა, საგადასახადო დეკლარაციების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ანგარიშგების ფორმების შეტანა კომპიუტერში დასამუშავებლად. გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული დეკლარაციების (გაანგარიშების), საგადასახადო შემოსევების და ინსპექციამ არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელზე დარიცხული (შემცირებული) გადასახადების შესახებ მონაცემების დადგენილ ვადებში კომპიუტერებში შეტანა;

გ)მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების კომპიუტერული აღრიცხვა, კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მათში ცვლილებების შეტანის ჩათვლით. ინსპექციის შესაბამისი პროგრამებით უზრუნველყოფის სამუშაოების ჩატარება და კომპიუტერული სისტემების დაცვა გარეშე პირების მიერ მონაცემთა ბაზაში შეღწევისაგან;

დ)კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშ-ფაქტურების, სასაქონლო ზედნადებების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებისა და მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების უზრუნველყოფა. გადამხდელის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით და კანონმდებლობით დადგენილი სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმებით, დეკლარაციებით უზრუნველყოფა. დეკლარაციების (გაანგარიშებებთან) მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი მომსახურების განევა. კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, სასაქონლო ზედნადებების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებაზე კონტროლის გაძლიერების, ჩათვლებში გამოყენებული ანგარიშ-ფაქტურების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნისა და ამ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, შემოსავლების სამსახურში ანგარიშების წარდგენა;

ე)საწოდო ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ცნობილია საგადასახადო ინსპექციისათვის, საერაოდ დარიცხვის თაობაზე სათანადო წესით გაფორმებული დასკვნის ინსპექციის უფროსისათვის წარდგენა. დეკლარაციებისა და ანგარიშგების ფორმების ვიზუალური შემოწმება. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის დაცვით დეკლარაციების და გაანგარიშებების კამერალური შემოწმება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სათანადო წესით გაფორმებული დასკვნის ინსპექციის უფროსისათვის წარდგენა;

ვ)კონსულტაციის განევა გადამხდელისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე მათთვის საინტერესო საკითხების გადაწყვეტაში, გადამხდელისათვის გადასახადის გამოანგარიშების, საგადასახადო დეკლარაციებისა და გაანგარიშებების შევსების წესისა და წარდგენის ვადების განმარტება. საგადასახადო კანონმდებლობასა და გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადამხდელისათვის ინფორმაციის მიწოდება;

ზ)მოახდინონ დღგ-ის გადამხდელთა რეგისტრაცია. აწარმოონ გადამხდელთა საქმეები, უზრუნველყონ ინფორმაციის შეკრება და არქივის წარმოება;

თ) დადგენილი წესითა და ვადებში უზრუნველყონ გადამხდელებზე დარიცხული გადასახადების შესახებ საგადასახადო შეტყობინებების წარდგენა (გაგზავნა) გადამხდელებისათვის;

ი) ყოველდღიურად მიიღონ მომსახურე ბანკებიდან, სახაზინო დაწესებულებებიდან დოკუმენტები გადასახადის გადამხდელების მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული გადასახადების შესახებ და უზრუნველყონ აღნიშნული მონაცემების კომპიუტერებში შეტანა. დადგენილი წესის მიხედვით აწარმოონ გადასახადის გადამხდელების ბარათებზე საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული გადასახადების დარიცხვა და აღრიცხვა გადასახადის სახეების მიხედვით, ვადაგადაცილებული დავალიანებების შემთხვევაში აწარმოონ საურავების დარიცხვა. კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში უზრუნველყონ გადამხდელთა სხვადასხვა გადასახადების ბარათებზე არსებული ზედმეტობების გადატანა სხვა გადასახადების ანგარიშში ან მათი დაბრუნება გადამხდელთათვის.

კ) კომპეტენციის ფარგლებში გადასახადის გადამხდელბთან საქართველოს საგადასახადო კოდექსის XV თავით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდლის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების განხორციელება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში გადასახადის გადამხდელთა საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების კამერალური შემოწმების, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით ან/და 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული, ასევე სანარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციასთან/ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საგადასახადო შემომწმებების განხორციელება;

ლ1) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საგადასახადო შემომწმების აქტების შედგენა, შემომწმების აქტის საფუძველზე განხილვის ოქმისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და გადაწყვეტილების მისაღებად ინსპექციის უფროსისათვის წარდგენა. საგადასახადო შემომწმებისას დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სათანადო მასალების შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის უზრუნველყოფა;

ლ2) კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საგადასახადო კოდექსებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ოქმების შედგენა და შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფა;

ლ3) საგადასახადო შემომწმებასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტთან თანამშრომლობა და საჭიროების შემთხვევაში მისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

ლ4) წარადგინოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში საგადასახადო შემომწმებების კუთხით განუვლი მუშაობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

ინსპექცია არ ახორციელებს იმ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო შემომწმებას, რომელიც მიმართ გასვლით საგადასახადო შემომწმებას მოცემული პერიოდისათვის ატარებს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი.

მ) უზრუნველყონ ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე გადახდევინების იძულებითი მეთოდების გამოყენება, ურჩ გადამხდელთა და არარეგისტრირებულ პოტენციურ გადამხდელთა გამოვლენა. კომპეტენციის ფარგლებში გამოავლინონ არალიცენზირებული და/ან შესაბამისი ნებართვის გარეშე მომუშავე გადამხდელები და აქტიური

მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის წარმოების, მიწოდების დარღვევის ფაქტები. გამოავლინონ ალურიცხავი მატერიალური ფასეულობანი და დადგენილი წესის დარღვევით საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების ფაქტები. განახორციელონ შემოსავლების დაკვირვების ტექნიკური საშუალებების დაყენება და კონტროლი;

ნ) განახორციელონ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებული ზედამხედველობა. უზრუნველყონ გადამხდელების საკონტროლო-სალარო აპარატების დალუქვა, სანვავის სვეტების, მრიცხველების დალუქვა. დაზიანების შემთხვევაში ლუქის ახსნა და ახალი ლუქის დადება და შეადგინონ ამ მიზნით შემუშავებული შესაბამისი ფორმების აქტები. ხელახალი დალუქვის ყველა შემთხვევაში მოახდინონ საკონტროლო-სალარო აპარატში შეტანილი პაროლის შეცვლა;

ო) განახორციელონ გადამხდელებთან საქონლის შემოსავლისა და გასავლის ყურნალების ზედამხედველობა;

პ) უზრუნველყონ ბიუჯეტში გადასახადების დროული და სრული მობილიზაცია. დაანესონ კონტროლი გადასახადების გადამხდელების მიერ გადასახადების სრულ და დროულ გადახდაზე;

ჟ) შეაგროვონ ინფორმაციები იმ გადამხდელების შესახებ, რომლებიც ფაქტობრივად გადახდისუნარიანნი არიან და მიიღონ ზომები დარიცხული გადასახადების ბიუჯეტში ამოსაღებად. შეაგროვონ ინფორმაციები იმ გადამხდელების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადების გადახდას;

რ) საინკასო დადგენებით და გადასახადების იძულებითი გადახდევინების მეთოდებით უზრუნველყონ ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღება;

ს) განახორციელონ ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე გადამხდელებთან ფულადი საშუალებების მოძრაობის პერიოდული შემოწმებები;

ტ) მონაწილეობა მიიღონ სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვაში;

უ) შესაბამის მასალებზე დაყრდნობით მოამზადონ მასალები სასამართლოში წარსადგენად. გადასახადები იძულებითი გადახდევინების მიზნით უზრუნველყონ მასალების მომზადება შესაბამის ორგანოებში წარსადგენად;

ფ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ სასამართლოში საგადასახადო დავებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას;

ქ) უზრუნველყონ ინსპექციაში საქმისწარმოება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ შესაბამისად;

ღ) განახორციელონ კონტროლი საკონტროლო დავალებათა შესრულებაზე და ინსპექციის უფროსს პერიოდულად მიაწოდონ ინფორმაცია მათი შესრულების შესახებ;

ყ) უზრუნველყონ ინსპექციის უფროსის მიერ გამოცემული ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია და შემსრულებლამდე დაყვანა. განახორციელონ შემოსული და გასული კორექსონდენციების სათანადო დამუშავებასა და მოძრაობაზე კონტროლი;

შ) უზრუნველყონ ინსპექციის უფროსთან ჩატარებულ თათბირებზე მიღებული საოქმო გადაწყვეტილებების რეგისტრაცია და შემსრულებლამდე დაყვანა, არქივის წარმოება;

ჩ) უზრუნველყონ მუდმივად შესანახი კორესპონდენციებისა და კორესპონდენციათა რეგისტრაციის ყურნალების ქრონოლოგიური წესით დალაგების პროცესი;

ც) უზრუნველყონ საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების აღრიცხვის წარმოება და კომპეტენციით განსაზღვრული საკადრო საქმიანობა;

ძ) განახორციელონ კადრების შერჩევა, კოორდინაცია გაუწიონ კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს;

წ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელონ ინსპექციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება.

ჭ) ინსპექციის თანამშრომლები კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ და მათ მიერ გამოვლენილ ყველა სამართალდარღვევაზე შესაბამისი ოქმების (აქტების) შედგენას და შემდგომი რეაგირების ღონისძიებითა უზრუნველყოფას;

ხ) კომპეტენციის სფეროების მიხედვითა წარადგინოს შესაბამისი ანგარიშგები შემოსავლების სამსახურში.

ინსპექციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, შემოსავლების სამსახურის უფროსის წარდგინებით, ხოლო ინსპექციის დანარჩენ საჯარო მოსამსახურეებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შემოსავლების სამსახურის უფროსი, ინსპექციის უფროსის წარდგინებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 25 თებერვლის №176 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) დეპუტების დამტკიცების შესახებ“ თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) (შემდგომში – ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) განსაზღვრულ სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვაზე და შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლს, როგორც საგადასახადო და საბაჟო ორგანო.

ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ამოცანაა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე, კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა, რომელსაც ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, დადგენილი წესით ახორციელებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანარმოებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას, გადასახადის გადამხდელთა, მათ შორის უცხოური სანარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დანესებულების საგადასახადო აღრიცხვას (რეგისტრაციას), ორგანიზაციებისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას და შესაბამისი რეეს-

ტრის წარმოებას, გადასახადებზე მომსახურებას, მონაცემთა დამუშავებას, საგადასახადო კონტროლს, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, გადასახადების ადმინისტრირებას, საბაჟო რეჟიმის რეგულირებას, საბაჟო დამუშავების ოპერაციებს და საბაჟო კონტროლს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სტრუქტურას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს საქართველოს ფინანსთა მინისტრს, შემოსავლების სამსახურის უფროსის წარდგინებით.

ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

- ა) ადმინისტრაცია;
- ბ) იურიდიული სამმართველო;
- გ) მომსახურების სამმართველო;
- დ) საგადასახადების ადმინისტრირების სამმართველო;
- ე) საგადასახადო შემონმებების სამმართველო;
- ვ) საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველო;
- ზ) საბაჟო კონტროლისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილება;
- თ) საბაჟო საგუშაგო „თბილისის აეროპორტი“.
- ი) საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“.

ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს, მოქმედებს ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სახელით, წარმოადგენს ცენტრის (საგადასახადო ინსპექციას) სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ურთიერთობაში;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსების, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, განკარგულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;

გ) ახორციელებს ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის მართვას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას. საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის და ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საჯარო მოხელეთა მიერ კონკრეტული ფუნქციის შესრულების თაობაზე;

დ) კანონით დადგენილი წესის შესაბამისად წარადგენს წინადადებებს ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ე) ანგარიშვალდებულა საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის წინაშე;

ვ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;



ზ) იღებს გადაწყვეტილებებს საგადასახადო შემონების მასალების და სხვა სათანადო ინფორმაციის საფუძველზე გადასახადების დარიცხვის შესახებ;

თ) იღებს გადაწყვეტილებებს საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე სანქციის გამოყენების თაობაზე;

ი) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში განიხილავს სამართალდარღვევათა საქმეებს;

კ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა ფუნქციებს და სარგებლობს სხვა უფლებამოსილებებით.

ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ახორციელებს ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ხელმძღვანელი თანამდებობის პირები:

ა) ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის მოადგილეები ხელმძღვანელობენ ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის მიერ განსაზღვრულ სფეროებს;

ბ) სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები წარმართავენ შესაბამისი ქვედანაყოფების საქმიანობას.

**ადმინისტრაცია:**

ა) აწარმოებს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრულ აღრიცხვას;

ბ) აწარმოებს საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების აღრიცხვასა და კომპეტენციით განსაზღვრულ საკადრო საქმიანობას;

გ) უზრუნველყოფს საკომუნიკაციო და საკორესპონდენტო პროცესის კონტროლს;

დ) უზრუნველყოფს არქივის წარმოებას.

**იურიდიული სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:**

ა) ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) თანამშრომლებს უწევს იურიდიულ კონსულტაციებს, აცნობს ახალ ნორმატიულ აქტებს და ცვლილებებს კანონმდებლობაში;

ბ) მონაწილეობს საგადასახადო, საბაჟო და სხვა სახის სასამართლო დავებში;

გ) მონაწილეობს საგადასახადო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

დ) აწარმოებს საგადასახადო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს. ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებულ საგადასახადო სამართალდარღვევათა ოქმებზე ამზადებს ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის/მოადგილის გადაწყვეტილების პროექტებს შესაბამისი დარიცხვის განხორციელების თაობაზე;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფორმით უზრუნველყოფს „საბაჟო შეტყობინების“ მომზადებას;

ვ) დადგენილი წესით აწარმოებს საბაჟო სამართალდარღვევების აღრიცხვას.

**მოსამსახურების სამმართველო გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით:**

ა) ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვას (ანიჭებს გადასახადის გადამხდელებს საიდენტიფიკაციო ნომრებს);

ბ) გადასახადის გადამხდელებზე ვასცემს რეგისტრაციისათვის აუცილებელ სარეგ-

ისტრაციო ფორმებს;

გ) ახორციელებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანარმოების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ფილიალების (წარმომადგენლობების)

სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას, უზრუნველყოფს სამენარმეო და სახელმწიფო რეესტრების წარმოებას და რეესტრის ამონაწერების გაცემას;

დ) ამყარებს ურთიერთობას სახელმწიფო რეგისტრაციის განმახორციელებელ სხვა ორგანოებთან;

ე) ახდენს დღგ-ს გადამხდელთა რეგისტრაციას;

ვ) აწარმოებს საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაციას;

ზ) აწარმოებს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელისათვის სავალდებულოდ სანარმოებელი და საგადასახადო ორგანოში დასარეგისტრირებელი ფორმების/დოკუმენტების რეგისტრაციას/აღრიცხვას;

თ) ახორციელებს ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას, შესაბამისი მოწმობის გაცემას და საქველმოქმედო ორგანიზაციის რეესტრის წარმოებას;

ი) უზრუნველყოფს მოცემული პუნქტის „ა“, „გ“, „ე-თ“ ქვეპუნქტებში მითითებული მონაცემების ელექტრონული ვერსიის შექმნას.

მომსახურების სამართლებრივი მონაცემთა დამუშავების უზრუნველსაყოფად:

ა) აწარმოებს საგადასახადო დეკლარაციების, გაანგარიშებების მიღებას, ამონებებს აღნიშნულ დოკუმენტებზე მითითებულ საიდენტიფიკაციო ნომერს, ფორმებში მითითებული რეკვიზიტების სისრულეს;

ბ) დადგენილი წესით იღებს ინფორმაციებს ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადების გადამხდელის შესახებ და უზრუნველყოფს გადასახადების მონაცემების კომპიუტერებში შეტანას;

გ) სანდო ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ცნობილია ცენტრისათვის (საგადასახადო ინსპექციისათვის) სათანადო წესით გაფორმებული დასკვნის საფუძველზე ახორციელებს სავარაუდო დარიცხვას;

დ) აწარმოებს საგადასახადო დეკლარაციების, სხვა ანგარიშების ფორმების და კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მონაცემების შეტანას მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში;

ე) დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების დამუშავების შედეგად გამოვლენილი დარღვევების მიხედვით წარმოუდგენელი (წარმოდგენილი) დეკლარაციების ან ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით ამზადებს წინადადებას სავარაუდო დარიცხვის შესახებ. გაყალბებული დოკუმენტების მიხედვით განხორციელებულ ოპერაციებზე ამზადებს მასალებს და რეაგირებისათვის გადასცემს სათანადო ორგანოს;

ვ) დადგენილი წესით ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან იღებს ინფორმაციებს გადასახადის გადამხდელთა მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ და უზრუნველყოფს მათ მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში შეტანას და სათანადო დამუშავებას;

ზ) სახაზინო დანესებულებებიდან იღებს ინფორმაციას გადასახადის გადამხდელის/სხვა ვალდებული პირების მიერ შესაბამის ბიუჯეტებში ჩარიცხული გადასახადების

ის, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ და უზრუნველყოფს აღნიშნული მონაცემების კომპიუტერებში შეტანას;

თ) დადგენილი წესის მიხედვით აწარმოებს გადასახადის გადამხდელების ბარათებზე საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული გადასახადების დარიცხვას და აღრიცხვას გადასახადების სახეების მიხედვით;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფორმით ამზადებს „საგადასახადო მოთხოვნის“ პროექტებს ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის/მოადგილის მიერ მათზე ხელმოწერისათვის;

კ) ადგენს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებული სტატისტიკური და ფაქტობრივი შემოსავლებისა და ვადაგადაცილებული დავალიანებების შესახებ ანგარიშებს;

ლ) იცავს კომპიუტერულ სისტემებს გარეშე პირების მიერ მონაცემთა ბაზაში შეღწევისაგან;

მ) კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში უზრუნველყოფს გადამხდელთა სხვადასხვა გადასახადების ბარათებზე არსებული ზედმეტობების გადატანას სხვა გადასახადების ანგარიშში ან მათ დაბრუნებას გადამხდელთათვის;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგადასახადო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენას, შესაბამისი ოქმების შედგენას და შემდგომი რეაგირებისათვის მასალების გადაგზავნას იურიდიული სამართავლოსათვის;

ო) ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში) არსებული და მესამე პირებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე ამზადებს წინადადებებს გადასახადის გადამხდელთა მიმართ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

**მომსახურების სამმართველო გადამხდელთა მომსახურების მიზნით:**

ა) აწარმოებს გადამხდელთა საქმეებს, უზრუნველყოფს ინფორმაციის შეკრებას, სისტემატიზაციას და გადასცემს ადმინისტრაციას;

ბ) განიხილავს გადასახადის გადამხდელების განცხადებებს საგადასახადო დეკლარაციების წარმოდგენის ვადის გაგრძელების შესახებ;

გ) უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე შედარების აქტების გაფორმებას;

დ) უზრუნველყოფს „გადასახადის გადამხდელთა მოთხოვნების“ განხილვას და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებას;

ე) უწევს კონსულტაციებს გადასახადის გადამხდელებს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით;

ვ) აწვდის გადასახადის გადამხდელებს ინფორმაციას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით;

ზ) უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელზე/საგადასახადო აგენტზე ამონაწერის გადაცემას საგადასახადო ვალდებულებების ცვლილებებისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ;

თ) უზრუნველყოფს გადამხდელებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით და კანონმდებლობით დადგენილი სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმებით, დეკლარაციებით და უწევს შესაბამის მომსახურებას დეკლარაციის მიღებასთან დაკავშირებით;

ი) უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანებების (მათ შორის ქონების გადასახა-

დზე) არარსებობის შესახებ ცნობების გაცემას;

კ) საბანკო დაწესებულებებიდან იღებს კანონმდებლობით დადგენილ ინფორმაციას და ახორციელებს შესაბამისი ცნობების გაცემას;

ლ) უზრუნველყოფს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ცნობების გაცემას;

მ) უზრუნველყოფს საჯარო მოსამსახურეთა ქონებრივი დეკლარაციების ფორმების გაცემას, შევსებული ფორმების მიღებას და მათი შენახვის ორგანიზებას;

ნ) ეკომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**გადასახადების ადმინისტრირების სამმართველო საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიზნით:**

ა) ახორციელებს საგადასახადო და საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს გადამხდელის ქონების მიმართ საგადასახადო გირავნობის/ იპოთეკის უფლების გამოყენებით, მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევით, ქონებაზე ყადაღის დადებით, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციით, საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამონერით. გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულადი სახსრების ამოღებით და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებებით;

ბ) შეისწავლის საგადასახადო და საბაჟო ვალდებულების ვადის შეცვლის, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისა და გადასახადების მიხედვით ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ჩამონერასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის წინადადებებს წარუდგენს ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ხელმძღვანელობას.

**გადასახადების ადმინისტრირების სამმართველო მიმდინარე კონტროლისა და გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების განხორციელების მიზნით:**

ა) აწესებს კონტროლს გადასახადების გადამხდელის მიერ გადასახადების სრულ და დროულ გადახდაზე;

ბ) აკრძავს ინფორმაციას შემოსავლებისა და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების შესახებ;

გ) ახორციელებს ღონისძიებებს იმ გადასახადის გადამხდელთა გამოვლენის მიზნით, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადების გადახდას;

დ) ახდენს სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე მომუშავე პირთა გამოვლენას, შესაბამისი ოქმების შედგენას და შემდგომი რეაგირებისათვის მასალების გადაგზავნას იურიდიული სამმართველოსათვის;

ე) ეკომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენას, შესაბამისი ოქმების შედგენას და შემდგომი რეაგირებისათვის მასალების გადაგზავნას იურიდიული სამმართველოსათვის;

ვ) ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში ახორციელებს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებასთან

დაკავშირებულ ზედამხედველობას, გამოვლენილ დარღვევებზე ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევათა ოქმებს და შესაბამისი რეაგირებისათვის უგზავნის იურიდიულ სამმართველოს.

ზ) ახორციელებს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის გამოკვლევას ქრონომეტრაჟის ჩატარებით, საკონტროლო შესყიდვით, გადასახადის გადამხდელის ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების დათვალიერებით და ინვენტარიზაციით;

თ) ახორციელებს საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადამხდელის მიერ აქციზური მარკების ნიშანდებსა და ქვემდებარებული საქონლის წარმოების, მინდობის დარღვევის ფაქტების გამოვლენას;

ი) აქციზური საქონლის რეალიზაციაზე კონტროლის მიზნით ახორციელებს საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ გადამხდელზე აღმრიცხველი მონყობილობებისა და სათავსოების დალუქვას, დამატებითი აღმრიცხავი ტექნიკური საშუალებების დაყენებას და მის კონტროლს. დაზიანების შემთხვევაში ახდენს ლუქის ახსნას, მათ ხელახალ დალუქვას და ადგენს ამ მიზნით შემუშავებული შესაბამისი ფორმის აქტებს. ხელახალი დალუქვის ყველა შემთხვევაში ახდენს საკონტროლო-სალარო აპარატში შეტანილი პაროლის შეცვლას;

კ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**საგადასახადო შემონმებების სამმართველო:**

ა) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საგადასახადო გადამხდელთა საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების კამერალურ შემონმებას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ატარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით ან/და 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ, ასევე სანარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციასთან/ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საგადასახადო შემონმებებს;

გ) ახორციელებს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საგადასახადო შემონმების აქტების შედგენას, შემონმების აქტის საფუძველზე განხილვის ოქმისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებას და გადაწყვეტილების მისაღებად ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსისათვის/მოადგილისათვის წარდგენას;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საგადასახადო შემონმებისა და დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში სათანადო მასალების შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საგადასახადო კოდექსებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ადგენს შესაბამის ოქმებს და უზრუნველყოფს შემდგომი რეაგირებისათვის იურიდიული სამმართველოსათვის დაუყოვნებლივ გადაცემას;

ვ) საგადასახადო შემონმებასთან დაკავშირებით თანამშრომლობს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტთან და საჭიროების შემთხვევაში აწვდის შესაბამის ინფორმაციას;

ზ) ახორციელებს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში საგადასახადო შემონმებების კუთხით განუვლი მუშაობის შესახებ ინფორმაციის წარდგენას.

საგადასახადო შემონმებების სამმართველო არ ახორციელებს იმ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო შემონმებას, რომელთა მიმართ გასვლით საგადასახადო შემონმებას მოცემული პერიოდისათვის ატარებს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი.

**საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელება, მათი შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევა და ამ რეჟიმის დასრულების მიზნით:

ა.ა) დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის პირობებისა და ვადების შემონმება (მათ შორის, აღრიცხვის მონომობით, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – სხვა საბაჟო დოკუმენტებით განსაზღვრული ვადებისა და მარშრუტის დაცვის შემონმება; აგარიისა და დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტისა და დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადების დარღვევების შემთხვევაში – სათანადო მტკიცებულებებისა და საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული მითითებების შესრულების შემონმება; საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ საჯარო წესების დარღვევის, ან/და საბაჟო ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების თაობაზე გაკეთებული აღნიშვნების საფუძველზე, შესაბამისი სახდელის აღსრულების მდგომარეობის შემონმება (მაგ., ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში – გადახდის ქვითარის არსებობის შემონმება);

ა.ბ) დეკლარაციისა და თანდართული საბუთების, დეკლარირების ვადების და დეკლარირების სისწორის შემონმება (მათ შორის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საბაჟო გადასახდელის დარიცხვის სისწორის შემონმება);

ა.გ) საბაჟო პროცედურების და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელება;

ა.დ) სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების კოორდინაცია;

ა.ე) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანასთან ან გატანასთან და საბაჟო რეჟიმში მოქცევასთან დაკავშირებული პირობების დაცვის შემონმება;

ა.ვ) საბაჟო შეღავათების გამოყენების საფუძვლიანობის შემონმება;

ა.ზ) სკომპეტენციის ფარგლებში საბაჟო გადასახდელის დარიცხვა, ბიუჯეტში მათი დროული და სრული აკუმულირების უზრუნველყოფა;

ბ) დადგენილი წესით საბაჟო გადასახდელის მონაცემთა აღრიცხვა;

გ) საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სისტემატიური კონტროლი შესაბამისი საბაჟო რეჟიმით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების, აგრეთვე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების მიზნით;

დ) საბაჟო კანონმდებლობის დარღვევათა გამოვლენა-აღკვეთა, სამართალდარღვევის ოქმების შედგენა, კონკრეტული დარღვევის სასიათიდან გამომდინარე, ინფორმაციის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სათანადო ქვედანაყოფებისათვის მიწოდება;

ე) სკომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილე-

ბების განხორციელება.

**საბაჟო კონტროლისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილება**

საბაჟო კონტროლისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების ფუნქციები:

ა) რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) დაქვემდებარებული სასაზღვრო საბაჟო ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია, კომპეტენციის ფარგლებში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა;

ბ) რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) დაქვემდებარებული საბაჟო ორგანოების მიერ გამოწერილი ან კონტროლიდან მოხსნილი საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონაწილის შესაბამისი პირველი და მეორე პირის (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მონაწილე კონტროლიდან იხსნება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე) მიღება, აღრიცხვა, შენახვა და დადგენილი წესის შესაბამისად არქივში გადაცემის მიზნით დამუშავება. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარდგენისათვის დადგენილი ვადებისა და პირობების დარღვევის ფაქტებზე საბაჟო ორგანოს მიერ განხორციელებული რეაგირების ღონისძიებების ორგანიზაცია, ამ ღონისძიების შესახებ ინფორმაციის მიღება-დამუშავება;

გ) რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) დაქვემდებარებულ საბაჟო ორგანოებში წარდგენილი საქონლის გადაადგილებაზე საბაჟო ვალდებულების დაფარვის გარანტიებზე (საბანკო გარანტია, დაზღვევა, დეპოზიტი და სხვა), მათ შესრულებაზე და გაუქმებაზე, თანხების ჩამოჭრაზე მონიტორინგის განხორციელება;

დ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მდებარე ღია ან/და დახურული საბაჟო საწყობების, დროებითი შენახვის ღია ან/და დახურული საწყობების, უბაჟო ვაჭრობის პუნქტის სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების კოორდინაცია, სანებართვო პირობებთან დაკავშირებით გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის მიღება და ნებართვის გამცემი ორგანოს ინფორმირება;

ე) საბაჟო ორგანოების მიერ სახელმწიფო ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინალური სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო, შეზღუდულად ბრუნვადი მასალების, ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების და რადიოაქტიური ნარჩენებისა და მინერალების (ნიალისეულის), გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების, სამხედრო-საბრძოლო იარაღის, საბრძოლო მასალის, იარაღის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების, საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობათა, სავალუტო კონტროლის და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების კოორდინაცია, მათი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით საბაჟო ორგანოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და კომპეტენციის ფარგლებში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა. ზემოაღნიშნული სახეობის სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებელი საბაჟო ორგანოების მოხელეთა და მათზე გაცემული სპეცტენციის აღრიცხვა. ამ კუთხით საბაჟო ორგანოების მიერ გამოვლენილი სამართალდარ-

ღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება, დამუშავება;

ვ)სტატისტიკური და ფაქტობრივი შემოსავლების, ზედმეტად და შეცდომით გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხების, ვადაგადაცილებული დავალიანებების, სანქცია-საურავების, რესტრუქტურული ზეგავლენის და უიმედოდ აღიარებულ დავალიანებათა აღრიცხვა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ღონისძიებების განხორციელების მიზნით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის ინფორმაციის მიწოდება. კანონმდებლობით დადგენილი წესით, ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება;

ზ)გადასახადის გადამხდელის მიერ საბაჟო დამუშავების ოპერაციების მიზნით დეპოზიტზე განთავსებული თანხის ხაზინის შესაბამის ანგარიშზე გადატანის უზრუნველყოფა;

თ)კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო ორგანოებში არსებული ინფორმაციის ელექტრონულად მიღება, გადაცემა და დამუშავება;

ი)საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ელექტრონული და არაელექტრონული ბაზების ოპერატიული განახლების კოორდინაცია და სისტემატიზაცია;

კ)შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის დადგენილი წესით და ფორმით ინფორმაციების მიწოდება.

საბაჟო საგუშაგო „თბილისის აეროპორტი“ და საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“ საბაჟო საგუშაგოს და საბაჟო გამშვები პუნქტის ფუნქციებისა:

ა)საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა;

ბ)საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი;

გ)საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ფიტოსანიტარული და ვეტსანიტარული კონტროლი;

დ)საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების კოორდინაცია და აგრეთვე სამკურნალო საშუალებათა, ნარკოტიკულ საშუალებათა და პრეპარატების, იარაღის, ორმაგი დანიშნულების საქონლის, სახიფათო ნარჩენების, კულტურულ ფასეულობათა საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლი, რადიაციული და სავალუტო კონტროლი, საავტორო უფლებების დაცვაზე კონტროლი;

ე)დანიშნულების საბაჟო ორგანომდე და/ან საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილამდე იმ საქონლის, რომლის საიმედო იდენტიფიცირება საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შეუძლებელია, გადაადგილებაზე უშუალო ზედამხედველობის განხორციელება საბაჟო მოხელის თანხლებით;

ვ)კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო გადასახადებისა და შესაბამისი მოსაკრებლების დარიცხვა-ამოღება და ბიუჯეტში მათი დროული და სრული აკუმულირება;

თ)საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოვლენა-აღკვეთა, მათზე სათანადო რეაგირება, მათ შორის, საქართველოს საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლის შესაბამისად სამართალდარღვევის ოქმების შედგენა და ამავე მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილ შემთხვევა-



ში სანქციის ადგილზე შეფარდება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) სისტემაში შემავალი განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს გადასახადის გადაამხდელთა/საგადასახადო აგენტთა ან სხვა ვალდებულ პირთა მიმართ საგადასახადო კონტროლს და კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია რისკის კრიტერიუმებისა და გადასახადის გადაამხდელების საგადასახადო შემონმებისათვის შერჩევის პრინციპების შემუშავება, გადასახადის გადაამხდელთა მიმართ ჩასატარებელ გასულით გეგმურ საგადასახადო შემონმებებზე გეგმის დამტკიცების ორგანიზება და მისი შესრულება, საგადასახადო შემონმებებისთვის გადასახადის გადაამხდელთა შერჩევა, საგადასახადო შემონმების წინასწარი მომზადება, საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემონმების ჩატარება, ჩატარებული საგადასახადო შემონმების მასალების განხილვის შედეგებზე გადაწყვეტილებების მიღება, კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემონმების მომზადების და მათი შედეგების რეალიზაციის კომპლექსური სტანდარტული პრინციპების შემუშავება, კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო ორგანოების კოორდინაცია მათ მიერ საგადასახადო შემონმების ჩატარების კუთხით.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შემოსავლების სამსახურის უფროსის წარდგინებით.

დეპარტამენტის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შემოსავლების სამსახურის უფროსის წარდგინებით.

**დეპარტამენტის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:**

ა) იღებს გადაწყვეტილებას, მოქმედებს დეპარტამენტის სახელით, წარმოადგენს დეპარტამენტს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ურთიერთობაში;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, განკარგულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;

გ) ახორციელებს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მართვას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას. საჭიროების შემთხვევაში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის და დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა მიერ კონკრეტული ფუნქციის შესრულების თაობაზე;

დ) იღებს გადაწყვეტილებებს საგადასახადო შემონმებების ორგანიზების, მომზადებისა და ჩატარების შესახებ;

ე) იღებს გადაწყვეტილებებს საგადასახადო შემონმების მასალების განხილვის შედეგებზე;

ვ) კანონით დადგენილი წესის შესაბამისად წარადგენს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) ანგარიშვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის წინაშე;

თ) ეგამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

**დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:**

ა) ადმინისტრაცია;

ბ) ქ. თბილისის მთავარი სამმართველო;

გ) აღმოსავლეთის მთავარი სამმართველო;

დ) დასავლეთის მთავარი სამმართველო;

ე) კონტროლის, დაგეგმვის და იურიდიულ საკითხთა მთავარი სამმართველო.

**დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები იყოფა შემდეგ სამმართველოებად:**

ა) ქ. თბილისის მთავარი სამმართველო;

ა.ა) საკონტროლო შემონმებების სამმართველო;

ა.ბ) ცენტრალური სამმართველო;

ბ) აღმოსავლეთის მთავარი სამმართველო:

ბ.ა) თელავის სამმართველო;

ბ.ბ) რუსთავის სამმართველო;

ბ.გ) გორის სამმართველო;

ბ.დ) ახალციხის სამმართველო;

გ) დასავლეთის მთავარი სამმართველო:

გ.ა) ქუთაისის სამმართველო;

გ.ბ) ფოთის სამმართველო;

გ.გ) ბათუმის სამმართველო;

გ.დ) გურიის სამმართველო;

დ) კონტროლის, დაგეგმვის და იურიდიულ საკითხთა მთავარი სამმართველო;

დ.ა) ჩატარებული საგადასახადო შემონმებების კონტროლის სამმართველო;

დ.ბ) ანალიზისა და დაგეგმვის სამმართველო;

დ.გ) იურიდიულ საკითხთა სამმართველო.

**ადმინისტრაცია:**

ა) ანარმოებს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრულ აღრიცხვას;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

გ) ანარმოებს საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების აღრიცხვასა და კომპეტენციით განსაზღვრულ საკადრო საქმიანობას;

დ) უზრუნველყოფს საკომუნიკაციო და საკორესპონდენტო პროცესის კონტროლს;  
 ე) უზრუნველყოფს შემონმების მასალების განხილვის შედეგებზე გამოტანილ გადაწყვეტილების შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამისი საგადასახადო ორგანოსათვის გადაგზავნას;

ვ) ახორციელებს საკონტროლო დავალებათა შესრულებაზე კონტროლს, რის შესახებაც დეპარტამენტის უფროსს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას;

ზ) უზრუნველყოფს არქივის წარმოებას;

თ) ასრულებს დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებებს.

**ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში) და მსხვილ გადასხდელთა საგადასახადო ინსპექციაში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადასახადის გამამხდელების საგადასახადო შემონმების მიზნით:

ა.ა) გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმების გეგმის შესრულება;

ა.ბ) საგადასახადო შემონმების წინასწარი მომზადება;

ა.გ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით კამერალური და გასვლითი (მათ შორის საკონტროლო) საგადასახადო შემონმებების ჩატარება;

ა.დ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საგადასახადო შემონმების აქტების შედგენა, შემონმების აქტის საფუძველზე განხილვის ოქმისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და გადაწყვეტილების მისაღებად დეპარტამენტის უფროსისათვის/მოადგილისათვის წარდგენა;

ა.ე) დანაშაულის ნიშნების არსებობისას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სათანადო მასალების შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის უზრუნველყოფა;

ა.ვ) საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ქმედებების განხორციელება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ოქმების შედგენის უზრუნველყოფა და კონტროლის, დაგეგმვის და იურიდიულ საკითხთა მთავარი სამმართველოსათვის შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემა;

გ) საგადასახადო შემონმებებთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

დ) დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**აღმოსავლეთის მთავარი სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) თელავის, რუსთავის, გორის, ახალციხის და ცხინვალის რეგიონალურ ცენტრებში (საგადასახადო ინსპექციაში) საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადასახადის გამამხდელების საგადასახადო შემონმების მიზნით:

ა.ა) გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმების გეგმის შესრულება;

ა.ბ) საგადასახადო შემონმების წინასწარი მომზადება;

ა.გ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით კამერალური და გასვლითი (მათ შორის საკონტროლო) საგადასახადო შემონმებების ჩატარება;

ა.დ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საგადასახა-

დო შემონმების აქტების შედგენა, შემონმების აქტის საფუძველზე განხილვის ოქმისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და გადაწყვეტილების მისაღებად დეპარტამენტის უფროსისათვის/მოადგილისათვის წარდგენა;

ა.ე) დანაშაულის ნიშნების არსებობისას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სათანადო მასალების შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის უზრუნველყოფა;

ა.ვ) საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ქმედებების განხორციელება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ოქმების შედგენის უზრუნველყოფა და კონტროლის, დაგეგმვის და იურიდიულ საკითხთა მთავარი სამმართველოსათვის შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემა;

გ) საგადასახადო შემონმებებთან დაკავშირებით შემოსული კორუპციონდენციის განხილვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

დ) დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**დასავლეთის მთავარი სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) ბათუმის, ქუთაისის და ფოთის რეგიონალურ ცენტრებში (საგადასახადო ინსპექციებში), ასევე გურიისა და აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციებში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადასახადის გადამხდელების საგადასახადო შემონმების მიზნით:

ა.ა) გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმების გეგმის შესრულება;

ა.ბ) საგადასახადო შემონმების წინასწარი მომზადება;

ა.გ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით კამერალური და გასვლითი (მათ შორის საკონტროლო) საგადასახადო შემონმებების ჩატარება;

ა.დ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საგადასახადო შემონმების აქტების შედგენა, შემონმების აქტის საფუძველზე განხილვის ოქმისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და გადაწყვეტილების მისაღებად დეპარტამენტის უფროსისათვის/მოადგილისათვის წარდგენა;

ა.ე) დანაშაულის ნიშნების არსებობისას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სათანადო მასალების შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის უზრუნველყოფა;

ა.ვ) საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ქმედებების განხორციელება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ოქმების შედგენის უზრუნველყოფა და კონტროლის, დაგეგმვის და იურიდიულ საკითხთა მთავარი სამმართველოსათვის შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემა;

გ) საგადასახადო შემონმებებთან დაკავშირებით შემოსული კორუპციონდენციის განხილვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

დ) დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**ჩატარებული საგადასახადო შემონმებების კონტროლის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) ჩატარებული საგადასახადო შემონმებების შერჩევითი განხილვა და ხელმძღვანელობის წინაშე შესაბამისი წინადადებების წარდგენა;

ბ) საგადასახადო შემონმებების განმარტაციულად პირთათვის პრაქტიკული დახმარებებისა და კონსულტაციების გაწევა;

გ) კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემონმებების მომზადების და მათი შედეგების რეალიზაციის შესახებ სტანდარტული პრინციპებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;

დ) დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულება;

**ანალიზისა და დაგეგმვის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) შემოსავლების სამსახურიდან მიღებული რანჟირებული სიისა და მიღებული სხვა სათანადო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდლების საგადასახადო შემონმებებისთვის შერჩევის პრინციპების შემუშავება;

ბ) გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმებების გეგმის პროექტის მომზადება და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

გ) საგადასახადო შემონმებებისათვის გადასახადის გადამხდელთა შერჩევა, საგადასახადო შემონმებებისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის მომზადება და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის წინადადებების და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო ორგანოების კოორდინაცია მათ მიერ საგადასახადო შემონმებების ჩატარების კუთხით;

ვ) დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

**იურიდიულ საკითხთა სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:**

ა) საგადასახადო და სხვა სახის სასამართლო დავებში მონაწილეობა;

ბ) საგადასახადო შემონმებების ჩატარების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსამართლის სათანადო ბრძანების მოპოვება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება;

დ) დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.



## **საქართველოს ნორმატიული აქტები**

### **საქართველოს კანონი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ

#### **საქართველოს კანონმდებლობა აქტი**

საქართველოს მთავრობის დადგენილება №39

2004 წლის 21 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1242

2007 წლის 28 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულება – გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №550

2004 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №172

2007 წლის 2 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადასხედულთა საგადასახადო ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №170

2007 წლის 2 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №168

2007 წლის 2 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1096

2007 წლის 28 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1097

2007 წლის 28 სექტემბერი ქ. თბილისი



## 2.17 გადასახადები და ბუღალტრული აღრიცხვა

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, აგრეთვე კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კერძო სამართლის იურიდიული პირი (მცირე სანარმოთა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა) ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ანარმოთს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალურ მენარმეს, მცირე სანარმოთა და არაკომერციულ იურიდიულ პირს უფლება აქვთ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ანარმოთს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და განევა იმგვარად, რომ ცხადად აისახოს დასაბეგრი შემოსავალი (მიგება). გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად გამოიყენება საკასო ან დარიცხვის მეთოდი, იმის მიხედვით, თუ რომელ მეთოდს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი მათ დანყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე. ამასთან, აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში სრულად და გარკვევით უნდა იყოს ასახული სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, საგანი, თანხა, სამეურნეო ოპერაციის მიზანი და მხარეების დასახელება. გარდა ამისა, ეკონომიკური საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების შემთხვევაში (გარდა სპეციალური დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სავალდებულოა სასაქონლო ზედნადები გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით, რომლის გარეშე აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია.

შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე გადასახადებით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის წესის დარღვევად ითვლება პირველადი დოკუმენტების, სასაქონლო ზედნადებების (დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების), საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრების უქონლობა, ან დადგენილი წესის დარღვევით მათი წარმოება, სათა-



მაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის ან/და დალუქვის გარეშე შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის არსებობა, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე და ანგარიშგებაში გადასახადის გადამხდელის სამეურნეო ოპერაციების, ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების, არამატერიალური აქტივებისა და ფინანსური დაბანდებების სისტემატიურად (კალენდარული წლის გვიანვლობაში ორჯერ და მეტიჯერ) არააღრულებად ან არასწორად ასახვა.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ თანახმად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთო მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იგი შეიმუშავებს და ამტკიცებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ ნორმატიულ აქტებს და მეთოდურ მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სანარმოხა და ორგანიზაციისათვის.

ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მეთოდურ მითითებებს, დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში შეიმუშავებენ და ამტკიცებენ დარგობრივი სამინისტროები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

**ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი ამოცანებია:**

— სანარმოს, ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელია ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მმართველობისათვის, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოსაყენებლად ინვესტორების, მიმწოდებლების, მყიდველების, კრედიტორების, საფინანსო, საგადასახადო და სტატისტიკური ორგანოების, ბანკებისა და სხვა დაინტერესებული სანარმოებისა და პირების მიერ.

— სანარმოს, დაწესებულების ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლის უზრუნველყოფა.

— საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროული აღკვეთა, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და მობილიზება. სანარმო, ორგანიზაცია სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ორმაგი ჩანერის ხერხით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს ბუღალტრული ანგარიშების ბრუნებისა და ნაშთების ყოველთვიურად გამოყვანას და სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესაბამისობას ყოველი თვის პირველი რიცხვისათვის, შემოსავლებისა და ხარჯების საანგარიშო პერიოდისათვის მიკუთვნების სისწორეს, კაპიტალური დაბანდებებისა და წარმოების მიმდინარე ხარჯების აღრიცხვის გამიცხვას.

საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში ჩანანერის შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც აღწუსსხავენ სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტს.

პირველად საბუთებში უნდა აღინიშნოს შემდეგი რეკვიზიტები: დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, განზომილება (რაოდენობრივ და ლირებულებით გამოსახულებაში), სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, ოპერაციის ჩატარებისა და სწორად გაფორმები-

სათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს ოპერაციის შინაარსიდან და მონაცემების ტექნოლოგიური დამუშავების თავისებურებიდან.

პირველადი დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს სამეურნეო ოპერაციის მოხდენის მომენტში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, — უშუალოდ ოპერაციის დამთავრებისთანავე. პირველადი დოკუმენტების დროული შედგენა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვისათვის გადაცემა უნდა განხორციელდეს სანარმოს მიერ განსაზღვრულ ვადებში. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემაში მოდის სააღრიცხვო რეგისტრებში (ან ინფორმაციის მანქანურ მატარებლებში), რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველია.

სანარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვალდებული არიან ბუღალტრული დოკუმენტები ათი წლის განმავლობაში შეინახონ.

ჩანაწერები ბუღალტრულ აღრიცხვაში სანარმოს სავალუტო ანგარიშებისა და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების მიხედვით წარმოებს ეროვნულ ვალუტაში. თანხებში, რომლებიც განსაზღვრულია უცხოური ვალუტის გადაანგარიშების გზით ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის, მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით სანარმო, ორგანიზაცია ახდენს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას.

სამეურნეო წელს ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა, თარიღი, ქონებისა და ვალდებულებების ნუსხა თითოეული ინვენტარიზაციის დროს დგინდება სანარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა.

ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა:

1. სანარმოს, ორგანიზაციის ქონების იჯარით გადაცემის, გამოსყიდვის, გაყიდვის და აგრეთვე პრივატიზაციისას;
2. სამეურნეო წლის ბოლოს, გარდა იმ ქონებისა და ვალდებულებებისა, რომელთა სრული ან ნაწილობრივი ინვენტარიზაციაც ჩატარებულია სამეურნეო წლის დასასრულამდე სამი თვის განმავლობაში;
3. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეცვლისას;
4. ფასეულობების დატაცების, ბოროტად გამოყენებისა და დაზიანების ფაქტების დადგენისას;
5. ხანძრის ან სტიქიური უბედურების შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სანარმოს, დანესებულების ხელმძღვანელს.

ხელმძღვანელი ვალდებულია შექმნას სათანადო პირობები ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისათვის, უზრუნველყოს სანარმოს, დანესებულების მუშაკთა ქვეგანყოფილებებისა და სამსახურის მიერ მთავარი ბუღალტრის (ბუღალტრის) მოთხოვნების შესრულება დოკუმენტებისა და მონაცემების გაფორმებისა და სააღრიცხვო სამსახურებისათვის წარდგენის ნაწილში.

ბუღალტრულ აღრიცხვას სანარმოში, დანესებულებაში ახორციელებს ბუღალტერია

(ცენტრალიზებული ბუღალტერია), რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფია (სამსახური) და არ შედის სხვა რომელიმე ქვედანაყოფის შემადგენლობაში.

ბუღალტერიას ხელმძღვანელობს მთავარი ბუღალტერი (ან ბუღალტერი თუ სანარმოს, ორგანიზაციის საკუთარი საბუღალტრო ქვედანაყოფი, სამსახური არ გააჩნია).

სანარმოს, ორგანიზაციის მთავარ ბუღალტერს (ბუღალტერს) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ხელმძღვანელი, თუ სხვა რამ არ არის წესდებით გათვალისწინებული.

მთავარი ბუღალტერი (ბუღალტერი) უზრუნველყოფს სანარმოს, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ყველა სამეურნეო ოპერაციის საბუღალტრო ანგარიშებზე ასახვის სისრულეს და კონტროლს, ოპერატიული ინფორმაციისა და ბუღალტრული ანგარიშგების დროულ შედგენასა და წარდგენას.

სანარმოს, ორგანიზაციის მთავარ ბუღალტერს (ბუღალტერს) ეკრძალება მიიღოს შესასრულებლად და გასაფორმებლად დოკუმენტები ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და არღვევს სახელშეკრულებო და საფინანსო დისციპლინას. ასეთი დოკუმენტების შესახებ მთავარი ბუღალტერი წერილობით აცნობებს ხელმძღვანელს. ხელმძღვანელისაგან აღნიშნული დოკუმენტების შესრულების შესახებ წერილობითი განკარგულების მიღების შემდეგ მთავარი ბუღალტერი (ბუღალტერი) ასრულებს მას, ამკვე დროს მთელი პასუხისმგებლობა უკანონო ოპერაციების შესრულებისათვის ეკისრება ხელმძღვანელს.

მთავარ ბუღალტერთან (ბუღალტერთან) მიზანშეწონილია შეთანხმდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების (მოლარეების, საწყობის გამგეების და სხვ.) დანიშვნა, გათავისუფლება და გადაადგილება.

სანარმოში, ორგანიზაციაში, სადაც მუშაკთა მცირე რიცხოვნობა და შტატში მოლარე არ ჰყავთ, მისი მოვალეობა ხელმძღვანელის განკარგულებით შეიძლება დაეკისროს მთავარ ბუღალტერს (ბუღალტერს) ან სხვა მუშაკს.

მთავარი ბუღალტრის არყოფნისას (მივლინება, შევებულება, ავადმყოფობა და ა.შ.) მთავარი ბუღალტრის უფლება-მოვალეობანი გადაეცემა მის მოადგილეს, ხოლო ამ უკანასკნელის არყოფნისას – სხვა თანამდებობის პირს, რაც ფორმდება სანარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მთავარი ბუღალტრის (ბუღალტრის) გათავისუფლებისას საქმეები გადაბარდება ახლადდანიშნულ მთავარ ბუღალტერს (ბუღალტერს); უკანასკნელის არყოფნისას – მუშაკს, რომელიც ხელმძღვანელის ბრძანებით არის დანიშნული.

სანარმოები, რომლებიც „შენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლებიან იურიდიულ პირებად, წარუდგენენ წლიურ ბუღალტრულ ანგარიშგებას:

ა) დამფუძნებლებს (მონაწილეებს) კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

ბ) სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ორგანოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

სხვა მისამართებით და ვადებში ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, სადამფუძნებლო დოკუმენტებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სანარმო წარმოადგენს ბუღალტრულ ანგარიშგებას სამეურნეო წლის მომდევნო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ანგარიშგების წარდგენის

კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს სანარმო.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის №328 ბრძანების „სალაროს მუდრუნობის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე თანახმად, მოცემული დებულება ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ იურიდიულ პირებზე (როგორც საჯარო, ასევე ეერძო სამართლის), სამინისტროებზე, სახელმწიფო დეპარტამენტებზე და სხვა სახელმწიფო უწყებებზე; ორგანიზაციულ წარმონაქმნებზე, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები; აგრეთვე ინდივიდუალურ მენარმეებზე, რომელთა სამეურნეო წლის ამონაგები აღემატება ორმოცი ათას ლარს (შემდგომში პირები).

პირები, რომლებზედაც ვრცელდება მოცემული დებულება, ვალდებულნი არიან სამუშაო დღის ბოლოს ნაღდი ფულის ამონაგები შეიტანონ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში თავიანთ ანგარშზე. ის პირები, რომლებიც საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე (რესტორნები, კინოთეატრები, თეატრები, კაზინოები და სხვ.) ნაღდი ფულის შემოსავლებს ლებულობენ საბანკო დღის დამთავრების შემდეგ, ვალდებულნი არიან ნაშთებს ზემოთ ნაღდი ფულის ამონაგები მომსახურე საბანკო დაწესებულებაში შეიტანონ არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. მიმდინარე საჭიროებისათვის ყოველი სამუშაო დღის ბოლოს აღნიშნული პირები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სალაროში ნაღდი ფულის ნაშთის მოცულობას.

ნაღდი ფულის ნაშთის მოცულობა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებული პირებისათვის განისაზღვრება ყოველთვიურად, მათ მიერ წინა თვეში საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი, დამატებული ღირებულების დეკლარაციაში მითითებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციით მიღებული მთლიანი ამონაგების (დღგ-სა და აქციზის ჩათვლით) მიმართ შემდეგი ოდენობით:

№	საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციით მიღებული თვიური ამონაგები	ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში
1	2	3
1	50.000 ლარამდე	ამონაგების 0,3%
2	50.000-დან 100.000 ლარამდე	150 ლარი+50.000 ლარს ზევით თანხის 0,2%
3	100.000 და ზევით	250 ლარი+100.000 ლარს ზევით თანხის 0,1%

ზემოაღნიშნული დეკლარაციის არარსებობისას ამონაგების მოცულობა და შესაბამისად ნაღდი ფულის ნაშთების ოდენობა განისაზღვრება სანარმოს საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე. თუ სალაროს ნაშთის განსაზღვრისათვის საბაზისო თვეში სანარმოს არ გააჩნია ამონაგები, სალაროს ნაშთი საანგარიშო თვეში განისაზღვრება წინა პერიოდის მონაცემთა საფუძველზე. ამ მონაცემთა არ არსებობისას, სალაროს ნაშთი განისაზღვრება საანგარიშო თვეში ამონაგების საპროგნოზო მაჩვენებლიდან.

ზემოთაღნიშნული პირები ვალდებული არიან სალაროს ყოველდღიური ნაშთის ლიმიტს ზემოთ არსებული ნაღდი ფული საანგარიშო დღის ბოლოს ჩააბარონ იმ საბანკო დანესებულებას, სადაც გახსნილი აქვთ ანგარიში. ნაღდი ფულის ჩაბარების პირობები განისაზღვრება მომსახურე ბანკთან ხელშეკრულებით.

ოურიდიულ პირებს უფლება აქვთ ყოველდღიური ნაშთების ზევით არსებული ნაღდი ფული შეინახონ მხოლოდ ხელფასების, პრემიების, პენსიების, დახმარებებისა და სტიპენდიების გასაცემად, სამი სამუშაო დღის განმავლობაში ბანკიდან ფულის გამოტანის დღის ჩაუთვლელად.

სალაროს მეურნეობის ორგანიზაცია ევალდება ხელმძღვანელობას.

მოლარის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სალაროდან ნაღდი ფულის მიღებისა და გაცემის ოპერაციების შესრულებას. მოლარე ვალდებულია, იცოდეს ბანკნოტებისა და მონეტების ვარგისიანობის განსაზღვრის წესები, მათი დამცავი ნიშნები, ყალბი ან საეჭვო ბანკნოტებისა და მონეტების გამოვლენისას მოახდინოს რეაგირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ასახვა საბუღალტრო რეესტრებში ხორციელდება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

სალაროში ნაღდი ფული მიიღება მხოლოდ შემოსავლის ორდერით, რომელსაც აქვს ორი მხარე. ორდერის შუაში ჩამოსახვე ხაზზე ისმება ორგანიზაციის ბეჭედი. ფულის შემომტანზე გაიცემა მთავარი ბუღალტრისა და მოლარის ხელმოწერით დადასტურებული, შემოსავლის ორდერის მეორე ნაწილი-ქვითარი, რომელზეც იქნება პირის მრგვალი ბეჭდის ნახევარი. სალაროდან ნაღდი ფული გაიცემა სალაროს გასავლის ორდერით.

ხელფასებზე, დახმარებებზე, სტიპენდიებზე, პრემიებზე, ერთჯერად ფულად გაცემებზე გამოიწერება შესაბამისი უწყისი და სალაროს გასავლის ორდერი.

მიმდინარე საქმიანობისათვის სალაროდან ნაღდი ფული შეიძლება გაიცეს საქვეანგარიშოდ ხელმძღვანელის ნებართვის საფუძველზე, სადაც მითითებული იქნება ამ თანხების გამოყენების ვადა. გაცემული თანხებიდან გამოუყენებელი ფული სალაროს უბრუნდება ერთი დღის ვადაში, მისი გამოყენებისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ საქვეანგარიშო თანხის მიმღები პირები ანგარიშვალდებული არიან ბუღალტერიასთან გამოყენებული თანხების შესახებ.

სალაროდან ნაღდი ფულის გაცემისას, მოლარე ვალდებულია ფულის მიმღებს მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოლარემ თანამშრომლებზე, მათი ობიექტური მიზეზებით არყოფნის დროს, ფული შეიძლება გასცეს მინდობილობით. მინდობილობა დამონმებული უნდა იქნეს კადრების შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ. მინდობილობით გაცემული თანხების შესახებ მოლარის მიერ სალაროს ოპერაციებისათვის განკუთვნილ დოკუმენტებში (ორდერში და უწყისში), კუთდება შესაბამისი აღნიშვნა. მინდობილობა თან დაერთვის უწყისს და გასავლის ორდერს.

ხელფასების, პრემიების, პენსიების, დახმარებებისა და სტიპენდიების გაცემის ვადის გასვლის შემდეგ მოლარე ახდენს დარჩენილი თანხის დეპონირებას. უწყისში იმ პირობებთან მიმართ, რომელთაც არ მიუღიათ კუთვნილი თანხა, ხდება დეპონირების აღნიშვნა; დგება დეპონირებული თანხების რეესტრი. უწყისის ბოლოს კუთდება

შენიშვნა ფაქტობრივად გაცემული და გაუცემელი თანხების შესახებ, რომელიც ექვემდებარება დეკონირებას, რაც დასტურდება ხელმოწერით. მონაცემები ფაქტობრივად გაცემული თანხების შესახებ იწერება სალაროს ნიგნში. ბუღალტერია ამომწებს რა მოლარის მიერ გაცემულ დოკუმენტებს, დეკონირებული თანხები შეაქვს მომსახურე ბანკის დანახებულბაში, რაზეც გამოიწერება გასაგლის ერთი ორდერი.

სალაროს შემოსავლისა და გასაგალის ორდერებში აღინიშნება მათი შედგენის საფუძველი. ორდერებს თან ერთვის შესაბამისი დოკუმენტები. აღნიშნული ორდერებით ოპერაციების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მათი შევსების დღეს. სალაროს ორდერები ივსება ბუთრთულიანი კალმით და მასში ნებისმიერი შესწორების ან ცვლილებების შეტანა აკრძალულია.

სალაროს ოპერაციებთან დაკავშირებული საბუთების წარმოებისას მოლარე ვალდებულია შეამოწმოს მისი რეკვიზიტები, თუ საბუთები არ არის ზუსტი, ის გადაეცემა ბუღალტერიას სათანადო გაფორმებისათვის. სალაროს ორდერებზე მოლარე ხელს აწერს ფულის მიღების ან გაცემის ოპერაციისთანავე. მოლარე ადგენს შემოსავალ-გასაგლების ორდერების რეესტრს.

სალაროში შემოსული და გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება სალაროს ნიგნში. მოლარე ავსებს მხოლოდ ერთ ზონარგაყრილ, გვერდებდანომრილ და ლუქიან სალაროს ნიგნს, რომელიც დამონმებული უნდა იქნეს ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით.

სალაროს ნიგნში ჩანანერი კეთდება ორ ცალად გადასაღები ქალაღდის მეშვეობით. მეორე პირი მოიხევა და წარმოადგენს ბუღალტერთან მოლარის საანგარიშგებო საბუთს. პირველი პირი რჩება სალაროს ნიგნში, ორივე პირი აღირიცხება ერთი და იმავე ნომრით.

სალაროს ნიგნში ჩანანერების ნაშლა, ამოფხეკა, გადასწორება დაუშვებელია. ნებისმიერი შეცდომის გასწორება უნდა მოხდეს შეცდომით (არასწორად) ჩანანერის გადახზვით, ისე რომ გადახზული ჩანანერი იკითხებოდეს და მის ნაცვლად გაკეთდეს სწორი ჩანანერი, რაც დადასტურებული უნდა იქნეს მოლარის და მთავარი ბუღალტრის მიერ.

სალაროს ნიგნში მოლარე ჩანანერს აკეთებს დაუყოვნებლივ, ოპერაციის მოხდენისთანავე, თითოეული ორდერის მიხედვით. ფულის მიღების ან გაცემის შემდეგ ყოველდღიურად, სამუშაო დღის ბოლომდე მოლარე აჯამებს დღის განმავლობაში შესრულებულ ოპერაციებს, გამოჰყავს სალაროში დარჩენილი ფულის ნაშთი და სალაროს ნიგნში ხელის მოწერის შემდეგ ნიგნს მეორე, მოსახვე პირს გადასცემს ბუღალტერიას, როგორც მოლარის საანგარიშგებო დოკუმენტს სალაროს შემოსავლებისა და გასაგალის საბუთებთან ერთად.

სალაროს ნიგნის სწორად წარმოების კონტროლი ეკისრება მთავარ ბუღალტერს.

საქართველოს კანონის „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ მიზანია, საქართველოს როგორც გლობალური ფინანსური ცენტრის განვითარება, საქართველოს ფინანსური სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში, მისი თავსებადობა მსოფლიო ფინანსური სისტემის რეგულირებასთან და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რომლის მისაღწევად საქართველოს ფინანსურ სისტემაში უნდა დამკვიდრდეს თანამედროვე ტექნოლოგიები და საერთაშორისო სტანდარტები; ბიუჯეტში უნდა დაიგეგმოს პროფიტით; უნდა შეიქმნას სპეციალური საბიუჯეტო ფონდები მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის; სამეშე-

სავლო გადასახადი უნდა შემცირდეს ეტაპობრივად; უნდა გაიზარდოს საფინანსო სექტორის გამჭვირვალობა და მოისწავს ხელოვნური შეზღუდვები; ფინანსური ინსტიტუტებისათვის უნდა დაწესდეს შესაბამისი მოქნილი საგადასახადო რეჟიმი; ხელი უნდა შეეწყოს კოლექტორი დაგროვების სქემების (მათ შორის, საპენსიო სქემების) განვითარებას; უნდა გამარტივდეს კომპანიების რეგისტრაცია და ამალდეს პარტნიორთა ნების გამოვლენის ხარისხი.

ამ კანონის საფუძველზე ხორციელდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს საგადასახადო კოდექსში, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს საბაჟო კოდექსში, „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში და „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული შესაბამისი ურთიერთობების რეგულირება.

ფინანსური ინსტიტუტები უფლებამოსილი არიან, განვითარებული ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დამატებითი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე განახორციელონ სათანადო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ფინანსური ინსტიტუტი საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უგზავნის შეტყობინებას საქართველოში საქმიანობის დაწყების შესახებ. ფინანსური ინსტიტუტების მიერ საქართველოში საქმიანობის დაწყების სხვა რეჟიმი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აღიარებულ საფონდო ბირჟებზე (რომლებიც განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად) სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოს საფონდო ბირჟებზე ემისია ან/და განთავსება ხორციელდება საქართველოს შესაბამისი საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად, ყოველგვარი დამატებითი რეგულირების გარეშე.

გლობალური ფინანსური ცენტრისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

სამენარმეო იურიდიულ პირს საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსი ენიჭება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. ასეთი კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი არ უნდა აღმატებოდეს მისი საერთო შემოსავლების 10%-ს.

გადასახადისაგან თავისუფლდება შემდეგი სახის შემოსავალი ან/და მოგება:

ა)საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ მიღებული მოგება;

ბ)საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტეი შემოსავალი;

გ)საერთაშორისო ფინანსური კომპანიის აქციებიდან/წილიდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;

დ)ლოცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;

ე)საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი, თუ, საფონდო ბირჟის ინფორმაციით, ასეთი ფასიანი ქაღალდების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25%-ს;

ვ)საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული დივიდენდები ან/და პროცენტები, თუ საფონდო ბირჟის ინფორმაციით თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25%-ს;

ზ)არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი სანარმოს, ორგანიზაციის ან/და მენარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე, აგრეთვე არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დანესებულებას საქართველოში;

თ)რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლებს.

საჯარო ფინანსების მართვა ეფუძნება:

ა)საჯარო ფინანსების მართვის საერთაშორისო კლასიფიკატორის დანერგვას;

ბ)საჯარო ფინანსების მართვის კლასიფიკატორის შესაბამისად შექმნილ პროფიციტულ ბიუჯეტს.

საბიუჯეტო პროფიციტი და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი მიმართული იქნება მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდებში, რომლებიც მოხმარდება მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მიზნებს.

საფინანსო სექტორის რეგულირება დაფუძნებულია:

ა)ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებაზე და ბუღალტერთა/აუდიტთა პროფესიულ თვითრეგულირებაზე, რაც ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ბ)გლობალური ფინანსური ცენტრის ჩამოყალიბების, მისი ეფექტიანი და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის ღონისძიებების გაძლიერებაზე;

გ)საბანკო ინსტიტუტების მაკონტროლებელი პირებისა (უშუალო მფლობელებისა და ბენეფიციარი მესაკუთრების) და ადმინისტრატორებისათვის დანესებული კრიტერიუმების შესაბამისი კონტროლის მექანიზმის ჩამოყალიბებაზე.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით რეგულირებადი მონაწილეების მიმართ შეიძლება დადგინდეს გამარტივებული მოთხოვნები, სალიცენზიო პირობები და შეიზღუდოს სააგენტოს უფლებები ზედამხედველობასთან დაკავშირებით, გარდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით განხორციელებული ზედამხედველობისა.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტები ემსახურებიან მხოლოდ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმოს და მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ პირებს.



საერთაშორისო ფინანსური კომპანიები საქართველოში მომსახურებას უწევენ მხოლოდ მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ პირებს და საქართველოში მოქმედლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს.

საერთაშორისო ფინანსური კომპანიის ერთი დირექტორი მაინც უნდა იყოს საქართველოს საგადასახადო რეზიდენტი.

საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებით საერთაშორისო ფინანსური კომპანიებისათვის შეიძლება დადგინდეს გამარტივებული ან შეცვლილი სალიცენზიო პირობები, განსხვავებული მინიმალური კაპიტალის ან კაპიტალთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები და გავრცელდეს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმოებისათვის დადგენილი უფლებები ან/და შეზღუდვები.

საერთაშორისო ფინანსური კომპანიები საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შემომშებას ექვემდებარებიან მხოლოდ:

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის შემომშების მიზნით;

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დაშვებულია საერთაშორისო ფინანსური კომპანიის რეგისტრაცია და საქმიანობა.



## საქართველოს ნორმატიული აქტები

### საქართველოს კანონი

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ

საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ

შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ

ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ

საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ

### საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №70

1998 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №351

1999 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილება №45

2005 წლის 14 მარტი ქ. თბილისი

ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტადან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №86**

**2005 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი**

„სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №153**

**2004 წლის 15 მარტი ქ. თბილისი**

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1226**

**2007 წლის 22 ნოემბერი ქ. თბილისი**

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №84**

**2005 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი**

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) გამოწერისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №899**

**2004 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი**

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებული სისტემის შემოღების თაობაზე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1321**

**2007 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი**

„ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №166**

**2007 წლის 26 ივნისი ქ. თბილისი**

საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №328**

**1999 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი**

„სალაროს მეურნეობის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

**საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება №9**

**2005 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი**

მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებითი) სტანდარტის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება №10**

**2005 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტან-**

**დარტების კომისიის დადგენილება №11****2005 წლის 6 აპრილი ქ. თბილისი**

ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი ინტერპრეტაციების სამოქმედოდ შემოღების შესახებ

საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება №2

**2000 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი**

ქართულ ენაზე თარგმნილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღების შესახებ

საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება №3

**2000 წლის 26 ოქტომბერი ქ. თბილისი**

საქართველოს საბანკო დანესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება №3

**2003 წლის 14 იანვარი ქ. თბილისი**

არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №532

**2008 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი**

„სანარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, თავისუფალი სანყოფის სანარმოს და საერთაშორისო სანარმოს სტატუსის მინიჭების/გაუქმების და რეესტრის წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №364

**2008 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი**

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1000

**2007 წლის 16 აგვისტო**

ელექტრონული ფორმით საგადასახადო დეკლარირების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №532

**2008 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი**

სანარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, თავისუფალი სანყოფის სანარმოს და საერთაშორისო სანარმოს სტატუსის მინიჭების/გაუქმების და რეესტრის წარმოების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

## 2.18 საგადასახადო კოდექსში გამოყენებული ტერმინები და ცნებები

საგადასახადო კოდექსის ტერმინები და ცნებები, რომლებსაც აქვთ საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ტერმინებისა და ცნებებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა, გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საგადასახადო კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. პირი – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სანარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

1.1. საგადასახადო ორგანო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მისი სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული ორგანო, ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურული ერთეული ან სხვა ქვედანაყოფი, რომლის ფუნქციაა გადასახადების ადმინისტრირება. ამასთანავე, აღნიშნული ორგანოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოდ აგრეთვე ჩაითვლება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დანესებულება, ამ დანესებულების ტერიტორიული ორგანო ან სხვა ქვედანაყოფი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, შეასრულოს საგადასახადო ორგანოს ფუნქციები.

1.2. შემოსავლების სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ან შემოსავლების სამსახურის რეორგანიზაციის, ან ლიკვიდაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დანესებულება, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება, შეასრულოს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ფუნქციები.

2. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი – საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად მიკუთვნებული ნომერი.

3. სააღრიცხვო დოკუმენტაცია – პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადებით დაბეგრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები.

4. გადასახადების ადმინისტრირება – გადასახადის გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა/საგადასახადო აგენტთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

5. დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელი – ადგილი, სადაც უძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს, ხოლო მოძრავი ქონება რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ არ არსებობს მოძრავი ქონების რეგისტრაციის ადგილი, დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფლად ითვლება ადგილი, სადაც მოძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს.

6. რეზიდენტი – რეზიდენტი ფიზიკური პირი ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს სანარმო ან საქართველოს ორგანიზაცია).

7. არარეზიდენტი – პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი.

8. პირის ოჯახი – პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან. ამ კოდექსის მიზნებისათვის თავად გადაამხდელი უპირობოდ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს (ზემოაღნიშნულ პირთაგან), რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და ეწევიან საერთო მეურნეობას.

9. პარტნიორი – პარტნიორი, აქციონერი, კომანდიტი, კომპლემენტარი, კოოპერატივის წევრი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

10. სამეისოო კაპიტალი – სხვაობა სანარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამენარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

11. დივიდენდი — მოგების ნაწილი, რომელსაც იურიდიული პირი სამეურნეო წლის (სამეურნეო წლების) შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის, აგრეთვე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციების გამოსყიდვისას („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53/1 მუხლის შესაბამისად) ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი, გარდა სანესდებო და სამეისოო კაპიტალის ქონების ან/და იმ ქონებისა, რომელიც პარტნიორმა ადრე განახორციელა შენატანის სახით.

12. პროცენტი – საეალო ვალდებულებებთან (გარდა საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების განეებით ნარმოშობილი საეალო ვალდებულებებისა), მათ შორის, კრედიტებთან (სესხებთან), დეპოზიტებთან, ანაბრებთან, ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელი, აგრეთვე დისკონტის სახით მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო საპენსიო ფონდიდან მიღებული პროცენტი.

13. როიალტი:

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური ნარმონაქმნების გადაღების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასურო;

ბ) საავტორო უფლებების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, საეაქრო ნიშნის, ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

გ) სამრეწველო, საეაქრო, ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

დ) ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი;

ე) ეკონომიკების, ვიდეოფილმების, ხმის ჩანაწერების, ან ჩანერის სხვა საშუალება-

თა გამოყენებისათვის, ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

ე) ამ ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების განევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებული შემოსავალი.

14. არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და განეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შექენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს ან/და მომსახურების გამწვევს, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისათვის იწოდება გადასახადის გადამხდელად.

15. საერთაშორისო გადაზიდვა – ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით ტრანზიტის ან ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, ან იმპორტამდე (საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე) ტვირთების გადაზიდვა, აგრეთვე ორი ქვეყნის გაგზავნისა და დანიშნულების უწყეტებს შორის შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანა.

16. იდენტური საქონელი – სხვადასხვა საქონელი, რომლებსაც აქვთ ერთნაირი მახასიათებლები, კერძოდ, ფიზიკური მახასიათებლები, ხარისხი, რეპუტაცია ბაზარზე, წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი.

17. მსგავსი საქონელი – სხვადასხვა საქონელი, რომლებიც არ არიან იდენტურნი, მაგრამ აქვთ მსგავსი მახასიათებლები და შედგებიან მსგავსი კომპონენტებისაგან, რაც მათ საშუალებას აძლევს, განახორციელონ ერთი და იგივე ფუნქციები და იყვნენ კომერციულად ურთიერთშემცვლელნი.

18. საქონლის ექსპორტი, საქონლის იმპორტი, საქონლის რეექსპორტი, საქონლის ტრანზიტი, საქონლის დროებით შემოტანა, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება, გადამუშავებული პროდუქტი, გადამუშავებული საქონელი, საქართველოს საბაჟო ტერიტორია და საბაჟო საზღვარი – თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განისაზღვრება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

19. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა – სასაქონლო კლასიფიკაციის კოდექსის სისტემა, რომელიც მიღებულია „საქონლის აღწერლობისა და კოდირების სისტემის ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად.

20. უიმედო საგადასახადო დავალიანება – ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოქმნილია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებით ან/და სანქციებით, თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ქონების მიმართ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების შედეგად დადგინდა, რომ მას არ გააჩნია ქონება ან/და აქტივები, ან რომ მის ქონება ან/და აქტივები იმდენად მცირეა, რომ ვერ ფარავს სასამართლოს ხარჯებს.

21. უიმედო ვალი – საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახ-

დის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზლაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე.

22. აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხა – ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელიც:

ა) გამოვლენილია საგადასახადო ორგანოს მიერ;

ბ) დადასტურებულია საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე;

გ) დადასტურებულია ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დაეების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებით;

დ) წარმოშობილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

23. აღიარებული საგადასახადო ვალდებულება – გადასახადი ან/და სანქცია, რომელიც წარმოშობილია:

ა) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე;

ბ) „საგადასახადო მოთხოვნის“ საფუძველზე, რომელსაც გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ეთანხმება ან რომლის გასაჩივრების ვადა გასულია;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

24. საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.

25. აღიარებული საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის აღიარებულ ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.

26. დანაკლისი – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საგადასახადო კოდექსის 110-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი ნაკლებობა. ისეთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, რომელთა დასაწყობება და შესაბამისად ინვენტარიზაცია ფიზიკურად შეუძლებელია (ელექტრო— და თბოენერგია, გაზი და წყალი), დანაკლისად ჩაითვლება სხვაობა შექმნილ (შექმნის დამდასტურებელი დოკუმენტის მიხედვით) და რეალიზებულ (გადასახადის გადამხდელისგან ფაქტობრივად გასულ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შორის, თუ ვერ დგინდება დებიტორი (ამნაზლაურებელი) ან/და მიმთვისებელი. ამასთანავე, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილია დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, დანაკლისად ჩაითვლება ამ ოდენობაზე მეტი ნაკლებობა.

27. არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება საავტორო უფლება, პატ-

ენტი, სავაჭრო ნიშანი, გუფდელი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩიზი, საბადოების დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები.

28. მატერიალური აქტივი – აქტივი, რომელიც არ არის არამატერიალური აქტივი.

29. წმინდა აქტივები – სხვაობა პირის აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის.

30. ეკონომიკური სამსახურის ვადა – განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

31. ქონება – ყველა ნივთი და არამატერიალური სიკეთე, რომელთა შეუზღუდავად შექენა და რომელთა ფლობა, განკარგვა და რომლებით სარგებლობა შეუძლიათ პირებს.

32. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

ა) სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები;

გ) საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები;

დ) დასახლებული პუნქტების ფარგლების გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მდებარე მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ნებადართულია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით;

ვ) სამელიორაციო ქსელებით დაკავებული მიწები;

ზ) სხვა მიწა, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

33. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – მიწა, რომელიც არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

34. კალენდარული წელი – დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ახალრეგისტრირებული გადასახადის გადამხდელებისათვის – პირველ წელს რეგისტრაციის თარიღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

35. წელი (გარდა კალენდარული წლისა) – დროის მონაკვეთი, რომელიც შედგება ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვისაგან.

36. ძირითადი საშუალება – მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი 1 წელზე მეტი ხნით იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების განევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

37. არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლუატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას.

38. წარმოადგენლობითი ხარჯი – პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:



ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) პროტოკოლით გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;

ბ) საექსკურსო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;

გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს;

დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:

დ.ა) საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება) ხარჯებს;

დ.ბ) აეროპორტში დახვედრისა და გაცილების („ვიპ“-ის დარბაზის მომსახურება) ხარჯებს;

დ.გ) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;

დ.დ) სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;

დ.ე) პროტოკოლით გათვალისწინებული მიღებების, წვეულებების (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს.

39. კომპენსაცია – პირის მიერ საქონლის მიწოდების, განუღო მომსახურების ან მისივე ხარჯების, დანაკარგის ან დანაკლისის ანაზღაურების მიზნით მიღებული ქონება, გასამრჯელო, სარგებელი, საფასური, საზღაური.

40. ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები – ხარჯები, რომლებიც ამალეებს ძირითადი საშუალებების ამოსავალ (თავდაპირველ, ნორმატიულ) მწარმოებლურობას (მათ შორის შენობა-ნაგებობების ელემენტების მოდიფიკაცია (რეკონსტრუქცია) მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამალეების უზრუნველსაყოფად; მანქანა-დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამალეების უზრუნველსაყოფად და ახალი სანარმოო პროცესების დანერგვა), გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაინევა ძირითადი საშუალებების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით.

41. დახლი – საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი არასტაციონარული სავაჭრო ადგილი, რომელიც არ ქმნის დახურულ სივრცეს, სახურავით ან მის გარეშე.

42. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მარაგ-ნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

43. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (შემდგომში – ბასს) – ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები.

44. სათამაშო ბიზნესით დაკავებული პირისაგან მიღებული მოგებები – შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება ფიზიკური პირის (მოთამაშის) მიერ აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობებიდან ერთ ბილეთზე, ყუტონზე, მონეტაზე ან/და სხვა საშუალებებზე მიღებული და დადებული თანხის ან/და ნივთის ღირებულების დადებითი სხვაობით.

45. ბაზარი (ბაზრობა) – მინის ნაკვეთი, რომელზედაც განლაგებულია სტაციონარ-

ული სავაჭრო ობიექტები და არასტატაციონარული სავაჭრო ადგილები ან მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ადგილები (არანაკლებ 10 არასტაციონარული სავაჭრო ადგილისა), რომლებიც განკუთვნილია საქონლის სარეალიზაციოდ.

46. არასტაციონარული სავაჭრო ადგილი (დროებითი შენობა-ნაგებობა) — ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი, ასანყობ-დასაშლელი ან/და მობილური სამშენებლო სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსები, აგრეთვე ამ მიზნით გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

47. საგადასახადო სესხი – საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხი, რომელიც გაიცემა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებზე.

## 2.19 გადასახადის გადახდელის ცნობარი

გადასახადები და მოსაკრებლები  
მენარმე ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის

დადასტურებული დარიცხვების გადასახადი				
გადასახადის გადახდელი	სავალდებულო რეგისტრაცია ვკუთვნის	დღგ-ის განაკვეთები	ფულადრაციის წარდგენის ვადა	გადასახადის გადახდის პირობები
პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადახდელად	პირი, რომელიც უწევს ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს;			
	ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს (გარდა სადარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნაწი-კლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსებუქი ავტომობილების იმპორტისა ან/და მწოდებისა)	დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი პირების ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 პროცენტს	ყოველ საანგარიშო პერიოდზე არანაკლებ 15 დღის განმავლობაში	ყოველ საანგარიშო პერიოდზე არანაკლებ 15 დღის განმავლობაში
	ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთეული ოპერაციის შედეგად ან/და ერთ დღში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს			
არარეზიდენტი, რომელიც უწევს მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადახდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დანესებულების გარეშე, დღგ-ის გადახდელად ითვლება ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვას სსკ-ს 241-ე მუხლის შესაბამისად				
პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადახდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრი იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, დღგ-ის გადახდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე				

აქციზი					
გადასახადის გადახმველი	დაბეგერის ობიექტი	აქციზური საქონლის სახეობები	ანგარიშება	გადახდის ვადა	შენიშვნა
აქციზის გადახმველია პირი, რომელიც: ანარმობება აქციზურ საქონელს საქართველოში თავის მიერ წარმოებულ საქონელზე (მათ შორის დაბეგერის ნედლეულით წარმოებულზე);	დასაბეგრი ობიექტია: ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება ან/და ხანძარ-მის ხანმოკლედან სარე-ალაზაციოდ გატანა; ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედ-ლეულით საქართვე-ლოში წარმოებული აქ-ციზური საქონლის გა-დაცემა დამკვეთისა-თვის; გ) საქუთარი წარ-მოების აქციზური საქონლის გამოყენება არააქციზური საქონ-ლის წარმოებისათვის;	1) სპირტი და ალკოჰოლური სახ-მელები, ლუდი; 2) თამბაქოს ნანარჩი (თამბაქოს ნედლეულის გარდა) - ექვემდებარება აქციზური მარკე-ბით ნიშანდებას; 3) მსუბუქი აე-ტომობილების იმ-პორტი; 4) ბუნებრივი აირივანი კონდენ-სატი და ბუნებრივი აირი გარდა მისად-ენისა; 5) ნავთობი და ნავთობპროდუქტე-ბი, მიღებული მიტე-მოვანი ქიმიისაგან, ნედლის გარდა; 6) ზეთები და ქვანახშირის ფისებ-ნისაგან მიღალ ტემ-პერატურაზე გამოხდლი პროდუ-ქტები; 7) ნავთობის აირები და აირისე-ბრი ნახშირწყალ-ბადები; 8) პიროლიზის თხევადი პროდუქ-ტი; 9) მისართი, გამხ-სნელი, ანტიდეტო-ნატორი; 10) საოხი მისალები და საშუ-ალებები;	ანგარიშება დეკ-ლარაციის წარდგენა ხდება საან-გარიშო თვის 15 რიცხვისთვის	აქციზი გადახ-დას ექვემდებ-არება დასაბე-გრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო-ბის ქუარქელში რამოსხმული ალკოჰოლური სასმელები, მ.შ. ლუდი, ექვემდებ-არება აქცი-ზური მარკებით ნიშანდებას - აქციზური მარკე-ბის შექენისას	თამბაქოს ნანარჩი, აგრეთვე 50 გრამიდან 10 ლიტრამდე მოცულო-ბის ქუარქელში რამოსხმული ალკოჰოლური სასმელები, მ.შ. ლუდი, ექვემდებ-არება აქცი-ზური მარკებით ნიშანდებას
ამორცილებს ბუნე-ბრივი აირივანი კონ-დენსატის ან/და ბუნე-ბრივი აირის მიწოდებას აეტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის - ისეთ მიწოდებაზე	ბუნებრივი აირი-ვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდება აეტოსატრანსპორტო საშუ-ალებებისათვის				
ამორცილებს აქცი-ზური საქონლის იმ-პორტს საერთველოში - თავის მიერ განხორ-ციელებულ იმპორტზე;	საქართველოში აე-ციზური საქონლის იმ-პორტი;		საბაგო-დეკლარა-ცია		
ამორცილებს აქცი-ზური საქონლის დროე-ბით შენობანას საქარ-თველოში - თავის მიერ განხორციელებულ დროე-ბით შენობანაზე	დროე-ბით შენობტ-ანალი საქონელი			საქართვე-ლოს ტერიტორი-აზე ყოფნის ყოვე-ლი თვის მომ-დევნო თვის 15 რიცხვამდე - აქ-ციზის თანხის 3%, ხოლო ბოლო გადახდა - საბაგო რევიმის დას-რულების დღეს.	
ამორცილებს აქცი-ზური საქონლის ექს-პორტს - თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე	აქციზური საქონ-ლის ექსპორტი	შავი ან/და ფერ-დი ლითონების გარ-თი		ექსპორტისას	

\* შენიშვნა აქციზის გადახმველის მიერ აქციზური საქონლის ექსპორტი, შავი ან ფერადი ლითონების გართის გარდა, იხებრება აქციზის მ-ვანი განკვეთით ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული ალკო-ჰოლური სასმელები, აგრეთვე 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 სიგარეტის იმპორტი თავისუფლდება აქცი-ზისაგან.

მრეზების ბაზასხადი			
გადასახადის გადამხდელი	საგადასახადო განაკვეთი	დეკლარაციის ნარდგენის ვადა	გადასახადის გადამხდის ვადა
საქართველოს სანარმო; უცხოური სანარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დანესებულების შემთხვევით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან, - უცხოური პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში და არ დაასახუთებს თავის თანამფლობელობას საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით;	განაკვეთი დასახეური მოცუბის მიზარბ: - 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდებზე 20%, 2008 წლის პირველი იანვრის შემდგომ პერიოდებზე 15%.	საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე	საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. მიმდინარე გადასახდლებ: საანგარიშო წლის 15 მათი, 15 ივლისის, 15 სექტემბერი, 15 დეკემბერი. შენიშვნა: 2008 წლის მიმდინარე გადასახდლები იანვარშია 2007 წლის დასახეური მოცუბის 15%-დან.
არარეზიდენტი იურიდიული პირები, რომელთა შემოსავლები საქართველოში არ მიეკუთვნება მათ მუდმივ დანესებულებას;	არარეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე. მ.შ. რისკის დაზღვევის და გადასახდების საფუძველზე, საერთაშორისო კავშირგამბელობის ტელესაკომუნიკაციო და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის მიღებულ თანებზე, ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებულ შემოსავლებზე და საქართველოს კანონით განსახლებული ნათობისა და განსოპერაციების განზორციელების არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების შემოსავლებზე 4%. დღივდენებზე, პროცენტებზე და სხვა შემოსავლებზე 10%.	გადაანგარიშების მიზნით საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე (გარდა დღივდენებისა და პროცენტების მიმლები პირებისა)	შემოსავლის მიღების თარიღ (უკავდება გადასდის წყაროსთან)
ამხანაგობა და სხვა ანალოგიური წარმონაქმნი;	საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის შესახამისად დასახეური მოცუბა ნაწილდება ამხანაგობის წევრებს შორის მათი წლის პროპორციულად და შეიტანება მათ ერთობლივ შემოსავალში		

ქონების ბაზასხადი					
დასახეური ქონება	ანგარიშგების ფორმა და ანგარიშგების ნარდგენის ვადა	გადასახადის ოდენობას განსახლებრავს	საგადასახადო მოთხოვნის ნარდგენის ვადა	გადამხდის ვადა	შენიშვნა
სანარმოს (მ.შ. ინდ-მენარმოს) ქონება (გარდამინისა)	დეკლარაცია, 1 აპრილამდე	გადამხდელი		საანგარიშო წლის 15 ივნისამდე - (საანანსო); მომდევნო წლის 1 აპრილამდე (დაზუსტებული)	
მინა	დეკლარაცია, 1 აპრილამდე	საგადასახადო ორგანო	1 ივლისამდე	15 ნოემბრამდე	

- ინფორმაციები მიიღება: თვითმმართველობიდან და საჯარო რეესტრიდან (მინაზე) 1 აპრილამდე შინაგან საქმეთა სამინისტრიდან (ავტომობილების შესახებ) 1 აპრილამდე საპაერო და სახლეთა ადმინისტრაციებიდან - 1 ივნისამდე



რესურსების (მათ შორის, სოფის გარეშების)			ლარი/კვ. სოფის გარეშა - 0,60 ლარი/კვ	წინასწარი, ლიცენზიის მიღებამდე?	
ზედამიწველი წყლის რესურსები			მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება წყლის ობიექტების ჯამური წყლის შესვლილი კასბის ზღვის აუზის მდინარეები, ტბები და სხვა წყალსატევები - 0,01 ლარი/1 მ <sup>3</sup> ; შავი ზღვის აუზის მდინარეები, ტბები და სხვა წყალსატევები - 0,008 ლარი/1 მ <sup>3</sup> ; შავი ზღვის წყალი - 0,003 ლარი/1მ <sup>3</sup>	სოფლია მეთოდების გამოყენებით წყლის რესურსების მოსაკრებელი გადამამუშავების ღირებულება 1 ფეკტორიალად;	სადაცხადო ორგანიზაციის წარმომადგენელის მოსაკრებლის გაანგარიშება
			<p>- თანამედროვეობისათვის და სარწყავი სისტემებისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ<sup>3</sup> წყალზე შეადგენს წყლის ობიექტთა ეკოლოგიისათვის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობის 1 პროცენტს</p> <p>- პლანეტარული მდინარეებისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ<sup>3</sup> წყალზე შეადგენს წყლის ობიექტთა ეკოლოგიისათვის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობის 0,01 პროცენტს;</p> <p>- კომუნალური და სოფლის წყალსატევებისათვის მტკნარი (მიწისქვეშა და ზედაპირული) წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ<sup>3</sup> წყალზე შეადგენს 0,01 თეთრს.</p>	სხვა - საინგარიშის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;	
ცხოველთა საშვარის რესურსები			ცხოველთა სამეაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის მოსაკრებლის განაკვეთები დღევანდური ებულია ცხოველთა სამეაროს სახეობათა მიხედვით;	სამეაროსის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;	
გადამწერნი ფრინველები			გარემოდან გადამწერი ფრინველების ამოღება მოსაკრებლის ოდენობა სეზონზე შეადგენს 10 ლარს	მოსაკრებელი გადამწერი წინასწარი, ნაგარიშის დაწყებამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით;	

1. მოსაკრებლებისაგან თავისუფლება მტკნარი წყლის მოსაკრების, საკანალიზაციო სისტემების, ინფრასტრუქტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მონისქევა ნაგებობათა მშენებლობის მომდევნო სახარვეზო წინასწარული მოცულობა (რადიონობა).

2. მოსაკრებელი უმცირესობა 70%-ით;

ა) იმ ბუნებათმოსარგებლებს, რომლებიც ენევიან ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ სამეარო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას;

ბ) აღდგენილი (კვლავნარმოებული) რესურსების მოცულობის (რადიონობის) დატენვები იმ ბუნებათმოსარგებლებს, რომლებიც საკუთარი სახსრებით აბორციელებენ ბუნებრივი რესურსების აღდგენა-კვლავნარმოებას;





ფიზიკური პირებისთვის


ქონების გადასახადი					
დასაბუჯარი ქონება	ანგარიშგების ფორმა და ანგარიშგების წარდგენის ვადა	გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს	საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ვადა	გადახდის ვადა	შენიშვნა
მინა	დეკლარაცია   მისამდე	საგადასახადო ორგანო	1 იელისამდე	15 ნოემბრამდე	ფიზიკური პირი არასასოფლო მიწაზე (გარდა სამწარმოო საქმიანობისთვის გამოყენებულისა) იხდის იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის შემოსავალი 40 ათას ლარს აღემატება
ფიზიკური პირის მსუბუქი ავტომობილი	დეკლარაცია   მისამდე	საგადასახადო ორგანო	1 იელისამდე	15 ნოემბრამდე	იხდის, თუ ოჯახის შემოსავალი აღემატება 40 ათ. ლარს. ამასთან, თუ გასხვისება 15 ნოემბრამდე ხდება - გამოიღველი გადასახადს იხდის მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციამდე
ფიზიკური პირის მიერ იჯარით, ქირით გაცემული უძრავი ქონება (გარდა მიწისა)	დეკლარაცია   აპრილამდე	გადამიღელი	1 იელისამდე	საანგარიშო წლის 15 ივნისამდე (სააგანსო); მომდევნო წლის 1 აპრილამდე - დაზუსტებული	2009 წლამდე თავისუფლდება; ამასთან, თუ მოიჯარე ამ ქონებას იყენებს სამწარმოო საქმიანობაში, ის იხდის გადასახადს
ფიზიკური პირის მიერ უძრავი ქონება (გარდა სამეწარმეოს საქმიანობისათვის გამოყენებულისა და იჯარით გაცემულისა)	დეკლარაცია,   მისამდე	საგადასახადო ორგანო	1 იელისამდე	15 ნოემბრამდე	იხდის თუ ოჯახის შემოსავალი აღემატება 40 ათას ლარს

- ინფორმაციები მიიღება: თვითმმართველობიდან და საჯარო რეესტროდან (მინაზე) - 1 აპრილამდე შინაგან საქმეთა სამინისტროსგან (ავტომობილის შესახებ) - 1 აპრილამდე საპაერო და საზღვაო ადმინისტრაციებიდან - 1 იელისამდე

წყარო: ფურნალი "გადასახადები" №13-14, იელისი 2008 წელი


## სასარგებლო ინფორმაცია

გთავაზობთ ეკონომიკური შინაარსის პერიოდიკისა და სასარგებლო ინტერნეტ-რესურსების ჩამონათვალს, რომელთა სისტემატური გაცნობა უდავოდ შეუწყობს ხელს დამწყებ და მომქმედ მენარმეებს, სტუდენტებს და ყველა დაინტერესებულ პირს სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული ცოდნის გაღრმავებაში.



ფურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:

„გადასახადები და აღრიცხვა“  
თვეში 2 ნომერი  
თბილისი, ჩუბინიშვილის 50, მე-2 სართული  
957 128; 957 130; 956 321  
kubiria@rambler.ru



ფურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი

„გადასახადები“  
თვეში 2 ნომერი  
თბილისი, ე. შარტავას 8  
374 733



ფურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:

„აღრიცხვა, აუდიტი, ფინანსები“  
თვეში 1 ნომერი  
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, მე-4 სართული  
393 346; 393 347  
aaf@geo.net.ge




ფურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:  
ვებ-გვერდი

„ბიზნესი და კანონმდებლობა“  
თვეში 2 ნომერი  
თბილისი, ძმები კაკაბაძეების 22  
922 523; 987 125  
inovacia@caucasus.net  
www.inovacia.ge




გაზეთი „ანციონალური პიზნესი“  
 პერიოდულობა ყოველკვირეული  
 მისამართი თბილისი, ქიქოძის 12  
 ტელეფონი 934 405; 934 963  
 E-mail: office@geotimes.ge



ჟურნალი „ბუზინესი“  
 პერიოდულობა თვეში 1 ნომერი  
 მისამართი თბილისი, ნურეთელს გამზირი 61  
 ტელეფონი 350 157; 356 756; 354 397



ჟურნალი „ეკონომიკა“  
 პერიოდულობა ორ თვეში 1 ნომერი  
 მისამართი თბილისი, კოსტავას 63  
 ტელეფონი 335 023; 332 334  
 E-mail: universal@intamal.ge



ჟურნალი „Harvard Business Review“  
 პერიოდულობა თვეში 1 ნომერი  
 ვებ-გვერდი www.hbr-russia.ru  
 E-mail: a.malesh@imedia.ru



ჟურნალი „პიზნესი და მენეჯმენტი“  
 პერიოდულობა ყოველკვირეული  
 მისამართი თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, IV სართ.  
 ტელეფონი 8(93) 322 705  
 E-mail: aaf@geo.net.ge



ჟურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:  
ვებ-გვერდი

„ბიზნეს ნიუსი“  
თვეში 1 ნომერი  
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 74  
916 342  
info@businessnews.ge  
www.businessnews.ge



ჟურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:  
ვებ-გვერდი

„ბიზნესი“  
თვეში 1 ნომერი  
თბილისი, ფალიაშვილის 108  
223 768  
info@bs-magazine.com  
www.bs-magazine.com




ჟურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:  
ვებ-გვერდი

„საქართველოს ეკონომიკა“  
თვეში 1 ნომერი  
თბილისი, კეკელიძის 25  
251 600 251 798  
contact@geoeconomics.ge  
www.geoeconomics.ge




გაზეთი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:  
ვებ-გვერდი

„ბანკები და ფინანსები“  
ყოველკვირეული  
თბილისი, გერგეთის 3  
923 976  
bankebi\_f@yahoo.com  
www.alba.ge; www.banksandfinance.ge



გაზეთი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:  
ვებ-გვერდი

„24 საათი/ბიზნესი“  
ყოველდღიური  
თბილისი, გამრეკელის 51  
202 424; 319 103 (06, 07)  
public@24hours.ge  
www.24saati.ge



**ფინანსები**  
ბიზნესი

საინჟინერო  
სამსახურის  
შეხარება

საინჟინერო  
სამსახურის  
შეხარება

საინჟინერო  
სამსახურის  
შეხარება

გაზეთი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი

„ბიზნესიგედი ფინანსები“  
ყოველკვირტაღური  
თბილისი, იოსებძის 49  
377 807; 387 870



**საბანკო**

საბანკო  
საბანკო  
საბანკო

ფურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი

„საკანონმდებლო მაცნე“  
განუსაზღვრელი  
თბილისი, რუსთაველის გამზირი 30  
990 008; 983 666; 997 601




**ეკონომიკური პალიტიკა**

ეკონომიკური პალიტიკა  
ეკონომიკური პალიტიკა  
ეკონომიკური პალიტიკა

გაზეთი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი

„ეკონომიკური პალიტიკა“  
ყოველკვირეული  
თბილისი, გერგეთის 3  
921 579



**კომერსანტი**

კომერსანტი  
კომერსანტი  
კომერსანტი

გაზეთი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი

„ახალი კომერსანტი“  
ყოველკვირეული  
თბილისი, ლესელიძის 27  
8-800-100-100




**ბიზნესი**

ბიზნესი  
ბიზნესი  
ბიზნესი

ფურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:

„ბიზნეს ექსპრესი“  
თვეში 2 ნომერი  
თბილისი, ნურეთლის გამზირი 112  
342 683  
biznesexpressi@yahoo.com



გაზეთი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი  
E-mail:  
ვებ-გვერდი

„business რეზონანსი“  
ყოველკვირეული  
თბილისი, გოთუას 3  
377 967; 387 969  
resonanse01@caucasus.net  
www.opentext.ge/resonanse



ჟურნალი  
პერიოდულობა  
მისამართი  
ტელეფონი

„Georgian Business Today“  
ყოველთვიური  
თბილისი, ორბელიანის 35  
93 64 75



ჟურნალი  
პერიოდულობა  
E-mail:  
ვებ-გვერდი

„Свой Бизнес“  
ყოველთვიური  
subscribe-sb@gameland.ru  
www.mybiz.ru



ჟურნალი  
პერიოდულობა  
ვებ-გვერდი

„Forbes“  
ყოველთვიური  
www.forbes.com



# სასარგებლო გვერდები – ინტერნეტ რესურსები

## ქართულენოვანი ინტერნეტ რესურსები

1. [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) – საქართველოს პრეზიდენტი
2. [www.parliament.ge](http://www.parliament.ge) – საქართველოს პარლამენტი
3. [www.government.gov.ge](http://www.government.gov.ge) – საქართველოს მთავრობა
4. [www.mof.ge](http://www.mof.ge) – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
5. [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge) – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
6. [www.economy.gov.ge](http://www.economy.gov.ge) – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
7. [www.statistics.ge](http://www.statistics.ge) – სტატისტიკის დეპარტამენტი
8. [www.investinggeorgia.org](http://www.investinggeorgia.org) – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
9. [www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge) – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
10. [www.taxdep.ge](http://www.taxdep.ge) – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
11. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge) – საქართველოს ეროვნული ბანკი
12. [www.control.ge](http://www.control.ge) – საქართველოს კონტროლის პალატა
13. [www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge) – თბილისის მერია
14. [www.bas.ge](http://www.bas.ge) – ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა
15. [www.iesc.ge](http://www.iesc.ge) – მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი პროექტი
16. [www.icc.ge](http://www.icc.ge) – საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი
17. [www.abg.org.ge](http://www.abg.org.ge) – საქართველოს ბანკების ასოციაცია
18. [www.aeag.org.ge](http://www.aeag.org.ge) – ასოციაცია „სწავლა სიბერემდე“
19. [www.nesgeorgia.org](http://www.nesgeorgia.org) – ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველო
20. [www.forms.ge](http://www.forms.ge) – საგადასახადო ფორმები მარტივად
21. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
22. [www.gela.org.ge](http://www.gela.org.ge) – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
23. [www.lib.ge](http://www.lib.ge) – ელექტრონული ბიბლიოთეკა
24. [www.gvla.ge](http://www.gvla.ge) – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
25. [www.economists.ge](http://www.economists.ge) – საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
26. [www.bcnq.ge](http://www.bcnq.ge) – ბიზნეს საკონსულტაციო ქსელი საქართველოში
27. [www.gbc.ge](http://www.gbc.ge) – ჯორჯიან ბიზნეს კონსალტინგი
28. [www.pamasi.ge](http://www.pamasi.ge) – ნიგნის მალაზიათა ქსელი „პარნასი“
29. [www.geocities.com/kanonebi](http://www.geocities.com/kanonebi) – საქართველოს კანონთა კრებული
30. [www.civiln.org](http://www.civiln.org) – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

## ინგლისურენოვანი ინტარნეტ რესურსები

31. [www.sba.gov](http://www.sba.gov) – აშშ მცირე ბიზნესის ასოციაცია
32. [www.entreworld.com](http://www.entreworld.com) – აშშ ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია
33. [www.brint.com](http://www.brint.com) – აშშ ბიზნეს ტექნიკური ქსელი
34. [www.allbusiness.com](http://www.allbusiness.com) – ბიზნესმრჩეველი
35. [www.inc.com](http://www.inc.com) – რესურსები მცირე მენარმეთათვის
36. [www.nfib.com](http://www.nfib.com) – აშშ თავისუფალი ბიზნესის ნაციონალური აკადემია
37. [www.smartbiz.com](http://www.smartbiz.com) – აშშ დამწყები და მცირე ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფა
38. [www.business-plan.com](http://www.business-plan.com) – ბიზნესის ყოველდღიური დაგეგმვა
39. [www.bplans.com](http://www.bplans.com) – ბიზნეს გეგმის შექმნის პორტალი
40. [www.innonet.com](http://www.innonet.com) – ბიზნესის საინფორმაციო პორტალი
41. [www.keirsev.com](http://www.keirsev.com) – ადამიანური რესურსების რეალიზების უზრუნველყოფის პორტალი
42. [www.toolkit.cch.com](http://www.toolkit.cch.com) – აშშ ახალგაზრდა მენარმეთა ორგანიზაცია
43. [www.idye.com](http://www.idye.com) – მენარმის დამხმარე პორტალი
44. [www.yeo.org](http://www.yeo.org) – აშშ დამწყებ მენარმეთა ორგანიზაცია
45. [www.nfte.com](http://www.nfte.com) – აშშ მენარმეთა სწავლების ნაციონალური ინსტიტუტი
46. [www.homebusiness.com](http://www.homebusiness.com) – აშშ საოჯახო ბიზნესის მეგზური
47. [www.sbaer.uca.edu](http://www.sbaer.uca.edu) – აშშ მცირე ბიზნესის ნაციონალური ცენტრი
48. [www.ama.org](http://www.ama.org) – აშშ მარკეტინგის ასოციაცია
49. [www.nrf.com/home.asp](http://www.nrf.com/home.asp) – აშშ საცალო ვაჭრობის ნაციონალური ორგანიზაცია
50. [www.tsbj.com](http://www.tsbj.com) – აშშ მცირე ბიზნესის ჟურნალი
51. [www.nbia.org](http://www.nbia.org) – აშშ ბიზნესინკუბატორების ნაციონალური ასოციაცია
52. [www.nam.org](http://www.nam.org) – აშშ მენარმეთა სახელმწიფო ასოციაცია
53. [www.sbsc.org](http://www.sbsc.org) – აშშ მცირე ბიზნესის მხარდამჭერი კომიტეტი
54. [www.ffi.org](http://www.ffi.org) – აშშ ოჯახური მენარმეობის ინსტიტუტი
55. [www.iso.com](http://www.iso.com) – ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები
56. [www.riseb.org](http://www.riseb.org) – აშშ მცირე და განვითარებადი ბიზნესის კვლევითი ინსტიტუტი
57. [www.isquare.com](http://www.isquare.com) – მცირე ბიზნესის მრჩეველი
58. [www.business-ethics.com](http://www.business-ethics.com) – ეთიკა ბიზნესში
59. [www.women.aswe.org](http://www.women.aswe.org) – აშშ ქალ-მენარმეთა საზოგადოება
60. [www.enparent.com](http://www.enparent.com) – მენარმის დამრიგებელი
61. [www.irs.gov](http://www.irs.gov) – აშშ ქონების დეპარტამენტი
62. [www.nfib.com](http://www.nfib.com) – აშშ მცირე ბიზნესის ასოციაცია
63. [www.entrepreneur.com](http://www.entrepreneur.com) – მენარმეთა საინფორმაციო პორტალი
64. [www.springwise.com](http://www.springwise.com) – ახალი ბიზნეს იდეების პორტალი
65. [www.trendhvrter.com](http://www.trendhvrter.com) – მენარმეთა დამხმარე პორტალი
66. [www.britannica.com](http://www.britannica.com) – ენციკლოპედია ბრიტანიკა



66. [www.allprobit.net](http://www.allprobit.net) – საინფორმაციო ბიზნეს პორტალი
67. [www.business.com](http://www.business.com) – მენარმის საცნობარო პორტალი
68. [www.vig.pearsoned.co.uk](http://www.vig.pearsoned.co.uk) – ბიზნეს ლიტერატურის გამომცემლობა
69. [www.wiley.com](http://www.wiley.com) – ბიზნეს ლიტერატურის გამომცემლობა
70. [www.hed.thomsonlearning.co.uk](http://www.hed.thomsonlearning.co.uk) – ბიზნეს ლიტერატურის გამომცემლობა
71. [www.catalogs.mhhe.com/mhhe/home.dg](http://www.catalogs.mhhe.com/mhhe/home.dg) – ბიზნეს ლიტერატურის გამომცემლობა
72. [www.williamspublishing.com](http://www.williamspublishing.com) – გამომცემლობა „ვილიამსი“
73. [www.hbsp.harvard.edu/hbsp](http://www.hbsp.harvard.edu/hbsp) – ჰარვარდის ბიზნესსკოლის გამომცემლობა
74. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org) – მსოფლიო ბანკი
75. [www.imf.org](http://www.imf.org) – საერთაშორისო სავალუტო ფონდი
76. [www.wto.org](http://www.wto.org) – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
77. [www.amazon.com](http://www.amazon.com) – წიგნის საერთაშორისო ინტერნეტმაღაზია

### რუსულენოვანი ინტერნეტ რესურსები

78. [www.business-magazine.ru](http://www.business-magazine.ru) – ონლაინ ბიზნეს ჟურნალი
79. [www.businesslook.ru](http://www.businesslook.ru) – რჩევები დამწყებ მენარმეებს
80. [www.homebusiness.ru](http://www.homebusiness.ru) – საოჯახო ბიზნესი
81. [www.shop.avanta.ru](http://www.shop.avanta.ru) – ინტერნეტ მაღაზია
82. [www.mirknigi.ru](http://www.mirknigi.ru) – ინტერნეტ მაღაზია
83. [www.labyrinth-shop.ru](http://www.labyrinth-shop.ru) – ინტერნეტ მაღაზია
84. [www.business-kniga.ru](http://www.business-kniga.ru) – ბიზნეს წიგნების პორტალი
85. [www.mbm.ru](http://www.mbm.ru) – მცირე ბიზნესი
86. [www.bizbook.ru](http://www.bizbook.ru) – საქმიანი ლიტერატურის სალონი
87. [www.virtus.ru](http://www.virtus.ru) – მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პორტალი
88. [www.homeidea.ru](http://www.homeidea.ru) – მცირე ბიზნესი, იდეები
89. [www.openbusiness.ru](http://www.openbusiness.ru) – ბიზნესის დასაწყებად საჭირო პრაქტიკული ინფორმაცია
90. [www.hobiz.ru](http://www.hobiz.ru) – ბიზნესიდეები
91. [www.osd.vcoz.ru](http://www.osd.vcoz.ru) – პორტალი „დაიწყე შენი საქმე“
92. [www.homebusiness.ru](http://www.homebusiness.ru) – საოჯახო ბიზნესი
93. [www.businessstests.ru](http://www.businessstests.ru) – საქმიანი ტესტები
94. [www.businesslearning.ru](http://www.businesslearning.ru) – დისტანციური ბიზნეს სწავლება
95. [www.allmedia.ru](http://www.allmedia.ru) – მენარმეების მხარდამჭერი პორტალი
96. [www.economics.ru](http://www.economics.ru) – დიდი ეკონომიკური ბიბლიოთეკა
97. [www.businesspress.ru](http://www.businesspress.ru) – ბიზნესპრესა
98. [www.aup.ru](http://www.aup.ru) – ბიზნესპორტალი
99. [www.bistrast.ru](http://www.bistrast.ru) – კონსალტინგი მცირე ბიზნესისათვის
100. [www.dist-cons.ru](http://www.dist-cons.ru) – კურსი „თქვენი ბიზნესი“

101. [www.spmag.ru](http://www.spmag.ru) – „თანამედროვე მენარმე“ ჟურნალი
102. [www.businessbook.ru](http://www.businessbook.ru) – საკუთარი ბიზნესის ორგანიზაცია
103. [www.predprinimatel.by](http://www.predprinimatel.by) – ჟურნალი „ინდივიდუალური მენარმე“
104. [www.biznesgrad.ru](http://www.biznesgrad.ru) – ბიზნესის სკოლა
105. [www.bishelp.ru](http://www.bishelp.ru) – დახმარება ბიზნესს
106. [www.1000ideas.ru](http://www.1000ideas.ru) – ბიზნეს იდეების პორტალი
107. [www.oborot.ru](http://www.oborot.ru) – განავითარე შენი ბიზნესი
108. [www.bolshoybusiness.ru](http://www.bolshoybusiness.ru) – ჟურნალი „დიდი ბიზნესი“
109. [www.business.ua](http://www.business.ua) – ჟურნალი „ბიზნესი“
110. [www.beginbiz.front.ru](http://www.beginbiz.front.ru) – როგორ გავხდეთ ბიზნესმენი
111. [www.bisiness.damotvet.ru](http://www.bisiness.damotvet.ru) – მცირე ბიზნესმენის ცნობარი
112. [www.psycho.ru](http://www.psycho.ru) – ბიზნესი და ფსიქოლოგია
113. [www.ruspred.ru](http://www.ruspred.ru) – ჟურნალი „რუსი მენარმე“
114. [www.createbusiness.ru](http://www.createbusiness.ru) – ბიზნესის შექმნისთვის აუცილებელი პორტალი
115. [www.chp.com.ua](http://www.chp.com.ua) – კერძო მენარმე
116. [www.startdelo.narod.ru](http://www.startdelo.narod.ru) – მენარმის დამხმარებელი პორტალი
117. [www.knorus.ru](http://www.knorus.ru) – წიგნის სამყაროს სიახლეები
123. [www.krupaspb.ru](http://www.krupaspb.ru) – საინტერესო წიგნების რესურსების პორტალი
118. [www.ast.ru](http://www.ast.ru) – გამომცემლობა „ACT“
119. [www.eksmo.ru](http://www.eksmo.ru) – გამომცემლობა „ЭКМО“
120. [www.edic.ru](http://www.edic.ru) – ენციკლოპედიური ლექსიკონები
121. [www.findbook.ru](http://www.findbook.ru) – ინტერნეტმაღაზიებში წიგნის საძიებო სისტემა
122. [www.nt.ru](http://www.nt.ru) – საკადრო მენეჯმენტის ფსიქოლოგიური მეთოდები
123. [www.alpina.ru](http://www.alpina.ru) – ბიზნეს წიგნები
124. [www.olbuss.ru](http://www.olbuss.ru) – გამომცემლობა „ოლიმპიკ ბიზნესი“
125. [www.top-kniga.ru](http://www.top-kniga.ru) – გამომცემლობა „ტოპ-კნიგა“
126. [www.coolidea.ru](http://www.coolidea.ru) – ბიზნესიდეები მთელი მსოფლიოდან
127. [www.all-ideas.ru](http://www.all-ideas.ru) – ბიზნესის ორგანიზაცია
128. [www.bel.biz](http://www.bel.biz) – ბიზნესპორტალი
129. [www.sbdc.nsk.ru](http://www.sbdc.nsk.ru) – მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრი
130. [www.geizer.ru](http://www.geizer.ru) – ბიზნესის ორგანიზაცია
131. [www.delo-in.net](http://www.delo-in.net) – ბიზნესის ინტერნეტსკოლა
132. [www.bestlibrary.ru](http://www.bestlibrary.ru) – ელექტრონული ბიბლიოთეკა
133. [www.book.ru](http://www.book.ru) – წიგნის ინტერნეტმაღაზია
134. [www.ozon.ru](http://www.ozon.ru) – წიგნის ინტერნეტმაღაზია
135. [www.piter.com](http://www.piter.com) – გამომცემლობა პიტერი

## სარჩევი

ენასიტიჰვაობა.....	3
თავი 1. სამენარმეო საქმიანობის სუბიექტების ზომადი მანასინათება;	
სანარმოს რეგისტრაცია.....	5
1.1. სამენარმეო საქმიანობის ცნება.....	7
1.2. ფიზიკური პირის ცნება.....	8
1.3. იურიდიული პირის ცნება.....	8
1.4. მენარმე სუბიექტები.....	9
1.5. პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები.....	9
1.6. მცირე და საშუალო მენარმეობის სუბიექტები.....	11
1.7. სანარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია.....	11
1.8. სანარმოს სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებების რეგისტრაცია.....	13
1.9. სანარმოს პარტნიორთა ნილობრივი მონაწილეობის ცვლილებების რეგისტრაცია.....	14
1.10. სანარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძელები.....	14
1.11. სამენარმეო ამხანაგობის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის პროცედურები.....	14
1.12. ინდივიდუალური მენარმის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის პროცედურები.....	16
1.13. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმის სანარმეობის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის რეგისტრაცია.....	19
1.14. სამენარმეო და სახელმწიფო რეგისტრის მონაცემთა საჯაროობა.....	19
1.15. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ინსპექციებში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურები.....	20

1.16. ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვის პროცედურები.....	21
1.17. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის ან უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდული პირის მუდმივი დანესებულების (გარდა ფილიალებისა და წარმომადგენლობებისა) საგადასახადო აღრიცხვა და რეესტრის წარმოება.....	23
1.18. საგადასახადო რეგისტრაციის იძულებითი წესით უზრუნველყოფის ღონისძიებები.....	23
1.19. გადასახადის გადამხდელის სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის პროცედურები.....	24
1.20. საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების პირობები.....	25
1.21. გადასახადის გადამხდელის ლიკვიდაციის რეგისტრაცია და საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების პროცედურები.....	26
1.22. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია.....	27
1.23. ორგანიზაციისთვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება და რეესტრის წარმოება.....	27
1.23.1 თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის, ოურიდული პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის პროცედურები.....	28
1.24. პასუხისმგებლობა გადასახადის გადამხდელად საგადასახადო აღრიცხვაზე (რეგისტრაციაზე) დადგომის არსებული წესის დარღვევისათვის.....	28
1.25. სახელმწიფო (მათ შორის, სამეწარმეო) რეესტრი და გადამხდელის აღრიცხვის ფორმა.....	28
1.26. სახელმწიფო (სამეწარმეო) და საგადასახადო რეგისტრაციის (აღრიცხვის) შესახებ განცხადების (განაცხადის) წარდგენა და რეგისტრაციის თარიღი.....	29
1.27. გადამხდელთა საქმიანობის აქტივობის მაჩვენებელი სტატუსი.....	30
1.28. სანარმოს, უცხოური სანარმოს ფილიალის (მუდმივი დანესებულებების) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის, სანარმოს ფილიალის სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურები.....	30

1.29. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის სახელმწიფო რეგისტრაციის/აღრიცხვის პროცედურები.....	35
1.30. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვა საქონლის იმპორტის შემოსევაში.....	38
1.31. სარეგისტრაციო მოსაკრებელი.....	38
1.32. საბანკო ანგარიშის გახსნა.....	39
1.33. საქელმოქმედო საქმიანობა.....	40
1.34. სანარმოს რედომიცილება.....	49
1.35. შოგების განაწილება.....	49
1.36. ხელშეღებულება და წარმომადგენლობა.....	49
1.37. პარტნიორობა საერთო კრება.....	51
1.38. სამენარმეო ამხანაგობა.....	53
1.39. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.....	53
1.40. კომანდიტური საზოგადოება.....	54
1.41. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.....	56
1.42. სააქციო საზოგადოება.....	56
1.43. დირექტორები.....	66
1.44. კოოპერატივი.....	66
1.45. საფორმო სახელწოდება.....	72
1.46. პატარა ფორმის ცხრა ღირსება.....	75
1.47. რეზოლუციური-შედარებითი ანალიზი.....	76
1.48. მარეგისტრირებელი საგადასახადო ორგანოების მისამართები.....	77
საქართველოს ნორმატიული აქტები.....	79

თავი II. გარე სახარება	81
2.1. გადასახადების მოკლე ისტორია	83
2.2. გადასახადების თეორიული პრინციპები	92
2.3. საქართველოს საგადასახადო სისტემის მოკლე დახასიათება	109
2.4. საშემოსავლო და მოგების გადასახადი	118
2.5. დამატებული ღირებულების გადასახადი	137
2.6. აქციზი	151
2.7. საბაჟო გადასახადი	163
2.8. ადგილობრივი გადასახადები, ქონების გადასახადი	191
2.9. მოსაკრებლები	208
2.10. საკონტროლო-სალარო აპარატები	222
2.11. საგადასახადო ანგარიშგება	233
2.12. საგადასახადო კონტროლი	239
2.13. საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები	250
2.14. საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა	267
2.15. საგადასახადო დავა	313
2.16. საგადასახადო ადმინისტრაცია	326
2.17. გადასახადები და ბუღალტრული აღრიცხვა	378
2.18. საგადასახადო კოდექსში გამოყენებული ტერმინები და ცნებები	390
2.19. გადასახადის გადამხდელის ცნობარი	397
სასარგებლო ინფორმაცია	405
სასარგებლო გეგმები და ინტერნეტ-რესურსები	410



# სამართლებლო დასაქმებულთა ასოციაცია

## პროგრამა "დაიწყო და სრულდაში მენი ბიზნესი" (დსშ)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) პროგრამა "დაიწყო და სრულდაში მენი ბიზნესი" ეს არის მართვის საფუძვლების შესასწავლი პროგრამა. რომელიც მიმართულია მცირე საწარმოების ორგანიზებაზე და განვითარებაზე, როგორც უფრო ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნის სტრატეგია, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მჭირ ქვეყნებისათვის.

### საშენიშვნა

- პროგრამის სტრატეგიული ამოცანება: ეროვნული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სოციალურსუნარანი, მდგალი, მოგებთან ბიზნესის ორგანიზება და განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ადამიანების უზრუნველყოფა ღირსეული შრომით და ახალადურებით.
- პროგრამის ძირითადი ამოცანაა, დაუხმაროს მეწარმეების განვითარების ეროვნულ ინსტიტუტებს დსშ სასწავლო პროგრამების რეალიზებაში. თავის მხრივ ეს დაეხმარება მცირე საწარმოების ჩამოყალიბებას და განვითარებას. მეწარმეების მჭირ სამუშაო ადგილების შექმნას, მოლიარბაში ეს ხელს შეუწყობს თეთრდასაქმების და სხვა მოხელაქმების დასაქმების პროცესს.



### საშენიშვნა

ახლანდელი დსშ პროგრამის კომპონენტი "სრულდაში მენი ბიზნესი" (სშ) შექმნილია 1970-იან წლების დასაწყისში შედგეის დამსაქმებულთა ფედერაციის მჭირ შემსუბუქებულები სასწავლო პროგრამის "საეუთარი საქმე" საუქუქლებზე. 1977 წელს შედგეის საერთაშორისო განვითარების საეუნტრომ (SIDA) გამოყო სახსრები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) პროექტის სარეალიზაციოდ, რომელიც ითვალისწინებდა განვითარებადი ქვეყნების მცირე საწარმოების მჭირ შედგური ინიციატივის გამოყენებას.



მეორე კომპონენტი პროგრამა "დაიწყო მენი ბიზნესი" (დშ) შეუბუდა 1991 წელს. პროგრამა სშ ეხებოდა უკვე მოქმედ საწარმოებს, დშ კი გაბიზნული იყო მცირე ბიზნესის სფეროში იმ პოტენციური მეწარმეების დასახმარებლად, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ დაეწყათ თავისი ბიზნესი და გაეხსნათ საეუთარი საწარმო, მაგრამ არ გააჩნდათ ბიზნესის სფეროში საქმირი ცოდნა.

პროგრამა "დაიწყო და სრულდაში მენი ბიზნესი" არის შსო ფართოდ აღიარებული ინიციატივა და მოიცავს შსოელოს 80 ქვეყანაზე მეტს. მის მთავარ საზნსორად ელავ რება SIDA.

### მეორე კომპონენტი პროგრამა

პროგრამა დსშ ხორციელდება მცირე ბიზნესის სფეროში პოტენციური და მოქმედი მეწარმეების ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს დამსაქმებულთა ასოციაცია.



### პროგრამის ხანგრძლივობა (1998-2005) და მისი კონტენტის აღწერა

2005 წელს პირველად საქართველოში შსო მჭირ, სოციალური პარტნიორობის ფარგლებში, საქართველოს დამსაქმებულთა ასოციაციის გაერთიანებული პროექტმჭირების და შრომის უზნარყოფლობის და სოციალური დაცვის საბინისტროს წარმომადგენლებისთვის ჩატარდა პროგრამის "დაიწყო და სრულდაში მენი ბიზნესი" ტრენინგების მოსამზადებელი სემინარები. მომზადდა შსო სერთიფიცირებულ ტრენინგთა ეგუფი. ანალოგიური ტრენინგები 2007 წელს ჩატარდა ქ. ქუთაისში.



პროგრამა ისახავდა მომავალი ეროვნული ტრენინგების მომზადებას და გამოყენებას მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებისთვის, სოციალური ეგუფებისთვის, დამწყები

